# ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობა

# REFERENCE LEVEL DESCRIPTION FOR THE GEORGIAN LANGUAGE

A1 • A2 • B1 • B2

თბილისი Tbilisi
2006

ნაშრომი შესრულდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში

**პროექტის ხელმძღვანელი** პროფესორი მარიკა ოძელი

**რედაქტორები:** პროფესორი კახა გაბუნია

პროფესორი ვლადიმერ კიკილაშვილი

**პროექტზე მუშაობდნენ:** ნინო ნაკუდაშვილი, ჭაბუკი ქირია, ნინო შარაშენიძე, სალომე შარაშენიძე, ლელა წიქარიშვილი

**დიზაინერი** მარიამ კალანდაძე

წიგნი გამოიცა ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით

# შინაარსი


შესავალი ..... 5

1 ნაშრომის ზოგადი დახასიათება ..... 9

1.1 კონცეფცია ..... 9

1.2 ენის ფლობის დონეების ზოგადევროპული სისტემა ..... 12

1.3 ენის კომუნიკაციური სწავლების მიზნები ..... 17

2 კომუნიკაციური კომპეტენციები ზრდასრული შემსწავლელებისათვის ..... 18

2.1 სამეტყველო ქმედებები (A1 - B2) ..... 18

2.2 ზოგადი ცნებები (A1 - B2) ..... 51

2.3 თემატური ლექსიკა (A1 - B2) ..... 82

2.4 კულტურული ასპექტი (A1 - B2) ..... 149

3 კომუნიკაციური კომპეტენციები მოზარდის შემსწავლელებისათვის ..... 165

4 ტექსტის ტიპები ..... 212

4.1 წაკითხვა ..... 212

4.2 აუდირება ..... 213

4.3 წერა ..... 214

5 სტრატეგიები ..... 215

5.1 საკომპენსაციო საშუალებები ..... 215

5.2 სწავლის სწავლება ..... 217

5.3 ურთიერთობის ტაქტიკა ..... 218

6 ქართული ენის ფლობის დონეების ნიმუში ..... 225

6.1 აუდირება (A1 - B2) ..... 225

6.2 წაკითხვა (A1 - B2) ..... 228

6.3 დიალოგი (A1 - B2) ..... 231

6.4 მონოლოგი (A1 - B2) ..... 234

6.5 წერა (A1 - B2) ..... 237

7 ქართული ენის ფონეტიკისა და გრამატიკის კონსპექტური აღწერილობა ..... 241

7.1 ფონეტიკა ..... 242

7.2 მორფოლოგია ..... 243

7.3 სინტაქსი ..... 255

რეზიუმე ინგლისურ ენაზე ..... 260

# CONTENTS


Foreword by Prof. Marika Odzeli ........ 5
1. General Description of the Work ........ 9
1.1 Conception ........ 9
1.2 Common European Reference Levels ........ 12
1.3 Communicative Aims of Teaching Languages ........ 17

2 Communicative Competences for Adult Lerners ........ 18
2.1 Speech Acts (A1 - B2) ........ 18
2.2 General Notions (A1 - B2) ........ 51
2.3 Thematic Vocabulary (A1 - B2) ........ 82
2.4 Cultural Aspect (A1 - B2) ........ 149

3 Communicative Competences for Schoolchildren ........ 165

4 Types of Texts ........ 212
4.1 Reading ........ 212
4.2 Listening ........ 213
4.3 Writing ........ 214

5 Strategies ........ 215
5.1 The Means of Compensation ........ 215
5.2 Teaching How to Learn ........ 217
5.3 Tactics of Communication ........ 218

6 Samples of Reference levels for Georgian ........ 225
6.1 Listening (A1 - B2) ........ 225
6.2 Reading (A1 - B2) ........ 228
6.3 Spoken Interaction (A1 - B2) ........ 231
6.4 Spoken Production (A1 - B2) ........ 234
6.5 Writing (A1 - B2) ........ 237

7 Brief Description of the Phonetics and Grammar of the Georgian Language ........ 241
7.1 Phonetics ........ 242
7.2 Morphology ........ 243
7.2 Syntax ........ 255
Summary ........ 260

*რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს*
გრიგოლ ორბელიანი

# შესავალი

ამიერიდან მრავალენოვანი ევროპის ენობრივ სტანდარტებს შეემატება ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობა A1; A2; B1; B2. სხვადასხვა ენის ფლობის დონეების აღწერილობათა მატებას დიდი წვლილი შეაქვს ევროპის საბჭოს ენის პოლიტიკის შემდგომ წარმართვაში, რომელიც პირველყოვლისა მიმართულია ევროპის მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილებისა და ურთიერთგაგებისაკენ. ენობრივი სტანდარტები ევროპის კონტინენტზე განფენილ ენობრივ და კულტურულ მრავალფეროვნებაში შეღწევის საშუალებას აძლევს და უცხოეროვნულ გარემოში ადაპტაციის პროცესს უადვილებს მოსახლეობის ყველა ფენას.

ქართული ენის სტანდარტის შექმნის აუცილებლობა თანამედროვე მოთხოვნებმა განაპირობა. ვიმედოვნებთ, რომ იგი ხელს შეუწყობს თანამშრომლობის გაფართოებას საქართველოსა და ევროპის სხვა ქვეყნებს შორის. ქართული ენის სტანდარტი მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ერთ საერთო აღწერილობაზე ორიენტირებისათვის, ვინაიდან იგი სასწავლო პროცესს ერთიან მიმართულებას მისცემს როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთში.

ცხოვრებისეულ მიზანს ენის შესწავლა კი არ წარმოადგენს, არამედ მისი გამოყენება ადამიანის სურვილების დასაკმაყოფილებლად (მაგალითად, მისთვის ევროპის მასშტაბით საინტერესო ან მაღალანაზღაურებადი სამსახურის შოვნა, თავისუფალი დროის სასიამოვნოდ გატარება, განათლების მიღება, კარგად დასვენება...). ამ თვალსაზრისით უცხოური ენის შესწავლა ახალ პერსპექტივებს სთავაზობს შემსწავლელებს.

ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობა განკუთვნილია მასწავლებლებისთვის, შემფასებლებისთვის, მეთოდისტებისთვის, სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შემდგენლებისთვის, სასწავლო ლიტერატურის გამომცემლებისა და რედაქტორებისთვის, ასევე თვით შემსწავლელებისა და ყველა იმათთვის, ვისაც საქმე აქვს ქართულის, როგორც მეორე ან უცხოური ენის სწავლებასთან როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ნაშრომი მოიცავს აუცილებელ მოთხოვნათა მინიმალურ ლინგვოდიდაქტიკურ აღწერილობას ენის სწავლების კონკრეტული დონის პრაქტიკულად ფლობისათვის და ასევე შეიცავს კულტურულ კომპონენტს.

უცხოური ენების სწავლების პრაქტიკაში დღესდღეობით მიღებულია კომუნიკაციური მიდგომა, რომელიც ფოკუსირებულია ენის შესწავლაზე, როგორც შემსწავლელთათვის აქტუალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებში ურთიერთობის საშუალებაზე. კომუნიკაციური სწავლების მთავარი მიზანია შემსწავლელებში უცხოენოვანი კომუნიკაციური კომპეტენციების იმ მოცულობით ფორმირება,

რომელიც მათ ცხოვრებისეული მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებას მისცემს. მოცემულ სტანდარტშიც ყურადღება სწორედ კომუნიკაციურ მიდგომაზეა გადატანილი.

ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობა ორიენტირებულია მათზე, ვისთვისაც სასურველი ან აუცილებელია ქართული ენის შესწავლა როგორც ყოველდღიური ურთიერთობისთვის, ასევე პროფესიული კომუნიკაციური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საერთაშორისო თანამშრომლობის, მეწარმეობის, ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროში. წინამდებარე სტანდარტი გათვლილია ზრდასრული შემსწავლელებისთვის, რომლებიც საქართველოში ჩამოდიან ტურისტულად, მივლინებით, კერძო მოწვევით, პროფესიული, საქმიანი ინტერესებით. ეს სტანდარტი ხელს შეუწყობს ქართული ენით დაინტერესებულ უცხოელ მეცნიერებს თანამედროვე ქართული ენის კომუნიკაციური კომპეტენციის გაფართოებაში, უცხოეთში მიმობნეული ქართული დიასპორების მომავალ თაობებსა და ასევე საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც რიგ სოფლებში მთლიანად არაქართული მოსახლეობაა და შესაბამისად არაქართულენოვანი გარემოა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული ფაქტობრივად ისწავლება არა როგორც მეორე ენა, არამედ როგორც უცხოური ენა.

ნაშრომში ასევე გათვალისწინებულია მოზარდი შემსწავლელების ინტერესები და მათთვის ცალკე თავადაა მოცემული კომუნიკაციური კომპეტენციების განვითარების ეტაპები.

ქართულის, როგორც მეორე ან უცხოური ენის აღწერის ცდა იმ პარამეტრებით, რომლებიც მიღებულია ევროპის თანამეგობრობაში, განაპირობებს მის ინტეგრირებას განათლებისა და სერტიფიცირების საერთაშორისო სისტემაში და მის განხილვას საერთოევროპულ ენათა ერთობის ერთ-ერთი ენის რანგში.

ქართული ენა საქართველოს გარდა მისი მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზეც გამოიყენება. სახელდობრ, თურქეთში, ირანში, აზერბაიჯანში. უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა ქართული დიასპორები ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე.

ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა. ქართული სამწერლობო ენა ქართლ-კახურ დიალექტს ეფუძნება. იგი იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს მიეკუთვნება და ამ ოჯახის უძველესი სამწერლობო ენაა.

იბერიულ-კავკასიური ენებია: ქართული, ზანური (მეგრულ-ჭანური), სვანური, აფხაზური, ჩერქეზული (ადიღეური), უბიხური, წოვა-თუშური, ჩაჩნური, ინგუშური, დაღესტნური ენები და ბასკური, რომელსაც ასევე იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს მიაკუთვნებენ.

ქართული, ზანური (მეგრულ-ჭანური) და სვანური ქართველური ენებია. თითოეული მათგანი თავისი გრამატიკული წყობითა და ლექსიკური ფონდით არის ენა და აქვს თავისი დიალექტები.

ქართული ენის დიალექტებია: ქართლური, კახური, იმერული, გურული, რაჭული, ლეჩხუმური, აჭარული, მესხურ-ჯავახური, ფშაური, ხევსურული, მთიულურ-გუდამაყრული, მოხეური, თუშური, ინგილოური (დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე), ფერეიდნული (დღევანდელი ირანის ტერიტორიაზე), იმერხეული (დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე).

ზანური ენის დიალექტებია მეგრული და ჭანური (ლაზური). ჭანების ანუ ლაზების დიდი ნაწილი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზეა დასახლებული, მცირე ნაწილი კი საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს.

სვანური ენის დიალექტებია: ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლენტეხური და ლაშხური.

ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლები – წარწერები, ხელნაწერები, საისტორიო და იურიდიული დოკუმენტები დიდ მასალას იძლევა ქართული ყოფის, სალიტერატურო ენის, ქართული კულტურის ისტორიის შესასწავლად. ასეთებია ბეთლემის ქართული მონასტრის წარწერები (Vს. I ნახ.), ბოლნისის სიონის ტაძრის წარწერები (Vს. ბოლო), უკანგორის წარწერები (VIს. დასაწყისი), მცხეთის ჯვრის წარწერები (VI-VIIსს), საჰაკდუხტის წარწერა (Vს.), დავათის სტელა (IVს. II ნახ.), წყისის წარწერები (616-619წწ.), კუმურდოს წარწერები (VIIს.), ატენის სიონის (739წ), იშხნის (954-955წწ.) წარწერები...

ქართული ენის ძალიან ძველი წერილობითი ძეგლებია ხელნაწერები, რომელთა რიცხვი 10 000-ს აღემატება. მათგან ბევრი დაკარგულია, ბევრიც სხვადასხვა ქვეყანაშია გაბნეული. 1000-ზე მეტი ქართული ხელნაწერი V-XII საუკუნეებისაა.

ფილოსოფიური და საისტორიო ხასიათის ხელნაწერები X-XIII საუკუნეებს განეკუთვნება, იურიდიული XI საუკუნიდან იჩენს თავს.

უძველესი ქართული ისტორიულ-ლიტერატურული თხზულებებიდან ჩვენამდე მოღწეული პირველი ორიგინალური ნაწარმოებია *წამება წმიდისა მოწამისა შუშანიკისი* (476-482 წწ.). სასულიერო მწერლობის მეტად ღირებული ძეგლებია *ევსტათი მცხეთელის წამება, აბო ტფილელის წამება, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ნინოს ცხოვრება* და ა.შ.

ქართული ანბანი ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. ქართულმა დამწერლობამ განვითარების სამი საფეხური განვლო: ასომთავრული (მრგვლოვანი), ნუსხური, მხედრული. ასომთავრულით შესრულებული უძველესი წერილობითი ძეგლები V-IX საუკუნეებისაა. მხედრული ანბანის ყველაზე ძველ ნიმუშად ითვლება ატენის სიონის ერთ-ერთი წარწერა (982-986წწ.). მხედრული ანუ საერო დამწერლობა ქართული ანბანის განვითარების ბოლო საფეხურია. ამ ანბანით ვსარგებლობთ დღესაც.

თანამედროვე ქართულ ანბანში 33 ასო-ბგერაა. ჩვენი ანბანის ღირსებაა ის, რომ ბგერებს ისევე ვწერთ, როგორც გამოვთქვამთ და პირიქით, გამოვთქვამთ ისე, როგორც ვწერთ. ყოველ ასოს თავისი სახელი აქვს. ქართული ასოები, მათი სახელები და ტრანსკრიფცია ამგვარად გამოიყურება:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ან | a | ს | სან | s |
| ბ | ბან | b | ტ | ტარ | t |
| გ | გან | g | უ | უნ | u |
| დ | დონ | d | ფ | ფარ | p |
| ე | ენ | e | ქ | ქან | k |
| ვ | ვინ | v | ღ | ღან | gh |
| ზ | ზენ | z | ყ | ყარ | q |
| თ | თან | t | შ | შინ | sh |
| ი | ინ | i | ჩ | ჩინ | ch |
| კ | კან | k | ც | ცან | c |
| ლ | ლას | l | ძ | ძილ | dz |
| მ | მან | m | წ | წილ | ts |
| ნ | ნარ | n | ჭ | ჭარ | tsh |
| ო | ონ | o | ხ | ხან | kh |
| პ | პარ | p | ჯ | ჯან | j |
| ჟ | ჟან | zh | ჰ | ჰაე | h |
| რ | რაე | r | | | |

წინამდებარე სტანდარტი ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობის პირველი ცდაა და ამდენად მას არა აქვს სრულყოფილების პრეტენზია. ავტორთა კოლექტივი სიამოვნებით მიიღებს სასარგებლო რჩევებს ამ სტანდარტის შემდგომი დახვეწისათვის.


მარიკა ოძელი

*ენის პოლიტიკის ეროვნული*

*წარმომადგენელი ევროპის საბჭოში*

# 1 ნაშრომის ზოგადი დახასიათება

## 1.1 კონცეფცია

ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობა შედის თანამედროვე ევროპული ენების ლინგვოდიდაქტიკურ აღწერილობათა სფეროში, რომელიც სრულდება ევროპის საბჭოს ეგიდით უცხოური ენების კომუნიკაციური სწავლების ფარგლებში. კომუნიკაციური მიდგომა მიზნად ისახავს უპირველეს ყოვლისა ევროპის ხალხთა ენობრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, შენახვასა და განვითარებას. ამასთანავე იგი ხელს უწყობს ხალხთა მობილურობის ზრდას, ტექნიკურ-სამეცნიერო ინფორმაციის, იდეების, კულტურული და ეკონომიკური მიღწევების, პროფესიული კადრებისა თუ მომსახურე პერსონალის გაცვლა-გამოცვლას. კომუნიკაციური მიდგომა ძირითადად ორიენტირებულია შემსწავლელებზე ისე, რომ მათ შეძლონ რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებში გარკვევა და ურთიერთობის დამყარება.

ენობრივი განათლების სისტემისათვის სტანდარტების შექმნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან მასში განისაზღვრება სწავლების მიზანი — სწავლების სტრატეგია და ტაქტიკა. ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობა შეიძლება საფუძვლად დაედოს შემსწავლელთა სხვადასხვა ჯგუფისა და სწავლების სხვადასხვა ფორმისათვის შესადგენ პროგრამებს; სახელმძღვანელოებს, სასწავლო ლიტერატურას; კონკრეტულ მიზნობრივ კურსებს; ტესტებს, რომლითაც შესაძლებელი იქნება ქართული ენის ფლობის დონის სერტიფიცირება. ამასთანავე, შემსწავლელებს საშუალებას მისცემს თავად განსაჯონ საკუთარი ენობრივი უნარ-ჩვევები.

ენობრივი სტანდარტები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უნიფიცირებას. იგი ხელს უწყობს მეტყველების პროდუქტიული (ლაპარაკი, წერა) და რეცეპტიული (კითხვა, სმენითი აღქმა) სახის უნარ-ჩვევების განვითარებას ყოველდღიური და საქმიანი ურთიერთობების სფეროში. სამეტყველო აქტივობის მოდელი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

| *აქტივობა* | *ფორმა* | *უნარ-ჩვევები* |
|---|---|---|
| ინტერაქცია | ზეპირი | მოსმენა და ლაპარაკი |
| ინტერაქცია | წერითი | წაკითხვა და წერა |
| რეცეფცია | ზეპირი | მოსმენა |
| რეცეფცია | წერითი | წაკითხვა |
| პროდუცირება | ზეპირი | ლაპარაკი |
| პროდუცირება | წერითი | წერა |
| მეტყველება | ზეპირი | თარჯიმნობა |
| მეტყველება | წერითი | თარგმნა |

ენის კომუნიკაციური სწავლების ძირითადი ლინგვისტური და მეთოდური პრინციპები და ენათა აღწერილობის პარამეტრები ენის სწავლების მიზნების გათვალისწინებით განისაზღვრება. კომუნიკაციური მიდგომისას ყურადღება გადატანილია გაგებაზე, შინაარსის გადმოცემაზე, აზრის გამოხატვაზე. ენის სტრუქტურისა და ლექსიკის შესწავლაც სწორედ ამას ემსახურება. კომუნიკაციური კომპეტენცია არაერთი კომპონენტისგან შედგება. სახელდობრ,

– ლინგვისტური
– სოციოლინგვისტური
– დისკურსული
– სოციოკულტურული
– სოციალური
– სტრატეგიული

**ლინგვისტური კომპეტენცია** კომუნიკაციური უნარ-ჩვევების მთავარი კომპონენტია. სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების გამოუყენებლად ვერბალური კომუნიკაცია ვერ შედგება. ლინგვისტური კომპეტენცია ნიშნავს ლექსიკური ერთეულების მარაგს, სწორი გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური წყობის ცოდნას, რომლის საშუალებითაც ლექსიკური ერთეულები გააზრებულ გამოთქმებად გადაიქცევა და შემსწავლელების მიერ ისეთივე მნიშვნელობით გამოიყენება, როგორითაც ქართული ენის მატარებლების მიერ. ლინგვისტური კომპეტენცია ასევე ითვალისწინებს ქართული ენის ნორმების შესატყვის აგებული კონსტრუქციების გაგებას.

**სოციოლინგვისტური კომპეტენცია** ნიშნავს ენობრივი ფორმების სიტუაციის შესაბამისად გამოყენების უნარს. კონტექსტი (ვინ, ვისთან, სად, რის გამო, რა მიზნით ამყარებს ურთიერთობას) განსაზღვრავს ენობრივი ფორმების შერჩევას.

**დისკურსული კომპეტენცია** ნიშნავს ტექსტის კონსტრუირებისა და ინტერპრეტირებისათვის შემსწავლელის მიერ გარკვეული სტრატეგიის გამოყენების უნარს. კომუნიკაციურ მოდელებში გარკვეული გამოთქმების თანმიმდევრულობის მიღწევასთან ერთად, დისკურსული კომპეტენცია გაგების უნარსაც ითვალისწინებს.

**სოციოკულტურული კომპეტენცია** გულისხმობს ქართული ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის (ტრადიციები, ჩვევები, სოციალური მდგომარეობა, რიტუალები, ქვეყანათმცოდნეობა, ცხოვრების წესი, ნორმები) ცოდნას და ქართული ენის გამოყენებით ქართულ სოციოკულტურულ გარემოში შექმნილ სიტუაციებში ორიენტირების, სირთულეების გადალახვის უნარს.

**სოციალური კომპეტენცია** გამოიხატება სხვებთან ურთიერთობის სურვილსა და შესაძლებლობაში. ხალხთან კომუნიკაციის დამყარებით მოსაუბრემ თავი უნდა გაართვას საზოგადოებაში შექმნილ სხვადასხვა სიტუაციას.

**სტრატეგიული კომპეტენციის** გამოყენება ენის შეზღუდულად ფლობის კომპენსირების საშუალებას აძლევს შემსწავლელს. უცხოენოვან გარემოში ვერბალური და არავერბალური სტრატეგიებით მანიპულირება და სოციალური ურთიერთობის უნარი ავსებს ცოდნის ხარვეზს.

ეს სტანდარტი კომუნიკაციური კომპეტენციის ყველა კომპონენტს ითვალისწინებს. იგი შედგება შესავლის, 7 თავის, 22 ქვეთავისა და რეზიუმისაგან.

*შესავალში* მოცემულია ქართული ენისა და ანბანის, უძველესი წერილობითი ძეგლების ზოგადი აღწერილობა.

პირველ თავში ფორმულირებულია *კონცეფცია*, წარმოდგენილია ნაშრომის სტრუქტურა, განხილულია *ენის ფლობის დონეების ზოგადევროპული სისტემა* და *ენის კომუნიკაციური სწავლების მიზნები.*

მეორე თავი – *კომუნიკაციური კომპეტენციები ზრდასრულთათვის* შედგება ოთხი ქვეთავისაგან: *სამეტყველო ქმედებები, ზოგადი ცნებები, თემატური ლექსიკა, კულტურული ასპექტი.* იგი წარმოადგენს კომუნიკაციური კომპეტენციების დეტალურ აღწერილობას. *სამეტყველო ქმედებები* საკითხების მიხედვით აერთიანებს ენობრივ გამოთქმებს. *ზოგადი ცნებები* კატეგორიების მიხედვითაა აღწერილი, ლექსიკის ცოდნა *თემატურადაა* განლაგებული, ხოლო *კულტურული ასპექტი* ორ ჯგუფად არის გაყოფილი – *სოციოკულტურული ქცევა* და *ძირითადი ქვეყანათმცოდნეობითი ცნებები.* აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიკაციური კომპეტენციები მოცემულია დონეების მიხედვით იმ ვარაუდით, რომ ყოველი მომდევნო დონის შემსწავლელი უნდა ფლობდეს წინა დონეს. მომდევნო დონეზე წინა დონის მასალა ფაქტობრივად აღარ მეორდება და თუ მეორდება, მხოლოდ ვარიანტების სახით, რომელშიც აისახება ამა თუ იმ ფრაზის თანდათან გართულება, ლექსიკის გამდიდრება.

მესამე თავში – *კომუნიკაციური კომპეტენციები მოზარდთათვის* შესულია ქართული ენის ფლობის დონეების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტი არაქართველი მოსწავლეებისათვის.

მეოთხე თავი – *აუდირებისა* და *წაკითხვის* ტექსტების ტიპებსა და ჟანრებს, *წერის* უნარ-ჩვევებს ეხება.

მეხუთე თავში აღწერილია *კომუნიკაციური სტრატეგიები – საკომპენსაციო საშუალებები, სწავლის სწავლება* და *ურთიერთობის ტაქტიკა.*

მეექვსე თავი ეთმობა *ენის ფლობის დონეების ნიმუშს უნარ-ჩვევების მიხედვით.* მასში ნაჩვენებია რა უნდა იცოდეს შემსწავლელმა ენის ფლობის სხვადასხვა დონეზე A1-დან B2-მდე. ამ სტანდარტულ აღწერილობაში შეიძლება თვალი გავადევნოთ საკომუნიკაციო არეალის თანდათანობით გაფართოებას ენობრივი უნარ-ჩვევების ფონზე.

ნაშრომის ბოლო თავში მოცემულია *ქართული ენის მოკლე ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური აღწერილობა.*

## 1.2 ენის ფლობის დონეების ზოგადევროპული სისტემა

ზოგადევროპული ენის პოლიტიკა თანამედროვე ენების შესწავლის, სწავლებისა და შეფასებისათვის ითვალისწინებს ენების ფლობის ექვს დონიან სისტემას, რომელიც იყოფა ჯერ სამ მსხვილ ერთეულად – A, B, C, ხოლო თითოეულ მათგანში ორი ძირითადი დონე გამოიყოფა:




კომუნიკაციურ ამოცანათა შესრულებისათვის საჭირო ენობრივი კატეგორიების, ფუნქციების, გრამატიკისა და ლექსიკის ანალიზის საფუძველზე ენის ფლობის დონეები შემდეგნაირად არის განსაზღვრული:

- **A1** დონე – *ენის გასაღები* ითვლება ენის ფლობის ყველაზე დაბალ დონედ. ეს არის ეტაპი, რომელზეც შემსწავლელს შეუძლია ძალიან მარტივ საუბარში მონაწილეობა; პირადი ხასიათის შეკითხვების დასმა, ან მათზე პასუხის გაცემა. მაგალითად, სად ცხოვრობს, ვინ არის, ახლობელი ადამიანის შესახებ ლაპარაკი; შეუძლია ნაცნობ ან მისთვის საინტერესო თემებზე საუბრის დაწყება და გაგრძელება; ამასთანავე შემსწავლელი არ ეყრდნობა მხოლოდ დაზეპირებულ ფრაზათა შეზღუდულ რეპერტუარს, რომელიც ეხება განსაზღვრულ სიტუაციას.

- **A2** დონე შეესაბამება *საფუძვლის დონის* სპეციფიკაციებს. სწორედ ამ დონეზე წარმოჩნდება იმ დესკრიპტორთა უმეტესობა, რომელიც ენის სოციალურ ფუნქციას ასახავს. მაგალითად, შემსწავლელს შეუძლია ყოველდღიური მარტივი, მისალმებისა და მიმართვის ზრდილობიანი ფორმების გამოყენება; პიროვნებასთან მისალმება, მისი ამბების გამოკითხვა და რეაგირება მიღებულ პასუხზე; საყოფაცხოვრებო ხასიათის მოკლე საუბარში მონაწილეობა; შეკითხვის დასმა ან სხვის შეკითხვაზე პასუხის გაცემა, თუ შეკითხვა ეხება მის სამსახურს ან თავისუფალ დროს; მოწვევის მიღებაზე რეაგირება, ან სხვისი მოწვევა; დროის განაწილება: იმის დაგეგმვა, თუ როგორ მოიქცეს, სად წავიდეს, მოილაპარაკოს შეხვედრის თაობაზე, შესთავაზოს აზრი, ან უპასუხოს რაიმე შემოთავაზებას. გარდა ამისა, ამავე დონეზე ჩნდება დესკრიპტორები, რომლებიც ეხება ყოველდღიურ ყოფით თემებს. მაგალითად, მაღაზიაში, ბანკში, ან ფოსტაში მოქცევა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა: ავტობუსში, მატარებელში, ტაქსში ელემენტარული ინფორმაციის მოთხოვნა; გზის გაკითხვა ან ჩვენება, ბილეთის ყიდვა; ყოველდღიური მოხმარების საგნების ან მომსახურების მოთხოვნა.

- ენობრივ ჩვევათა შემდეგი პლასტი შეესაბამება საფუძვლის გაძლიერებულად ფლობას – **A2+**. ეს დონე გამოირჩევა საუბარში უფრო აქტიური მონაწილეობით, თუმცა შემსწავლელი კვლავ შეზღუდულია გამოხატვის ფორმების ხმარებაში და შეიძლება დასჭირდეს მოსაუბრის დახმარება. ამ დონის დესკრიპტორები შეიძლება ამგვარად დავახასიათოთ: შემსწავლელს შეუძლია საუბრის დაწყება და საუბარში მონაწილეობა; უკვე ესმის იმდენი, რომ ძალდატანების გარეშე წარმართოს ყოფით თემებზე საუბარი; შეძლებს ინფორმაციის გაცვლას, აზრის ნათლად გადმოცემას და გაზიარებას ნაცნობ თემებზე, ყოველდღიურ გათვალისწინებულ სიტუაციებში იმ პირობით, რომ შეფერხებისას მოსაუბრე მას დაეხმარება ფორმულირების ჩამოყალიბებაში; ზოგჯერ იძულებულია უარი თქვას ნაფიქრალის გადმოცემაზე სიტყვიერი მასალის ნაკლებობის გამო. თუ მოსაუბრე მას დაეხმარება, საკმაოდ დაჯერებულად შეუძლია მკაფიო სტრუქტურის მქონე საუბარში მონაწილეობა, ღია განხილვაში კი ეს შესაძლებლობა ეზღუდება. ამავე დროს ეს დონე ითვალისწინებს მონოლოგის ფართო შესაძლებლობას. ასე, მაგალითად, ამ დონეზე მყოფ შემსწავლელს შეუძლია მარტივი სიტყვებით თავისი გრძნობების გადმოცემა, მისი გარემომცველი სამყაროსა და ყოველდღიურობის (ადამიანები, ადგილები, სამსახური, სწავლა) დეტალური აღწერა; წარსულ ცხოვრებაზე, პირად გამოცდილებაზე, ზნე-ჩვეულებებზე საუბარი; გეგმებისა და მოლაპარაკებების შესახებ ამბების მოყოლა; ახსნა იმისა, თუ რა მოსწონს, ან რა არ მოსწონს; საყვარელი ცხოველებისა ან ნივთების შესახებ ლაპარაკი; მოვლენათა მარტივი ენით აღწერა; ენის ელემენტარული აღწერილობითი საშუალებების გამოყენებით მოკლედ საუბარი მისი კუთვნილი საგნების შესახებ, მათი ერთმანეთთან შედარება.

- **B1** დონე შეესაბამება *ზღვრული დონის* იმ სპეციფიკაციებს, რომლებიც უცხო ქვეყანაში მოკლე დროით ჩამსვლელთადმია მიმართული. ეს დონე ორი განსხვავებული ნიშნით ხასიათდება.

პირველი ნიშანია ის, რომ შემსწავლელს, რომელიც ამ დონეს ფლობს, შეუძლია დიალოგის წარმართვა და კომუნიკაციის მიზნის მიღწევა მთელ რიგ განსხვავებულ სიტუაციებში. მაგალითად, ესმის მის გარშემო მიმდინარე ხანგრძლივი მსჯელობის ძირითადი არსი, თუ საუბარი ნელი ტემპით და სალიტერატურო ენით არის წარმართული, შეუძლია საკუთარი აზრის გამოთქმა ან მეგობრულ საუბარში სხვათა აზრის გამოკითხვა, თავისი გამონათქვამის აზრის ნათლად და მკაფიოდ გამოხატვა; მარტივი ენობრივი საშუალებების დიდი ოდენობით და საკმაოდ თავისუფლად გამოყენება თითქმის ყველა ნებისმიერი აზრის გადმოსაცემად; სხვათა საუბარში ან განხილვაში ჩართვა, თუმცა ძნელია მიყვეს მათ აზრებს, როცა ისინი ცდილობენ ზუსტი გამოთქმების შერჩევას; ლაპარაკობს გასაგებად, მაგრამ შესამჩნევი პაუზებით, რაც გრამატიკული კონსტრუქციების მოსაფიქრებლად, ლექსიკურად გასაფორმებლად სჭირდება, განსაკუთრებით მონოლოგური მეტყველების ხანგრძლივ მონაკვეთში.

ამ დონის მეორე მახასიათებელი მდგომარეობს იმაში, რომ შემსწავლელს, რომელიც ამ დონეს ფლობს, შეუძლია დაძლიოს ყოველდღიური ცხოვრებისეული ამოცანები, მაგალითად, შეუძლია თავი გაართვას: საზოგადოებრივ ტრანსპორტში წამოჭრილ ნაკლებად სტანდარტულ სიტუაციებს, სიტუაციათა უმეტესობას,

რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას აგენტის საშუალებით მოგზაურობის დაგეგმვისას, ან უშუალოდ მოგზაურობის დროს, ნაცნობ თემაზე საუბარს წინასწარი მომზადების გარეშე; შეუძლია კონსულტაციის ან ინტერვიუს პროცესში ინიციატივის ხელში აღება, რაიმე საკითხის წამოწევა, მაგრამ ამ დროს ბევრად არის დამოკიდებული მოსაუბრეზე, თუმცა შეუძლია სთხოვოს მოსაუბრეს ნათქვამის განმარტება ან დაზუსტება.

- ენობრივ ჩვევათა შემდეგი წყება შეესაბამება ზღვრულ გაძლიერებულ დონეს **B1+**. ცხადია, ჩამოთვლილი მახასიათებლები ძალაში რჩება, მაგრამ ემატება მთელი რიგი დესკრიპტორები, რომლებიც ეხება სხვადასხვა მოცულობის ინფორმაციის გაცვლის უნარს, მაგალითად, შემსწავლელს შეუძლია წამოჭრილ პრობლემებთან დაკავშირებული შეტყობინება-მოთხოვნის მიღება; იმ ფაქტობრივი ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია ინტერვიუს ან კონსულტაციის პროცესში (მაგალითად, ავადმყოფობის სიმპტომების აღწერა ექიმთან), თუმცა ფორმულირება შეიძლება ყოველთვის ზუსტი არ იყოს; შეუძლია განმარტოს თუ რატომაა ესა თუ ის საკითხი თუ მოვლენა პრობლემური; შეუძლია მოკლე მოთხრობის, სტატიის, საუბრის შინაარსის, მსჯელობის, დოკუმენტური ფილმის განხილვის გადმოცემა, მათზე თავისი დამოკიდებულებების გამოხატვა და პასუხის გაცემა მთელ რიგ დამაზუსტებელ შეკითხვაზე, წინასწარ მომზადებული საუბრის წარმართვა, ინტერვიუს აღება მის ხელთ არსებული ინფორმაციის შემოწმებითა და დაზუსტებით, თუმცა ხშირად სვამს შეკითხვას გადამოწმების მიზნით, როდესაც მოსაუბრე პასუხობს სწრაფად და ვრცლად; შეუძლია ზუსტი მითითებების გამოყენებით მოყვეს როგორ კეთდება ესა თუ ის საქმე; საკმაოდ დაჯერებულად შეუძლია დაგროვილი ფაქტობრივი ინფორმაციის გაცვლა მისი ინტერესების სფეროში არსებულ ყოფით და არა ყოფით საკითხებზე.

- **B2** დონე დგას *ზღვრულ* და *საფუძველ* დონეებზე (B1, A2) მაღლა და ეწოდება *ზღვრული განვითარებული დონე*. ეს იმას ნიშნავს, რომ საშუალო დონის დაუფლებისას შემსწავლელი ხვდება, რომ მიაღწია ხარისხობრივად ახალ წერტილს, საიდანაც ახალი ჰორიზონტები იკვეთება და მას უკვე შეუძლია ახლებურად შეხედოს საგნებსა და მოვლენებს. ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს B2 დონის დესკრიპტორები. ამ დონეზე მყოფ შემსწავლელს შეუძლია საკუთარი თვალსაზრისის დაცვა სათანადო არგუმენტებისა და განმარტებების მოშველიებით, საკუთარი კომენტარების დემონსტრირებით, საკუთარი შეხედულების გამოხატვა აქტუალური საკითხების ირგვლივ დადებით თუ უარყოფით არგუმენტებზე დაყრდნობით, რაიმე დასაბუთების წარმოდგენა, პრობლემის არსის ახსნა და მოლაპარაკების პროცესში დათმობის მოთხოვნა მოწინააღმდეგე მხარისაგან, მსჯელობა მოვლენათა ჰიპოთეტური განვითარების საბაბსა და მიზეზებზე, ნაცნობ თემატიკაზე არაფორმალურ დისკუსიაში აქტიური მონაწილეობის მიღება, ალტერნატიულ წინადადებათა აწონ-დაწონა, ჰიპოთეზის შესახებ აზრის გამოთქმა,საკუთარი ჰიპოთეზის წამოწევა. გარდა ამისა,აღნიშნულ დონეზე ჩნდება დესკრიპტორთა ორი ახალი ჯგუფი.

პირველი ჯგუფი ეხება თავისუფალი ურთიერთობის სფეროს, მაგალითად: ბუნებრივი, ძალდაუტანებელი საუბრის წარმართვა, ყველაფრის დაწვრილებით

გაგება, რასაც სალიტერატურო ენით ეუბნებიან, თუნდაც ხმაური უშლიდეს ხელს; არც თუ ისე დახვეწილი ფორმით, მაგრამ შეუძლია საჭირო მომენტში საუბრის დაწყება, გაგრძელება და დასრულება, საუბრის შემავსებელი სიტყვების გამოყენება (მაგ. ძნელი სათქმელია, ვერ გეტყვი, რამდენად...) დროის მოგებისა და პასუხის ჩამოყალიბების მიზნით; შეუძლია თავისუფლად და მოუმზადებლად საუბარი შესასწავლი ენის მატარებელთან, საუბრის მიმართულების, სტილის, აქცენტის შეცვლასთან შეგუება; ენის მატარებელთან კონტაქტში შესვლა ისე, რომ მოსაუბრეს შეეძლოს მასთან ურთიერთობა არა როგორც ენის შემსწავლელთან, არამედ როგორც უკვე ენის მატარებელთან.

დესკრიპტორთა მეორე ჯგუფი მიეკუთვნება ენის უფრო სრულყოფილად ფლობას. ეს ენის ცოდნის ის პროგრესული საფეხურია, როცა შემსწავლელს შეუძლია გაუგებრობის გამომწვევი შეცდომების გასწორება, თავისი მეტყველების გაკონტროლება და ყურადღების მიქცევა *საყვარელ შეცდომებზე,* რომ აღარ გაიმეოროს; თავისი შეცდომებისა და უზუსტობების შესწორება, თუ ისინი შეამჩნია მოსაუბრემ; მოსაუბრის რეაქციის გათვალისწინებით წინასწარ განსაზღვრა იმისა, თუ რა და როგორ თქვას.

- ენობრივი ჩვევების შემდეგ ფაზას წარმოადგენს *ზღვრული განვითარებული დონის გაძლიერებული საფეხური* **B2+**. ამ დონის ზოგიერთი დესკრიპტორი მიმართულია ენის არსის შეცნობისაკენ, უმეტესობა კვლავინდებურად ურთიერთობისა და არგუმენტირებული დისკუსიის წარმართვას ეხება, თუმცა ამ მიმართულებაში ახალი ასპექტი იჩენს თავს დისკურსული ჩვევების განვითარების სახით. დისკურსული კომპეტენციის სიახლე ვლინდება საუბრის (ურთიერთთანამშრომლობის სტრატეგიის) პროცესში. შემსწავლელს შეუძლია თვალი გაადევნოს მოსაუბრის გამონათქვამებს და მოახდინოს მათზე რეაგირება, რითაც ხელს უწყობს საუბრის/განხილვის წარმართვას. ამ დონის სიახლე ჩანს იმ დესკრიპტორების მაგალითზე, რომლებიც თანმიმდევრულ ტექსტს ეხება: შემსწავლელს შეუძლია მაკავშირებლების შეზღუდულად გამოყენება, მაგრამ ახერხებს გამონათქვამის მკაფიოდ და გაბმულად ჩამოყალიბებას, ნაირგვარი მაკავშირებელი სიტყვების საშუალებით იდეათა შორის კავშირის გამოხატვას; არგუმენტაციის სისტემის შემუშავებას, მტკიცებულების სახით მთავარი პოზიციების მოხერხებულად გამოყოფითა და სხვადასხვა ფაქტების გამოყენებით. სწორედ ამ დონეზეა თავმოყრილი დესკრიპტორთა დიდი ნაწილი, რომელიც ეხება საქმიანი საუბრის წარმართვის ჩვევებს. მაგალითად, შემსწავლელს შეუძლია მოითხოვოს გარკვეული კომპენსაცია დაპირისპირებულ მხარესთან დარწმუნების ენობრივი საშუალებების და არგუმენტაციის გამჭვირვალე სისტემის გამოყენებით; მკაცრად განსაზღვროს დათმობის საზღვრები.

- **C1** დონეს ეწოდება ენის *პროფესიონალური ფლობის დონე.* მას აქვს ერთი ძირითადი მახასიათებელი – მისთვის მისაწვდომია ენობრივ საშუალებათა ფართო სპექტრი. აქედან გამომდინარე, შემსწავლელს შეუძლია სწრაფად და მოუმზადებლად დაამყაროს ურთიერთობები. მაგალითისთვის მოვიყვანთ რამდენიმე დესკრიპტორს. შემსწავლელს შეუძლია საკუთარი აზრების გადმოცემა თავისუფლად და თითქმის წინასწარი მომზადების გარეშე; თავისუფლად ფლობს დიდი რაოდენობის

ლექსიკურ ერთეულებს და სიტუაციიდან გამომდინარე არჩევს საჭირო სიტყვებს. თუ საჭიროება ითხოვს, სიტყვის შერჩევას ან რაიმე სიტყვის/კონსტრუქციის ხმარებას თავს არიდებს. მოცემული დონის შემსწავლელი ამას შეუმჩნევლად ახერხებს. ბუნებრივი და ნათელი მეტყველება გაგების თვალსაზრისით მხოლოდ რთულმა თემამ შეიძლება შეაფერხოს. ურთიერთობის ჩვევები იგივე რჩება, რაც **B2+** დონეზე. ამასთანავე ყურადღება გადატანილია თავისუფალ, შეუფერხებელ მეტყველებაზე. მაგალითად, შემსწავლელს შეუძლია დიდი ენობრივი მარაგიდან ამოარჩიოს საჭირო,შესაფერისი ფრაზა,რათა მიიპყროს ყურადღება,ჩაერთოს საუბარში ან მოიგოს მოსაფიქრებელი დრო; ჩამოაყალიბოს მკაფიო, ნათელი გაბმული ზეპირი გამოსვლა ზუსტად გამოთქმული ინსტრუქციით, რომელშიც შეიმჩნევა კომპოზიციური მოდელების, მაკავშირებელი სიტყვებისა და ხერხების გააზრებული ხმარება, რაც ტექსტის კოჰერენტობას განაპირობებს.

- **C2** დონეს მართალია *ენის ფლობის სრულყოფილი დონე* ეწოდება, მაინც არ ითვალისწინებს შემსწავლელის ენობრივ კომპეტენციას ენის მატარებლის დონეზე. იგი წარმოაჩენს სიზუსტესა და ენობრივ საშუალებათა დაუბრკოლებლად გამოყენების იმ ხარისხს, რომელსაც ყველაზე წარმატებული შემსწავლელი ფლობს. ამ დონის დესკრიპტორებში ვლინდება, რომ შემსწავლელს შეუძლია მნიშვნელობის ნებისმიერი ნიუანსის მაღალი ხარისხის სიზუსტით გამოხატვა, სხვადასხვა ხერხის მეშვეობით იყენებს მრავალ იდიომატურ და ზეპირმეტყველებაში ხმარებულ გამოთქმას, ერკვევა მათ კონოტაციებში, ხოლო თუ რაღაცამ შეაფერხა ენობრივ საშუალებათა გამოყენებისას, სწრაფად და ირგვლივმყოფთათვის შეუმჩნევლად შეუძლია თავისი გამონათქვამის პერიფრაზირება.

ამგვარად გამოიყურება ენის ფლობის დონეთა სისტემური თანმიმდევრული პროგრესული აღწერილობა ელემენტარულიდან სრულყოფილამდე.

წინამდებარე ნაშრომი ითვალისწინებს ქართული ენის ფლობის დონეთა აღწერილობას ელემენტარულიდან ზღვრულ განვითარებულ დონემდე – **A1**; **A2**; **B1**; **B2**.

## 1.3 ენის კომუნიკაციური სწავლების მიზნები

წინამდებარე მეთოდურ დოკუმენტში სწავლების მიზნები ფორმულირებულია კომუნიკაციური მინიმუმის ამოცანების სახით იმ სიტუაციათა კატალოგში, რომელიც ფარავს ყოველდღიური და პროფესიული ურთიერთობის სფეროს – ტურისტულს, კულტურულს, ყოფითს, საქმიანს.

შემსწავლელს შეუძლია თვითონვე განსაზღვროს თუ რამდენად ძალუძს კომუნიკაციური ამოცანების დაძლევა სიტუაციათა კატალოგში წარმოდგენილი ქართული ენის სამეტყველო ექსპონატების საშუალებით.

კომუნიკაციური კომპეტენციის ზღვრულ განვითარებულ დონეზე ფლობის მიღწევა ქართულ ენაში, არაქართველ მოსახლეობას თუ საქართველოში ჩამოსულ უცხოელებს მათი ცხოვრებისეული მოთხოვნების, მიზნებისა და ამოცანების, ინტერესების, უმაღლესი განათლების მიღებისა და საქმიანი ურთიერთობების (ეკონომიკა, ბიზნესი, ვაჭრობა) მოთხოვნების შესაბამისად ენის გამოყენების საშუალებას მისცემს. ქართული ენის ზემოხსენებული ოთხი დონისათვის შევარჩიეთ ტიპური სტანდარტული სიტუაციები და სავარაუდო პრობლემები, რომლებსაც შეიძლება შეხვდნენ შემსწავლელები ქართულ ენობრივ გარემოში ყოფნისას. მათ დასაძლევად კი საჭიროა ქართული ენის როგორც პასიური, ასევე აქტიური ცოდნა. ამ ენობრივი სტანდარტის სწავლების მიზნები მოიცავს ყოველდღიური და საქმიანი ურთიერთობის სფეროს (საყოფაცხოვრებო, კულტურული, ტურისტული, ეკონომიკური, სავაჭრო, ბიზნესის). ეს კი ნიშნავს, რომ შემსწავლელები, რომლებსაც ქართული ენის საშუალებით შეუძლიათ ნაშრომში აღწერილი კომუნიკაციური ამოცანების მაქსიმალურად გადაჭრა, პრაქტიკულად ფლობენ ქართულ ენას ზღვრულ განვითარებულ დონეზე. ამასთანავე, ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული დამახინჯებულ მეტყველებასა და ფონეტიკური, ლექსიკური თუ გრამატიკული შეცდომების დასაშვებ ხარისხზე. შესაძლოა, რომ შემსწავლელი, რომელიც ფლობს ენის რომელიმე დონეს, საკმაოდ წარმატებით ურთიერთობდეს ამ დონეზე გარკვეულ სიტუაციებში, მაგრამ არა ყოველთვის. კეთილგანწყობილ, ხელსაყრელ გარემოში შემსწავლელმა საუბარი შეიძლება სავსებით დამაკმაყოფილებლად წარმართოს, თუნდაც მის მეტყველებას მნიშვნელოვანი ლექსიკურ-გრამატიკული თუ ფონეტიკური ხარვეზები ახლდეს. ასეთ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს შემსწავლელის პარტნიორს. თუ ის არის ენის მატარებელი, კარგი კომუნიკაციური უნარით დაჯილდოებული და ამასთანავე ტოლერანტული პიროვნება, მაშინ ის თავისი დამოკიდებულებით ხელს შეუწყობს შემსწავლელს აზრის გამართულად ჩამოყალიბებაში. თუ პარტნიორი უარყოფითად, უხალისოდ უსმენს შემსწავლელს, ვერ ახერხებს კონტექსტიდან სათანადო დასკვნების გამოტანას, ასეთ დროს შესაძლოა შემსწავლელის მეტყველებაც სერიოზული ხარვეზებით, ენობრივი სისუფთავის დაუცველად წარიმართოს ენის ფლობის მის მიერ მიღწეულ დონეზეც კი. კომუნიკაციური აქტის დროს ძალიან მნიშვნელოვანია შემსწავლელის მიმართ ტოლერანტობის გამოჩენა, კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნა და საუბრისას ხელშეწყობა. თუმცა შემსწავლელმა უნდა იცოდეს და ყოველთვის გაითვალისწინოს ისიც, რომ ენის მატარებელი ჩვეულებრივ უფრო მარტივად ეგუება მოსაუბრის გრამატიკულ შეცდომებს, ლექსიკის სიმწირეს, გაუმართავ ფრაზებს, ვიდრე კულტურული კონტექსტის – მის ქვეყანაში მიღებული ქცევის ნორმების, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების არცოდნას ან უგულვებელყოფას.

# 2 კომუნიკაციური კომპეტენციები

წინამდებარე სტანდარტი ითვალისწინებს შემსწავლელის კომუნიკაციური კომპეტენციის ყველა კომპონენტს – ლინგვისტურს, სოციოლინგვისტურს, დისკურსულს, სოციოკულტურულს, სოციალურს, სტრატეგიულს. ისინი ოთხ ბლოკშია განთავსებული:

– სამეტყველო ქმედებები
– ზოგადი ცნებები
– თემატური ლექსიკა
– კულტურული ასპექტი

თითოეულ ბლოკში წარმოდგენილი ენობრივი ექსპონატები ქმნიან იმ სავარაუდო სიტუაციათა კატალოგს, რომელშიც შეიძლება აღმოჩნდეს შემსწავლელი ენის ფლობის სხვადასხვა დონეზე.

## 2.1 სამეტყველო ქმედებები

სამეტყველო პროცესის ელემენტარულ ერთეულს წარმოადგენს სამეტყველო ქმედება – უმცირესი მნიშვნელობის მქონე ფონეტიკურად და გრამატიკულად სათანადოდ გაფორმებული მონაკვეთი. ჩვეულებრივ, სამეტყველო ქმედება მოიცავს მოსაუბრის კომუნიკაციურ მიზანს – რა მიზნით არის წამოჭრილი ესა თუ ის საკითხი და რა თემაზე მიდის საუბარი.

საუბარში სამეტყველო ქმედებას ხშირად ახლავს არავერბალური ელემენტი. მაგალითად, როდესაც სტუმარს ვეგებებით, ასე მივმართავთ: მობრძანდით, გეთაყვა და ჟესტით მივანიშნებთ იმ ოთახისაკენ, სადაც გვინდა რომ შევიყვანოთ სტუმარი. ოთახში შესვლის შემდეგ ჟესტით ვთავაზობთ სკამს და ვეუბნებით – დაბრძანდით, რასაც მოსდევს სტუმრის ვერბალური რეაქცია – გმადლობთ და შემდეგ სრულდება არასამეტყველო ქმედება – სტუმარი ჯდება ჟესტით მითითებულ ადგილას.

საყოფაცხოვრებო და სოციალურ სფეროში ურთიერთობისას შეიძლება ისეთი სამეტყველო აქტების გამოყოფა, სადაც სამეტყველო და არასამეტყველო ქცევა შერწყმულია ერთიან სამეტყველო საქციელში. მაგალითად, დაბადების დღის ვერბალურ მილოცვას – გილოცავ დაბადების დღეს, მოსდევს არავერბალური ქმედება – საჩუქრის გადაცემა, რაზეც ადრესატი პასუხობს ვერბალური ფორმით – დიდი მადლობა და ასრულებს არასამეტყველო ქმედებას – ხსნის საჩუქარს. საჩუქრის ნახვას შესაძლოა კიდევ მოყვეს სამეტყველო ქმედება აღფრთოვანების

გამომხატველი ფრაზებით – რა ლამაზია, რა მშვენიერია, ძალიან დიდი მადლობა ასეთი შესანიშნავი საჩუქრისათვის.

შეიძლება ასეთი მაგალითის მოყვანაც: დედა ასრულებს ვერბალურ ქმედებას – ჰპირდება ბავშვს, რომ ცირკში წაიყვანს ხვალ 12 საათიან წარმოდგენაზე. ეს ნიშნავს, რომ მან უკვე შეიძინა ან დაჯავშნა ბილეთები აღნიშნული წარმოდგენისთვის, ე.ი. შეასრულა არავერბალური ქმედება და ასეთ ქმედებას ის მეორე დღესაც შეასრულებს – წაიყვანს ბავშვს ცირკში.

ქვემოთ მოცემულია სამეტყველო ქმედებათა რეპერტუარი, რომელიც შედგება შემდეგი ნაკვეთებისგან:

– საგნობრივი და ფაქტობრივი ინფორმაცია
– ინტელექტუალური ურთიერთობა
– ემოციური ურთიერთობა
– სამეტყველო ეტიკეტი
– ზემოქმედება, დარწმუნება, ურთიერთგაგების მიღწევა
– მეტყველების სტრუქტურირება
– გაშუალებული ურთიერთობა
– კომუნიკაციის აღდგენა

სავარაუდოდ, შემსწავლელი, რომელმაც უკვე დაძლია ზღვრული განვითარებული დონე, თავისუფლად უნდა საუბრობდეს ქართულ ენაზე. ამიტომ *სამეტყველო ქმედებებში* ენობრივი გამოთქმის რამდენიმე ვარიანტია წარმოდგენილი.

# სამეტყველო ქმედებათა კატალოგი

## A1 – ენის გასაღები

**საგნობრივი და ფაქტობრივი ინფორმაცია**

**იდენტიფიკაცია** (ახლავს სათანადო ჟესტიკულაცია)

| | |
|---|---|
| ეს, ის, აი | ეს სასტუმროა.<br>ეს ძვირი/იაფი სასტუმროა.<br>ეს კომერციული ფირმაა.<br>ეს მე ვარ.<br>ის ახალგაზრდა კაცი ჩვენი მენეჯერია.<br>ის სახელმწიფო მოხელეა.<br>აი ჩემი პასპორტი. |
| **შეტყობინება** (აღწერა, თხრობა) | |
| დადასტურებითი შეტყობინება | თქვენი SMS მიღებულია. |
| თხრობითი წინადადება | პრეზიდენტის ვიზიტი შედგა.<br>მე ვფიქრობ, რომ ეს სადღეღამისო აფთიაქია. |
| შეტყობინება რაიმეს ქონა/ყოლის შესახებ | ბანკში არის კარგი მომსახურება. |
| პოზიტიური შეტყობინება | მას აქვს მანქანის მართვის მოწმობა. |
| უარყოფითი შეტყობინება | ეს ჩემი წიგნი არ არის. |
| **ინფორმაციის დაზუსტება/ გარკვევა** | |
| ყოფნასთან, არსებობასთან დაკავშირებული შეკითხვა | ამ სართულზე არის სააქტო დარბაზი?<br>როგორ მოახერხეთ ფეხბურთზე მოხვედრა? |
| ქონა/ყოლასთან დაკავშირებული შეკითხვა | |
| თქვენ გაქვთ | თქვენ გაქვთ თხილამურები? |
| ვის აქვს | ვის აქვს სახელმძღვანელო? |
| ვის არა აქვს/ჰყავს | ვის არა ჰყავს ძმა? |
| **კითხვითი წინადადების სახეები** | |
| ზოგადი შეკითხვა დადებითი პასუხის მოლოდინით | თქვენ დადიხართ ცურვაზე?<br>თქვენ მას შეხვდით, არა?<br>თქვენ ხომ შეხვდით მას?<br>მთაწმინდაზე ასასვლელ გზას ხომ არ/ ვერ მიმასწავლით? |

| | |
|---|---|
| სპეციალური შეკითხვა | |
| (დრო) როდის? | როდის მიდიხარ ლონდონში? |
| (ადგილი) სად? | სად შეიძლება შევიძინო წიგნები? |
| (მიმართულება) საით? საიდან? | ნეტავ საიდან მოდის ან საით მიდის ეს კაცი? |
| (მიზეზი) რატომ? | რატომ გამირბიხარ? |
| (მიზანი) რისთვის? | რისთვის გჭირდება ამდენი ფქვილი? |
| (პირობა) რა პირობით? | რა პირობით მიგიღეს ამ სადაზღვევო კომპანიაში? |
| საიდენტიფიკაციო შეკითხვა | |
| (პიროვნება) ვინ? | ვინაა ეს კაცი?<br>ვინ ხელმძღვანელობს ამ ფირმას? |
| (საგანი, პიროვნება) რა? ვინ? | |
| რა ჰქვია? | რა არის?, ეს რა არის?, ეს რა კაცია?, ამას რა ჰქვია? |
| (კუთვნილება) ვისია? | ვისია, ვისია, ქალი ლამაზი? |
| (ნიშანი/სახელწოდება) როგორი? | |
| რანაირი? | რა სახის/რანაირი საბუთი გჭირდებათ?<br>რა/რომელ გაზეთებს კითხულობთ? |
| ალტერნატიული შეკითხვა | |
| (არჩევანი) თუ ნაწილაკით | ჩაი მოგართვათ თუ ყავა?<br>თუთის არაყი უფრო მოგწონთ, თუ (თაფლის) სანთლის? |
| კითხვებზე პასუხი | |
| ზოგადი დასტური | დიახ, ეს არ არის/არაა მწიფე ყურძენი.<br>არა, ეს არ არის კარგი საქციელი. |
| პასუხი სპეციალურ შეკითხვებზე | |
| დრო | როდის მოვა გაზაფხული?<br>მალე, ერთ თვეში. |
| ადგილი | რომელი ქვეყნიდან ხართ?<br>ბელგიიდან.<br>სად შეიძლება შევიძინო წიგნები?<br>რუსთაველზე, იქ კარგი წიგნის მაღაზიაა. |
| მიმართულება | დასასვენებლად სად მიდიხართ?<br>ჩვენ მთაში გვინდა ასვლა.<br>მაინც სად?<br>სვანეთში ვაპირებთ გამგზავრებას.<br>მე ეს-ეს არის დავბრუნდი საფრანგეთიდან. მივლინებაში ვიყავი სტრასბურგში. |

| | |
|---|---|
| მიზეზი | ასე რატომ დაგაგვიანდა ჩამოსვლა? დიდთოვლობა იყო ბაკურიანში და მანქანა ძალიან ნელა მოძრაობდა. |
| მიზანი | საქართველოში რა მიზნით ჩამოხვედით?<br>მინდა ვისწავლო ქართული, ძალიან მომწონს თქვენი სიმღერები. |
| პირობა | როდის/რა პირობებში/რა შემთხვევაში ირღვევა ხელშეკრულება?<br>თუ დროზე არ/ვერ გადაიხდით ფულს.<br>რამდენი უნდა გადავიხადო თვეში?<br>ასი ლარი. |
| ხერხი, საშუალება | როგორ მოვხვდე მარჯანიშვილის ქუჩაზე?<br>ჩადით ვერის დაღმართზე და გადაიარეთ ხიდი მტკვარზე.<br>მარჯანიშვილის თეატრს ვერ მიმასწავლით?<br>ხიდს რომ გადახვალთ, პირდაპირ იარეთ.<br>თეატრი ხუთი წუთის სავალზეა ქუჩის მარცხენა მხარეს. |
| ზომა | რა მანძილია აქედან აეროპორტამდე?<br>იქნება ოციოდე კილომეტრი.<br>ტაქსით რომ წავიდე, რა ეღირება?<br>ოცი ლარი. |

## ინტელექტუალური ურთიერთობები

**თანხმობა**

| | |
|---|---|
| მოსაუბრის აზრთან დათანხმება | თქვენ სწორს ბრძანებთ/თქვენ სავსებით მართალი ბრძანდებით.<br>მე ვეთანხმები ბატონი ნიკოს აზრს. |
| თანხმობა რაიმეს გაკეთებაზე | სიამოვნებით.<br>მე თანახმა ვარ. |
| თანხმობა პოზიტიურ მტკიცებულებაზე | დიახ, რა თქმა უნდა.<br>დიახ, ჩვენ ხომ შევთანხმდით.<br>კი, ბატონო.<br>რასაკვირველია. |
| თანხმობა უარყოფით მტკიცებულებაზე | რა თქმა უნდა, არა.<br>ცხადია, ასე უნდა მოიქცე. |

| | |
|---|---|
| უარი | უარი შემოთავაზებული აზრის გაზიარებაზე, შეთავაზებაზე<br>არა, მე თქვენ არ გეთანხმებით. |
| არა + შეტყობინება | არა, ეს საკმაოდ ძვირია. |
| არა + უარყოფითი მტკიცებულება | არა, ეს ასე არაა.<br>არა, საქმე სულ სხვაგვარადაა. |

## მეტყველების სტრუქტურირება

| | |
|---|---|
| **საუბრის დაწყება** | |
| სიტყვის ძიება (პაუზა, ჰეზიტაცია) | ჰო...<br>კარგი...<br>აბა რა გითხრა?..<br>როგორ გითხრა?..<br>იცი?..<br>რა ჰქვია...<br>როგორ ითქმის ეს ქართულად? |
| **თვითკორექცია** | არა...<br>მაპატიეთ/ბოდიში/უკაცრავად მე მინდოდა მეთქვა, რომ... |
| **თემის შემოტანა** | |
| მე მინდა გითხრათ, რომ... | მე მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა. |
| შექმნილ ვითარებაზე/შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს... | |
| მე მინდა გესაუბროთ... | მე მინდა გესაუბროთ გიორგი ლეონიძის პოეზიაზე. |

## გაშუალებული ურთიერთობა

| | |
|---|---|
| **წერილის ფორმულა** | |
| მეგობრული წერილის დასაწყისი | |
| ძვირფასო | ძვირფასო გიორგი, |
| ჩემო | ჩემო საყვარელო მაკო, |
| გამარჯობა | გამარჯობა, ჩემო კარგო ნიკო,<br>სალამი, ჩემო ძვირფასებო, |
| წერილის დასასრული | |
| (პირადი, მეგობრული) | სიყვარულით, შენი თამრიკო. |
| გკოცნი | გკოცნით, თქვენი გვრიტუკა. |
| მოკითხვა | მოკითხვა ჩვენს მეგობრებს.<br>მოიკითხე შენი მშობლები. |
| შეხვედრის იმედი | ვიმედოვნებ, რომ მალე შევხვდებით.<br>მომავალ შეხვედრამდე.<br>მომენატრეთ ყველა.<br>ძალიან მინდა თქვენი ნახვა. |

## შეწყვეტილი კომუნიკაციის აღდგენა

| | |
|---|---|
| გაუგებრობის სიგნალი | ბოდიში, არ მესმის.<br>მაპატიეთ, ვერ გავიგე, მე ქართველი არ/არა ვარ.<br>უკაცრავად, არ ვიცი. |
| ნათქვამის გამეორების თხოვნა | ბოდიში, თუ შეიძლება გაიმეორეთ.<br>რა/როგორ ბრძანეთ? |
| ნელ ტემპში საუბრის თხოვნა | თუ შეიძლება ნელა ისაუბრეთ/ილაპარაკეთ.<br>თუ შეიძლება ცოტა ნელა მითხარით. |

## სამეტყველო ეტიკეტი (სოციალიზაცია)

| | |
|---|---|
| მისალმება | გამარჯობა(თ).<br>სალამი.<br>დილა მშვიდობისა/საღამო მშვიდობისა. |
| დამშვიდობება | ნახვამდის.<br>კარგად ბრძანდებოდეთ/იყავი(თ).<br>ღამე მშვიდობისა. |
| მობოდიშება | უკაცრავად... |
| ბოდიშის მოხდა | ეკამ ბოდიში მოიხადა დაგვიანებისათვის.<br>ბოდიშს გიხდით, მაგრამ ხვალ ვერ მოვალ კრებაზე. |
| მადლიერება | გმადლობთ/დიდი მადლობა. |
| მადლობის გადახდა | მერიმ მადლობა გადაგვიხადა კეთილი რჩევისათვის.<br>მადლობას გიხდით დახმარებისათვის. |
| მილოცვა | გილოცავ(თ).<br>ქეთი, გილოცავ დაბადების დღეს.<br>გილოცავთ ახალ წელს.<br>გილოცავთ ახალმოსახლეობას. |
| პასუხი მილოცვაზე | გმადლობთ მილოცვისთვის.<br>თქვენც ასევე, გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. |

# A2 – enis safuZveli

## საგნობრივი და ფაქტობრივი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| **შეტყობინება** | |
| უარყოფითი შეტყობინება | |
| სიტყვათა რიგის შეცვლა | |
| რომელიმე სიტყვაზე ყურადღების | |
| გამახვილების მიზნით | |
| (ინტონაციური კონსტრუქცია) | ეს ჩემი ჩანთა არ არის.<br>ეს ჩანთა ჩემი არ არის.<br>ეს არ არის ჩემი ჩანთა. |
| **კორექცია/დაზუსტება** | |
| დადებითი შეტყობინების | |
| დადასტურება სიტყვათა | |
| რიგის საშუალებით | მუზეუმი დღეს ღიაა. მუზეუმი დღესაა ღია.<br>ბავშვს მაღალი სიცხე აქვს.<br>სიცხე აქვს ბავშვს მაღალი. |
| ზოგადი უარყოფა: არა... არ... | არა, ფოსტა დღეს არ მუშაობს. |
| კერძო უარყოფა: არა... არ... | არა, ჩვენ თეატრში არ წამოვალთ. |
| დიახ, + დადებითი წინადადება | დიახ, ჩვენ ცირკში წავალთ (და არა კინოში). |
| **ზოგადი შეკითხვა** | |
| ზოგადი შეკითხვა მახვილის | |
| გადანაცვლებით, გაფორმებული | |
| ინტონაციური კონსტრუქციით | **თქვენ** ის ნახეთ?<br>თქვენ ის **ნახეთ?**<br>თქვენ **ის** ნახეთ?<br>თქვენ ნახეთ **ის?**<br>**ის** თქვენ ნახეთ? |
| **სპეციალური შეკითხვა** | |
| **ურთიერთგაპირობებულობა** | რაზეა დამოკიდებული ჩვენი ექსკურსიაზე წასვლა? |
| (ხერხი) რანაირად? როგორ? | როგორ ჩავრთო მაგნიტოფონი?<br>როგორ მივიდე სადგურამდე? |
| (ზომა, ოდენობა) რამდენად? | |
| როგორ? რამხელა? | ამ გზით რამდენად ახლოა კაფემდე, არა?<br>რამ სიშორეზეა ბაზარი?<br>რამხელა მანძილია აქედან იქამდე? რა დროა?<br>რამდენი ხანია, რაც აქ მუშაობ?<br>რა ღირს კარგი წითელი ღვინო? |
| საიდენტიფიკაციო შეკითხვა | |
| (ობიექტი) ვინ? რა? | ვინ დაპატიჟეთ სტუმრად?<br>რა ამოირჩიეთ საჩუქრად? |

| | |
|---|---|
| (ადრესატი) ვის? ვისთვის? | ვის უნდა ჩაუტანო ეს წერილი?<br>ვისთვის არის ეს განკუთვნილი? |

## ინტელექტუალური ურთიერთობები

| | |
|---|---|
| უარის თქმა დაძალებაზე, თავს აზრის მოხვევაზე | ვშიშობ, რომ ვერ შევძლებ.<br>- ხვალ არ ვხვდებით?<br>- არა, არ ვხვდებით.<br>არა, მე არ მგონია, რომ ისინი პარიზში შეხვდებიან. |
| თანხმობის/უარის გარკვევა | თქვენ (არ) ეთანხმებით ამას?<br>შევთანხმდით?<br>თქვენ (არ) გაწყობთ ეს დრო? |
| **გარკვეულობა** | |
| მე (არ) ვიც(ოდ)ი | მე არ ვიცოდი, რომ ისინი წავიდნენ. |
| მე (არ) ვიცი | მე (არ) ვიცი როდის წავიდნენ ისინი. |
| **შეტყობინება** | |
| მე (არ) ვიცნობ | მე არ ვიცნობ ამ მასწავლებელს. |
| ცნობილია, რომ + მტკიცებულება | ცნობილია, რომ ეკვატორზე მუდამ ზაფხულია. |
| **მეხსიერება, გახსენება** | |
| მე (არ) მახსოვს | მე (არ) მახსოვს მისი მისამართი.<br>მე (არ) მახსოვს, რა მიპასუხა მან.<br>მე არ მახსოვს რას შევპირდი (მას) გუშინ. |
| მე არ დამვიწყებია/დამავიწყდა | მე არ დამვიწყებია/დამავიწყდა ჩვენი შეთანხმება.<br>(მე) დამავიწყდა დარეკვა. |
| **იმის გარკვევა, თუ რა ახსოვს მოსაუბრეს** | |
| (არ) გახსოვთ | (არ) გახსოვთ, თქვენი ქართულის მასწავლებელი? |
| (ხომ არ) დაგავიწყდა | (ხომ არ) დაგავიწყდა, რომ დღეს მისი დაბადების დღეა? |
| (ხომ არ) გახსოვს | ხომ არ გახსოვს, ვის უნდა დავურეკო?/ვისთვის უნდა დამერეკა. |
| (არ) გახსოვს | (არ) გახსოვს სად აპირებდი წასვლას? |
| გახსოვს + თუ არა | გაგონდება თუ არა კარალეთის დღეები? |
| **სურვილი** | |
| მე მინდა/ვისურვებდი | მე მინდა ერთი ნაყინი. |

| | |
|---|---|
| მე ვინატრებდი | მე ვინატრებდი რამდენიმე მილიონ ევროს. |
| უნდათ | ბავშვებს უნდათ გასეირნება. |
| მე მინდა, რომ | მე მინდა, რომ დედამიწაზე იყოს მშვიდობა. |
| **სურვილის, მოთხოვნილების გარკვევა** | მე უნდა გავფრინდე/წავიდე რომში.<br>მე მჭირდება მანქანა.<br>ყავას ინებებთ?<br>ცხელ შოკოლადს ხომ არ მიირთმევთ?<br>ლუდს (ხომ) არ დალევ?<br>ბულაჩაურში ხომ არ წავსულიყავით საქეიფოდ?<br>თვითმფრინავის ბილეთის შეკვეთა ხომ არ გნებავთ?<br>თქვენ გჭირდებათ ამის შეხსენება?<br>თქვენ გჭირდებათ ჩემი დიპლომი? |
| **უპირატესობის გარკვევა** | |
| რა უფრო მოგწონს? | |
| რა უფრო გიყვარს? | რა მოგართვათ ღვინო თუ ლუდი?<br>ვიცეკვოთ თუ გავისეირნოთ?<br>ყავა შავი თუ რძიანი? |

## ემოციური ურთიერთობები

| | |
|---|---|
| **სიხარული, კმაყოფილება** | |
| (მე) მოხარული ვარ, რომ + შეტყობინება | (მე) მოხარული ვარ, რომ ასეთი კარგი ამბავი მომიტანეთ/მესტუმრეთ. |
| (ჩემთვის) ძალიან სასიამოვნოა... | (ჩემთვის) ძალიან სასიამოვნოა თქვენი ნახვა. |
| მე (ერთობ) კმაყოფილი ვარ | მე (ერთობ) კმაყოფილი ვარ ჩემი შვილის ასეთი დიდი წარმატებით. |
| (ეს ხომ) მშვენიერია/ბრწყინვალეა/ ძალიან კარგია/შესანიშნავია | (ეს ხომ) ბრწყინვალე ნახატია, მართლაც შესანიშნავია. |
| რა სასიხარულოა | რა სასიხარულოა, რომ ჩვენმა თანამემამულემ ნობელის პრემია მიიღო. |
| **მწუხარება, უკმაყოფილება** | |
| არმოწონება, საშინელება | ასეთი წიგნები მე (სულ) არ მომწონს.<br>რა საშინელებაა ასეთი ძლიერი ქარიშხალი. |
| წუხილი | ცუდი ამბავი მოხდა, რა სამწუხაროა, ნამდვილად ძალიან ვწუხვარ. |

| | |
|---|---|
| **ემოციის გარკვევა** | |
| (თქვენ) მოხარული ბრძანდებით? | გახარებული ხარ?/გაგეხარდა? |
| (თქვენ) კმაყოფილი/უკმაყოფილო ბრძანდებით?/ხართ? | კმაყოფილი ხარ შედეგით? |
| (როგორ) მოგეწონათ? | (როგორ) მოგეწონათ (ეს) გამოფენა? |
| **დადებითი განწყობილება** | |
| მოწონება | მე მომწონს (ეს) მსახიობი.<br>მე (ძალიან) მომწონს/მიყვარს პარკში სეირნობა. |
| სიყვარული | მე მიყვარს ცხენები.<br>მე მიყვარს საჩუქრების კეთება/მიღება. |
| **უარყოფითი განწყობილება** | |
| მე ეს არ მომწონს | |
| მე არ მომწონს/მიყვარს | მე არ მიყვარს ტკბილი ჩაი. |
| მე არ მსიამოვნებს | მე არ მსიამოვნებს ხმაური. |
| მე ვერ ვიტან | მე ვერ ვიტან ჭურჭლის რეცხვას. |
| მე მეჯავრება | მე მეჯავრება სიგარეტის სუნი. |
| ეს ცუდია/საშინელებაა | ცუდია/საშინელებაა ასეთი ხშირი მიწისძვრები. |
| **დადებითი/უარყოფითი განწყობილების გარკვევა** | |
| | თქვენ მოგწონთ ეს სახლი?<br>თქვენ რომელი ნახატი მოგეწონათ?<br>თქვენ რა მოგწონთ - მინერალური წყალი თუ კოკა-კოლა? |

## მეტყველების სტრუქტურირება

| | |
|---|---|
| **თანმიმდევრობა** | |
| ჯერ... მერე... | ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო. |
| ჯერ ერთი... მეორეც... | ჯერ ერთი, მე არ ვყოფილვარ, მეორეც – ნიკო საერთოდ არ მინახავს. |
| **დამატება** | |
| სხვათა შორის.../ამას გარდა... | სხვათა შორის, ნინიკოს უფროსი და-ძმა ჰყავს. გარდა ამისა, 9 წლის დისშვილი (დისწული) და ერთი წლის ძმისშვილი (ძმისწული). |
| და კიდევ.../კიდევ იცით რა...<br>ამასთანავე | |
| **მაგალითის მოყვანა** | |
| მაგალითად, | მოგიყვანთ მაგალითს.<br>მაგალითისთვის ავიღოთ... |
| **გამოყოფა, ხაზგასმა** | |
| ჩართული სიტყვები, შესიტყვებები | |
| მთავარი/ძირითადად | |

საქმე ისაა, რომ...

საქმე ისაა, რომ უკვე გვიანია: ჩვენი გიორგი ცოლ-შვილიანია!

ერთი მხრივ... (მაგრამ) მეორე მხრივ...

ერთი მხრივ – ყველაფერი ნათელია, მაგრამ, მეორე მხრივ – ზოგი რამ ბუნდოვანია.

ზეპირ მეტყველებაში: ინტონაციური კონსტრუქციის ცენტრის გადანაცვლება, სიტყვათა რიგის შეცვლა ნაბეჭდ ტექსტში:

შრიფტით გამოყოფა — ყოველწლიური კონკურსი – **საბა.**

დაყოფით გამოყოფა — ღვინო ქ ი ნ ძ მ ა რ ა უ ლ ი.

ხელნაწერ ტექსტში: ხაზგასმა — მე ძალიან მიჭირს ამაზე საუბარი.

**განზოგადება, დასკვნები**

მაშ ასე...

მაშასადამე...

## გაშუალებული ურთიერთობა

**ტელეფონით საუბარი**

პასუხი კერძო პირის ტელეფონის ზარზე

ალო/დიახ/გისმენთ ბატონო.

ტელეფონთან მოხმობა და პასუხი თუ შეიძლება...

უკაცრავად, მაპატიეთ, რომ გაწუხებთ,

ბოდიში თუ შეიძლება მანანას სთხოვეთ.

პასუხი

კი ბატონო, ახლავე/მანანა არ გახლავთ სახლში/შინ.

მანანა ჯერ არ დაბრუნებულა.

## შეწყვეტილი კომუნიკაციის აღდგენა

**გაუგებრობის სიგნალი და ნათქვამის გამეორების თხოვნა**

ბოდიშს გიხდით, ვერ გავიგე თქვენი ნათქვამი, თუ შეიძლება/თუ არ შეწუხდებით, ნელა გამიმეორეთ.

**სიტყვის, ფრაზის ან გამოთქმის დაზუსტების თხოვნა**

მაპატიეთ, რომელი ავტობუსი მიდის საბურთალოზე?

უკაცრავად, ამ გაჩერებას რა ჰქვია?

ბოდიშს გიხდით, თუ შეიძლება მითხრათ, როგორ ვთქვა ქართულად.../
ეს ქართულად როგორ იქნება?
ეს ხინკალია?
იქნებ ეს ნიშნავს *so-so*-ს.

ნელ ტემპში საუბრის თხოვნა

თუ შეიძლება, ასე ჩქარა ნუ ლაპარაკობთ, ცოტა ნელ ტემპში/
ნელა მითხარით, რის თქმა გსურთ.

## სამეტყველო ეტიკეტი (სოციალიზაცია)

მობოდიშება, პატიება

მაპატიეთ, არ მინდოდა, შემთხვევით მომივიდა.

პასუხი მობოდიშებაზე

არაფრის/არაუშავს.
გპატიობთ, ამჯერად გაპატიებთ.
(მობოდიშების მიღება).

მადლიერება

მადლობას გიხდით ყველაფრისთვის, რაც ჩემთვის გაგიკეთებიათ.

პასუხი მადლიერებაზე

რას ბრძანებთ.
არაფრის.
არ ღირს მადლობის გადახდად.

მილოცვა და პასუხი მილოცვაზე

გილოცავთ შობას.
გმადლობთ, მეც გილოცავთ, დაესწარით მრავალ შობა-ახალ წელს;
დაესწარით მრავალს.
გმადლობთ, თქვენც ასევე.

## B1 –ზღვრული დონე

**ᲡᲐᲒᲜᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ**
**ინფორმაციის დაზუსტება/გარკვევა**

| | |
|---|---|
| **სიტუაციასთან დაკავშირებული შეკითხვა (ინტონაციური კონსტრუქცია)** | |
| | ნინოს რა დაემართა?<br>უნივერსიტეტში რა მოხდა?<br>ტელეფონს რაღაც მოუვიდა? |
| **ყოფნასთან, არსებობასთან დაკავშირებული შეკითხვა** | |
| | სად შეიძლება ვნახო პროფესორი ჩოლოყაშვილი?/სად შეიძლება პროფესორი ჩოლოყაშვილის ნახვა?<br>(თქვენ) ხომ არ იცნობთ ბატონ ნიკო ავალიშვილს?<br>(თუ) გაქვთ ახალი ჟურნალები? |

**ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ**

| | |
|---|---|
| **გაცნობიერებულობის გარკვევა** | |
| თქვენ (არ) იცით რომ... | თქვენ იცით, რომ დღეს ურზა ბაირამია მუსულმანებში?<br>თქვენ (არ) იცით როგორ მოვხვდე ბიბლიოთეკაში? |
| თქვენ იცნობთ... | თქვენ იცნობთ ჩვენს რექტორს? |
| თქვენ იცოდით... | თქვენ იცოდით, რომ მან ცოლი ითხოვა? |
| **ალბათობა** | |
| ალბათ | ისინი, ალბათ, ზღვაზე წავიდნენ. |
| შესაძლოა | დავითს შეიძლება/შესაძლოა შეაგვიანდეს. |
| ალბათობის ხარისხის გარკვევა | |
| შეიძლება (იქნება) + შეტყობინება | შეიძლება ხვალ გაავდრდეს.<br>იქნებ ხვალ მზე გამოვიდეს. |
| შესაძლოა + შეტყობინება | შესაძლოა კახა ხვალვე დაბრუნდეს. |
| **გაურკვევლობა** | |
| ალბათ + შეტყობინება | ალბათ შაბათს მუზეუმი ღიაა. |
| მე არ ვიცი, + შეტყობინება | მე არ ვიცი, იქნებიან კი ისინი თანახმა? |
| მგონი, + შეტყობინება | მგონი ჩვენ ერთმანეთს (ვერ) გავუგეთ. |

| | |
|---|---|
| **ეჭვი** | |
| მგონი + შეტყობინება | მგონი იღრუბლება. |
| იქნებ, + შეტყობინება | იქნებ ხვალამდე დაბრუნდეს თამრიკო. |
| ეგებ + შეტყობინება | ეგებ გაგვიმართლოს. |
| ძნელი სათქმელია/ დასაჯერებელია | ძნელი სათქმელია მართალია ეგ ამბავი თუ არა/ძნელი დასაჯერებელია ეგ ვერსია. |
| (მე) არა ვარ დარწმუნებული... | მე არა ვარ დარწმუნებული შენს გულწრფელობაში. |
| (მე) ვეჭვობ | (მე) ვეჭვობ, რომ შენ მართალს (არ) მეუბნები. |
| **ვალდებულება** | |
| | ჩვენ უნდა გავუძლოთ ქარტეხილებს. |
| ვალდებულების გარკვევა | |
| კითხვითი სიტყვა... | როდის უნდა დაბრუნდეს ჭაბუკი მივლინებიდან? |
| | ვინ უნდა გასცეს განკარგულება? |
| | რომელი ფორმულარი უნდა შეივსოს? |
| **აუცილებლობა/საჭიროება** | |
| | თქვენ უნდა დარეკოთ პოლიციაში. |
| მას სჭირდება დახმარება. | |
| | თქვენ მოგიწევთ მოცდა/ლოდინი. |
| **აუცილებლობის/საჭიროების უარყოფა** | |
| არ მჭირდება | მე არ მჭირდება მისი ბოდიში. |
| **აუცილებლობის/საჭიროების გარკვევა** | |
| გაფორმებული კითხვითი წინადადების ინტონაციით | მე არ მეკუთვნის ამ თანხის გადახდა? |
| | გჭირდებათ ეს ძველმანები? |
| | თუ აღარ გჭირდებათ ეს წიგნი, ეგებ მათხოვოთ? |
| **ნებართვა/შეთავაზება** | |
| იმპერტივი + გეთაყვა | მიირთვით, გეთაყვა. |
| თქვენ შეგიძლიათ... | თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ ამით. |
| მხოლოდ... | მხოლოდ თანამშრომლებისთვის. |
| | მხოლოდ ბავშვებისა და მოხუცებისათვის. |
| **ნებართვის გარკვევა** | |
| შეიძლება | შეიძლება შემოვიდე? |
| | შეიძლება უბილეთოდ შესვლა სტადიონზე? |
| | შეიძლება აქ მოვწიო (სიგარეტი)? |
| თუ შეიძლება | თუ შეიძლება, გამატარეთ. |

| | |
|---|---|
| **ნების დართვა** | |
| დიახ, რა თქმა უნდა | – შეიძლება წავიდე?<br>– რა თქმა უნდა. |
| კი ბატონო/რა თქმა უნდა | – შეიძლება დავრეკო?<br>– კი ბატონო/დიახ, რა თქმა უნდა. |
| **უარი ნებართვაზე/თხოვნაზე** | |
| არა/არ შეიძლება | შეიძლება სახლში ვითამაშო ფეხბურთი?<br>არა არ/არა, არ შეიძლება. |
| სამწუხაროდ, არა/არ შეიძლება | შეიძლება მათხოვოთ თქვენი ფოტო აპარატი?<br>სამწუხაროდ არა, ორი დღის წინ დათოს ვათხოვე.<br>შეიძლება ავიღო ნამცხვარი?<br>არა, არ შეიძლება შენთვის ამდენი ტკბილეული. |
| ბოდიში/მაპატიეთ, მაგრამ ეს აკრძალულია/არ შეიძლება/ შეუძლებელია/დაუშვებელია | შეიძლება აქ მოვწიო?<br>ბოდიში, მაგრამ დაწესებულებაში სიგარეტის მოწევა აკრძალულია.<br>თქვენ გადააჭარბეთ სიჩქარეს. ასე სწრაფად სიარული დაუშვებელია. |
| **აკრძალვა** | ხმაური აკრძალულია.<br>აქ მანქანის გაჩერება აკრძალულია. |
| ნუ + იმპერატივი | ნუ მიეყრდნობით (მეტროში).<br>ნუ შეეხებით (მაღალი ძაბვის ხაზს). |
| **რაიმეს გაკეთების უნარიანობა/ უუნარობა** | |
| მას არ შეუძლია | მას არ შეუძლია ხინკლის მოხვევა. |
| მან (არ) იცის | მან იცის თავის საქმე. |
| უნარიანობა/უნარობის გარკვევა | |
| შეძლება | შენ შეგიძლია ხაჭაპურის გამოცხობა? |
| **საკუთარი აზრი** | |
| მე ვფიქრობ, რომ + შეტყობინება | მე ვფიქრობ, რომ გიამ შესანიშნავი წიგნი დაწერა. |
| მე მგონია, რომ + შეტყობინება | მე მგონია, რომ დღეს ჩვენი რეგბისტები მოიგებენ. |
| ჩემი აზრით, რომ + შეტყობინება | ჩემი აზრით, ეს გადაცემა მოსაწყენია. |
| მე მიმაჩნია, რომ + შეტყობინება | (მე) მიმაჩნია, რომ შალვა ნამდვილად ნიჭიერი კაცია. |
| **შეკითხვა სხვის აზრზე** | |
| თქვენ როგორ ფიქრობთ/თვლით? | |
| თქვენი აზრით? | |
| თქვენი აზრით + კითხვითი სიტყვა + შეტყობინება | თქვენი აზრით, სად ჯობს დასვენება? |

**განზრახვა**

| | |
|---|---|
| გადაწყვეტა | მე გადავწყვიტე წერილზე პასუხის გაცემა. |
| სურვილი | მე მინდა ქობულეთში დასვენება. |
| | მე მინდა, რომ ჩემმა შვილმა იაროს ცეკვაზე. |
| დაპირება | მე ვაპირებ სტრასბურგში წასვლას. |

## ემოციური ურთიერთობები

**ინტერესი**

| | |
|---|---|
| (ეს) საინტერესოა | |
| რა საინტერესოა | (იცი) რა საინტერესო ფილმი ვნახე გუშინ. |
| მე ეს (ძალიან) მაინტერესებს | |
| მე მაინტერესებს | მე მაინტერესებს ეს წიგნი. |
| საინტერესოა | საინტერესოა, ეს რა ადგილია. |

**ინტერესის უქონლობა, გულგრილობა**

| | |
|---|---|
| არ არის საინტერესო | ეს არ არის საინტერესო. |
| უინტერესო | ეს უინტერესო თამაშია. |
| ჩემთვის სულ ერთია | მე სრულიად გულგრილი ვარ ამ საკითხის მიმართ/მე გულგრილად ვუყურებ ამ საკითხს/მე ეს არ მაღელვებს. |
| (არ) მიტაცებს | მე არ მიტაცებს ეკონომიკა. |

**ინტერესის გარკვევა – დაინტერესება/დაუინტერესებლობა**

| | |
|---|---|
| (თქვენ) ეს (არ) გაინტერესებთ? | |
| (თქვენ) რა გაინტერესებთ? | თქვენ რა გაინტერესებთ, ქართული ცეკვები თუ ქართული სიმღერები? |
| (თქვენ არ) გაინტერესებთ | (თქვენ არ) გაინტერესებთ ლარის კურსი? |
| (თქვენ) გაინტერესებთ | თქვენ გაინტერესებთ არქიტექტურა? |

**გაკვირვება**

| | |
|---|---|
| (ეს) საოცარია | |
| მე მაკვირვებს | მე მაკვირვებს შენი სიჯიუტე. |
| ნუთუ + შეტყობინება | ნუთუ არ იცოდი ეს ამბავი? |
| ღმერთო (მაღალო//დიდებულო!) | ო, ღმერთო ჩემო. |

**გაკვირვების დაფარვა, არგამოხატვა**

| | |
|---|---|
| არაფერია გასაკვირი! | |
| გასაკვირი არაფერია! | ამაში გასაოცარს ვერაფერს ვხედავ. |

| | |
|---|---|
| (მე) ეს (სულაც) არ მაკვირვებს! | (მე) არ მიკვირს, რომ ვაჟა დღეს არ მოვიდა. |
| მერე რა? | მერე რა, რომ ცივა, მალე გაზაფხული მოვა. |
| **გაკვირვებასთან დაკავშირებული შეკითხვა** | |
| (თქვენ) ეს გაკვირვებთ? | |
| (თქვენ) ამან გაგაკვირვათ? | თქვენ მაინც რა გიკვირთ/არ უნდა გაგიკვირდეთ, ხომ იცოდით, რომ ყველაფერი ასე იქნებოდა. |
| (თქვენ) გაკვირვებთ | თქვენ გაკვირვებთ ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი? |
| **იმედი** | |
| [(მე) ამის] იმედი მაქვს | |
| (მე) იმედი მაქვს + შეტყობინება | იმედი მაქვს, რომ ისინი არ დააგვიანებენ. |
| **წუხილი, მწუხარება** | |
| სამწუხაროა, სამწუხაროა! | |
| დასანანია! | რა ცუდია, რომ ვერ მივუსწარით ავტობუსს, ახლა დაცდა მოგვიწევს. |
| **შეტყობინება** | ძალიან სამწუხაროა, რომ (თქვენ) არ იქნებით ბანკეტზე. |
| **დაბნეულობა** | |
| (ეხლა) რა[და] ვქნა(თ)? | |
| როგორ მოვიქცეთ? | არ ვიცი, რა ვქნა. |
| **შეშფოთება, შიში** | |
| (მე) მეშინია | (მე) მეშინია ჭექა-ქუხილის.<br>(მე) მეშინია მანქანის ტარება.<br>მე ბავშვების გამო ვარ შეშფოთებული.<br>(მე) ვწუხვარ, რომ მან დააგვიანა, ვინ იცის, რაიმე უჭირს. |
| **დამშვიდება** | |
| ნუ ღელავთ/ნუ წუხართ/ნუ გეშინიათ | |
| ყველაფერი რიგზეა/წესრიგშია | ყველაფერი კარგად იქნება. არაუშავს, ეს არაფერია. |
| **შიშთან, წუხილთან დაკავშირებული შეკითხვა** | |
| (თქვენ) რაიმე გაწუხებთ? | |
| ვისი/რისი გეშინიათ? | თქვენ ქარიშხლის გეშინიათ? თქვენ გეშინიათ, რომ მეწყერი არ ჩამოწვეს/ ჩამოწვება? |
| **მოწონება, შექება** | |
| (ძალიან) კარგია | რა კარგია, რომ ნინა თვითონ იბანს პირს. ყოჩაღ ნინკა, შენ უკვე დიდი გოგონა ხარ. |

| | |
|---|---|
| [(ეს) რა] მშვენიერია | რა მშვენივრად თამაშობს დაჩი ფეხბურთს. სწორედ მაგის თქმა მინდოდა, რა სწორად ურტყამს ბურთს. |
| ბრწყინვალე (კარგი) აზრია | |
| კარგი იდეაა | რა კარგი აზრია ბოტანიკურ ბაღში გასეირნება. |

**უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვა**

| | |
|---|---|
| [(მე) ეს] არ მომწონს | |
| ეს ცუდია | |
| ამას (ასეთ რამეს) არ ველოდი | |
| იცი რა...? | შენ იცი, შენი ნებაა, როგორც გინდა ისე მოიქეცი. |

**დანაშაული, სინანული**

| | |
|---|---|
| (მე) დამნაშავე ვარ | |
| ჩემი ბრალია | მე ვაღიარებ, რომ სწორად არ მოვიქეცი. |
| უხერხულად ვგრძნობ თავს | |
| არ მეგონა, თუ ასე გამოვიდოდა/ მოხდებოდა | |

**დადებითი/უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვასთან დაკავშირებული შეკითხვა**

| | |
|---|---|
| [(თქვენ) ეს] მოგწონთ? | როგორ მოგწონს ახალი სპექტაკლი? |
| ამას როგორ უყურებთ/აფასებთ? | |

## ზემოქმედება, დარწმუნება, ურთიერთგაგების მიღწევა

**ერთობლივად მოქმედების შეთავაზება**

| | |
|---|---|
| მოდი(თ) | მოდით, შევისვენოთ. |
| ერთად | ერთად წავიდეთ კონცერტზე? (ჩვენ) შეგვიძლია ცოტა დავისვენოთ. |
| იქნებ | იქნებ ნაყინი ვიყიდოთ?/ნაყინი ხომ არ გვეყიდა? |

**რაიმეს გაკეთების თხოვნა**

| | |
|---|---|
| თუ შეიძლება | თუ შეიძლება აქ მოაწერეთ ხელი. |
| ხომ არ შეგიძლიათ | ხომ არ შეგიძლიათ მომცეთ აპლიკაცია? |
| თუ შეიძლება | თუ შეიძლება დამეხმარეთ ჩამოსვლაში. |
| ვერ შემავსებინებთ | ვერ შემავსებინებთ/ხომ ვერ შემავსებინებთ ანკეტას? |

**თანხმობა შემოთავაზებაზე**

კაი, ბატონო. კი, ბატონო! კარგი!
- (თქვენ) დამირეკავთ (მე) დღეს?
- კი, დიახ/რა თქმა უნდა.
- ლუდი დავლიოთ?
- აბა, რა/სიამოვნებით.
- სამსახურის მერე შევხვდეთ?
- კი ბატონო!
- ვინ არის (არ არის) თანახმა?
- მე ვარ.
- მოდით, დღეს ადრე დავასრულოთ მუშაობა.
- (მე) არა ვარ წინააღმდეგი.

**კონკრეტული რამის თხოვნა**

| | |
|---|---|
| მომაწოდეთ | მომაწოდეთ, გეთაყვა სიგარეტი. |
| გეთაყვა | ორი ნაყინი, გეთაყვა. |
| შეიძლება | შეიძლება გაზეთი? |
| მე მჭირდება | მე მჭირდება წიგნი. |

**შეკითხვა შეთავაზებაზე თანხმობის ან უარის მისაღებად**

(თქვენ) თანახმა ხართ/ბრძანდებით?

რა გადაწყვიტეთ, როდის მიდიხართ დასასვენებლად?

შეთანხმება — როგორ შეთანხმდით, სად უნდა შეხვდეთ ერთმანეთს?

## მეტყველების სტრუქტურირება

**განზოგადება, დასკვნები**

ამგვარად,/ამრიგად,...

და ბოლოს,... — და ბოლოს, ყოველივე ზემოთქმული შეიძლება შემდეგნაირად განვაზოგადოთ...

დასკვნის სახით დავძენთ, რომ...

**მსმენლის (პოტენციური მოსაუბრის) ჩართვა საუბარში**

(თქვენ) რაღაცის თქმა გინდ(ოდ)ათ?
(მე თქვენ) გისმენთ/ყურადღებით გისმენთ.
(თქვენ) რა გაინტერესებთ?

**მოსაუბრისადმი ყურადღების გამოჩენის მაჩვენებლები**

კი/დიახ, რა თქმა უნდა.
გასაგებია/ყველაფერი. ცხადია/ყველაფერი ნათელია.
მე მესმის თქვენი.
ნამდვილად (ასეა)/კი ბატონო.
იმან, რაო, რა თქვა/რა ქნა?
რას ბრძანებთ/მართლა ასეა/მე არ ვიცოდი.

**მოსაუბრის საუბრის შეწყვეტა**

მაპატიეთ, მაგრამ...
მაპატიეთ, მაგრამ ტელეფონს უნდა ვუპასუხო.

შეიძლება შეგაწყვეტინოთ
ერთი წუთით შეგაწყვეტინებ, მაგასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ სრულიად სხვაგვარად არის საქმე.

შეიძლება (მეც) ჩავერთო საუბარში?

**საუბრის დასრულება**

ესე იგი (მაშასადამე) შევთანხმდით!
კარგი/ძალიან კარგი, რომ ამაზე ვისაუბრეთ/რომ ამ საკითხზე შევთანხმდით.
აი, ამის თქმა მინდოდა.
სულ ეს არის, რისი თქმაც მინდოდა.
კიდევ ერთხელ მინდა გადაგიხადოთ მადლობა.

## გაშუალებული ურთიერთობა

**ტელეფონით საუბარი, პასუხი დაწესებულებაში ტელეფონის ზარზე**

მდივანი ასახელებს თავის თანამდებობას + გისმენთ
პრეზიდენტის მდივანი გისმენთ!

დაწესებულების, ფირმის დასახელება + გისმენთ
საქართველოს საელჩო გისმენთ!
ავერსი (აფთიაქების ქსელი), გისმენთ.

პიროვნება ასახელებს თავის ვინაობას + გისმენთ
გივი გაგოშიძე გისმენთ!

ტელეფონთან მოხმობის თხოვნა: იდენტიფიკაციის საკითხი

ბატონი პეტრე ბრძანდებით?
ჯიბუტი ბრძანდებით?

სახელი, გვარი + თუ შეიძლება
სახელი, გვარი + სთხოვეთ თუ შეიძლება

ნატა გელოვანი, თუ შეიძლება?
გულიკო მეტრეველს სთხოვეთ, თუ შეიძლება?

თუ შეიძლება + მოიხმეთ ტელეფონთან + (თანამდებობა) + სახელი, გვარი

თუ შეიძლება, მოიხმეთ ტელეფონთან ექიმი ნანა დავითიშვილი.

თუ შეიძლება + თანამდებობა + დამაკავშირეთ

თუ შეიძლება, სასტუმროს მენეჯერთან დამაკავშირეთ.

**დალოდების თხოვნა**

მოითმინეთ (გეთაყვა), ერთი წუთით დაელოდეთ, გიპასუხებთ.

**სმენადობის გარკვევა**

გესმით ჩემი (ხმა).
როგორ გესმით (ჩემი ხმა).

**კარგი სმენადობის შეტყობინება**

მე კარგად მესმის შენი/თქვენი ხმა.

**რეაქცია ცუდ სმენადობაზე**

არ მესმის (თქვენი ხმა).
არაფერი მესმის, დარეკეთ ხელახლა, თუ შეიძლება.

**პასუხი შეცდომით დარეკვაზე**

თქვენ სხვაგან მოხვდით.
თქვენ შეგეშალათ ნომერი.
ეს ბინაა/ეს დაწესებულებაა.
თქვენ არასწორად აკრიფეთ ნომერი (ავტომატი).

**რეაქცია პიროვნების მოხმობაზე**
მიმართვა + თქვენ გთხოვენ ტელეფონთან

ქალბატონო რუსუდან, თქვენ გთხოვენ ტელეფონთან.
ამჟამად ადგილზე არ გახლავთ, გასულია, თუ შეიძლება დარეკეთ ერთ საათში.

**წერილის ფორმულები**
ოფიციალური წერილის დასაწყისი
პატივცემულო ბატონო/ქალბატონო + თანამდებობა

ბატონო რედაქტორო,

პატივცემულო ბატონო + სახელი

ქალბატონო თამარ,

ღრმად პატივცემულო ბატონო/ქალბატონო + სახელი

ღრმად პატივცემულო ქალბატონო.

ელენე/ბატონო ზურაბ,

**ოფიციალური წერილის დასასრული**

(უღრმესი) პატივისცემით, +
სახელი, გვარი

პატივისცემით, გოგი ხატიაშვილი.

წინასწარ გიხდით მადლობას,
+ პატივისცემით + (წოდება)
სახელი, გვარი

მიიღეთ ჩემი გულწრფელი მადლობა,
პატივისცემით, პროფესორი ნოდარ
გომელაური.

## ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ

**დამადასტურებელი, დამაზუსტებელი კითხვა**

თქვენ ბრძანეთ + ფრაზის ნაწილი
ესე იგი/ეს ნიშნავს + ნათქვამის
პერეფრაზირება

თქვენ ბრძანეთ *დასვენების დღეო*?,

ესე იგი, *შაბათსა და კვირას*
გულისხმობთ.

თქვენ გინდათ თქვათ, რომ +
დადასტურებითი წინადადება

თქვენ გინდათ თქვათ, რომ ის
ლონდონში წავიდა?

მაპატიეთ, კარგად ვერ გავიგე +
ნათქვამის გახმოვანება

მაპატიეთ, კარგად ვერ გავიგე, 7
ლარი ღირს?

**შეკითხვა ნათქვამის დაზუსტების,
ან სწორად გაგების მიზნით**

მაპატიეთ, რა ბრძანეთ/თქვით?
რას მეკითხებით?/რა გნებავთ?

**რაიმეს განმარტების თხოვნა**

რაიმეს მნიშვნელობის ახსნის თხოვნა
მაპატიეთ, ეს რას ნიშნავს?
მაპატიეთ, რას ნიშნავს სიტყვა...

მაპატიეთ, რას ნიშნავს სიტყვა *ურემი*?
სხვანაირად როგორ იქნება?
გაიმეორეთ ეს სიტყვა ასო-ასო, რას
ნიშნავს *შპს*?

**თხოვნა სიტყვის, ციფრების და
ა.შ. დაწერის შესახებ**

დამიწერეთ, თუ შეიძლება ეს
დამიწერეთ, გეთაყვა + კითხვითი
წინადადება

დამიწერეთ, გეთაყვა, რა ღირს
ბილეთი?

| | |
|---|---|
| **სიტყვის გაშიფრვის თხოვნა** | |
| სიტყვის კარნახი ანბანის მიხედვით | პეტრე – პარ-ენ-ტარ-რაე-ენ. |
| სიტყვის კარნახი საკუთარი სახელების პირველი ასოს მიხედვით | თბილისი – თამარ-ბესო-ილია-ლევანი-ივანე-სოსო-ირაკლი. |
| **სხვა სიტყვებით ახსნა** | ეს არის სპორტის სახეობა.<br>ეს ჰგავს ვაშლსაც და ატამსაც.<br>ეს ვარდის ასეთი ნაირსახეობაა.<br>ეს ნამცხვარი თაფლისგან კეთდება. |
| **იმის გარკვევა, გაიგო, თუ არა მოსაუბრემ ნათქვამი** | |
| გასაგებია? ყველაფერი გაიგეთ/ გა(მ)იგეთ, თუ არა?<br>ყველაფერი გაიგეთ რაც გითხარით (რაცა ვთქვი)? | ყველაფერი გესმით? თუ რამეს ვერ გაიგებთ, მითხარით და გაგიმეორებთ. |
| გასაგებად ვლაპარაკობ (ვამბობ)? | გასაგებად ვლაპარაკობ, თუ უფრო ნელა ვილაპარაკო? |
| **შეტყობინება სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობის არცოდნის შესახებ** | |
| მე არ ვიცი ქართულად როგორ ვთქვა ეს. | მე არ ვიცი ეს რას ნიშნავს.<br>მე არ მესმის, რაშია საქმე.<br>მე თარჯიმანი მჭირდება. |
| **დახმარების თხოვნა საუბრისას** | |
| როგორა ვთქვა ქართულად + ფრაზა მშობლიურ ენაზე | როგორ ვთქვა ქართულად სიტყვა *სალამ ალეიქუმ* ?<br>ასეთ შემთხვევაში თქვენ როგორ (რას) ამბობთ? |

## ᲡᲐᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝ ᲔᲢᲘᲙᲔᲢᲘ (ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ)

**პასუხი მობოდიშებაზე**
არაფრის/არაუშავს/გაპატიეთ/
(მობოდიშების მიღება) ეს არაფერია/ნუ
სწუხართ, ეს გამოსწორდება/აქ
არაფერია საბოდიშო/ეს უპატიებელია
(მობოდიშების უარყოფა)

არა, ამჯერად უკვე ვეღარ გაპატიებთ,
ეს უპატიებელი საქციელია. რატომ
მიხდით ბოდიშს, ამაში არაფერია
საბოდიშო.
მერე რა, რომ ასე მოხდა, ეს
გამოსწორდება, ნუ სწუხართ.

**მადლიერება**
მადლობას მოგახსენებთ
(ოფიციალური ფორმა)

მადლობას მოგახსენებთ ამ
შესანიშნავი საღამოს მოწყობისათვის.

**პასუხი მადლიერებაზე**
საპასუხო რეპლიკა საჩუქარზე
მადლობისათვის
ტანსაცმლის/ფეხსაცმლის
ჩუქებაზე მადლობისათვის

ჯანმრთელობაში/ღმერთმა
ჯანმრთელობაში/სიხარულში
მოგახმაროს/მზით გაცვითე.

**გაცნობა**
ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ/
გაგეცნოთ...

ჟურნალისტი: - ნება მიბოძეთ
წარმოგიდგინოთ ბატონი თამაზი.
ბატონო თამაზ, გთხოვთ გაეცანით
მაყურებელს. – მე გახლავართ
თამაზ დევდარიანი, ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

B2 –ზღვრული განვითარებული დონე

## ინტელექტუალური ურთიერთობები

**ალბათობა, შესაძლებლობა, გარკვეულობა-გაურკვევლობა**

| | |
|---|---|
| ალბათ | |
| შეიძლება/შესაძლოა | |
| სავარაუდოა | |
| საეჭვოა | |
| ეგებ | |
| არ ვიცი, ან... ან | არ ვიცი, მაია ან მოვა, ან არ მოვა. |
| იმედს ვიტოვებ, რომ... | ვიმედოვნებ, რომ თამრიკო და ნიკო წამოვლენ, კახა წამოვა თუ არა, არ ვიცი. არა ვარ დარწმუნებული, რომ ნინო იქ არის, შალვა რომ იქ დაგხვდება, ეს უდავოა. ვეჭვობ, რომ ყველაფერი ისე კარგად იყოს, როგორც დათოს ჰგონია. |

**გარკვეულობა-გაურკვევლობის ხარისხის დადგენა**

| | |
|---|---|
| თქვენ ღრმად ხართ დარწმუნებული, რომ + შეტყობინება | თქვენ ღრმად ხართ დარწმუნებული გიოს სიმართლეში? |
| თქვენ კარგად იცით + შეტყობინება | თქვენ კარგად იცით ეს გზა? |
| თქვენ ნამდვილად ფიქრობთ, რომ + შეტყობინება | თქვენ ნამდვილად ფიქრობთ, რომ ამის თქმა საჭიროა? |
| თქვენ მიგაჩნიათ, რომ + შეტყობინება | თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჩვენი სპორტსმენები ოქროს თუ არა ვერცხლის მედლებს ნამდვილად მიიღებენ? |
| თქვენ გჯერათ + შეტყობინება | თქვენ გჯერათ მისი წარმატების? |
| როგორ ფიქრობთ + შეტყობინება | ათი საათია. როგორ ფიქრობთ, სტუმრად მისვლა უკვე გვიანაა, თუ ჯერ კიდევ შეიძლება? |
| როგორ გგონიათ, + შეტყობინება | როგორ გგონიათ, შალვა ამ საქციელს გვაპატიებს? |

**ნების დართვა**

| | |
|---|---|
| რა თქმა უნდა/რასაკვირელია | - შეიძლება წავიდე?<br>- დიახ, რა თქმა უნდა. |
| კი ბატონო/დიახ/ცხადია | - შეიძლება დავრეკო?/შეიძლება ვისარგებლო თქვენი ტელეფონით?<br>- დიახ, რასაკვირველია/ცხადია, შეიძლება. |

**უარი თხოვნაზე**

| | |
|---|---|
| არა/არ შეიძლება | - შეიძლება ავიღო ეს წიგნი? |
| სამწუხაროდ არა | - არა, სამწუხაროდ ვერ გაგატანთ, ჩემი არ არის. |
| ვერა, ვერ შევძლებ | - შეძლებთ ხვალ ჩემთან მოსვლას? |
| | - ვერ შევძლებ, ხვალ მთელი დღე დაკავებული ვარ. |

**განზრახვის გარკვევა**

| | |
|---|---|
| რას იზამთ? რას აპირებთ? | |
| ხომ არ ისურვებდით | ხომ არ ისურვებდით ცივი ლუდის დალევას? ხომ არ ივახშმებდით? |

**უპირატესობის მინიჭება**

| | |
|---|---|
| | მე რუსული არაყი უფრო მომწონს. |
| | ჯობს ნარდი ვითამაშოთ. |

## ზემოქმედება, დარწმუნება, ურთიერთგაგების მიღწევა

**რჩევა, დარიგება**

| | |
|---|---|
| მე გირჩევთ | მე გირჩევთ იყიდოთ ეს წიგნი. |
| დაანებე თავი | დაანებე თავი სიგარეტის მოწევას! |
| თქვენ (არ) გინდათ | თქვენ (არ) გინდათ იქირაოთ მანქანა? |
| თქვენ უნდა | თქვენ უნდა ნახოთ დირექტორი. |
| ჯობს... | ჯობს მიმართოთ ვექილს. |

**გაფრთხილება**

| | |
|---|---|
| ფრთხილად | |
| ფრთხილად იყავით! | |
| არ/ნუ + იმპერატივი | არ დაჯდეთ! ნუ მიეყუდებით! |
| | აქ დაჯდომა აკრძალულია. |

**მოწოდება, თხოვნა მოქმედების დაწყებისაკენ**

| | |
|---|---|
| მოდით, მოდით! | |
| მოდი! | მოდი, ვცადოთ კუნძის აწევა. |
| თხოვნა, ხვეწნა, მუდარა | გთხოვთ/გეხვეწებით/გემუდარებით, დაიწყეთ მუშაობა! |

**მითითება, ინსტრუქცია**

| | |
|---|---|
| | მიმართეთ აირზენას სალაროს. ბარგი შეგიძლიათ აეროპორტში დატოვოთ და ისე გაისეირნოთ ქალაქის ცენტრში. |
| უნდა + ინფორმაცია | ეს ჩემოდანი უნდა ჩააბაროთ, ხელჩანთა შეგიძლიათ შეიტანოთ სალონში. |

ყურადღებით წაიკითხეთ ინსტრუქცია

პაკეტი ჩაუშვით მდუღარე წყალში და 10 წუთი ადუღეთ/ გაციებისას მიიღეთ თითო აბი დღეში 3 ჯერ.

**პრეტენზია**

ამ ნივთს დეფექტი აქვს

ამ ფანჯარას დეფექტი აქვს, გამომიცვალეთ, თუ შეიძლება.

ჩემი შეკვეთა უხარისხოდაა შესრულებული

ფეხსაცმელი ცუდადაა შეკეთებული, გთხოვთ, კარგად შეაკეთოთ.
ვინაიდან ჩემი შეკვეთა დროულად ვერ შეასრულეთ, გთხოვთ დამიბრუნოთ გადახდილი თანხა.

**პასუხი პრეტენზიაზე**

მე არ ვეთანხმები თქვენს პრეტენზიას

რატომ გამითიშეთ ტელეფონი, მე ხომ დროულად გადავიხადე ფული!

**მოთხოვნა**

ბილეთის მოთხოვნა

თქვენი ბილეთი, გეთაყვა!

საბუთების მოთხოვნა

წარმოადგინეთ თქვენი საბუთები, თუ შეიძლება.

**მოთხოვნის პასუხი**

(აი) ინებეთ
უკაცრავად, რაშია საქმე?
ჩემი საბუთები წესრიგშია.

მე ყველა საბუთი წესრიგში მაქვს.

ეს კანონსაწინააღმდეგოა

თქვენი მოთხოვნა უკანონოა/არ არის კანონიერი.

მე კანონი/წესრიგი არ დამირღვევია

მე მოვითხოვ, რომ თქვენ დაუკავშირდეთ/დამაკავშიროთ საელჩოსთან/საკონსულოსთან

მე მოვითხოვ საელჩოს წარმომადგენლის გამოძახებას.

**კმაყოფილების გამოხატვა**

კარგია, ძალიან კარგია, ყველაფერი წესრიგშია

ყველაფერი წესრიგშია/რიგზეა/ კარგადაა. ეს ისაა, რაც მჭირდებოდა.
ჩვენ ძალიან გაგვიმართლა.
ჩვენ დღეს ბედი გვწყალობს.
ეს ყველაფერი ერთობ საინტერესო იყო.

**უკმაყოფილების გამოხატვა**

ეს მე არ მიხდება
მე არ მომწონს
მე არ მაწყობს
ეს ის არ არის, რაც მე მჭირდება

მე არ მომწონს ეს ჟურნალი.
მე არ მაწყობს ამ კაბის ფასი.
არა, მე ეს არ გამომადგება.

**კმაყოფილების/უკმაყოფილების გარკვევა**

ყველაფერი წესრიგშია?
თქვენ ეს გაწყობთ?
გაკმაყოფილებთ ეს პასუხი?

**დახმარების შეთავაზება**

(ხომ არ) დაგეხმაროთ?
შემიძლია დაგეხმაროთ?/რით დაგეხმაროთ?
ნება მომეცით, დაგეხმაროთ.

**შეთავაზება, მოწვევა**

გპატიჟებთ/გეპატიჟებით ჩემს დაბადების დღეზე.
გთხოვთ მობრძანდეთ.
ნება მომეცით, მოგიწვიოთ სადილად.
მობრძანდით ჩვენთან სტუმრად.

**მოწვევის მიღება**

დიდი სიამოვნებით.
გმადლობთ, აუცილებლად მოვალ.
მოხარული ვარ თქვენი მოპატიჟების.

**უარი მოწვევაზე**

გმადლობთ, არა
ძალიან ვწუხვარ, მაგრამ...

სამწუხაროდ, ძალიან დაკავებული ვარ და ვერ შევძლებ მოსვლას.
ძალიან მერიდება უარის თქმა, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია.

**პირდაპირი პასუხისგან თავის არიდება**

მიჭირს თქმა/პასუხი, უნდა დავფიქრდე.
შეიძლება თქვენ სწორიც ბრძანდებით.
ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული.
მე ასე არ ვიტყოდი.
ჩემი ვარაუდით...

## სამეტყველო ეტიკეტი (სოციალიზაცია)

**ყურადღების მიქცევა**

უკაცრავად...
ბოდიში/ბოდიშს გიხდით...
გეთაყვა, თუ შეიძლება...
მითხარით, თუ შეიძლება...
(ხომ) ვერ მეტყვით...
(ხომ) არ იცით...

**საპასუხო რეპლიკა**

დიახ/კი ბატონო...
გისმენთ...
ბატონო, გისმენთ!

მიმართვა

| | |
|---|---|
| სახელი | ანა. |
| სახელი/მამის სახელი | ანა ლავრენტის ასული. |
| ბატონო/ქალბატონო | გამარჯობათ, ქალბატონო მარიამ. |
| პროფესორი + სახელი, გვარი | სიტყვა (მოხსენებისთვის) ეძლევა პროფესორ მზექალა შანიძეს. |

ძვირფასო მეგობრებო/კოლეგებო/სტუმრებო, პატივცემულო საბჭოს წევრებო, აუდიტორიავ...

მიმართვა გამყიდველისადმი, მყიდველისადმი (განსაკუთრებული ფორმა არ არსებობს)
- თუ შეიძლება/გეთაყვა, ერთი კილოგრამი ყველი და ორი ბოთლი ნაბეღლავი.- ცხრა ლარი და ოთხმოცი თეთრი.- ინებეთ/მიიღეთ.

**მისალმება**

გამარჯობა(თ), მოგესალმებით.
დილა მშვიდობისა/საღამო მშვიდობისა.

**პასუხი მისალმებაზე**

გაგიმარჯოს.
მობრძანდით.
კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

**მოკლე კითხვა-პასუხი ეტიკეტის დაცვით**

მოხარული ვარ თქვენი ნახვის.
როგორ ბრძანდებით?
როგორ არის თქვენი საქმე?
როგორ მიდის თქვენი სამსახურის საქმე?
სახლში ხომ კარგად ხართ?
როგორ იმგზავრეთ?
როგორ მოეწყვეთ?

მეც ასევე მოხარული ვარ თქვენი ნახვის.
გმადლობთ, კარგად.
გმადლობთ, არა მიშავს.
გმადლობთ, თქვენ როგორ გიკითხოთ?
ჩვეულებრივად, ყველაფერი კარგადაა/ საქმე კარგად მიდის.
ისე რა, არც მთლად კარგად.

**არაოფიციალური ნაცნობობა, თვითწარდგენა**

მოდი გავიცნოთ ერთმანეთი + ჩემი სახელია...

მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი, ჩემი სახელია დათო.

უკაცრავად, თქვენი სახელი?
მე დავით დადიანი ვარ

თქვენ რა გქვიათ? ჩემი სახელია გიგი, გიგი გელოვანი. ჩემი თვითმფრინავი იგვიანებს. უკვე რამდენი ხანია ვსაუბრობთ და არც კი გაგვიცნია ერთმანეთი, მე ნანა მქვია, თქვენ?

**ოფიციალური წარდგენა შუამავლის გარეშე**

ნება მიბოძეთ/მომეცით, წარმოგიდგინოთ ჩემი თავი -/ წარვსდგე თქვენ წინაშე – მე გახლავართ თამრიკო რატიანი.

**ოფიციალური წარდგენა შუამავლის საშუალებით**

ოფიციალური მიმართვა + წარმოგიდგინოთ + სტატუსი/ თანამდებობა + სახელი, გვარი

ბატონო გრიგოლ, ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ჩემი მეუღლე მაია კვეზერელი.

იცნობდეთ, + ბატონი/ქალბატონი + (სტატუსი/თანამდებობა) + სახელი, გვარი

იცნობდეთ, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ბატონი ზაზა აბაშიძე.

**არაოფიციალური წარდგენა მესამე პირის მიერ**

ეს + სახელი (გვარი)

ეს მარინაა.
ეს მარინა რევიშვილია.

| | |
|---|---|
| **პასუხი წარდგენაზე** | |
| | ძალიან სასიამოვნოა.<br>მოხარული ვარ თქვენი გაცნობის,<br>დიდი ხანია, მინდოდა თქვენი გაცნობა.<br>ბედნიერი ვარ ჩვენი ნაცნობობით. |
| **დამშვიდობება** | |
| | ნახვამდის/ღამე მშვიდობისა.<br>მომავალ შეხვედრამდე/ხვალამდე.<br>კარგად იყავი(თ)/კარგად ბრძანდებოდეთ! |
| **კომპლიმენტი/ქათინაური**<br>(თქვენ) მშვენივრად/კარგად გამოიყურები(თ)<br>რა კარგად გამოიყურები | |
| ეს თქვენ ძალიან გიხდებათ | ეს ჩაცმულობა ძალიან გიხდებათ.<br>ეს ვარცხნილობა ნამდვილად გამშვენებთ.<br>თქვენ ძალიან კეთილი ბრძანდებით<br>თქვენი ოჯახი განთქმულია სტუმართმოყვარეობით. |
| თქვენ ძალიან კარგი/შესანიშნავი + სტატუსი, წოდება + პროფესია | თქვენ მშვენიერი დიასახლისი ხართ.<br>ნინო სახელგანთქმული პედაგოგია.<br>ქეთევანი ცნობილი მხატვარია. |
| **პასუხი კომპლიმენტზე** | |
| | გმადლობთ (ქათინაურისათვის).<br>გმადლობთ თქვენი კეთილგანწყობისათვის. |
| **თავაზიანობა** | |
| | მე ყოველთვის/ძალიან/მოხარული ვარ თქვენი ნახვის.<br>ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა.<br>მოხარული ვარ თქვენი ოჯახის გაცნობით/რომ გავიცანი თქვენი ოჯახი. |
| **კეთილი სურვილები** | |
| | გისურვებთ ყველაფერს კარგს/ყოველივე საუკეთესოს.<br>(ღმერთმა) შეგარგოს (საჭმელზე).<br>კეთილი მგზავრობა.<br>გისურვებთ ჯანმრთელობას/ბედნიერებას/სიხარულს. |

| | |
|---|---|
| | გისურვებთ სიხარულს/ბედნიერებას/ჯანმრთელობას/წარმატებებს/კარგ იღბალს/ხანგრძლივ სიცოცხლეს. |
| **თანაგრძნობა-მხარდაჭერა** | |
| თანაგრძნობით შეხვედრა | მის აზრს ყველამ მხარი დაუჭირა/მის აზრს ყველამ თანაუგრძნო/მის აზრს ყველა დაეთანხმა. |
| **თანაგრძნობა მწუხარებისას** | |
| მე თქვენ გულწრფელად თანაგიგრძნობთ | მიიღეთ ჩემი გულწრფელი/ღრმა თანაგრძნობა.<br>მე ძალიან ვწუხვარ.<br>მონაწილე ვარ თქვენი მწუხარების/ვიზიარებ თქვენს მწუხარებას. |
| **საჩუქრის გადაცემა** | |
| ეს თქვენ/ეს თქვენთვისაა | ვიმედოვნებ, (რომ) მოგეწონებათ.<br>მე მგონი მოგეწონებათ. |
| **სადღეგრძელო** | |
| (თამადის ინსტიტუტი) | სიძე-პატარძალს გაუმარჯოს.<br>ამ ჭიქით/ამ სასმისით ოჯახის დიასახლისი მინდა ვადღეგრძელო/დავლოცო.<br>(პიროვნების დახასიათება, მისი ღირსებების წარმოჩენა, სამომავლო სურვილები). |

## 2.2 ზოგადი ცნებები
## (ზოგადი ცნებების გამოხატვის ენობრივი საშუალებები)

ზოგად ცნებებს მიეკუთვნება პირველ რიგში ფილოსოფიური და ლოგიკური კატეგორიები (სივრცე, დრო, რაოდენობა, ხარისხი...). ისინი უნივერსალურია თითქმის ყველა ენისთვის. უნივერსალური ის აზრები და მნიშვნელობებია, რომლებიც პრაქტიკულად ყველა სიტუაციაში გვხვდება. ზოგადი ცნებები შემდეგნაირად გვაქვს დაჯგუფებული:

- არსებობა, ყოფიერება, ქონა-ყოლა
- სივრცე
- მოძრაობა
- დრო
- ხარისხი
- რაოდენობა
- კავშირ-ურთიერთობა
- ემოციური, ნებაყოფლობითი და ინტელექტუალური ქმედებები

ქართული ენის ელემენტარულიდან თავისუფალ ფლობამდე სხვადასხვა ხასიათის კომუნიკაციური მოთხოვნებია დასაკმაყოფილებელი. ქვემოთ წარმოდგენილი მასალაც სწორედ ამ მოთხოვნებიდან გამომდინარეა შერჩეული.

## ზოგადი ცნებების კატალოგი

### A1 – ენის გასაღები

**ყოფნა, არსებობა, ქონა-ყოლა**

| | |
|---|---|
| **პიროვნების, საგნის, ნივთის არსებობა** | |
| არის/არსებობს, არ არის/არ არსებობს | |
| აქ/იქ/მანდ | აქ არის ფაქსი. |
| აქ/იქ/მანდ | მანდ არ არის ცირკი. |
| | სასტუმროში არის აუზი. |
| | რესტორანში არ არის ბარი. |
| არსებობა | არსებობს ქუჩაში მოძრაობის წესები. |
| მოსვლა | წვიმა/თოვლი მოდის/წამოვიდა. |
| შედგება | თამაში შედგება/გაიმართება ზეგ 5 საათზე. |

| | |
|---|---|
| დაბადება | მას ეყოლა ვაჟიშვილი. |
| გახდომა | ის ექიმი გახდება. |

**დასწრება/დაუსწრებლობა**

| | |
|---|---|
| დასწრება | |
| თანდასწრებით | მე ვილაპარაკებ მხოლოდ ვექილის თანდასწრებით. |
| დაუსწრებლობა/არ ყოფნა | ვინ არ არის/ვინ გვაკლია?<br>მაია აქ/მანდ/იქ არის.<br>ექიმი ბოჭორიშვილი დღეს საავადმყოფოში არ არის/არ იქნება.<br>ვანო აქ არ არის. თამუნა იქ არის. |

**ქონა/არ ქონა**

| | |
|---|---|
| მე მაქვს | მე მაქვს შეკითხვა.<br>ნოდარს უსიამოვნებები აქვს.<br>ამ სტუდენტს არა აქვს ლექსიკონი.<br>ჩვენ არა გვაქვს არანაირი ცნობარი. |

**რეალობა/ირეალობა**

| | |
|---|---|
| ნამდვილად, ჭეშმარიტად | სწორად ბრძანებთ. |

**სივრცე**

**სივრცითი კოორდინატები**

| | |
|---|---|
| ადგილსამყოფელი რაიმე ორიენტაციის მიმართ | |
| ყოფნა, მდებარეობა, განთავსება | |
| - ში | სახლში, მთაში, კინოში. |
| - ზე | მაგიდაზე, ნაპირზე, ხეზე. |
| - თან | თეატრთან, მამასთან. |
| - ქვეშ | ხიდის ქვეშ, ქვის ქვეშ. |
| - წინ | სახლის წინ. |
| - უკან | ეზოს უკან. |
| - გვერდით | ნინოს გვერდით. |
| - შორის, შუა | ვინ დგას ჩვენ შორის.<br>იმ ორ არხს შუა სათესი მიწაა. |
| მარჯვნივ,/მარცხნივ | სახლის მარჯვნივ აუზია, მარცხნივ კი დიდი მუხის ხე დგას. |
| - პირდაპირ | სახლის პირდაპირ მწვანე მინდორია. |
| - ცენტრში | სოფლის ცენტრში ლამაზი პარკია. |
| - შუაში | ეზოს შუაში შადრევანია. |

**პარამეტრები**

| | |
|---|---|
| ზომა, ოდენობა | დიდი, მომცრო, პატარა;<br>მაღალი, დაბალი; |

უზარმაზარი, პაწაწინა, საშუალო, ნორმალური.

გრძელი, მოკლე;
მაღალი, დაბალი, ღრმა, თხელი/წვრილი.
სქელი/მსუქანი, გამხდარი.

**მოძრაობა**

| | |
|---|---|
| **ფეხით** | |
| ფეხით სიარული | ფეხით სიარული სასარგებლოა. |
| წასვლა, გასვლა, მისვლა, მოსვლა | ყოველ დილით სახლიდან ვაკის პარკამდე ძუნძულით მივდივარ. სახლიდან შვიდ საათზე გავდივარ. პარკში ნახევარ საათში მივდივარ. ცოტა ხანში უკან მოვდივარ/ ვბრუნდები. ამ დროს სახლში აღარავინ მხვდება. ყველანი წასულები არიან. |
| სიარული, სირბილი | |
| ცეკვა, სიარული | მე პარკში შადრევანის გარშემო დავრბივარ, ნინო კი ცეკვავს. რა მიმოსვლაა, რამდენი ხალხია, რა მოხდა? |
| **მოძრაობა ტრანსპორტით** | |
| წასვლა, მგზავრობა, გაჩერება | დავითი დილით ავტობუსით მიდის სამსახურში. მე ტროლეიბუსით მგზავრობა მირჩევნია. ეს ავტობუსი ბანკის წინ ჩერდება. |
| **ვინმეს/რაიმეს ტრანსპორტირება** | |
| ტრანსპორტით მიტანა, მოტანა, წაღება, წამოღება | ჩვენი ავეჯი საბარგო მანქანით გადაიტანეს. |
| **მოძრაობის მიმართულება** | |
| საით? საიდან? | |
| მარცხნივ, მარჯვნივ, წინ, უკან | |
| აქ, იქ, აქეთ, იქეთ | |
| აქედან, იქიდან, მანდედან | |
| - ში | ქალაქში მივდივარ. |
| - ზე | ამ გაჩერებაზე შევხვდეთ. |
| - დან | ტყიდან გამოვიდა მგელი. |
| - თან | მეგობართან წავედი. |

**დრო**

**არაფარდობითი დრო**

| | |
|---|---|
| დროის მონაკვეთი | წამი, წუთი, საათი (15 წუთი, ნახევარი საათი), დღე, დღე-ღამე, კვირა, თვე, კვარტალი;<br>ნახევარი წელი, წელიწადი, საუკუნე, ეპოქა; |
| ცხოვრება | მთელი დღე, მთელი წელიწადი, მთელი ცხოვრება. |
| კვირის დღეების სახელწოდება | ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა. |
| თვეების სახელწოდება: | იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი. |
| წელიწადის დროების სახელწოდება: ზამთარში, გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომაზე | ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა. |
| დღე-ღამის მონაკვეთი: დილით, დღისით, საღამოს, ღამე | დილა, დღე, საღამო, ღამე. |
| მერე, მალე, ... (ხნის) წინათ/შემდეგ | გიგა მალე მოვა, მერე ცირკში წავალთ.<br>ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ, ორი საათის შემდეგ. |
| გაკვეთილი, შესვენება, ანტრაქტი, პაუზა, არდადეგები, შვებულება | გაკვეთილი 45 წუთი გრძელდება.<br>ზამთრის არდადეგები გუდაურში გავატარე. |
| დასვენების დღე, სამუშაო დღეები | შაბათ-კვირა განსაკუთრებით მიყვარს. |
| დღესასწაული | შობა, ახალი წელი, აღდგომა. |
| იუბილე | გიორგის მალე მრგვალი თარიღი შეუსრულდება. |
| ჯერჯერობით | ჯერჯერობით აქ დაიცადეთ/ცოტა ხანს დაიცადეთ. |

**ზუსტი დრო (ათვლის წერტილი)**

როდის?

დრო

| | |
|---|---|
| ზუსტი დრო + ზე | პარასკევს სამ საათზე. |
| ამ დღეს (საღამოს, თვეში, წელს) | ამ კვირაში.<br>გასულ/მომავალ კვირას.<br>გასულ/მომავალ თვეში/წელს.<br>დეკემბერში. 1921 წელს.<br>ამ დილით, წუხელ. |

| | |
|---|---|
| დრო + თვის | სამი საათისთვის. |
| დადგომა, დადგა | დადგა/მოვიდა ახალი წელი. |
| როდის | მე არ ვიცი, როდის მოვა გია.მოვა, მაგრამ როდის. |
| | ახლა. |
| | გუშინ, დღეს, ხვალ. |
| | გუშინწინ, ზეგ, მაზეგ. |
| **დროის აღრიცხვა** | |
| რა დროა ახლა? | რომელი საათია? |
| | 3 საათია, 5 საათია. |
| | პირველი საათია, ოთხის ხუთი წუთია. |
| | სამს უკლია ხუთი წუთი. |
| | ხუთის თხუთმეტი წუთია, ხუთს უკლია თხუთმეტი წუთი. |
| | ნახევარია სამის, ხუთის ნახევარია. |
| | შუადღე, შუაღამე. |

## ხარისხი

**პირის, საგნის ფიზიკური თვისებები**

**გემო**

| | |
|---|---|
| გემრიელი, უგემური | |
| სასიამოვნო, არასასიამოვნო | |
| ტკბილი, მლაშე | |
| მჟავე, მწარე, ცხარე | ჩემთვის არ შეიძლება ცხარე საჭმლის ჭამა. |
| გემრიელია, უგემურია | |
| გემოს გასინჯვა, დაგემოვნება | გასინჯეთ/დააგემოვნეთ ჩემი გაკეთებული ღვეზელი. |
| **ფერი** | |
| ფერები | თეთრი, შავი, წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, იისფერი, ყავისფერი, ვარდისფერი, ნაცრისფერი, რუხი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი... |
| **ასაკი** | რამდენი წლის ხარ? რა ხნის ხარ? |
| | მე 20 წლის ვარ; ის 21 წლის არის. |
| | ბავშვი, ახალგაზრდა, მოხუცი. |

**რაოდენობა**

**რიცხვი**

| | |
|---|---|
| რამდენი? | რამდენიმე, ბევრი, ცოტა. |
| რიცხვი, ციფრი | |
| რიცხვისა და ციფრის სახელწოდება | |
| მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი | |
| თვლა, დათვლა | |
| დაახლოებით, თითქმის, სავარაუდოდ | |

## A2 –ენის საფუძველი

**ქონა-არქონა**

**პიროვნების, საგნის, ნივთის არსებობა/არარსებობა**

| | |
|---|---|
| | მძღოლს აქვს საბუთები. |
| | მას არა აქვს ყნოსვა. |
| უ – ო | უშაქრო ყავა. ის უსინდისოა. |
| -იანი | ლიმონიანი ჩაი. |
| -ით | ჩაი ლიმონით. |
| გარეშე | ქეთის გარეშე როგორ ხარ? |
| მზად ყოფნა | მე მზად(ა) ვარ წასასვლელად. |
| | ცნობა ზეგ იქნება მზად. |
| მიღება | ბესომ მიიღო წერილი. |
| დამთავრება/გასვლა | მარილი გაგვითავდა. ეს ზამთარი არა და არ დამთავრდა/გავიდა. |
| გასვლა/დაცხრომა/მოშვება | ფეხის ტკივილი არ გამდის/მიცხრება/მეშვება. |
| დაკარგვა | ჩანთა და პასპორტი დავკარგე/დამეკარგა. |

**სივრცე**

**ადგილსამყოფელი სივრცეში**

| | |
|---|---|
| სად? | აქეთ, იქით, მანდ, ყველგან, სახლში... |
| | სადღაც, არსად, სადმე, შიგნით, გარეთ, ქუჩაში, აი იქ, აი აქ. |
| | ის სახლში არ არის, ის ინსტიტუტშია. |

ცხოვრობს, არის, მუშაობს, დგას,
სწავლობს, არის ხოლმე

გუშინ ექიმთან ვიყავი. ნიკო კონსერვატორიაში სწავლობს.

**სივრცეში განფენილობა**

დგომა, წოლა, ჯდომა, დაკიდება,
დადგმა, დადება, დება, გდება

მე ახლავე აგიხსნით სად არის აკადემია.

ადგომა, აყენება, დაყენება, დასმა,
დაჯდომა
გაშვება, ჩაშვება, დაშვება
აღება, ადგომა
ვარდნა, დავარდნა, დაცემა
პირდაპირ, სწორად

**სივრცითი კოორდინატები**

დასაწყისი, დასასრული (რის)

აი გზის დასაწყისი.
შეხვედრის ადგილი.

საზღვარი

საზღვრის საგუშაგო აქედან სულ რაღაც ხუთას მეტრშია.

ადგილი

ჩვენს მხარეში კარგი ხილი მოდის.

მხარე

ქუჩის მარცხენა მხარეს კარგი სასტუმროა.

შესასვლელი, გასასვლელი
გზა, ქუჩა, გამზირი, უბანი,
ტროტუარი, გზაჯვარედინი, შესახვევი,
მოედანი
დაწყება
დამთავრება

**პარამეტრები**

უზარმაზარი, ზომიერი

ეს ერთი ციცქნა ბიჭი ამ უზარმაზარ ლოდს როგორ დაეჭიდა.

ციცქნა/ერთი ციცქნა, დიდი
განიერი, ვიწრო, სიფრიფანა, მსუქანი
ჩვენს უბანში ვიწრო ქუჩებია.

ის ბავშვი მსუქანა იყო.

გაზომვა, ზომის აღება

მკერავმა ბავშვს ზომები აუღო და კაბას უკერავს.

განსაზღვრა, განსაზღვრება ზუსტად,
მიახლოებით

ამ პატარა ბიჭს ალბათ 24 ზომა ფეხსაცმელი მოერგება.

სიგრძე, სიგანე, სიმაღლე
ზომა

ფეხსაცმლის/ტანსაცმლის ზომა. რა ზომის ფეხი გაქვს?

**მანძილი**

| | |
|---|---|
| მანძილი, სიშორე | თბილისიდან ბათუმამდე 600 კილომეტრია. |
| დარჩენა | ქალაქამდე 2 კილომეტრი დარჩა. სახლიდან სამსახურამდე 3 გაჩერებაა. გაჩერება 200 მეტრის შემდეგაა. |

**ფართობი**

| | |
|---|---|
| ფართი | ბინის საერთო ფართია 150 კვ.მ. დიდი, პატარა, საშუალო, კვადრატული. |
| მეტრი | ეს პატარა ოთახია. |

**მოცულობა**

| | |
|---|---|
| დასხმა | დამისხი, გეთაყვა, ბორჯომი. |
| დალევა | დალიე ცოტა ვისკი. |
| ბევრი, ცოტა | ბევრი არაყი მავნებელია. |
| სავსე, ცარიელი | ეს ბოთლი ცარიელია. |

## მოძრაობა

**ფეხით**

| | |
|---|---|
| სიარული | ბავშვმა დაიწყო სიარული/ფეხი აიდგა. |
| სეირნობა | |
| წაქცევა | ნინი ყოველდღე პარკში სეირნობს, მაგრამ გუშინ გაქცევა და წაქცევა ერთი იყო. |
| მიბრძანება, მობრძანება | მიბრძანდით აქედან! ჩვენი ქოსა-ტყუილა მობრძანდა. |

**მოძრაობა ტრანსპორტით**

| | |
|---|---|
| ფრენა, გაფრენა | თვითმფრინავი ვენიდან ღამის 12 საათზე ჩამოფრინდა. |
| მგზავრობა | კვირაში ერთხელ მატარებლით მიწევს მგზავრობა. |
| ცურვა, გაცურვა | მდინარე გიომ გადაცურა. |

**ვინმეს/რაიმეს ტრანსპორტირება**

| | |
|---|---|
| მიტანა, მოტანა, წაღება, წამოღება | ქეთის თავისი თოჯინა სულ თან დააქვს: სოფელში მიდის – თან მიაქვს, თბილისში ჩამოდის – უკან მოაქვს. |
| ჩატანა, ჩამოტანა | |

**მოძრაობის მიმართულება**

საითკენ? საიდან?

| | |
|---|---|
| ფეხით წასვლა/მოსვლა | აქეთ-იქით, აქეთ-იქეთ, საქანელა ქანაობს. |
| ტრანსპორტით წასვლა/მოსვლა | |

საით, საითმე, სადღაც, სადმე
არსად, არსაიდან, საიდან,
პირდაპირ, ზევით, ქვევით,
ქვემოთკენ, ზემოთკენ
სახლისკენ, სახლიდან
აღმოსავლეთი, დასავლეთი,
ჩრდილოეთი, სამხრეთი

**გადაადგილება ორიენტირის მიმართ**
მოძრაობა ორიენტირის
მიმართულებით
სიარული, მოსვლა, სარკინიგზო,
საზღვაო ტრანსპორტით მგზავრობა,
საჰაერო ტრანსპორტით ფრენა

**დრო**

**თარიღი**

| | |
|---|---|
| რა რიცხვია დღეს | 2006 წლის 6 მაისი (ზეპირად). 6 მაისი, 2006წ. ან 06.05.06 (წერით). |
| კალენდარი, თვე, რიცხვი | |
| თარიღის დასმა | - როდის/რომელ რიცხვში დაიწყო არდადეგები? - პირველ ივნისს. |
| არაფარდობითობა დროში | |
| ზმნა აწმყო დროში | პრადოს მუზეუმი არის მადრიდში. ლუვრი პარიზშია. |
| **ფარდობითი დრო** | |
| დროის რიგი | ბავშვმა დაიწყო ლაპარაკი/ენა აიდგა, სიარული/ფეხი აიდგა. |
| მოქმედების დასაწყისი | ლექცია უკვე დაიწყო. სპექტაკლი იწყება. კონცერტის დასაწყისი 12 საათზე. |
| დაწყება, დასაწყისი | თვის/კვარტლის დასაწყისი... მომავალი წლის დასაწყისში. |
| ა – | ამღერდა, ალაპარაკდა, აყვირდა. |
| – დან | მაღაზია მუშაობს 9 საათიდან. |
| მოქმედების დასრულება | |
| დამთავრება/დასრულება | |
| მოთავება | მოთავდა, მოათავა. |
| დასასრული, ბოლო | ფილმის დასასრული. დღის/თვის ბოლოს. ამ წლის ბოლოს. |

## დრო მიმდინარე მომენტთან მიმართებაში

**აწმყოს კუთვნილება**

| | |
|---|---|
| დღეს, ახლა, ამჟამად | |
| ახალი | ახალი გაზეთი. |
| ჯერ/ისევ/კვლავ/კიდევ | |
| ამ თვეში, ამ წელს, ამ კვირაში | |

**წარსულის კუთვნილება**

| | |
|---|---|
| გუშინ, გუშინწინ, უფრო ადრე | გუშინ კარგი ამინდი იყო. |
| დიდი ხნის წინ, ცოტა ხნის წინ | |
| ახლახან | |
| გასულ | გასულ კვირას; გასულ ორშაბათს; გასულ თვეში; შარშან; გასულ ზამთარს; გასულ ზაფხულს. |
| დროის ან პერიოდის აღმნიშვნელი წინ | 5 წლის წინ; 3 დღის წინ; |

**მომავლის კუთვნილება**

| | |
|---|---|
| ვაპირებთ | ჩვენ ვაპირებთ ტელევიზორში ახალი ამბების ყურებას. ჩვენ მივემგზავრებით შუაღამისას. ისინი მიფრინავენ ხვალ. |
| შემდგომში, მალე, ხვალ, ზეგ | |
| დღეს შუადღისას | |
| შემდეგ, მომავალ | შემდეგ სამშაბათს; მომავალ ოთხშაბათს; მომავალ კვირას; მომავალ წელს; |
| მომავალი, მომავალ | მომავალი შეხვედრა; მომავალ თვეში; მომავალ წელს; უახლოეს მომავალში, უახლოეს დროში; |
| შემდეგ | სამი დღის შემდეგ. |

## ხარისხი

### პირის, საგნის ფიზიკური თვისებები

**მხედველობა**

| | |
|---|---|
| ხედვა, დანახვა | აქედან კარგად ვხედავ. |
| ჩანს, არ ჩანს | იქიდან კარგად ჩანს. |
| ხილვადობა | დღეს გზებზე ცუდი ხილვადობაა. |
| ყურება, შეხედვა | |
| თვალი | |

| | |
|---|---|
| ბრმა/უსინათლო | უსინათლოთა საზოგადოებას დახმარება სჭირდება. |
| შემჩნევა, დანახვა, პოვნა | ეს ქალბატონი ცუდად ხედავს და ვერ დაგინახათ, ვერც კედლის ბზარი შეამჩნია და ვერც სათვალე იპოვა. |
| სინათლე, სიბნელე | ნათელი ოთახი. ბნელი სარდაფი. |
| ჩრდილი | ჩრდილში დგომა. |
| ჩართვა, გამორთვა | ელექტრიკოსი ჩართავს/გამორთავს სინათლეს. |

**სმენა**

| | |
|---|---|
| სმენა | ჩემი პაპიდა დაყრუვდა, აღარაფერი ესმის. |
| მოსმენა | ნინიკო მუსიკას უსმენს. |
| ისმის | აქ ცუდად ისმის. |
| ხმამაღალი, ხმადაბალი (ჩუმი) | ის ჩუმად ლაპარაკობს. |
| ხმამაღლა, ჩუმად/სიჩუმეა | ოთახში სიჩუმეა. |
| ხმამაღლა | ხმამაღალი კითხვა. |

**ხმა**

| | |
|---|---|
| ყვირილი, დაყვირება | ბავშვი აყვირდა, სხვა ბავშვებმაც დაიწყეს ყვირილი/დაიყვირეს. |
| ხმაურობა | |
| ხმაური | რა ხმაური ატეხეთ? |
| ხმაურია | |
| დუმილი, გაჩუმება | დუმილი ოქროა. |
| ჭორი | ჭორი დადის თითქოს... ეს სულ ჭორებია. |

**ყნოსვა**

| | |
|---|---|
| ცხვირი | |
| სუნი/დგომა | რა გემრიელი სუნი დგას!მგონი, გაზის სუნი დგას. |
| სუნამო, ოდეკოლონი | |
| სუნი, სურნელი | სურნელოვანი, სუნიანი, უსუნო; |
| კარგი, ცუდი, სასიამოვნო, არასასიამოვნო, ნაზი | სასიამოვნო/არასასიამოვნო სუნი. |
| სუნის შეგრძნება | აქ ვერავითარ სუნს ვერ ვგრძნობ. |

**ფერი**

| | |
|---|---|
| სუფთა, მკვეთრი, ნაზი | |
| ტონი | |
| ბაცი/ღია | ბაცი/ღია ტონები; ბაცი მწვანე, |
| მუქი | მუქი ტონები; მუქი ყავისფერი. |
| საღებავი | |

**აღქმა**

| | |
|---|---|
| გრძნობა, შეგრძნება | |
| შეხება, ხელის ხლება | ხელი არ ახლოთ! |
| რბილი, მაგარი, ნაზი | რა რბილი სავარძელია! |

**ტემპერატურა**

| | |
|---|---|
| ტემპერატურა | |
| გრადუსი, ნული/ნოლი, ნოლს | |
| ქვემოთ, ნოლს ზემოთ | ხვალ იქნება +10 (ათი გრადუსი ნოლს ზემოთ, პლუს ათი გრადუსი). |
| ცხელი, თბილი, გრილი, ცივი | |
| ცხელა, თბილა, გრილა, ცივა, ყინავს | ქუჩაში ცივა, მე მცივა. |
| სიცხე, ყინვა, სიცივე | დღეს 15 გრადუსი ყინვაა/სიცივეა. (მინუს 15 გრადუსი). |
| ზომვა, გაზომვა | ტემპერატურის გაზომვა. |
| გაყინვა | ღამე სარეცხი გაიყინა. |
| გათბობა | მოხუცი ღუმელთან თბება. |
| მაღალი, დაბალი | დაბალი ტემპერატურა. |
| მდუღარე | მდუღარე წყალში ჩადება. |
| ცეცხლი, ხანძარი | |

**ნამდვილობა, ჭეშმარიტება**

| | |
|---|---|
| ნამდვილი | ეს ნამდვილი ტყავია. |
| ნამდვილად | ეს ნამდვილად ფრანგული სუნამოა? |
| მართლაც | ეს ნახატი ორიგინალი არ არის. |
| დედანი, ორიგინალი | |

**ადვილი/ძნელი**

| | |
|---|---|
| ადვილი, ძნელი, მძიმე | ის მძიმე ადამიანია. |
| სირთულე | |
| ადვილად, ძნელად | მას ძნელად ვუგებ. |

**მარტივი/რთული**

| | |
|---|---|
| მარტივი, რთული | |
| მარტივად, რთულად | ის რთულად წერს. |

**სუფთა/ჭუჭყიანი**

| | |
|---|---|
| სუფთა, ჭუჭყიანი | |
| სისუფთავე, სიბინძურე | სახლს ყოველდღე ვალაგებ და ამიტომაც არის სისუფთავე. |
| დაბანა, ბანაობა | |
| რეცხვა, გასუფთავება | შაბათობით ვრეცხავ. |
| მტვრის გადაწმენდა | მტვერი გუშინ გადავწმინდე და დღეს ავეჯს ისევ მტვერი დაედო. |
| დალაგება, მოწესრიგება | |

**სავსე/ცარიელი**

| | |
|---|---|
| სავსე, ცარიელი | ცარიელი ჭიქა. |
| დასხმა | ჩაის დასხმა. |
| ჩადება, ჩაყრა | ჩაიში შაქარი ჩაგიყარო? |
| თითქმის | ჩემი ბენზინის ავზი თითქმის სავსეა. |

**ფასი**

| | |
|---|---|
| ფასი, ღირებულება | რა ღირს ეს თოჯინა? |
| გადახდა, ანაზღაურება, განაღდება საზღაური | ნიკომ ვალი გადაიხადა. |
| ძვირფასი, იაფფასიანი, იაფი | ძვირფასი წიგნი. |
| იაფად, ძვირად | დღისით ყველაფერი ძვირია, საღამოთი უფრო იაფად შეიძლება პროდუქტის შეძენა. |
| მაღალი, დაბალი | ყველაზე მაღალი ფასები მოსკოვშია. |
| ფასიანი, უფასო | ფასიანი პოლიკლინიკა. |

**მნიშვნელობა**

| | |
|---|---|
| დიდი მნიშვნელობა აქვს; | პირველ შთაბეჭდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. |
| დიდ როლს თამაშობს | გოგი დიდ როლს თამაშობს ამ საქმეში. |
| დიდ როლს არ თამაშობს უზარმაზარი | |
| მნიშვნელოვანი | ეს ძალზე მნიშვნელოვანია. |
| მთავარი, ძირითადი, დიდი | |
| ცნობილი, დიდი | დიდი მეცნიერი/პოეტი, მხატვარი. |

**სასურველი**

| | |
|---|---|
| მინდა, მსურს | |
| მე მინდა | მე მინდა/მსურს თეატრში წასვლა. |
| მე მსურს | მე მინდა, რომ თქვენ ჩემპიონი გახდეთ. |
| დაე | დაე მუდამ იყოს მზე. |

## B1 –ზღვრული დონე

**ᲡᲘᲕᲠᲪᲔ**

**სივრცითი კოორდინატები**

| | |
|---|---|
| უსასრულო სივრცე | ალაზნის ველი უსაზღვროდ მოჩანს. |
| შეზღუდული სივრცე | ეს ოთახი ძალიან პატარაა, თანაც დაბალჭერიანია. |
| საზღვარი/უსაზღვრო | |

**პარამეტრები, განზომილების ერთეულები**

| | |
|---|---|
| ვეებერთელა | ცაზე ვეებერთელა საჰაერო ბუშტი დაფრინავს. |
| ერთი ბეწო, ერთი ციცქნა | |

| | |
|---|---|
| განიერი, ვიწრო, ფართე | |
| განზომილება | |
| განსაზღვრა, განსაზღვრება | ზუსტად, მიახლოებით. |
| მილიმეტრი, სანტიმეტრი | |
| დეციმეტრი, მეტრი, კილომეტრი | |
| ფუნტი, ლიე, მილი | |
| სიღრმე, სისქე | ეს ქვევრი ძალიან ღრმაა. |
| ზომა | ტანსაცმლის/ფეხსაცმლის ზომა. |

**მანძილი**

შორს, შორიახლოს, აქვე, ახლოს

შორეული, მახლობელი, უახლოესი, მეზობელი

**ფართობი**

| | |
|---|---|
| სივიწროვე, სიხალვათე | აქ ნამეტანი სივიწროვეა. |

**მგზავრობა/მოგზაურობა**

| | |
|---|---|
| სხვადასხვა ტრანსპორტით | გემით მოგზაურობა მიყვარს, მაგრამ ვერ ვიტან, რადგან ზღვის ავადმყოფობა მაქვს. |

## მოძრაობა

| | |
|---|---|
| **წაყვანა, ტარება** | ბავშვს კვირაში სამჯერ ვატარებ სიმღერის გაკვეთილზე. |
| მოძრაობა, გაჩერება | ზაფხულში ღია ავტობუსი დადის, რომელიც, ჩვეულებრივ, ყველა გაჩერებაზე ჩერდება. |
| ტრანსპორტის წაყვანა | გიორგის კატერის წაყვანა შეუძლია, მართვის მოწმობაც აქვს. |
| ფეხით/ტრანსპორტით სიარული | |

**მოძრაობის მიმართულება ორიენტირისკენ**

| | |
|---|---|
| საიდან – საით/საითკენ | ტრანსპორტით მისვლა გაჩერებამდე *თავისუფლების მოედანი.* |
| მისვლა ფეხით/ტრანსპორტით -მდე | |
| მიღწევა, მისვლა | როგორ მივიდე რკინიგზის სადგურამდე? |
| ჩამოსვლა, ჩამოდგომა | მატარებელი *ბორჯომი-თბილისი* ჩამოდგება მესამე ლიანდაგზე. |
| გამოვლა, მოკითხვა | სამ საათზე მოგაკითხავ. გამოიარეთ სამ კვირაში. |
| დაბრუნება | |
| შეხვედრა | შევხვდებით ქუჩაში. |

შესვლა (ფეხით, ტრანსპორტით)
გამოსვლა (ფეხით, ტრანსპორტით)

**მოძრაობა ორიენტირიდან**

| | |
|---|---|
| წასვლა, გამგზავრება, გაფრენა | |
| წაღება, -დან | მან სახლიდან ნივთები გაიტანა. |
| გაიწია, მოცილდა - დან | ნანამ ძლივს გამოაღწია სახლიდან. |
| გასვლა, გამგზავრება | მატარებელი გადის მეხუთე პლატფორმიდან. |

**მოძრაობა ტრასაზე**

| | |
|---|---|
| სიარული, მგზავრობა, ფრენა, სირბილი, ცურვა, სეირნობა, მოძრაობა, ტარება, წაღება. | მარიამი მანქანას კარგად ატარებს. |
| გზა, ლიანდაგი, გზატკეცილი, ქუჩა, გამზირი, გადასასვლელი, გზაჯვარედინი, ხიდი, კიბე | ხიდს გადაივლი, კიბეზე ჩახვალ, გზაჯვარედინზე გახვალ და მარჯვნივ აფთიაქს დაინახავ. |
| ჩავლა (გვერდით, იქვე, ახლოს) -თან, შუა, შორის, წინ, უკან | გვერდით ჩაუარა. |
| გავლა, ჩავლა, ფრენა, ჩაფრენა, გვერდით, იქვე, ახლოს, თან, შუა, შორის, წინ, უკან | ჩავლა აფთიაქის წინ. გაგარინის მოედნის გავლა. საკუთარი გაჩერების გავლა. |

**მოძრაობის მიზანი**

| | |
|---|---|
| წასვლა, გამგზავრება, გაფრენა. | მაღაზიაში წასვლა პურისთვის. |
| მოსვლა, ჩამოსვლა, ჩამოფრენა, მორბენა | ერთი წუთით შემოგირბინე. |
| წასვლა, გამგზავრება, გაფრენა, გაქცევა, მისვლა (ფეხით, ტრანსპორტით), მიფრენა, მირბენა | |
| გაცილება, მოცილება (მოშორება) | სახლამდე გაგაცილებთ. |
| მოძრაობა | ჩამოვიდა კონფერენციაზე გამოსასვლელად. ჩამოვიდა იმისთვის, რომ გამოვიდეს კონფერენციაზე. მიუახლოვდა, რათა მისალმებოდა. |

**მოძრაობის ხარისხი**

| | |
|---|---|
| მიდის, მირბის, მიიჩქარის | მიიჩქარის მატარებელზე, მირბის სტადიონისკენ, მიდის სამსახურში. |
| სწრაფი, ნელი | |
| სწრაფად, ნელა, აუჩქარებლად | |

**მოძრაობის რაოდენობა**

| | |
|---|---|
| მოძრაობის რაოდენობის საზომი | |
| რაოდენობრივი მნიშვნელობა | მან დღეს 100 კილომეტრი გაიარა. |

- შორია მეტროდან მუზეუმამდე?
- ავტობუსით ორი გაჩერებაა.
- ფეხით ხუთი წუთის სავალზეა.

**მოძრაობის სიჩქარე**

კმ/სთ (კილომეტრი საათში)
ზუსტად, დაახლოებით, თითქმის
სწრაფი, ნელი
სწრაფად, ნელა, ძლივძლიობით

## დრო

**დროის აღრიცხვა**

საათის დაყენება, საათის გასწორება

| | |
|---|---|
| | საათი დღეს დილით გავასწორე და ის ხუთი წუთით უკვე ჩამორჩა. |
| ზუსტად | ზუსტად ხუთია. |
| დადის | ჩემი საათი ზუსტად დადის/ზუსტ დროს უჩვენებს. |
| წინ მიდის | ნინოს საათი წინ მიდის. |
| უკან რჩება | კახას საათი უკან რჩება. |

**ხანგრძლივობა**

| | |
|---|---|
| რამდენ ხანს | |
| დიდი ხანია, ცოტა ხანია | მე აქ ვცხოვრობ/ვარ ორი წელია/ წუთია, საათია, დღეა, კვირაა, თვეა, მთელი დღეა, მთელი ღამეა, მთელი ზამთარია, მუდმივად, მთელი ცხოვრება. |
| - დროს | არდადეგების დროს. |
| -დან – -მდე | სამ საათამდე, დილიდან საღამომდე. |
| -ის ჩათვლით | 3 აპრილის ჩათვლით. |
| გაგრძელება | 1-დან 10 ივნისის ჩათვლით. |
| | გრძელდება ჩასხდომა რეისზე N 437. |
| დასრულებულობა | |
| -მდე | ბიბლიოთეკა მუშაობს 21 საათამდე. |

**მოქმედების თანამიმდევრობის რიგი**

თავიდან, მერე, შემდეგ, ბოლოს
უწინ, უფრო ადრე, შემდგომ, ბოლოს

| | |
|---|---|
| უკვე | ჩვენ უკვე ვისადილეთ. |
| ჯერ | მას ჯერ არ დაურეკავს. |
| მალე | მე მალე მოვალ. |
| გაგრძელება, გავაგრძელოთ | გავაგრძელოთ საუბარი. |
| გაგრძელება | გაგრძელება იქნება. |
| მომდევნო, შემდეგი | მომდევნო დღეს. ვინ არის შემდეგი? |

| | |
|---|---|
| რიგითი მნიშვნელობები | პირველი, მეორე... მეასე. |
| ჯერ ერთი, მეორე, მესამე... | |
| უკანასკნელი, ბოლო | ბოლო სეანსი კინოთეატრში. |
| დაწყება, იწყება | |
| დამთავრება, მთავრდება | |

## ერთი მოქმედების დრო მეორე მოქმედების დროსთან მიმართებაში

**ერთდროულობა**

| | |
|---|---|
| - დროს + სახელი | ავარიის დროს; ხანძრის დროს; მოგიყვები შეხვედრის დროს/ შეხვედრისას. |
| ერთდროული, ერთდროულად | |
| როდის | |
| იმავე დროს | ჩვენ საფრანგეთში ერთსა და იმავე დროს ვიყავით. მე მაშინ ვიყავი საფრანგეთში, როცა შენც იქ იყავი. |

**წინსწრება**

| | |
|---|---|
| - წინ | დღესასწაულის წინ. |
| -მდე | ომამდე. |
| უფრო ადრე, ვიდრე | მან უნივერსიტეტი დაამთავრა უფრო ადრე, ვიდრე მე. |
| ჯერ არ | ჩვენ ჯერ არ გვინახავს ეს ფილმი. |
| ჯერ კიდევ | ის ჯერ კიდევ არ მოსულა? |
| უკვე | მან უკვე ყველაფერი გააკეთა. |
| თავიდან/მანამ, სანამ/მანამდე, ვიდრე/იმის წინ, ვიდრე/ვიდრე | ვიდრე ჩვენ ვლაპარაკობდით, მაღაზია დაიკეტა. |

**თანმიმდევრულობა**

| | |
|---|---|
| მას შემდეგ, რაც | |
| მერე/შემდეგ/მოგვიანებით/ უფრო გვიან, ვიდრე | კონცერტის/კონფერენციის/სამუშაოს/ გაკვეთილის შემდეგ. 23 საათის შემდეგ. |
| ოდესმე | |
| როგორმე | როგორმე შემოგივლი. |
| შემდეგ | შემდეგ რა გავაკეთო? |

**წონა**

| | |
|---|---|
| გრამი, კილოგრამი, ნახევარი | რამდენს იწონით? |
| კილო, ტონა, ცენტნერი | ერთი ცენტნერი არის 100 კილო. |
| მსუბუქი, მძიმე | |

## ადამიანის მდგომარეობა და ფიზიკური შესაძლებლობანი

**ასაკი**
საბავშვო, ახალგაზრდული,
მოზარდთა, მოზრდილთა
მოხუცი, ხნიერი
ჩვილი, ბავშვი, გოგონა, ბიჭი,
ახალგაზრდა, ყმაწვილი, ქალიშვილი
დეიდა, ბიძია, დიდედა (ბებია), პაპა
(ბაბუა)

**ფიზიკური მდგომარეობა**
ძლიერი, სუსტი, დაღლილი, მთვრალი
დაღლა
კარგად, ცუდად, მძიმედ, მსუბუქად

**ჯანმრთელობა**
როგორ გრძნობთ თავს?

## მასალა

ქაღალდი, ხე, ოქრო, ვერცხლი, ტყავი, ლითონი, პლასტმასი, რეზინი, სინთეტიკა, მინა, აბრეშუმი, ბამბა, მატყლი.

| | |
|---|---|
| -იდან | ხიდან, მატყლიდან, ბამბიდან. |
| მასალის აღმნიშვნელი | 100% ბამბა. ქაღალდის, ხის, შალის, აბრეშუმის, ნატურალური, ხელოვნური. |

## შეფასება

**ხარისხის შეფასება**
კარგი, უკეთესი, საუკეთესო, ყველაზე
კარგი, არაჩვეულებრივი, შესანიშნავი,
ლამაზი, ცუდი, უარესი, ყველაზე ცუდი

| | |
|---|---|
| შესანიშნავად, კარგად, ცუდად | ის რუსულად კარგად კითხულობს. |
| ძველი, ახალი, თანამედროვე | ჩვენი მაცივარი უკვე ძველია. |

**ჩვეულებრივი/არაჩვეულებრივი**

| | |
|---|---|
| ნორმალური, ჩვეულებრივი, არაჩვეულებრივი | |
| ჩვეული, უჩვეულო | უჩვეულო რამ მოხდა. |
| უცნაური, განსაკუთრებული | უცნაურია, როგორ მოგვაგნო. |
| ნორმალურად, ჩვეულებრივად, არაჩვეულებრივად, უცნაურად | რა არაჩვეულებრივად გამოიყურები! |

მიჩვევა, შეჩვევა — ნინიკო თავის ძიძას შეეჩვია.
ჩვევა — მას ასეთი ჩვევა აქვს.

**სწორი/არასწორი**

სწორი, არასწორი, ზუსტი
სწორად, არასწორად, კარგად, საუკეთესოდ
გასინჯვა, შესწორება
შეცდომის დაშვება, შეშლა — რა ხშირად მოგდის შეცდომა/გეშლება.
შეცდომა — უშეცდომოდ დაწერა.
შესწორება, გასწორება
მართალია, არ არის მართალი — ეს უმართებულოა.

**წარმატებული/წარუმატებელი**

წარმატება
წარმატებული, წარუმატებელი
შეძლება, შესაძლებლობა, მოხერხება — თქვენ შეგიძლიათ (მოახერხეთ) ბრიტანეთის მუზეუმში შესვლა?
გამართლება, უმართლებს — მე არ გამიმართლა.
წარმატება
წარმატებული
წარმატებით — მან წარმატებით იასპარეზა.
მიღწევა — მიაღწია კარგ შედეგს.
დამარცხება — სამწუხაროდ დამარცხდა.

**სასარგებლო/მავნებელი**

სასარგებლო, მავნებელი — ბოსტნეული სასარგებლოა. ბევრი ჭამა მავნებელია.

**ადვილად მისაწვდომი/მიუწვდომელი**

დაკეტვა, ჩაკეტვა — მაღაზია იკეტება რვა საათზე.
გახსნა, გაღება — სალონი იღება ცხრა საათზე.
დაკეტილი, გახსნილი (ღია) — დაკეტილია. ღიაა. დაკავებულია. თავისუფალია.
მუშაობა — მაღაზია მუშაობს.
მიღწევა, ჩაღწევა — ეს ადვილად მისაღწევია. ვერა და ვერ ჩავაღწიე სოფელში.

**შესაძლებელი/შეუძლებელი**

შესაძლებელი
შესაძლოა — შესაძლოა/შეიძლება ხვალ იწვიმოს.
შესაძლებელია
შესაძლებლობა
შეიძლება — ეს შეიძლება ძალზე სწრაფად გაკეთდეს.

| | |
|---|---|
| (არ) შეიძლება | აქ არ შეიძლება ხმაური. |
| არ შეიძლება, შეუძლებელია | ძალიან ცუდად ისმოდა. რამის გაგება შეუძლებელი იყო. |
| შეიძლება/არ შეიძლება | თქვენ შეგიძლიათ, ხვალ არ ადგეთ ძალიან ადრე. |
| შეძლება/ვერ შეძლება | მე შევძელი თეატრის ბილეთის შოვნა. |
| აკრძალვა | ექიმებმა მას აუკრძალეს მოწევა. |
| შეიძლება | მე ვერ შევძლებ ამის გაკეთებას. |
| აუცილებელი | შენთვის აუცილებელია ექიმთან მისვლა. |
| სავალდებულო | სხდომაზე დასწრება სავალდებულოა. |
| უნდა | ფაქსი ხელმოწერილი უნდა იყოს ფირმის პრეზიდენტის მიერ. |
| | ისინი უნდა წასულიყვნენ ჯერ კიდევ გუშინ. |
| | ჩვენ უნდა წავიდეთ. მე წამალი უნდა დავლიო. |
| საჭიროება | მას სჭირდება/ესაჭიროება თქვენი დახმარება. |
| | საჭიროა თქვენი პასპორტი. |
| ვალდებულება | თქვენ ვალდებული ხართ, ეს გააკეთოთ. |
| იძულებული ყოფნა | იძულებული ვარ, მივლინებით თავად გავფრინდე. |
| ღირებულება | ამ ფილმის ნახვა ღირს. |
| რადაც არ უნდა დაუჯდეს | |

**ხარისხის შეცვლა**

| | |
|---|---|
| გაუმჯობესება | პური აშკარად გაუმჯობესდა. |
| გაუარესება | ამ მაღაზიაში მომსახურება გაუარესდა. |
| გაფუჭება | ამინდი გაფუჭდა. |
| მტვრევა<br>ტეხვა | საყვავილე დაიმტვრა/დაიმსხვრა/გატყდა. |
| შენახვა | სად შეინახა თამრიკომ დენის ქვითარი? |
| გახდომა | ის გახდა ექიმი. |
| უცებ, უეცრად, მოულოდნელად | უეცრად ის ცუდად გახდა. |

## რაოდენობა

**რაოდენობის განუსაზღვრელობა /განსაზღვრულობა**

| | |
|---|---|
| რაოდენობრივი რიცხვითი სახელები | რამდენიმე. |
| | ზოგიერთი. |
| | ერთი, ერთნახევარი, ორი, ორნი, ორთავე, ორივე, ორჯერ, სამჯერ. |

ბოთლი, ჭიქა, თეფში
შეკვრა, პაკეტი
დიდი, უზარმაზარი, პატარა,
ბევრი, ცოტა, მცირედი

მაიამ მაღაზიიდან მოიტანა ერთი ბოთლი *ბორჯომი*, დიდი დასტა ასანთი, პატარა პაკეტით მარილი, უზარმაზარი შეკვრა კარაქი და ცოტა ძეხვი.

საკმაო
საკმარისია
საკმარისი

დრო გყოფნის?
დრო გეყო?

**დანაწევრებული/ დაუნაწევრებელი რაოდენობა**

მთელი, საერთო, სავსე
მთლიანი, ყველა
სრულად
სული — სულ რამდენია?
ნაწილი, ნახევარი — ნაწილი და მთელი.
დანარჩენი
უმრავლესობა
შედის + -ში + სახელი — ადგილზე მიტანა შედის ღირებულებაში.
შედგება + -სგან + სახელი — ჩემი ბარგი შედგება 1 ჩემოდნისა და 2 ჩანთისგან.

**ხარისხი, საზომი**

დიდი
პატარა, მცირე
ძალიან, სულ, თითქმის
ზედმეტად, საკმაოდ — საკმაოდ ძლიერი.
ბევრი, ცოტა, სულ ცოტა
ნაკლები, მეტი
მაღალი, დაბალი — მაღალი/დაბალი ხელფასი.
შედარებითი და აღმატებითი ხარისხი — უფრო მაღლა. უფრო მაღლა, ვიდრე... უფრო მეტი; უფრო მეტი, ვიდრე... უფრო ნაკლები. უფრო ნაკლები, ვიდრე...
ძლივძლივობით, სულ ოდნავ

**რაოდენობის ცვლილება**

შემცირება — ეს ამცირებს რისკს.
მატება — ბრინჯი ხარშვისას იმატებს.
გაზრდა — ნაბეჭდი პროდუქცია ყოველწლიურად იზრდება.
-ით — გაიზრდება 5 მეტრით.
-ჯერ, - რამდენჯერ — ფასები გაიზარდა 100-ჯერ.

## ემოციური, ნებაყოფლობითი და ინტელექტუალური ქმედებები

**გრძნობები, ემოციები, ნება**

| | |
|---|---|
| გრძნობა, შეგრძნება | |
| გრძნობა | |
| სიყვარული, შეყვარება | |
| სიყვარული | სიყვარული აგვამაღლებს. |
| ხასიათი | |
| მშვიდი | თამრიკოს მშვიდი ხასიათი აქვს. |
| მშვიდად | |
| ღელვა | ნუ ღელავ, ყველაფერი კარგად იქნება. |
| წუხილი | მაიას სიცხე აქვს და ძალიან წუხს. |
| შფოთვა/ფორიაქი | ეს გოგონა სულ აფორიაქებულია. |
| კმაყოფილება | ის კმაყოფილია მგზავრობით. |
| გახარება | ნინიკო საჩუქარმა გაახარა. |
| მოწონება | ლადოს მოწონს ახალი სპექტაკლი. |
| სასიამოვნო, არასასიამოვნო | რა სასიამოვნოა. |
| ბედნიერი, უბედური | ეს ბედნიერი წყვილია. |
| მხიარული, სერიოზული | ბავშვები სერიოზულად მიუდგნენ ამ ამბავს. |
| გაბრაზება, ბრაზი | გაბრაზება არ გიხდება. |
| შიში | |
| სასაცილო, მწუხარე, მოსაწყენი, საშიში | სასაცილოა, სამწუხაროა, მოსაწყენია, საშიშია. |
| ხუმრობა | |
| სიცილი, ღიმილი | სიცილი სიცოცხლეს ახანძლივებს. |
| ტირილი, ყვირილი | |
| პატივისცემა | |
| პატივცემულო, ძვირფასო | პატივცემულო ნიკოლოზ! ძვირფასო თამარ! |
| მადლობის გადახდა | მადლობას მოგახსენებთ/გიხდით. მადლობელი ვარ. |
| ხვევნა, მოხვევნა | |
| კოცნა | დიდი ხნის უნახავმა მეგობრებმა ერთმანეთი გადაკოცნეს. |
| მცდელობა, ცდილობს | |
| სურვილი, უნდა, მოუნდა | |
| მიღწევა, მიაღწია | შედეგს მიაღწია. |

## ინტელექტუალური ქმედებები

**აზროვნებითი მოქმედებები**

| | |
|---|---|
| ფიქრი, მოფიქრება | დიდია ფიქრი კაცისა. |
| გაგება, ესმის | |

| | |
|---|---|
| გასაგები, მკაფიო | თუ შეიძლება უფრო მკაფიოდ გამოთქვით, რომ ჩემთვის გასაგები იყოს. |
| ოცნება | ადამიანი ოცნებობს შვილის წარმატებებზე. |
| შეთავაზება | გამყიდველი საქონელს სთავაზობს მყიდველს. |
| კამათი | კამათის კულტურა ყველას არა აქვს. |
| გადაწყვეტა, გადაჭრა | |
| გადაწყვეტილება | |
| ხსოვნა, გახსენება | |
| შესწავლა | |
| დავიწყება | |
| შეცდომის დაშვება, შეშლა | |
| შემოწმება | |
| შემჩნევა | ვერც კი შევამჩნიეთ, დრო ისე გავიდა. |
| გაანალიზება | ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობის გაანალიზება. |

### მეტყველება

| | |
|---|---|
| ლაპარაკი, თქმა | მხოლოდ ლაპარაკით საქმე არ გამოვა. |
| საუბარი | |
| მოყოლა | თინიკომ კარგი მოყოლა იცის. |
| შეკითხვა | |
| კითხვა, პასუხი | - რა ღირს კიტრი? – ორი ლარი. |
| გამეორება, განმეორება | - რამდენი? |
| შეხსენება | თუ არ შეწუხდები, ხვალ გამახსენე, რომ ჯაბასთან დავრეკო. |
| დაპირება | კვირას ცირკში წაგიყვან. |
| ახსნა | მასწავლებელი ახალ გაკვეთილს ხსნის. |
| გამოცხადება | გამოცდების შედეგებს აცხადებენ. |
| დასაბუთება | მივლინებაში წასვლის აუცილებლობა კარგად უნდა დაასაბუთო. |
| გაცნობა, გაგება | გაიგეთ, როდის ვხვდებით მათ. |
| წერა | ვაჟამ დავალება უკვე დაწერა. |
| მოწვევა | ნინომ თავის კონცერტზე მეგობრები მიიწვია. |
| მაგალითის მოყვანა | |
| მაგალითად | მაგალითისთვის ავიღოთ... |
| განხილვა | განვიხილოთ ეს სიტუაცია. |
| დათანხმება | თანახმა ვარ. |
| შეწინააღმდეგება | მე წინააღმდეგი ვარ/ვერ დაგეთანხმებით. |
| რჩევის მიცემა | მე გირჩევთ, თბილად ჩაიცვათ. |

| | |
|---|---|
| რჩევა | ჩემი აზრით, დღეს სიგრილეა, ჯობს უფრო თბილად ჩაიცვათ. |

**ინტელექტუალური გრძნობები და მდგომარეობა**

| | |
|---|---|
| გაგება | მე თქვენი არ მესმის, გასაგებია. |
| გრძნობა | მე ვგრძნობ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. |
| ყურადღების მიქცევა | ის ძალიან ყურადღებიანია; ყურადღებით მოისმინე! |
| საინტერესო, უინტერესო | ეს საინტერესოა/უინტერესოა. |
| დაინტერესება, გატაცება | ნიკა ძალიან ინტერესიანია, ის ახლა გატაცებულია კონსტრუქტორით. |
| გაკვირვება, გაოცება | საოცარია/საკვირველია. ნუთუ მართლა. |
| დაჯერება, იმედის ქონა | იმედი მაქვს, ეს საქმე დადებითად გადაწყდება. მჯერა, რომ ყველაფერი მოგვარდება. |
| დარწმუნება | ისინი დარწმუნებული არიან? |
| ნათელია | ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ის ღელავდა. |

## კავშირები და ურთიერთობანი

**განსაზღვრებითი და განსაზღვრებით-ვითარებითი დამოკიდებულებები**

**კუთვნილებითი, საკუთრებითი დამოკიდებულებები**

| | |
|---|---|
| ვისია? | |
| ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი | ეს ჩემი ჩანთაა. ჩემი უკეთესია. |
| საკუთარი სახელი | ნინოსი, თამარისა, გიორგისა, ვაჟასი... |
| ქონა, ყოლა | ფულის ქონა, მანქანის ყოლა. ნინოს აქვს მაგნიტოფონი. |
| მიღება | მისგან მშვენიერი საჩუქარი მივიღე. |
| კუთვნილება | ეს აგარაკი მე-18 საუკუნეში გრაფს ეკუთვნოდა. |
| პატრონი | სახლის პატრონი, ძაღლის პატრონი... |
| საკუთარი | ეს ჩემი საკუთარი სახლია. |
| სხვისი | ეს მანქანა სხვისია. სხვისი ნივთები. |
| ინსტრუმენტი -ით | ფანქრით ხატვა, კალმით წერა. |
| საუბრის, ფიქრის საგანი/ობიექტი -ზე | ფიქრი ბავშვებზე, საუბარი ჭადრაკზე, |

| | |
|---|---|
| | მოგონებები თბილისზე. |
| -ის თაობაზე | ამ საკითხის თაობაზე მიმართეთ 345-ე ოთახში. |
| **გარემოებით განპირობებული ურთიერთობა** | |
| **მოქმედების სახე** | |
| როგორ? რა ვითარებაში? | კარგად, ცუდად, სწრაფად, ნელა, ძნელად, ადვილად, ჩუმად, ხმამაღლა, მორიდებით. |
| | სულერთია. |
| რადაც არ უნდა დაუჯდეს | |
| -ის მიხედვით | ჩანაწერების მიხედვით, წიგნის მიხედვით. |
| **მიზანი** | |
| რატომ? რა მიზნით? | |
| | ის მოვიდა დასახმარებლად. ის მოვიდა, რომ დამხმარებოდა. ის მოვიდა იმისთვის, რომ დამხმარებოდა. |
| თხოვნა, თქმა, სურვილი | ვთხოვე, რომ ხვალ მოვიდეს, მე ვუთხარი, რომ ხვალ მოვიდეს. მე მინდა, რომ ის ხვალ მოვიდეს. |
| -სთვის + სახელი | გაზეთისთვის წასვლა; სახლისთვის, ოჯახისთვის; დროის მოტოვება. ვარჯიშისთვის/ ვარჯიშის მიზნით. |
| -ის მიზნით | |
| პირობა | |
| რა პირობით? | |
| თუ | ხვალ თუ დარეკავთ, მე უკვე შევძლებ, გითხრათ, როდის იქნება ყველაფერი მზად. |
| რომ..., მაშინ | მისამართი რომ გვცოდნოდა, მაშინ მისი მოძებნა არ გაგვიჭირდებოდა. |
| -ის დროს | ხანძრის დროს, ავარიის დროს. |
| -ის შემთხვევაში + სახელი | ხანძრის შემთხვევაში დარეკეთ 01. |
| **ლოგიკური ურთიერთობები, კავშირი** | |
| და, მაგრამ, -ც; ისევე, როგორც | მეცნიერება და ტექნიკა; გიორგიც მიდის. |
| არა მხოლოდ..., არამედ | ჩვენ მოვასწარით არა მხოლოდ ბრიტანეთის მუზეუმის ნახვა, არამედ ვიყავით ბრიტანეთის ბიბლიოთეკა-შიც. |
| ჩართულობა/ჩაურთველობა | |
| ერთად | ჩვენ იქ ერთად ვიყავით. |

| | |
|---|---|
| -თან ერთად | იქ წასვლა მინდოდა მათთან ერთად. |
| გარეშე | იქ წასვლას არ ვაპირებთ მანანას გარეშე. |
| გარდა | ყველანი იქ ვიყავით, შენ გარდა. მნახველთა მიღება ყოველდღე, ოთხშაბათის გარდა. |
| ცალკე | ტელეფონის ფული ცალკე უნდა გადაიხადო. |
| საერთო/ცალკეული | |
| საერთო | |
| ნებისმიერი | |
| ცალკეული, ცალკე | ცალკე ოთახი, ცალკეული საკითხი. |
| მაგალითი | ავხსნათ მაგალითის მეშვეობით. |
| მარტო | მე მარტო ვცხოვრობ. |

## B2 –ზღვრული განვითარებული დონე

### სივრცე

**მოცულობა**

| | |
|---|---|
| ლიტრი, ჩარექა, კოკა, ჭიქა, ბოთლი, თეფში, პაკეტი, ყანწი, | ჭიქა წყალი, ერთი ბოთლი *ნაბეღლავი*, ერთი პაკეტი რძე. |
| დასხმა | |
| დალევა | დალიეთ/მიირთვით ლიმონიანი ჩაი. |
| ცოტა, ბევრი | შემივსეთ, გეთაყვა ყანწი. |
| სავსე, ცარიელი | ეს ბოთლი ცარიელია. |

### მოძრაობა

**მოძრაობა ფეხით**

| | |
|---|---|
| მიბრძანება, მობრძანება | მიბრძანდით მეხუთე კაბინეტში. მობრძანდით, რა ხანია გელოდებით. |
| ჩლახუნი | ის კაცი საცოდავად მიჩლახუნობს, |
| ჩოჩვა | ფეხები სტკივა და ძლივს დაჩოჩავს. |
| თრევა | ავადმყოფობის მერე ნიკო ფეხს მიითრევს. |

**შესახვედრად წასვლა**

| | |
|---|---|
| | ზურა თინიკოსთან შესახვედრად წავიდა. |
| | ხვალ მაკა ჩამოდის, ვინ მიდის დასახვედრად? |
| შეგებება | სოფლიდან პაპა ჩამოვიდა და ბავშვები მისაგებებლად გაიქცნენ. |

## დრო

**დრო, დადგენილ მომენტთან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| თანადროულობა (დადგენილ მომენტთან თანხვედრა) | |
| დროულად | |
| მოსწრება | ჩვენ ვერ მოვასწარით სადილობა. |
| მისწრება | ჩვენ ვერ მივუსწარით ფილმის დასაწყისს. |

**წინსწრება (დადგენილ მომენტთან მიმართებაში)**

| | |
|---|---|
| წინასწარ | წინასწარ მომზადება. |

**ჩამორჩენა (დადგენილ მომენტთან მიმართებაში)**

| | |
|---|---|
| დაგვიანება | ჩვენ უკვე ვიგვიანებთ. |
| შეყოვნება | თვითმფრინავის გაფრენა ყოვნდება მეტეოპირობების გამო. |
| დაგვიანება | მას დააგვიანდება, მის გარეშე დავიწყოთ. |
| დაგვიანებული იქნება/იყო | გაფრენა დაგვიანებული იყო. |
| დაგვიანებით, დაყოვნებით | მატარებელი N 37 ჩამოდგება ნახევარი საათის დაგვიანებით; |
| ადრე, უფრო ადრე, გვიან | ჩაის დალევა ადრეა. ის ჩემზე უფრო ადრე მოვიდა. უკვე გვიან არის, წასვლის დროა. |

**პერიოდულობა, განმეორებადობა**

| | |
|---|---|
| პერიოდულად | |
| ხშირად/არც თუ ხშირად/ იშვიათად/არც თუ იშვიათად | ელენე და ნინო ხშირად სეირნობენ პარკში, ზოგჯერ ზოოპარკში მიდიან, არც თუ იშვიათად – ცირკში, კვირაში სამჯერ – სიმღერის გაკვეთილზე. |
| ძალიან იშვიათად | |
| ორჯერ, ბევრჯერ, რამდენჯერმე | |

| | |
|---|---|
| ჩვეულებრივ, ყოველთვის, | |
| არასოდეს | |
| ხელმეორედ, ისევ, კიდევ | |
| უსასრულოდ, მუდმივად | ის მუდმივად აგვიანებს. |
| ყოველდღიური, ყოველთვიური, | |
| ყოველწლიური, | |
| ყოველდღე/საათს/თვე, . . . | |
| კვირაში/თვეში/წელიწადში | |
| ერთხელ (ორჯერ) | ამ წამლის მიღება აუცილებელია დღეში ორჯერ... |
| -ობით | ოთხშაბათობით (ხუთშაბათობით...). |

**მოქმედების ერთადერთობა**

| | |
|---|---|
| ერთხელ | |
| მხოლოდ ერთხელ | |
| ერთხელ | |
| მოქმედების წყვეტილობა | |
| არა მუდმივად, შესვენებით | სვენებ-სვენებით ავედით მთის კენწეროზე. |

**მოქმედების უწყვეტობა**

| | |
|---|---|
| | ყოველთვის, მუდმივად, უწყვეტად, შესვენების გარეშე, მთელი დროის განმავლობაში, დღე-ღამის განმავლობაში. |

**დროში შეზღუდულობა**

| | |
|---|---|
| | ის ცხოვრობს/ცხოვრობდა რუსეთში რამდენიმე თვის განმავლობაში. |
| პერიოდის აღნიშვნა -ით | ორი საათით, ერთი კვირით; თქვენ შეგიძლიათ ამ წიგნის წაღება ერთი კვირით. |
| -ის განმავლობაში | ორი საათის განმავლობაში; ერთი კვირის განმავლობაში; ჩემი ბინა გაარემონტეს ერთი კვირის განმავლობაში. |
| -სთვის | ორშაბათისთვის, სექტემბრისთვის, ორი საათისთვის, ვახშმისთვის. მე მასთან უნდა ვიყო სამი საათისთვის. |
| -მდე + სახელი | ამის გაკეთება უნდა მოვასწრო შემოდგომამდე (ორ საათამდე). |
| არა მუდმივად, არა ყოველთვის | |

**ხარისხი**

**პირის, საგნის ფიზიკური თვისებები**

**ფორმა, გარეგნობა**

| | |
|---|---|
| ფორმა | საგნის ფორმა. |
| სწორი | სახის სწორი ნაკვთები. |

| | |
|---|---|
| | სწორი ხაზი; სწორი თმები. |
| თანაბარი, მრუდე, მრგვალი | მრგვალი სახე. |
| წრე, ბუშტი, რკალი, ბურთი | |
| კუთხე | |
| სამკუთხედი, მართკუთხედი | სამკუთხა, მართკუთხა. |
| კვადრატი, კუბი | კვადრატული, კუბური. |
| მახვილი, ბლაგვი | |
| ნასვრეტი, ხვრელი | |

**ნივთიერების, საგნის მდგომარეობა**

| | |
|---|---|
| მყარი, თხევადი | მტვერი, ყინული, წყალი, ჰაერი, აირი. |
| დინება, დასხმა | თერგი ხმაურით მოედინება. დამისხი დამალევინე ეს ღვინო ოხერტიალი; |
| გადაღვრა | ონკანი გაფუჭდა და წყალი ტყუილად იღვრება. |
| დუღილი | კოკასა შიგან რაცა დუღს, იგივე გადმოდინდება. |
| სველი, ნესტიანი, ტენიანი, მშრალი | ნესტიანი ამინდია. |
| სისველე, სიმშრალე | ქუჩაში სიმშრალეა. |

## ემოციური, ნებაყოფლობითი და ინტელექტუალური ქმედებები

| | |
|---|---|
| **პატივისცემის გამოხატვა** | მე თქვენ უაღრესად დიდ პატივს გცემთ. |
| **დაფასება** | მე დიდად ვაფასებ თქვენს ნაშრომებს/ღვაწლს. |
| **მადლიერების გამოხატვა** | |
| **მადლობის გადახდა** | მადლობელი ვარ. უღრმესი მადლობა. პირველყოვლისა, მინდა მადლობა მოგახსენოთ. |
| **მობოდიშება** | |
| **ბოდიშის მოხდა** | ზოგიერთ ადამიანს არ უყვარს ბოდიშის მოხდა. ბოდიშს გიხდით დაგვიანებისთვის. უკაცრავად, რომ გაწუხებთ. მაპატიეთ უნებლიე შეცდომისთვის. |

## კავშირები და ურთიერთობანი

### დაპირისპირება, შეპირისპირება

**იგივეობა**

ისეთივე, ისევე, ერთნაირი, ზუსტი — ერთნაირად, ზუსტად.

ეს იგივეა, რაც...

მსგავსება, შედარება

გაჭრილი ვაშლივით ჰგავს;
ორი წვეთი წყალივით გვანან ერთმანეთს.

არაერთნაირი, არამსგავსი

სხვანაირი, განსხვავებული, სხვა — ეს სხვა საქმეა!
სხვანაირად;
სხვაგვარად;

დაახლოებით, მაგალითად, თითქმის — დაახლოებით რვა საათისთვის მოვალ.
მას ასაკი ახლა უფრო ეტყობა, ვიდრე ფოტოსურათზე.
დღეს ის უფრო სწრაფად მუშაობს, ვიდრე გუშინ.

ყველაზე, -უ — ის ჩვენ შორის ყველაზე ჭკვიანია. ეს უახლესი მოდელის კომპიუტერია.

ისეთივე ... როგორც; — ის ისეთივე მაღალია, როგორც მისი ძმა, ის არ არის ისეთი, როგორც მისი ძმაა.

**განსხვავება**

ეს იგივეა, რაც ...

ეს იგივე არ არის, რაც ...

ეს ბუშტი ხომ ისეთივეა, როგორიც გიას აქვს.

სხვა — მომეცით სხვა ფერისა.

-გან განსხვავებით — თავისი დისგან განსხვავებით, მეგი ჭკვიანია.

**მიზეზობრიობა**

**მიზეზი**

რატომ? — იმიტომ, რომ...
რადგან...

-ის გამო, რომ — ავადმყოფობის გამო; ტკივილისგან.

იმის გამო, რომ

**შედეგი**

ამიტომ...
ასე რომ,
აქედან გამომდინარე; ამრიგად.

**საბაბი**

საჭიროა, აუცილებელია

| | |
|---|---|
| -თვის | ჯანმრთელობისთვის აუცილებელია ჰაერზე სეირნობა. |
| | რათა; იმისთვის, რათა საჭიროა, |
| აუცილებელია | იმისთვის, რათა სახლი კაპიტალურად გადაიხუროს, საჭიროა დამატებითი თანხები. |
| რადგან, რამდენადაც | |
| საქმე ის არის, რომ | საქმე ის არის, რომ ჩვენი გიო ჯერაც უმუშევარია. |
| სუბიექტურ-პრედიკატური დამოკიდებულება | |
| **მოქმედების სუბიექტი** | |
| ვინ? რა? | |
| სახელი | |
| -ს | დედას, ძაღლს, ვანოს, მამუკას. |
| რაოდენობრივ-სახელობითი შეთავსება | ორი ძმა, სამი კოსმონავტი, ხუთი თხა. |
| | ჩვენ თქვენთან ვართ. ისინი ბავშვებთან არიან. ნინო ქმართან არის. |
| პასიური კონსტრუქცია | ცნობა ხელმოწერილია ექიმ მგალობლიშვილის მიერ. |
| ერთ-ერთი | ერთ-ერთი ჩვენგანი; ოლიმპიადის მონაწილეთაგან ერთ-ერთი. |
| **პრედიკატი** | |
| | მან ეს სტატია წაიკითხა *სარკეში.* |
| | ამირანი – ინჟინერია, მე – პედაგოგი. |
| ყოფნა, გახდომა | ჩემი შვილი პედიატრი გახდება. |
| ქონა | მე მაქვს ასპირინი. |
| ვნებითი | დოკუმენტები ხელმოწერილია. |
| **ობიექტური დამოკიდებულება** | |
| **პირდაპირი ობიექტი** | |
| ვისი? რისა? | წიგნის კითხვა, კაბის კერვა, ტორტის ცხობა; გიორგის ნახვა, ნანას გაცნობა. |
| **ირიბი ობიექტი** | |
| ვის? | დავურეკოთ თემურს. ეს თქვენ. მოკითხვა მამას და ძმას. ვის უნდა მივცე ცნობა? |
| ვისთან? | საუბარი ვახტანგთან. კამათი ნანასთან. |
| რის შესახებ? | |
| -ის შესახებ | ვისაუბროთ ამინდის შესახებ. მოგვიყევი კონფერენციის შესახებ; ინფორმაცია მადრიდში მიმდინარე მოვლენების შესახებ. |

## 2.3 თემატური ლექსიკა

ქართული ენის შემსწავლელთათვის აქტუალური კომუნიკაციური ამოცანების გადასაჭრელად *თემატურ ლექსიკაში* წარმოდგენილია ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც აუცილებელია ყოველდღიური და პროფესიული ურთიერთობისათვის ელემენტარულიდან ზღვრულ განვითარებულ დონემდე. თემატური ლექსიკა ამგვარადაა დაჯგუფებული:

- პიროვნების იდენტიფიკაცია
- საცხოვრებელი ადგილი
- ყოველდღიური ცხოვრება
- თავისუფალი დრო, გართობა, სპორტი
- ტრანსპორტი, მგზავრობა, მოგზაურობა
- გზის პოვნა
- ამინდი
- ჯანმრთელობა
- განათლება
- საყიდლები
- სურსათ-სანოვაგე
- მომსახურება
- უცხოური ენების ფლობა
- საზოგადოებრივი ურთიერთობები
- საქმიანი გამგზავრება საქართველოში
- ბანკები
- საქმიანი ინფორმაციის მოძიება
- საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრება
- პირველი საქმიანი კონტაქტები
- კომპანიის, ფირმის სტუმრობა
- კომპანიის/პროდუქციის პრეზენტაცია
- მოლაპარაკებები
- საქმიანი ქაღალდები.

# თემატური ლექსიკის კატალოგი

## A1 – გასაღები

### პიროვნების იდენტიფიკაცია

**სახელი**

| | |
|---|---|
| სახელი | ნიკა, სრული სახელი ნიკოლოზი. მე მქვია გიორგი. |
| გვარი | დაწერეთ გვარი. რა გვარის ბრძანდებით? |
| მამის სახელი | თქვენი მამის სახელი? |
| ინიციალები | ა.გ. დადიანი. |
| ქალბატონი (ქ-ნი) | ქალბატონი მარიამი. |
| ბატონი (ბ-ნი) | ბატონი ოთარი. |
| მიმართვა | ბატონებო და ქალბატონებო! |

**მისამართი**

| | |
|---|---|
| ცხოვრება | მე ვცხოვრობ ბათუმში. |
| მისამართი | მისამართის მიცემა; სახლის მისამართი. |
| ქუჩა | |
| შესახვევი | |
| მოედანი | |
| გამზირი | |
| გზატკეცილი | |
| ხიდი | |
| პარკი | |

### ყოველდღიურობა

**სახლი**

| | |
|---|---|
| ადგომა | ადრე/გვიან ადგომა. |
| გაღვიძება | ბავშვმა გაიღვიძა. |
| დაბანა | |
| მიღება | შხაპის/აბაზანის მიღება. |
| ჩაცმა | თბილად/მსუბუქად ჩაცმა. |
| გახდა | მობრძანდით, გაიხადეთ პალტო. |
| ჭამა | მობრძანდით, მიირთვით. |
| საუზმობა, სადილობა, ვახშმობა | მოდით, ვისაუზმოთ/ვისადილოთ/ ვივახშმოთ. |
| საუზმე | რა გაქვთ საუზმედ? |
| სადილი | სადილად გვაქვს ბოზბაში. |

| | |
|---|---|
| ვახშამი | ვახშმად რას ინებებთ? |
| მომზადება | საუზმის/სადილის/ვახშმის მომზადება. |
| საქმიანობა | რას საქმიანობ? |
| დაკავებული | დაკავებული ხარ? |
| წასვლა | მაღაზიაში პროდუქტებისთვის წასვლა. |
| წოლა, დაწოლა | ლოგინში წოლა; დასაძინებლად დაწოლა; |
| ძიძა | ძიძამ ბავშვი დააწვინა და უნდა დააძინოს. |

**სამუშაო**

| | |
|---|---|
| მუშაობა | ვმუშაობ დღეში 8 საათს. |
| სამუშაო | სამუშაო დღე, სამუშაო დრო. |
| სამსახური | სამსახურში სიარული,სამსახურის შოვნა; |
| სასადილო | ჩვენ სამსახურში კარგი სასადილო გვაქვს. |

## თავისუფალი დრო

**თავისუფალი დრო**

| | |
|---|---|
| | ცოტა თავისუფალი დრო; |
| არდადეგები | საშობაო არდადეგები; |
| დღესასწაული | ჩვენში აღდგომა უდიდესი დღესასწაულია; |
| დასვენება | როგორ დაისვენე? ჩვეულებრივ, სად ისვენებ ხოლმე? |

## ტრანსპორტი

**საზოგადოებრივი ტრანსპორტი**

ქალაქის ტრანსპორტი
ავტობუსი
ტროლეიბუსი
ტრამვაი
მეტრო
ტაქსი

**საქალაქთაშორისო ტრანსპორტი**

თვითმფრინავი
ვერტმფრენი
მატარებელი
გემი, ნავი

## ამინდი

| | |
|---|---|
| მზიანი | |
| წვიმიანი | |
| კარგი ამინდი | |
| ცუდი ამინდი | დღეს სუსხიანი ამინდია. |
| თოვლი | თოვს/თოვლი მოდის. |
| წვიმა | წვიმს/წვიმა მოდის. |

## სხეულის ნაწილები

| | |
|---|---|
| თავი | სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობია. |
| თვალი | თვალი თვალში გაუყარა. |
| ცხვირი | სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა. |
| პირი | |
| ნიკაპი | |
| ტუჩები | |
| კბილები | კბილებს ნუ აღრჭიალებ. |
| ლოყა | ლოყაწითელი/ლოყებღაჟღაჟა. |
| საფეთქელი | |
| ყური | ყურად არ იღო. |
| კისერი | |
| ყელი | გედივით ყელი. |
| მხარი | მხარში ამოდგომა. |
| ხელი | ხელი ხელს ბანს, ორივე ერთად პირსო. |
| ხელის მტევანი | |
| ხელის გული | |
| იდაყვი | |
| ფეხი | ფეხების ბაკუნი. |
| ბარძაყი | |
| მუხლი | |
| წვივი | |
| ქუსლი | აქილევსის ქუსლი. |
| ტერფი | |
| თითი | ისეთი სიბნელეა, თვალთან თითს ვერ მიიტან. |
| გულ-მკერდი | ბროლივით გულ-მკერდი. |
| მუცელი | ღორმუცელობა. |
| ზურგი | |

**განათლება**

სწავლა
გაკვეთილი
მასწავლებელი
მოსწავლე
სკოლა
ინსტიტუტი
ნიშანი — კარგი/ცუდი ნიშანი.
ფანქარი — ნიშნის მიღება/დაწერა.
კალმისტარი
რვეული
ქაღალდი
წიგნი
სახელმძღვანელო

**საყიდლები**

მაღაზია
გამყიდველი
ფასი
ბაზარი
ბოსტნეული — კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი, ბადრიჯანი, ყვავილოვანი კომბოსტო...
ხილი — ვაშლი, მსხალი, ატამი, ალუბალი, ბალი, შინდი, ქლიავი, მარწყვი...
ტანსაცმელი
ფეხსაცმელი

**ოჯახში სახმარი ნივთები**
თეფში
ფინჯანი
დანა
ჩანგალი
ჭიქა
კოვზი
ჩაიდანი

**საჭმელი, სასმელი**
საცივი
ბაჟე
ღომი
ხაჭაპური
მჭადი
გოზინაყი — გოზინაყი ახალი წლის ტრადიციული ტკბილეულია.

| | |
|---|---|
| ინდაური | შემწვარი ინდაური კომშით. |
| ლაღიძის წყალი | |
| ლიმონათი | |
| მინერალური წყალი | |

**მომსახურება**

**ფოსტა**

| | |
|---|---|
| წერილი | |
| წერილის გაგზავნა | |
| კონვერტი | |
| მარკა | |
| ღია ბარათი | მე ვიცი მისალოცი ბარათის გაგზავნა. |

**ადამიანებს შორის ურთიერთობა**

**ურთიერთობის ტიპები**

| | |
|---|---|
| ნათესავი | |
| ნაცნობი | |
| მეგობარი | |
| მეზობელი | |
| ახლობელი | |
| ცნობა | მე მას ვიცნობ. |
| ურთიერთობა | კარგი/ცუდი/ნორმალური ურთიერთობა. |
| სტუმარი | |

## A2 – საფუძველი

**პიროვნების იდენტიფიკაცია**

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი | ნატა ანდრონიკაშვილი. |
| ხელმოწერა | |
| მისამართი | |
| სახელი | |
| ნომერი | № 91. |
| კორპუსი | |
| სადარბაზო | |
| კოდი | თქვენ გაქვთ კოდი სადარბაზოში? |

ინდექსი — საფოსტო ინდექსი; თბილისის უბნებს სხვადასხვა ინდექსი აქვთ.

სოფელი
ქვეყანა

**ტელეფონის ნომერი**

ტელეფონი — სამსახურის/ბინის ტელეფონის ნომერი; მობილურის ტელეფონის ნომერი; ტელეფონის ნომრის მიცემა/ჩაწერა;
რეკვა/დარეკვა — საინფორმაციო ცნობარი 09 გისმენთ;
მესიჯი (შეტყობინება) — მესიჯის გაგზავნა.

**დაბადების ადგილი და თარიღი**

დაბადება — მე დავიბადე თბილისში 1969 წელს.
დაბადების დღე, თვე და რიცხვი
დაბადების თარიღი — 13. 12. 2002.
დაბადების ადგილი — ფოთი.

**ასაკი**

მოზარდი, ქალიშვილობის ასაკი,
ხნიერი — ნუგზარი შუახნის კაცია.

**სქესი**

მამრობითი (მამრ)
მდედრობითი (მდედრ)
მამაკაცი
ქალი
ბიჭი
გოგონა
ვაჟი
ქალიშვილი

## საცხოვრებელი, გარემო

**შენობა**

ოთახი — ოთახებია: საძინებელი, სასტუმრო, სასადილო, საბავშვო, კაბინეტი.

საკუთარი სახლი
კორპუსი
სამზარეულო
ტუალეტი
სააბაზანო

| | |
|---|---|
| კარ-ფანჯარა | |
| აივანი | |
| დერეფანი | |
| სართული | |
| კიბე | |
| ლიფტი | |
| გადის/გამოდის | ფანჯრები გადის ეზოში/გამოდის ქუჩაში. |
| გარაჟი (ავტოფარეხი) | |
| **ავეჯი** | საწოლი, სკამი, მაგიდა, კარადა, სავარძელი, დივანი. |
| **ლოგინი** | |
| საბანი | |
| ბალიში | |
| თეთრეული | ზეწარი, ბალიშისპირი, საბნის პირი. |
| ლეიბი | |
| **სამსახური** | |
| უფროსი | |
| კოლეგა | |
| შრომითი მოწყობის ბიურო | |
| საჭიროა, ესაჭიროება | ფირმას ესაჭიროება მდივან-რეფერენტი; |
| განყოფილება | ფირმის/დაწესებულების განყოფილება. |
| კადრების განყოფილება | |
| კონტრაქტი | კონტრაქტის გაფორმება; კონტრაქტით მუშაობა; |
| მოვალეობა | ამის გაკეთება შედის მის მოვალეობაში. |
| საშვი | სამსახურის საშვი; |
| შესვენება | შესვენება სადილისთვის; |
| შვებულება | შვებულების აღება; შვებულებაში გასვლა; |
| გამოსასვლელი (დღე) | მას ორი გამოსასვლელი დღე აქვს – შაბათი და კვირა. |
| **ხელფასი** | |
| ხელფასი | ხელფასის აღება; ხელფასმა მოიმატა/დაიკლო; მაღალი/დაბალი ხელფასი; |
| გამომუშავება | მას მაღალი/დაბალი გამომუშავება აქვს; |
| გადასახადი | გადასახადების გადახდა; |
| პენსია | პენსიის მიღება; პენსიაზე გასვლა. |

## ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲓᲠᲝ

**საყვარელი საქმიანობა, გართობა**

| | |
|---|---|
| ჰობი | ჰობია: შეგროვება, ქსოვა, ქარგვა, სეირნობა, ფოტოგრაფირება, კერვა, თევზაობა, ხატვა... ინტერესების სფეროა: ფერწერა, ლიტერატურა, კინო, არქიტექტურა... |

## ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ, ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ

| | |
|---|---|
| **სარკინიგზო ტრანსპორტი** | |
| სადგური/რკინიგზის სადგური | |
| მატარებელი | შორს მიმავალი მატარებელი; საბარგო მატარებელი; სამგზავრო მატარებელი. |
| ელმავალი | |
| ვაგონი | კუპირებული/საძინებელი ვაგონი; |
| კუპე | ორადგილიანი/ოთხადგილიანი კუპე; |
| ადგილი | კენტი/ლუწი ადგილი; ზედა/ქვედა ადგილი. |
| **მოგზაურობა** | |
| მოგზაური | |
| მოგზაურობა | |
| ტურისტი | |
| ექსკურსია | |
| დათვალიერება | უცხოელ ტურისტთა ჯგუფი გუშინ ექსკურსიაზე იყო დასავლეთ საქართველოში. მათ დაათვალიერეს ბაგრატის ტაძარი, გელათი. |

## ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

| | |
|---|---|
| მზე | მზიანი ამინდი. |
| ღრუბელი | ღრუბლიანი ამინდი; |
| ყინვა | ყინავს/ყინვაა; |
| ქარი | ქარიანი ამინდია/ქარი ქრის. |
| ჩრდილი | |

## ჯანმრთელობა

| | |
|---|---|
| ადამიანის შინაგანი ორგანოები | |
| | გული, ტვინი, საყლაპავი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ელენთა, ფილტვები, ნაწლავები... |
| თავი | თავის ტკივილი. როგორ გრძნობ თავს? |
| | თავი ამტკივდა; |
| ტკივილი | კბილი მტკივა. |
| გაციება | გავცივდი – სურდო მაქვს და მაციებს/მამცივნებს; |
| ტემპერატურა | სიცხე მაქვს; |
| წამალი | წამალი მიიღეთ?/დალიეთ? |

## განათლება

| | |
|---|---|
| სწავლა | ინსტიტუტში/კოლეჯში/კურსებზე/ უნივერსიტეტში; |
| სწავლება | სწავლების ღირებულება; |
| გაკვეთილი | გაკვეთილის ჩატარება/მოსმენა; |
| ლექცია | ლექციის ჩატარება/მოსმენა; |
| მეცადინეობა | ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობა; |
| გამოცდა | გამოცდის ჩაბარება; |
| ჩათვლა | ჩათვლის მიღება. |

## საყიდლები

| | |
|---|---|
| ფასი/ღირებულება | |
| დახარჯვა | |
| გადახდა | |
| ფული | |
| ხურდა | |
| ყიდვა | |
| გაყიდვა | |
| განვადება | მაცივარი ვიყიდე განვადებით. |
| სალარო | |
| მოლარე | მოლარე ბანკში წავიდა და სალარო დაკეტილია. |

**საჭმელი, სასმელი**

| | |
|---|---|
| ღომი | |
| ელარჯი | ღომი და ელარჯი მეგრული კერძებია. |
| აჩმა | კარგ აჩმას აჭარაში აცხობენ. |
| ნიგვზიანი ფხალი | ნიგვზიანი ფხალი დასავლეთ საქართველოში იციან. |
| ჩანახი | |
| კეცზე შემწვარი ვარია | |
| ტყემალი | |
| პომიდვრის საწებელი/ტომატი | |
| მწვადი | |
| ხაშლამა | ხაშლამა კახური საჭმელია. |
| შილაფლავი | |
| თევზი | ცოცხალი/*მტკვარში ცოცხალ თევზს ვერავინ გამოლევს;* |
| სოკო | შემწვარი სოკო; |
| ყველი | სულგუნი, გუდის ყველი; |
| სუნელები | სადილს ძალიან უხდება სუნელი. |
| აჯიკა | |
| კომპოტი | |
| *ნაბეღლავი* | |
| *ბორჯომი* | |

## მომსახურება

**ტელეფონი**

| | |
|---|---|
| დარეკვა | |
| აკრეფვა | აკრიფეთ ჯერ კოდი, შემდეგ ნომერი. |
| მუშაობს/არ მუშაობს | არ ისმის, თუ შეიძლება თავიდან დარეკეთ. |
| **პოლიცია** | |
| პოლიციელი | |
| პოლიციის განყოფილება | |
| პატრული | |
| ქურდობა | განცხადება ბინის გაქურდვის შესახებ. |
| ჩივილი | ჩივილი მეზობელთან ჩხუბის გამო. |

**ცნობათა სამსახურები**

| | |
|---|---|
| სატელეფონო ცნობარი | |
| ინფორმაცია | |
| ტელეფონის ნომერი | პოლიციის/სახანძროს/სასწრაფო დახმარების... |
| ცნობათა ბიურო | |
| საინფორმაციო ბიულეტენი | |

## ადამიანებს შორის ურთიერთობა

**სტუმრები, მიწვევები**

| | |
|---|---|
| მიწვევა/მოწვევა | მოწვევის დაწერა/გაგზავნა/ მიღება; სტუმრად მიწვევა; |
| მოლაპარაკება | ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ ხვალ 7 საათზე გიორგის ვეწვიოთ; |
| აღნიშვნა/ზეიმობა | გია დაბადების დღეს აღნიშნავს/ ზეიმობს. |

## B1 – ზღვრული დონე

### პიროვნების იდენტიფიკაცია

| | |
|---|---|
| **ოჯახური მდგომარეობა** | |
| ცოლიანი/უცოლო | ის ცოლიანია. ის უცოლოა. |
| გათხოვილი/გასათხოვარი/ გაუთხოვარი/მარტოხელა/ქვრივი | ის გათხოვილია. ის ორნაქმარევია. ის გასათხოვარია. |
| **ეროვნება** | |
| | ეროვნებებია: ინგლისელი, ფრანგი, რუსი, ქართველი, გერმანელი. |
| უცხოელი | ჩანს, ეს კაცი უცხოელია. |
| უცხოური | უცხოური ენა/პასპორტი. |
| **მუდმივი საცხოვრებელი ადგილი (ქვეყანა)** | |
| ჩამოსვლა | საიდან ბრძანდებით? საიდან ჩამოხვედით? |
| ქვეყანა | მე საფრანგეთიდან ვარ. მე საფრანგეთიდან ჩამოვედი. |
| **პროფესია** | |
| პროფესია | პროფესიებია: მასწავლებელი, ექიმი, მსახიობი, ინჟინერი, თარჯიმანი, გამყიდველი, პარიკმახერი/სტილისტი. |
| სპეციალობა | |
| მუშა | |
| გლეხი | |
| სტუდენტი | |
| პენსიონერი | |
| დიასახლისი | |
| უმუშევარი | |
| სამუშაო ადგილი | სამუშაო ადგილია: ქარხანა, ფირმა, ინსტიტუტი, ბანკი. |
| მუშაობა | |
| დირექტორი | |
| მდივანი | |
| უფროსი | |
| მენეჯერი | |
| სახელმწიფო სტრუქტურა | სახელმწიფო დაწესებულება. |
| **ოჯახი** | |
| მშობლები | |
| მამა | |
| დედა | |

ბავშვი, ბავშვები
ძმა
და
ცოლი
ქმარი
ოჯახის წევრები, ნათესავები

ოჯახის წევრები არიან ცოლი, ქმარი, ქალიშვილი, ვაჟიშვილი, ბებია, პაპა, შვილიშვილი.
ნათესავები არიან ბიძა, დეიდა, მამიდა, ბიცოლა, ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი, ძმისშვილი, დისშვილი...

**აღმსარებლობა**
რელიგია
ღმერთი
ეშმაკი
რწმენა
ეკლესია
წირვა
კათოლიკოს-პატრიარქი
მღვდელი
მოძღვარი
მონაზონი
ბერი
მნათე
დიაკვანი
მეუფე

**ხასიათი**

როგორი ხასიათი აქვს გიორგის?
მხიარული/მძიმე/რთული ხასიათი.

მშვიდი
კარგი
ცუდი
სასიამოვნო/არასასიამოვნო
კეთილი
ბოროტი
ზარმაცი
გაწონასწორებული/
გაუწონასწორებელი

**გარეგნობა**
გამოიყურება

როგორ გამოიყურება?
ის მშვენივრად გამოიყურება.

სიმაღლე

რამ სიმაღლეა?

მაღალია/არ არის მაღალი

მაღალია.

მსუქანი
გამხდარი
სიმპატიური/უსიმპატიო
ლამაზი/უშნო/ულამაზო

## საცხოვრებელი, გარემო

### საცხოვრებლის ტიპები, არენდა

| | |
|---|---|
| სახლი | მრავალსართულიანი სახლი/კორპუსი. |
| ბინა | ერთ-/ორ-/სამოთახიანი ბინა.<br>ბინა ავეჯით/ავეჯის გარეშე/აივნით/ აივნის გარეშე. |
| ოთახი | |
| აგარაკი | |
| ყიდვა | ჩვენ გვინდა პატარა ბინის ყიდვა ქალაქის ცენტრში. |
| დაქირავება | |
| გაქირავება | |
| გაყიდვა | ბინების გაყიდვა. |
| ყიდვა | |
| შესყიდვა | |
| არენდა | |
| სახლის პატრონი | |
| განცხადება | განცხადების ნახვა;<br>განცხადება გაზეთში ბინის გაქირავების თაობაზე; |
| ნახვა, დათვალიერება | როდის შეიძლება ბინის დათვალიერება? |
| სურვილი | რას ისურვებდით? როგორ ბინას ისურვებდით? |

### ბინის გადასახადი (ქირა)

| | |
|---|---|
| ქირა, გადასახადი | წყლის გადასახადი შედის ბინის საერთო ღირებულებაში.<br>გადასახადის აღება/მიღება/გადახდა; |
| დაგვიანება | გადასახადის დაგვიანება; |
| გადახდა | გადახდა ბინის ქირის/თვეში ერთხელ/წინასწარ/ცალკე. |
| შეთანხმება, ხელშეკრულება | ხელშეკრულების გაფორმება. |
| ვადა | არენდის ვადა დამთავრდა. |
| წინასწარ | წინასწარ გადახდა. |

### კეთილმოწყობა

| | |
|---|---|
| ელექტრობა (სინათლე) | ბინა კეთილმოწყობილია. |
| ტელეფონი | ბინა ტელეფონით. |
| წყალი | ცხელი/ცივი წყალი; |

| | |
|---|---|
| გაზი | გაზის გადასახადი; |
| ელექტრობა | ელექტროქურა, ელექტრომრიცხველი; |
| ნაგავი | ნაგვის გატანა; |
| დაცვა | სადარბაზოში არის დაცვის ჯიხური; |
| სიგნალიზაცია | სიგნალიზაციის ჩართვა; ბინა სიგნალიზაციით. |

**მოწყობილობა, ბინის მოვლის საშუალებანი**

| | |
|---|---|
| შხაპი | |
| ონკანი | |
| ტელევიზორი | |
| რადიო | |
| სარეცხი მანქანა | |
| მტვერსასრუტი | |
| მაცივარი | |
| ქურა | გაზქურა. |
| უთო | |
| დალაგება | ოთახის დალაგება; |
| რეცხვა, გარეცხვა, მორეცხვა | ჭურჭლის გარეცხვა, იატაკის მორეცხვა; |
| (არ) მუშაობა | სარეცხი მანქანა არ მუშაობს. |
| გატეხვა | უთო გაგვიტყდა; |
| ჩართვა | მაცივრის ჩართვა; |
| გამორთვა | ჩაიდნის გამორთვა; |
| რემონტი | რემონტის გაკეთება; მოლაპარაკება რემონტის თაობაზე. |

**გარემო**

| | |
|---|---|
| რაიონი | ეკოლოგიურად სუფთა/მწვანე რაიონი; |
| ადგილი | სასიამოვნო/მშვიდი/ხმაურიანი ადგილი; |
| ეზო | ჩვენ კარგი ეზო გვაქვს; |
| დედაქალაქი | ლონდონი, მადრიდი, ლისაბონი დედაქალაქებია. |
| ქალაქგარეთ | |
| ველი, მინდორი | |
| ტყე | |
| მთა | მთაში ისევ თოვლია. |
| ტბა | |
| მდინარე | |
| ზღვა | სახლი ზღვაზე. |
| ნაპირი, სანაპირო | ჩვენი აგარაკი მდინარის პირას არის. |
| პლაჟი | |
| წყალი | წყლის ტემპერატურა. |

**ფლორა და ფაუნა**

| | |
|---|---|
| ფრინველი | არწივი, მერცხალი, ბულბული, კაჭკაჭი, ბეღურა, კოდალა, თუთიყუში... |
| მწერი | ჭიამაია, ბუზი, პეპელა, კოღო... |
| ხე | მუხა, ჭადარი, ნაძვი, ფიჭვი, ტირიფი... |
| ყვავილი | ია, ვარდი, ტიტა, გვირილა, შროშანი... |
| ბუჩქი | ბზა, მოცხარი... |
| ცხოველი | შინაური: ძაღლი, კატა, ცხენი, ძროხა... გარეული: ლომი, ვეფხვი, ზებრა... |

## ყოველდღიურობა

**სწავლა**
**სამომავლო გეგმები**

| | |
|---|---|
| გახდომა (გამოვა) | კურსების გავლის შემდეგ ის მძღოლი გახდება. მე ექიმი გამოვალ. |
| ყოფნა | მე მასწავლებელი ვიქნები. |
| სწავლა | ის უნივერსიტეტში სწავლობს. მე ჯერ ისევ სკოლაში ვსწავლობ. |

## თავისუფალი დრო, გართობა, სპორტი

**საყვარელი საქმიანობა, გართობა**

| | |
|---|---|
| გატაცება | მიტაცებს მთასვლელობა. მეცადინეობა, ახალი საქმიანობის დაწყება. |
| დაინტერესება | მაინტერესებს ხელოვნება. შარშან დაინტერესებული ვიყავი/ მაინტერესებდა ჭადრაკი. |

**რადიო, ტელევიზია**

| | |
|---|---|
| რადიო | რადიოს მოსმენა. |
| ტელევიზია (ტვ) | საქართველოს/ადგილობრივი ტელევიზია. |
| ტელევიზორი | ტელევიზორის ყურება. რა გადის ტელევიზორში? |
| სატელევიზიო | სატელევიზიო ფილმი; |
| პროგრამა | სატელევიზიო პროგრამა; რადიოს კვირის პროგრამა; |
| გადაცემა | სატელევიზიო/რადიო გადაცემა; ტელეგადაცემებია: ქრონიკა, ახალი ამბები, მხატვრული/დოკუმენტური |

| | |
|---|---|
| | ფილმი, მუსიკალურ-გასართობი პროგრამა. |
| მაგნიტოფონი | |
| ვიდეომაგნიტოფონი | |
| ფლეიერი | |
| ვიდეოფლეიერი | |
| კასეტა | |
| კომპაქტ-დისკი | |
| ფირფიტა | |
| დადება, ჩადება | ფირფიტის დადება/დისკის ჩადება დასაკრავად. |
| სიმღერა | მას კარგი ჩანაწერები აქვს. |
| მუსიკა | მუსიკალური ჟანრია: კლასიკური/ ხალხური/თანამედროვე მუსიკა, როკი, ჯაზი. |
| პოპულარული | პოპულარული მომღერალი. |

**კინო, თეატრი, კონცერტი**

| | |
|---|---|
| | დასვენებისა და გართობის ადგილებია: კინოთეატრი, ცირკი, თეატრი, საკონცერტო დარბაზი, კონსერვატორია, დისკოთეკა, (ღამის) კლუბი, სამორინე. წარმოდგენა: ბილეთი, კონცერტი, ოპერა, სპექტაკლი. შემოქმედებითი პროფესიებია: მსახიობი, რეჟისორი, მომღერალი. მუსიკალური ინსტრუმენტებია: პიანინო, გიტარა, ვიოლინო, ფლეიტა. |
| ფილმი | საბავშვო ფილმი, მულტფილმი. |
| კინო | კინოში წასვლა. |
| თამაში | დღეს ვინ თამაშობს მეფე ლირს? |
| დაკვრა | მე ვუკრავ გიტარაზე. |
| მღერა/სიმღერა | ეკას უყვარს ცეკვა-სიმღერა. |
| ცეკვა | |
| ბილეთი | ბილეთის შეკვეთა/ყიდვა; ბილეთი კონცერტზე/კინოში შესასვლელად; ზედმეტი ბილეთი; ბილეთი შაბათისთვის; |
| სალარო | ბილეთის წინასწარი გაყიდვის სალარო; |
| შეკვეთა | შეიძლება შეგიკვეთოთ ორი ბილეთი ხვალინდელ სპექტაკლზე? |
| წინასწარ | უმჯობესია ბილეთების წინასწარ ყიდვა. |
| წარმოდგენა | დღის/საღამოს წარმოდგენა; |
| სეანსი | გაქვთ ბილეთები მომდევნო სეანსზე? |

| | |
|---|---|
| დილა/საღამო | ორი ბილეთი დილის/საღამოს სეანსზე; |
| ადგილი | მოხერხებული (მოუხერხებელი) ადგილია. |
| რიგი | |
| პარტერი | |
| ამფითეატრი | თქვენი ბილეთები ლოჟაშია. |
| შესასვლელი | |
| გასასვლელი | |
| სათადარიგო გასასვლელი | |
| გარდერობი | |
| ტუალეტი | ქალთა/მამაკაცთა ტუალეტი; |
| პროგრამა | პროგრამის გაყიდვა/ყიდვა. |
| ანტრაქტი | |
| აფიშა | |
| ადმინისტრატორი | |
| ნახვა, ყურება | მოდი, ვნახოთ ეს ფილმი. |
| ნახვა | გინახავს ეს სპექტაკლი? |
| გამოსვლა | გამოდიან ცირკის მსახიობები. |
| მსურველები | გიწვევთ ყველა მსურველს. |

**გამოფენები, მუზეუმები**

| | |
|---|---|
| მუზეუმი | ისტორიული/ლიტერატურული/ ხელოვნების მუზეუმი – კარ-მიდამო; მუზეუმი – ბინა. |
| გალერეა | სამხატვრო გალერეა. |
| გამოფენა | |
| ხელოვნება | სახვითი ხელოვნება. |
| ფერწერა | |
| ქანდაკება | იმ პარკში ძალიან საინტერესო ქანდაკებებია. |
| სურათი | ეს ნახატი ორიგინალურია. |
| სტილი | არქიტექტურული სტილი. |
| თანამედროვე | |
| ძველებური | |
| ცნობილი | |
| მხატვარი | |
| მოქანდაკე | |
| არქიტექტორი | |

**წაკითხვა**

| | |
|---|---|
| კითხვა, წაკითხვა | |
| წიგნი | წიგნის სახლი. |
| წიგნების მაღაზია | |
| ჟურნალი | ლიტერატურული ჟანრებია: რომანი, მოთხრობა, ლექსი. |
| მწერალი | ქართველი/ფრანგი გამოჩენილი/დიდი/ საინტერესო მწერალი. |

| | |
|---|---|
| პოეტი | |
| ბიბლიოთეკა | ბიბლიოთეკაში ჩაწერა. |

**სპორტი**

| | |
|---|---|
| სპორტი | სპორტით დაკავება, რომელ სპორტს მისდევ?<br>სპორტის სახეობებია: ფეხბურთი, ჰოკეი, ჩოგბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი, ციგურები, თხილამურები, ცურვა...<br>სპორტული ნაგებობებია: სტადიონი, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, აუზი, ფეხბურთის მოედანი. |
| სპორტსმენი | |
| სირბილი | თქვენ დარბიხართ დილაობით? |
| თამაშობა/თამაში | კალათბურთის თამაში; რომელ კლუბში თამაშობდა სხიერელი? |
| თამაში | ფეხბურთის თამაში 18 სთ-ზე იწყება. |
| მოგება/გამარჯვება | ვინ იგებს? *დინამომ* გაიმარჯვა. |
| წაგება/დამარცხება | *ლოკომოტივმა* წააგო. *დინამომ* დაამარცხა *ლოკომოტივი*. |
| ნახვა/ყურება | ფეხბურთის ყურება ტელევიზორში... |
| ანგარიში | რა ანგარიშია? |
| ფრე | თამაში ფრედ დამთავრდა. |
| გოლი | გოლის გატანა; |
| გუნდი | სპორტული კლუბი; |
| კლუბი | მე *ბარსელონას* ვგულშემატკივრობ. |
| გულშემატკივრობა | თიკო მილანის *ინტერის* გულშემატკივარია. |

**პრესა**

| | |
|---|---|
| გაზეთი | ახალი/დღევანდელი/ყოველდღიური/ საღამოს გაზეთი; |
| ჟურნალი | სპეციალური ჟურნალი; |
| ნომერი | უკანასკნელი ნომერი; |
| გამოსვლა | *თბილისელების* მეოთხე ნომერი უკვე გამოვიდა? |
| გამოწერა | ჟურნალ-გაზეთების გამოწერა. |
| სტატია | |
| ფოტოგრაფია | ფოტოგრაფია გაზეთში; |
| რეკლამა | რეკლამის განთავსება/წაკითხვა; |
| განცხადება | განცხადების განთავსება/წაკითხვა. |
| გვერდი | |
| ჟურნალისტი | პოპულარული ჟურნალისტი. |
| კორესპონდენტი | |

**ტრანსპორტი, მგზავრობა, მოგზაურობა**

**საზოგადოებრივი ტრანსპორტი**

| | |
|---|---|
| ტრანსპორტი | ნებისმიერი ტრანსპორტით მგზავრობა; |
| მგზავრობა | ერთი მგზავრობის ტალონი. |
| ტრანსსააგენტო | |
| ცნობათა ბიურო | |
| ცნობარი | |
| განცხადება | განცხადების შეკვეთა/წაკითხვა/მოსმენა. განცხადება რადიოთი/სადგურზე. |
| ნაპოვნი ნივთების ბიურო | |
| შემნახველი კამერა | ბარგის შენახვა შემნახველ კამერაში; |
| ბარგი | ბარგის ჩაბარება/მიღება/დაკარგვა; |
| ნივთები | ეს თქვენი ნივთებია? |
| ჩასხდომა | ჩასხდომის გამოცხადება/დამთავრება. |
| გაჩერება | ავტობუსის/ტროლეიბუსის გაჩერება; ამ მატარებელს მცხეთამდე გაჩერება არა აქვს. შემდეგი გაჩერება; |
| გაჩერება | მატარებელი ავჭალაში არ ჩერდება. |
| გადაჯდომა | სხვა მატარებელში გადაჯდომა იქნება საჭირო. |
| გადაჯდომა, გადასხდომა | სხვა ავტობუსში გადავსხედით. |
| შეხვედრა | შევხვდით ჯგუფს/მეგობარს; |
| გაცილება | გააცილა მეგობარი/დედა. |
| ქალაქის ტრანსპორტი | |
| ტაქსი | ტაქსის აყვანა. |
| სამარშრუტო ტაქსი | |
| სადგური | მეტროს სადგური; |
| ხაზი | წრიული ხაზი; |
| სადგომი | ტაქსის სადგომი, ფასიანი სადგომი. |
| შესასვლელი | |
| გამოსასვლელი | |
| ჩამოსვლა, ჩასვლა | ჩადიხართ? ჩაბრძანდებით? თუ შეიძლება გამატარეთ, ჩავდივარ. |
| გადასასვლელი | მიწისქვეშა გადასასვლელი, გადასასვლელი მეორე ხაზზე; |
| გადასვლა | ქუჩაზე გადასვლა; |
| მგზავრობა | მგზავრობის საფასურის გადახდა; |
| ბილეთი | ავტობუსის სამგზავრო ბილეთი; |
| ტალონი | ტალონის გახვრეტა/დაკომბოსტირება; |
| ჟეტონი | მეტროს ჟეტონი. |
| მაგნიტური ბარათი | |
| მძღოლი | |
| ჯარიმა | |

**საქალაქთაშორისო ტრანსპორტი**

| | |
|---|---|
| საჰაერო ტრანსპორტი | |
| თვითმფრინავი | |
| აეროპორტი | |
| ფრენა | საით მიფრინავთ? |
| მოფრენა | მოფრენის დარბაზი; |
| გაფრენა | გაფრენის (ან გასაფრენი) დარბაზი; |
| დაჯდომა, დაჯდა | თვითმფრინავი რომიდან უკვე დაჯდა?/ჩამოფრინდა? |
| რეგისტრაცია | რეგისტრაცია რეისზე; |
| რეისი | რეისის ნომერი; |
| გასასვლელი | გასასვლელი № 8; |
| მხარე | მარჯვენა/მარცხენა მხარე; |
| სალონი | სალონი მწეველებისათვის/ არამწეველებისათვის; |
| კლასი | ბიზნეს/ეკონომიური/პირველი კლასი; |
| პირდაპირი | ეს პირდაპირი რეისია? |
| სტიუარდესა | |

**სარკინიგზო ტრანსპორტი**

| | |
|---|---|
| სადგური/ვაგზალი | კიევის ვაგზალი. |
| მატარებელი | მატარებელი № 67 ბათუმი – თბილისი ჩამოდგება პირველ ლიანდაგზე. სამგზავრო/ჩქარი/საგარეუბნო მატარებელი. |
| ლიანდაგი | |
| ბაქანი | |

**სამდინარო/საზღვაო ტრანსპორტი**

| | |
|---|---|
| სამდინარო ვაგზალი | |
| გემი/თბომავალი | |
| კაიუტა | |
| პორტი | საზღვაო პორტი. |
| ნავსადგური | სამდინარო ნავსადგური; |
| ბილეთების ყიდვა/შეკვეთა | მატარებლის/თვითმფრინავის ბილეთი. |

**ბილეთი**

| | |
|---|---|
| წასასვლელ-დასაბრუნებელი ბილეთი | |
| | ბილეთი ფასდაკლებით; |
| (ბილეთების) შეკვეთების ბიურო | |
| ფასდაკლება | სტუდენტებისათვის ფასდაკლება 20%-ია. |
| გაყიდვა | გაყიდვა ლარებში/ვალუტაზე; გაყიდვა გამგზავრებამდე 30 დღით ადრე. |

| | |
|---|---|
| გამგზავრება | გამგზავრების დღე; |
| დაჯავშნა | ბილეთის/ადგილის დაჯავშნა; |
| შეკვეთა, შეკვეთის მიცემა | შეიძლება ბილეთის შეკვეთა ტელეფონით? |
| გადატანა | შეკვეთის გადატანა 8 ივნისისთვის/ 9 ოქტომბრისთვის. |
| ჩაბარება | ბილეთის ჩაბარება; |
| რიცხვი | რა რიცხვისთვის გნებავთ ბილეთი? |
| განრიგი | მოძრაობის განრიგი; ცვლილებები განრიგში. |
| ყოველდღე | |
| კენტი | კენტ რიცხვებში; |
| ლუწი | ლუწ რიცხვებში; |
| გამოსასვლელი | გამოსასვლელ დღეებში. |
| სამუშაო დღე | |
| დაყოვნება | მატარებლის გასვლა/თვითმფრინავის გაფრენა ყოვნდება; |
| გაუქმება, უქმდება | მატარებელი № 20 გაუქმებულია. |
| დროული, დროულად | გადის/ჩამოდის/ჩამოფრენა დროულად; |
| დაგვიანება, იგვიანებს | მატარებელზე/თვითმფრინავზე დაგვიანება. |
| გასვლა | |
| ჩამოსვლა, ჩამოდგომა | |
| ჩამოსვლა | |

**პირადი ტრანსპორტი**

| | |
|---|---|
| მანქანა, ავტომობილი | |
| მოტოციკლეტი | |
| ველოსიპედი | |
| ტარება, წაყვანა | მანქანის ტარება. |
| მართვის მოწმობა (ნებართვა) | |
| ნომერი | მანქანის ნომრების აღება/ დარეგისტრირება. |
| გაქირავება | მანქანის გაქირავება; |
| დაქირავება | მანქანის ქირით გამოყვანა (დაქირავება). |
| დაზღვევის პოლისი | |
| დაზღვევა | მანქანა დაზღვეულია. |

**საგზაო მოძრაობა**

| | |
|---|---|
| მოძრაობა | ცალმხრივი/ორმხრივი მოძრაობა; |
| გზა | მთავარი/წრიული გზა. |
| მანძილი | |
| ტროტუარი | |
| გზაჯვარედინი | |
| მწკრივი | მარჯვენა/მარცხენა მწკრივი, |

| | |
|---|---|
| | მძღოლებო, იარეთ მარჯვენა მწკრივში. |
| შუქნიშანი | წითელი/ყვითელი/მწვანე შუქი. |
| შუქი | |

**გასვლა წითელ შუქზე**

| | |
|---|---|
| მისახვევი | |
| მოსახვევი | |
| შემოვლა | შემოვლა წრიული გზით. |
| დგომა | დგომა აკრძალულია; |
| სადგომი | ფასიანი/უფასო/სადღეღამისო სადგომი. |
| საგზაო ავტოინსპექცია | |
| წესები | საგზაო მოძრაობის წესები, წესების დარღვევა; |
| ჯარიმა | ჯარიმის გადახდა. |
| დაჯარიმება | |
| უსაფრთხოების ქამარი/ღვედი | |
| აკრძალვა | გაჩერება/შეჩერება/მოძრაობა აკრძალულია; |
| ჩამორთმევა | მართვის მოწმობის ჩამორთმევა; |
| ავარია | ავარიაში მოხვედრა. |
| საგზაო ნიშანი/მანიშნებელი | წარწერები საგზაო ნიშნებზე: შემოვლა, გასვლა/გაჩერება/ შეჩერება/ მოძრაობა აკრძალულია... |
| გზის აბნევა/დაბნევა | |

**მოგზაურობა**

| | |
|---|---|
| მოგზაური | |
| სვლაგეზი | სვლაგეზი დასავლეთ საქართველოში; |
| ექსკურსია | ექსკურსიაზე წასვლა/გამგზავრება; |
| ლაშქრობა | ლაშქრობაში წასვლა. |
| ტურისტი | |
| ტურისტული | ტურისტული სააგენტო/ბიურო. |
| ექსკურსიამძღოლი/გიდი | |
| ჯგუფი | |
| ნახვა, დათვალიერება | აქ რისი ნახვა შეიძლება? ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება. ღირსშესანიშნაობანი: ეკლესია, ტაძარი, მონასტერი, მუზეუმი, სასახლე, სახლ-მუზეუმი, ძეგლი. |
| საზღვარი | საზღვარგარეთ. |
| დასასვენებელი სახლი | |
| საგზური | საოჯახო საგზური; საგზური ორ კაცზე. |
| საგზური ფასდაკლებით | |
| სამხრეთი | სამხრეთში გამგზავრება/დასვენება. |

| | |
|---|---|
| | კონტინენტებია: ავსტრალია, აზია, ამერიკა, აფრიკა, ევროპა. |
| **სასტუმრო** | |
| სასტუმრო, ჰოტელი | კონფერენცია ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ჩატარდა. |
| მოტელი (სასტუმრო სამანქანო გზასთან) | |
| კემპინგი | |
| საერთო საცხოვრებელი | |
| ცხოვრება | |
| გაჩერება | გავჩერდეთ ერთი კვირით/ერთი ღამით; |
| ღამის გათევა | ღამე სასტუმროში გავათიოთ. |
| რეგისტრირება | |
| დარეგისტრირება | |
| ნომერი | ორადგილიანი/ოთხადგილიანი ნომერი; |
| კეთილმოწყობა | კეთილმოწყობილი ნომერი ორ კაცზე. |
| კვება | ორჯერადი/სამჯერადი კვება. |
| დღე-ღამე | |
| მაწყობს/არ მაწყობს | ამ პირობებით დასვენება არ მაწყობს. |
| შეკვეთა | ვახშმის შეკვეთა ნომერში. |
| ადმინისტრატორი | |
| მორიგე | გასაღები მორიგესთან არის; |
| გასაღები | გასაღების აღება/დატოვება/ჩაბარება. |
| გაღვიძება | |
| ფოსტა | ფოსტა როდის მოაქვთ? |
| გადაცემა | ჩემთვის არაფერი (არ) გადმოუციათ? |
| ჩანაწერი, წერილი | ჩანაწერის გაკეთება; წერილის დატოვება. |
| ხანძარი | ხანძრის შემთხვევაში... |
| | ცეცხლმქრობი (არ) მუშაობს; |
| | ტელეფონი/ლიფტი/გათბობა არ მუშაობს; |
| გატეხვა/გაფუჭება | ტელევიზორი გაფუჭდა; პირსაბანის ნიჟარა გატყდა; |
| შეცვლა | ნათურის/პირსახოცის შეცვლა; |
| ანგარიში | ანგარიშის გასწორება; |
| **ანგარიშის მოტანა** | მოგვიტანეთ ანგარიში. |
| ქვითარი | ქვითარის გამოწერა. |
| **ბარგი** | |
| ადგილი, ნაჭერი | რამდენი ნაჭრისაგან/რისგან შედგება თქვენი ბარგი? |
| ნივთი | |

პორტფელი
ჩემოდანი
ჩანთა
ფოტოაპარატი
კინოკამერა
მებარგული
შეფუთვა

**ქვეყანაში შესვლა, ქვეყნიდან გასვლა**

| | |
|---|---|
| საზღვარი | |
| საბაჟო | |
| მებაჟე | |
| გასვლა | |
| გატანა | |
| შემოტანა | |
| წაღება | რა მიგაქვთ? |
| დეკლარაცია | |
| გახსნა/გაღება | გახსენით, თუ შეიძლება, თქვენი ჩემოდანი; |
| ნებართვა | ნებართვის აღება; ნებართვა სურათების/წიგნების გატანაზე; |
| აკრძალვა | ამ ნივთების გატანა აკრძალულია! |
| ბაჟი | ბაჟის გადახდა; |
| უბაჟო | ეს ნივთი უბაჟოდ გატანას ექვემდებარება; |
| ძვირფასი | ძვირფასი ნივთები. |
| ფული | |
| ვალუტა | თქვენ რა ვალუტა გაქვთ? |
| გადაცვლა | ფულის გადაცვლა; |
| ჩაბარება | ჩემოდნის ჩაბარება ბაგაჟში; |
| ვიზა | ვიზის გაგრძელება. |
| ხელბარგი | |
| რეგისტრირება, დარეგისტრირება | |
| ვიზებისა და რეგისტრაციის განყოფილება | |
| განცხადება | განცხადების დაწერა/განცხადებაზე ხელის მოწერა; |
| ჯარიმა | ჯარიმის გადახდა; |
| ქვითარი | ქვითრის მიღება. |

**საბუთები**

| | |
|---|---|
| საბუთი | |
| პასპორტი | |
| სამედიცინო დაზღვევა | |
| ცნობა | ცნობის მიღება; |
| ბეჭედი | ბეჭდის დასმა. |

## გზის პოვნა

შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ იკითხონ, თუ როგორ მივიდნენ რომელიმე ადგილას, გამოარკვიონ მარშრუტის ოპტიმალური ვარიანტი და ამასთანავე უნდა შეეძლოთ მსგავსი განმარტებების სხვებისათვის მიცემა.

| | |
|---|---|
| რუკა | თბილისის რუკა; |
| სქემა | მეტროს სქემა/ტრანსპორტის მოძრაობის სქემა; |
| გეგმა | ცენტრის გეგმა; |
| მარშრუტი | ცვლილება მარშრუტში; |
| უკეთესია | უკეთესია ტაქსით წასვლა. |
| უფრო სწრაფად | |
| უფრო მოხერხებულია | რითი იქნება უფრო მოხერხებული ვაზისუბნამდე მისვლა? |

## ამინდი

შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ გაიგონ ამინდის პროგნოზი, გაცვალონ ინფორმაცია და აზრები კლიმატისა და ამინდის პირობების შესახებ

| | |
|---|---|
| ჰავა | ცივი/თბილი ჰავა; |
| ამინდი | კარგი/ცუდი ამინდი; |
| პროგნოზი | ამინდის პროგნოზი. |
| მზე | |
| მზიანი | მზიანი/უმზეო ამინდი; |
| მოღრუბლული | ღრუბლიანი ამინდი/უღრუბლო ცა; |
| ნალექები | უნალექო ამინდი; |
| წვიმა | ძლიერი/მცირე წვიმა; |
| თოვლი | თოვს/წვიმს; |
| ბურუსი/ნისლი | სქელი ნისლი; |
| ყინვა | ქუჩები მთლად მოიყინა; |
| ქარი | ძლიერი ქარი ქრის. |
| ჭექა-ქუხილი | |
| ტემპერატურა | რამდენი გრადუსი იქნება ხვალ? |
| (ატმოსფერული) წნევა | მაღალი/დაბალი. |
| წნევა იზრდება/მცირდება | |
| ჩრდილი | ჩრდილში 22 გრადუსია; |
| ჰაერი | სუფთა/ნესტიანი/მშრალი ჰაერი. |

**ჯანმრთელობა**

შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ საუბარი საკუთარ ფიზიკურ მდგომარეობაზე (შიმშილი, დაღლილობა და ა.შ.), პირად ჰიგიენასა და პირადი ჰიგიენის საგნებზე; ჯანმრთელობაზე, დაავადებებზე (კერძოდ, ექიმთან აღწერონ თუ რას უჩივიან); უნდა შეეძლოთ სხვისი ინფორმირება უბედური შემთხვევის შესახებ, *სასწრაფო დახმარების* გამოძახება, სამედიცინო დაწესებულებებით სარგებლობა; ამ საკითხების ირგვლივ აზრებისა და ინფორმაციის გაცვლა.

**გუნება/ქეიფი**

როგორ გრძნობთ თავს? როგორ გუნებაზე ხარ? თავს მოხერხებულად/ კომფორტულად/კარგად ვგრძნობ/ თბილად ვარ/მცივა/კარგად/ვარ/ცუდად/ უქეიფოდ ვარ.

| | |
|---|---|
| სურვილი | მშია/მეძინება/ მწყურია/მოსვენება მინდა. |
| დაღლა | |
| ტკივილი | |

**პირადი ჰიგიენა**

| | |
|---|---|
| სუფთა | |
| ჭუჭყიანი | |
| ჯაგრისი | |
| კბილის პასტა | |
| სავარცხელი | |
| სამართებელი | |
| საპონი | |
| სარეცხი ფხვნილი | |
| დაბანა | სად შეიძლება ხელების დაბანა? |
| საპარიკმახერო/სალონი | |
| შეჭრა | თმის შეჭრას ვაპირებ სილამაზის სალონ *მერლინში.* |

**დაავადებები, უბედური შემთხვევები**

| | |
|---|---|
| ჯანმრთელობა | |
| დაავადება | დაავადებები: გრიპი, შიდსი. |
| ავად გახდომა | ნიკო გულით ავადმყოფია; გიზო ციროზით დაავადდა. |
| ტკივილი | თავის/კბილის ტკივილის წამალი/ტკივილი მუცლის არეში; |
| ტემპერატურა | მაღალი/ნორმალური/დაბალი ტემპერატურა. მას სიცხე აქვს. |
| ტკივილი | აქ გტკივათ? |
| თავბრუს ხვევა | თავბრუ მეხვევა; |

| | |
|---|---|
| მადა | კარგი/ცუდი მადა;<br>მადის დაკარგვა; |
| უბედური შემთხვევა | მოხდა უბედური შემთხვევა. |
| დავარდნა | |
| მირტყმა | |
| მოტეხვა | ფეხის მოტეხვა. |
| დამწვრობის მიღება | |
| დამწვრობა | ეს მეორე ხარისხის დამწვრობაა. |
| გაჭრა | თითის გაჭრა; |
| დიეტა | დიეტაზე ყოფნა. |

**სამედიცინო მომსახურება**

| | |
|---|---|
| პოლიკლინიკა | |
| საავადმყოფო | |
| ექიმი | საავადმყოფოში დაწოლა; ექიმთან წასვლა;<br>ექიმი სპეციალისტები: სტომატოლოგი, თერაპევტი, ქირურგი, ოკულისტი. |
| მედდა/ექთანი | |
| სასწრაფო დახმარება | სასწრაფო დახმარების გამოძახება; |
| გამოძახება | ექიმის სახლში გამოძახება; |
| პალატა | |
| მონახულება | ავადმყოფის მონახულება 17-დან 20 საათამდე. |
| რეგისტრატურა | |
| სამედიცინო ბარათი | |
| ჩაწერა | ქირურგთან მიღებაზე ჩაწერა;<br>ქირურგი ჩაწერით იღებს. |
| მიღება | თერაპევტი ავადმყოფებს ხუთშაბათობით იღებს;<br>დღეში სამჯერ მიიღეთ წამალი; |
| მიღება | მიღება დამთავრებულია; |
| ოპერაცია | ოპერაციის გაკეთება; |
| წამალი | წამლის გამოწერა/დალევა/მიღება;<br>ხველის წამალი. |
| აბი | |
| ნემსი/ინექცია | ნემსის გაკეთება; |
| ანალიზი | ანალიზის ჩაბარება/მიღება; |
| რეცეპტი | რეცეპტის გამოწერა; |
| სათვალე | სათვალის ტარება. |

**სამედიცინო დაზღვევა**

| | |
|---|---|
| დაზღვევა | სამედიცინო დაზღვევის ტარიფი;<br>უბედური შემთხვევისგან/ ავადმყოფობისგან დაზღვევა;<br>სამედიცინო დაზღვევა, დაზღვევის მიღება; დაზღვევით სარგებლობა; |
| სადაზღვევო | სადაზღვევო პოლისი;<br>სადაზღვევო კომპანია. |

## განათლება

შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ საუბარი თავიანთი განათლების, კვალიფიკაციის შესახებ; მათთვის საინტერესო სასწავლო დაწესებულებებში ჩაბარებასთან დაკავშირებული საკითხებისა (მაგალითად, ენის კურსებზე) და სწავლების ორგანიზებისა და ღირებულებასთან დაკავშირებული პირობების გარკვევა. ამასთანავე უნდა შეეძლოთ აზრების გაცვლა-გამოცვლა განათლებასთან დაკავშირებით.

| | |
|---|---|
| განათლება | დაწყებითი/საშუალო/სპეციალიზებული/ უმაღლესი/სახელმწიფო/კერძო განათლება; განათლების მიცემა/ მიღება; |
| შესწავლა | უნივერსიტეტში რომელი ენა შეისწავლეთ? |
| მეცადინეობა | მასწავლებელთან ერთად მეცადინეობა; ინდივიდუალური მეცადინეობა; დამატებითი მეცადინეობა; |
| გაკვეთილი | გაკვეთილების ჩატარება/მოსმენა; კერძო გაკვეთილები; გაკვეთილის ფასი/ღირებულება. |
| კურსები | რუსული ენის კურსები; კურსებზე ჩაწერა; კურსებზე სწავლა; კურსების დამთავრება. |
| მასწავლებელი | |
| სტუდენტი | |
| შემსწავლელი/მოსწავლე | |
| სკოლა | |
| ინსტიტუტი | ინსტიტუტში ჩაბარება; |
| უნივერსიტეტი | უნივერსიტეტის დამთავრება. |
| ფაკულტეტი | |
| ცხრილი | გაკვეთილების/მეცადინეობების ცხრილი; ცხრილის შეცვლა; |
| ნიშანი | კარგი/ცუდი ნიშანი; ნიშნის მიღება/დაწერა; |
| ლექსიკონი | ლექსიკონის ხმარება აუცილებელია ენის შესწავლისას. |
| სახელმძღვანელო | |
| ფანქარი | |
| კალამი | |
| ფლომასტერი | |

**სასწავლო საგნები**

| | |
|---|---|
| საგანი | სასწავლო საგნები: მათემატიკა, ინფორმატიკა, გეოგრაფია, ისტორია, ფილოსოფია, რუსული ენა, ქიმია. |

**კვალიფიკაცია**

| | |
|---|---|
| დიპლომი | ინსტიტუტის/უნივერსიტეტის დიპლომი; |
| სერტიფიკატი | კურსების გავლის სერტიფიკატი; მიღება/გაცემა სერტიფიკატის; |
| გაცემა | დიპლომის/სერტიფიკატის გაცემა; |
| გამოცდა | მისაღები/გამოსაშვები გამოცდა; |
| ჩათვლა | |
| ტესტი | |
| ჩაბარება | გამოცდის ჩაბარება. |

**საყიდლები**

შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ საჭირო მაღაზიისა და საქონლის პოვნა ფირნიშისა და მაჩვენებლების დახმარებით; საქონლის შერჩევისას და ყიდვისას მის ხარისხსა და ფასზე საუბარი, საფასურის გადახდა და ამ საკითხების გარშემო ინფორმაციისა და აზრების გაცვლა.

**მაღაზია**

| | |
|---|---|
| მაღაზია | მაღაზიები: გასტრონომი, უნივერმაღი, სუპერმარკეტი, ხილ-ბოსტნეული, საფუნთუშე-საკონდიტრო, სამეურნეო, საიუველირო, ტყავგალანტერეა; |
| კიოსკი | გაზეთების, სუვენირების, კასეტების. |
| ბაზარი | ბაზარში შეიძლება გამყიდველთან ვაჭრობა. |
| სალარო | სალაროსთან რიგი არ არის. მოლარე სწრაფად მუშაობს. |
| რიგი | რიგში დგომა, ურიგოდ წასვლა. |
| თვითმომსახურება | |
| გაყიდვა | გაყიდვა ლარებში. |
| ყიდვა | |
| გამყიდველი | გამყიდველი და მყიდველი შეთანხმდნენ ფასზე. |
| გარანტია | გარანტია 6 თვე. |
| ჩვენება | მაჩვენეთ ეს ტელეფონი. |
| შეცვლა/გამოცვლა | |
| გაზომვა/მოზომება | შეიძლება კაბა მოვიზომო? |
| არჩევა | ამ მაღაზიაში ფართო არჩევანია; |
| დაბრუნება/მიბრუნება | ფეხსაცმელს წუნი ჰქონდა და უკან დავაბრუნე; |
| სხვა | სხვა ფერი/ზომა; |

| | |
|---|---|
| მოდური | მოდური ტანსაცმლის მაღაზია. |
| ფინჯანი | |
| მათლაფა | |
| ჩაიდანი | |
| ყავადანი | |
| ჭიქა | |
| ჩანგალი | |
| დანა | |
| კოვზი | ხის კოვზი, სადილის კოვზი, ჩაის კოვზი, დესერტის კოვზი. |
| ბოთლი | |
| ქილა | |
| ტოსტერი | |
| ბლენდერი | |
| სენდვიჩმეიკერი | |

**ნაყიდი ნივთების ფასის გადახდა**

| | |
|---|---|
| გადახდა | |
| ფასი/ღირებულება/თანხა | საბოლოო ჯამში დიდი თანხა დაგროვდა. |
| დახარჯვა | ბევრი ფული დავხარჯეთ სიგარეტზე. |
| ფული | |
| საკრედიტო ბარათი | საკრედიტო ბარათით გადახდა; |
| ნაღდი ფული | ნაღდი ფულით გადახდა; |
| ჩეკი | ჩეკის გამოწერა; |
| ფასდაკლება | ფასდაკლებით ყიდვა/გაყიდვა; 20%-იანი ფასდაკლება; |
| ხურდა | ხურდის აღებ/მიცემა. |
| დახურდავება | |
| გაცვლა | ვალუტის გაცვლა; |
| ვალუტა | ვალუტა: რუბლი, დოლარი, ევრო, ლირა, ფუნტი სტერლინგი, ლარი; |
| დამატებით | დამატებით გადახდა. |

**ტანსაცმელი, მოდა**

| | |
|---|---|
| | ტანსაცმელი: ქურქი, პალტო, კაბა, პერანგი, ქუდი, ქვედაკაბა, კოსტიუმი, შარვალი; |
| ფეხსაცმელი | ჩექმა, წაღები. |
| საფულე | |
| ჩანთა | |
| სამკაული | თანამედროვე სამკაულს მოდური დიზაინი აქვს; |
| საათი | ძვირფასი საათი იყიდება საიუველირო მაღაზიაში. |
| ჩაცმა | |
| მოხდენა | ეს პალტო ძალიან გიხდებათ. |
| ფერი | |

ზომა
თუთუნი
სიგარეტი
საფერფლე
ასანთი
სანთებელა
მოწევა — ნუ მოსწევთ!
ჩიბუხი

**ოჯახში სახმარი ნივთები**
ჭურჭელი
ავეჯი
ელექტროსაქონელი

## სურსათ-სანოვაგე

შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ სხვადასხვა კერძების დასახელება და შეკვეთა რესტორანში, კაფეში... ინფორმაციისა და აზრების გაცვლა კერძების მომზადების, სხვადასხვა ადგილებში მომსახურების ხარისხის შესახებ.

**საჭმელი**

| | |
|---|---|
| პროდუქტები | |
| ჭამა | |
| საუზმე | |
| სადილი | სადილზე რა გაქვთ? |
| ვახშამი | |
| მომზადება | საუზმე/სადილი/ვახშამი მზადაა. |
| მოხარშვა | |
| შეწვა | |
| გაწმენდა/დათლა | |
| დაჭრა | |
| ბოსტნეული | კარტოფილი, კომბოსტო, პომიდორი, ჭარხალი, კიტრი, სტაფილო, ხახვი. |
| სალათი | პომიდვრის სალათი. |
| სუპი/წვნიანი კერძი | პირველი კერძი: სუპი, მჟაუნის სუპი, მაწვნის შეჭამანდი, ბორში, უხა... |
| ხორცი | საქონლის/ცხვრის/ღორის/ქათმის/ინდაურის/იხვის/ბატის... |
| ძეხვი | მოხარშული/შებოლილი. |
| სოსისი | |
| ლორი | |
| თევზი | ქაშაყი, თართი, ლოქო, ორაგული... |
| ხიზილალა | წითელი/შავი ხიზილალა. |
| ქათამი | დედალი/მამალი/ვარია/წიწილა. |

| | |
|---|---|
| კვერცხი | |
| ერბოკვერცხი/ომლეტი | |
| გოგლი-მოგლი | |
| ყველი | |
| ნაყინი | ნაღების, შოკოლადის, ნიგვზით, |
| | ვანილის, მარწყვის. |
| შოკოლადი | შოკოლადი ნიგვზით. |
| ღვეზელი | ვაშლის, კომბოსტოს ღვეზელი, |
| | ღვეზელი ხორცით, ბრინჯით. |
| | კომბოსტოთი, ხილფაფით. |
| ორცხობილა | |
| ტორტი | |
| ნამცხვარი | |
| კონფეტი | |
| კაკალი | |
| ნიგოზი | |
| ხილი | ვაშლი, ფორთოხალი, მსხალი. |
| კენკრა | ჟოლო, მოცხარი, მაყვალი... |
| მდოგვი | |
| წიწაკა | მწარე/ბულგარული წიწაკა. |
| მარილი | ბევრი მარილი საჭმელს ამლაშებს. |
| კარაქი | |
| ზეთი | |
| ფქვილი | |
| მაკარონი | იტალიური მაკარონი. |
| ვერმიშელი | |
| ბრინჯი | |
| ფაფა | |
| წიწიბურა | |
| პელმენი | |
| პური | თეთრი/შავი/ახალი პური. |
| ბატონი | |
| ნაჭერი | ერთი ნაჭერი რუხი პური. |
| ფუნთუშა | |
| ბუტერბროდი | |
| მურაბა | |
| შაქარი | |
| მაწონი | სოფლის მაწონი. |
| ხაჭო | |
| არაჟანი | |

**სასმელი**

| | |
|---|---|
| დალევა | რას დალევთ? |
| | წვენი, მინერალური წყალი, ლუდი, ღვინო, |
| | არაყი, კონიაკი, შამპანიური. |
| უალკოჰოლო | უალკოჰოლო სასმელი. |
| ჩაი | ჩაის დაყენება. მუქი ჩაი ლიმონით/ რძით; |
| რძე | რძის ფლავი, რძიანი ყავა; |

| | |
|---|---|
| ყავა | ყავის მოდუღება; |
| კაკაო | კაკაოს გაკეთება. |

**საზოგადოებრივი კვების ობიექტები**

| | |
|---|---|
| კაფე | |
| ბარი | |
| სასადილო | |
| რესტორანი | |
| ბუფეტი | |
| ბისტრო | |
| მაკდონალდსი | |
| მომსახურება | მომსახურებისთვის 3% ვიღებთ. |
| თვითმომსახურება | |
| ოფიციანტი | |
| მაგიდა | ცალკე მაგიდა; მაგიდას არ ემსახურებიან; |
| დარბაზი | ცალკე/საერთო დარბაზი; |
| შეკვეთა | მაგიდის/დარბაზის შეკვეთა. |
| კაბინეტი | |
| მენიუ | |
| კერძი | პირველი/მეორე/ეროვნული/საფირმო კერძი; |
| სამზარეულო | რუსული/ეროვნული/ევროპული/ჩინური. |
| ცხელი | ცხელი რა გაქვთ? |
| გარნირი/საკმაზი | |
| დესერტი | |
| შემწვარი | |
| მოხარშული | |
| უმი | |
| არჩევა | |
| გადაწყვეტა | |
| ანგარიში | ანგარიშის მიტანა/გამოწერა; |
| გასამრჯელო | გასამრჯელო ოფიციანტისთვის; |

## მომსახურება

შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, ბანკის, პოლიციის, საკონსულო სამსახურების, სამედიცინო დაწესებულებების, მანქანების გაქირავების ბიუროსი და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებების მომსახურებით სარგებლობა.

**ფოსტა**

| | |
|---|---|
| ფოსტა | ფოსტაში წასვლა; ავიაფოსტა, ელექტრონული ფოსტა; |
| გაგზავნა | ამანათის/წერილის/ტელეგრამის... |
| ამანათი | |
| ბლანკი | |
| შეტყობინება | |
| ფოსტალიონი | |
| საფოსტო | საფოსტო ყუთი/გადაგზავნა/ინდექსი. |
| წერილი | |
| კონვერტი | ავიაკონვერტი. |
| ღია ბარათი | |
| ქაღალდი | |
| მარკა | |
| ავია | |
| მიღება | ავიაფოსტა; |
| პასუხის გაცემა | წერილზე პასუხის გაცემა. |

**ტელეფონი**

| | |
|---|---|
| დარეკვა | საიდან შემიძლია სხვა ქალაქში დარეკვა? |
| ჟეტონი | ჟეტონი ავტომატისთვის. |
| კაბინა | |
| კოდი | ქალაქის/ქვეყნის კოდი. კოდით დარეკვა. |
| საუბარი | საქალაქთაშორისო/საერთაშორისო საუბარი; საუბრის შეკვეთა; |
| აკრეფვა | ნომრის/კოდის აკრეფა; |
| მუშაობა | ტელეფონი არ მუშაობს; |
| კავშირი | კავშირი არ არის. |
| დაკავებულია | |
| (არ) ისმის | ხმა არ გამოდის/არ ისმის. |

**ტელეგრაფი**

| | |
|---|---|
| ტელეგრამა/დეპეშა | ტელეგრამის/დეპეშის გაგზავნა; ფაქსის გაგზავნა/მიღება. |
| სიტყვა | |
| გამგზავნი | |
| შესვლა | ღირებულებაში შედის. |
| ბანკი | |
| ბლანკი | |
| ვალუტა | ვალუტის ყიდვა/გაყიდვა; |
| გაცვლა | ვალუტის გაცვლა, ვალუტის კურსი. |
| ჩეკი | |
| საგზაო ჩეკი | |
| ანგარიში | ანგარიშის გახსნა/დახურვა. |
| კრედიტი | კრედიტის აღება/გაცემა. |

| | |
|---|---|
| გადარიცხვა | ფულის გადარიცხვა ანგარიშზე/საფრანგეთში. |

**პოლიცია**

| | |
|---|---|
| პოლიციის განყოფილება | |
| პოლიციელი | მანქანის გატაცების/ქურდობის განცხადება. |
| განცხადება | |
| ჩივილი | |
| დაკარგვა | საბუთების/პორტფელის დაკარგვა. |

**საკონსულო, საელჩო**

| | |
|---|---|
| კონსული | კონსულის გამოძახება/მასთან შეხვედრის მოთხოვნა; |
| საკონსულო | საკონსულოს წარმომადგენელი. |
| ელჩი | |
| საელჩო | საელჩოს თანამშრომელი/წარმომადგენელი; |
| სავიზო განყოფილება | განაცხადი ვიზის მიღებაზე. |

**ტექმომსახურების სადგური**

| | |
|---|---|
| შეფასება | რემონტის შეფასება. |
| ხელოსანი/ოსტატი | |
| ფილტრი | ფილტრის შეცვლა; |
| ზეთი | ზეთის შეცვლა. |
| საჭე | |
| საბურავი | საბურავის გახვრეტა; |
| ბორბალი | ბორბლის შეცვლა, სათადარიგო ბორბალი. |
| რემონტი/შეკეთება | |
| დაზიანება | |
| სათადარიგო ნაწილი | |
| გატეხვა | |

**ავტოგასამართი სადგური**

| | |
|---|---|
| ავტოგასამართი სადგური | |
| ბენზინი | ბენზინი 96. |
| ბაკი/ავზი | სავსე/ცარიელი ავზი; |
| ღილაკი | დაჭერა ღილაკზე. |

**საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულება**

| | |
|---|---|
| რემონტი/შეკეთება | ფეხსაცმლის/საათის/ჩანთის შეკეთება/რემონტი; ელექტრონაწილების სასწრაფო რემონტი; სარემონტოდ ჩაბარება. |
| გაწმენდა | |
| ქიმწმენდა | |
| ლაქა | ლაქა კოსტიუმზე. |

| | |
|---|---|
| სამრეცხაო (თვითმომსახურება) | |
| მიღება | სარემონტოდ/გასარეცხად მიღება; |
| დაუთავება | თეთრეულის გასარეცხად მიღება. |
| მომსახურება | |
| მზად არის | შეკვეთა მზად არის. |
| შეკვეთა | შეკვეთის ნომერი; შეკვეთის მიღება/ჩაბარება; |
| სასწრაფო | სასწრაფო შეკვეთა/რემონტი; გთხოვთ, სასწრაფოდ გააკეთოთ ეს. |
| ხელოსანი/ოსტატი | |
| სახელოსნო | |
| გამოძახება | ოსტატის შინ გამოძახება; |
| გარეცხვა | ამ სამრეცხაოში მანქანას კარგად რეცხავენ. |

**საინფორმაციო სამსახურები**

(პოლიციის, სახანძრო სამსახურის, სასწრაფო დახმარების, საქალაქო სატელეფონო ცნობარის ტელეფონის ნომრები).

| | |
|---|---|
| ცნობათა ბიურო | ვაგზლის სატელეფონო ცნობათა ბიურო; |
| ცნობარი | სატელეფონო ცნობარი; |
| ცნობა | ცნობის მიღება/მიცემა; ფასიანი/უფასო ცნობა; |
| მიმართვა | მიმართვა ცნობის ასაღებად. |

**უცხოური ენის ფლობა**

შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ ისაუბრონ მეორე ან უცხოური ენის ცოდნის ხარისხის შესახებ და იმ პრობლემებზე, რომლებიც ჩნდება ქართულად საუბრისას.

| | |
|---|---|
| ენა | ენები: ქართული, რუსული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური. |
| ასო | |
| სიტყვა | |
| ფრაზა (წინადადება) | |
| საუბარი | |
| სწავლა | ზეპირად სწავლა. |
| წაკითხვა | |
| დაწერა | |
| შეკითხვა | შეკითხვის დასმა; |
| პასუხი | შეკითხვაზე პასუხის გაცემა. |
| გაგება | |

| | |
|---|---|
| თარგმნა | |
| ახსნა | |
| გამეორება | |
| ნიშნავს | რას ნიშნავს ეს სიტყვა? |
| თარგმანი | თარგმანის გაკეთება; |
| ცოტა | ცოტას გაგება;<br>ცოტა უფრო ნელა; |
| ლექსიკონი | ქართულ-ინგლისური ლექსიკონი. |
| გასაგებია/გაუგებარია | |
| შეცდომა | შეცდომის დაშვება/გამოსწორება/კორექცია;<br>თვითკორექცია. |

## ადამიანებს შორის ურთიერთობა

შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ პირად ურთიერთობებზე, საზოგადო ცხოვრებაზე, სოციალურ პრობლემებზე, ხელისუფლებაზე, პოლიტიკაზე, კანონებზე, დანაშაულზე, ომის და მშვიდობის თემაზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრობაზე საუბარი და აზრების გაცვლა ამ საკითხებთან დაკავშირებით.

**სტუმრობა**

| | |
|---|---|
| დღესასწაულის აღნიშვნა | დღესასწაულები: ახლი წელი, შობა, აღდგომა, გიორგობა, მარიამობა, ნანაობა, ნინაობა, თამარობა, ნიკოლოზობა...<br>საოჯახო დღესასწაულები: დაბადების დღე, იუბილე, ქორწილი; |
| აღნიშვნა | ქეთევანი დღესასწაულს აღნიშნავს; |
| წასვლა | სტუმრად წასვლა; |
| შევლა | შემოიარეთ ჩვენთან სტუმრად. |
| მოსვლა | მოდით/მობრძანდით ამ საღამოს ჩვენთან; |
| მოცდა | გიცდით ამ საღამოს ჩვენთან. |
| გაცნობა | |
| საუბარი | |
| ცეკვა | |
| მილოცვა | |
| საჩუქარი | |
| ჩუქება | ყვავილების ჩუქება; |
| შეთავაზება | მიირთვით; |
| მიღებულია/არ არის | ჩვენთან ეს მიღებულია/არ არის. |

## საუბრები ინტერესების მიხედვით

### საზოგადო ორგანიზაციების წევრობა

| | |
|---|---|
| კლუბი | |
| პროფკავშირი | |
| შესვლა, გაწევრიანება | საზოგადოებაში/კლუბში/პარტიაში გაწევრიანება; |
| წევრი | კლუბის წევრი. |
| კრება | |
| შეკრება | ვიკრიბებით კვირაში ორჯერ. |

### ხელისუფლება, პოლიტიკა

| | |
|---|---|
| სახელმწიფო | მრავალენოვანი სახელმწიფო. |
| კონსტიტუცია | |
| ხელისუფლება | |
| პარლამენტი | |
| პრეზიდენტი | |
| ბრძანებულება | ბრძანებულების გაცემა. |
| პრემიერმინისტრი | |
| მინისტრი | |
| სამინისტრო | საგარეო საქმეთა სამინისტრო. |
| თავმჯდომარე | |
| დეპუტატი | |
| წარმომადგენელი | |
| არჩევნები | |
| არჩევა | |
| კანდიდატი | დეპუტატობის კანდიდატი. |
| ხმის მიცემა | |
| მთავრობა | სახელმწიფო/ძლიერი/სუსტი მთავრობა; |
| ეკონომიკა | განვითარებული/ჩამორჩენილი ეკონომიკა. |
| ეკონომიკური | |
| ხელშეკრულება | ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. |
| მრეწველობა | |
| სოფლის მეურნეობა | |
| რეფორმა | რეფორმის ჩატარება; |
| საკუთრება | კერძო/სახელმწიფო საკუთრება; |
| პოლიტიკა | სახელმწიფო პოლიტიკა; |
| პოლიტიკოსი | პოპულარული/ახალგაზრდა პოლიტიკოსი. |
| პოლიტიკური | |
| პარტია | პოლიტიკური პარტიებია: ნაციონალური, სოციალ-დემოკრატიული, ლეიბორისტული, რესპუბლიკური... |

**რესპუბლიკა**

| | |
|---|---|
| ავტონომია | |
| ოლქი | |
| ევროპის საბჭო | |
| ევროპის კავშირი | |
| დსთ (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) | |
| ნატო (ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი) | ნატო სიტყვა-სიტყვით ნიშნავს – ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციას. |

**წესრიგი და კანონდარღვევა**

| | |
|---|---|
| დანაშაული | დანაშაულის ჩადენა. |
| დამნაშავე | |
| ქურდი | |
| ქურდობა | |
| მოპარვა | საბუთების/საფულის მოპარვა. |
| მოკვლა | |
| მოტაცება | მანქანა მოიტაცეს; |
| აფეთქება | აფეთქება მეტროში; ბომბის აფეთქება. |
| სროლა | |
| იარაღი | |
| ბომბა | |
| ტერორისტი | |
| ტერორიზმი | ტერორიზმთან ბრძოლა. |
| მაფია | |
| ნარკოტიკი | |
| ალკოჰოლი | |
| მსხვერპლი | მსხვერპლი არ არის; |
| უფლება | უფლების ქონა. |
| დაპატიმრება | |
| მოძებნა | დამნაშავის მოძებნა; |
| კანონი | კანონის მიღება; |
| ადვოკატი | ადვოკატის თანდასწრებით |
| სასამართლო | სასამართლოში ჩივილი. |
| მოწმე | |
| ციხე | |

**ომი და მშვიდობა**

| | |
|---|---|
| | ომამდე, ომის შემდეგ, ომის დროს; ომი მძვინვარებს; ომი დამთავრდა, მშვიდობისა გეშინოდეთ. |
| კონფლიქტი | სამხედრო/საერთაშორისო კონფლიქტი; კონფლიქტის დაწყება/დასრულება; |
| არმია | არმიაში სამსახური; |
| ჯარი | გაეროს ჯარების შეყვანა. |

ფლოტი
ავიაცია
ჯარისკაცი
ოფიცერი
სამხედრო
თავდასხმა
თავდაცვა
ზავი

| | |
|---|---|
| დაზავება | ზავის დადება/დაზავება/ზავის დარღვევა. |

ჯაშუში
გამარჯვება
დამარცხება

| | |
|---|---|
| გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) | გაეროს შტაბ-ბინა ნიუ-იორკში. |

**სოციალური პრობლემები**

საზოგადოება

| | |
|---|---|
| პრობლემა | ეკონომიკური/ეკოლოგიური პრობლემები; |
| სოციოლოგიური გამოკითხვა | სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარება; გამოკითხვის შედეგები; |
| დაბინძურება | ჰაერის/წყლის დაბინძურება ეკოლოგიური პრობლემაა. |
| ღარიბი/სიღარიბე | |
| მდიდარი/სიმდიდრე | |
| უმუშევრობა | |
| დახმარება | |
| შემწეობა | |
| უფლება | ადამიანის უფლების დაცვა/დარღვევა; |
| ცხოვრების დონე | დაბალი/მაღალი დონე. |
| ინფლაცია | |
| ფასები | |
| გადასახადი/გადასახადები | განცხადების შემცირება/გაზრდა. |

# B2 – ზღვრული განვითარებული დონე

## პიროვნების იდენტიფიკაცია

**ვინაობა**

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი | რა გვარის ბრძანდებით? |
| გვარის დაწერა | |
| ბატონი (ბ-ნი), ქალბატონი (ქ-ნი) | მე გახლავართ გიორგი ჭყონია, ფირმის მენეჯერი. |

**მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა (სამშობლო)**

| | |
|---|---|
| ცხოვრება . . . -ში | მე ვცხოვრობ ავსტრიაში; |
| ჩამოსვლა . . . -დან | მე ჩამოვედი ავსტრიიდან. |
| მისამართი | |
| ქალაქი | |
| ქუჩა | |
| სახლის ნომერი | |

**დაბადების თარიღი და ადგილი**

| | |
|---|---|
| დაბადების თარიღი | დაბადებული 1985 წლის 9 ივლისს. |
| დაბადების ადგილი | თბილისი. |

**ასაკი**

| | |
|---|---|
| დიდი, ზრდასრული | ნოდარი უკვე ხანდაზმულია. |
| პატარა, ბავშვი | |
| დავაჟკაცება, დაქალება | ნუკრი მოწიფულ ასაკშია, მაგრამ ბავშვივით იქცევა. |

**სქესი**

მამრობითი (მამრ.)

მდედრობითი (მდედრ.)

**ოჯახური მდგომარეობა**

ცოლიანი/უცოლო

გათხოვილი/გასათხოვარი/
გაუთხოვარი/მარტოხელა/ქვრივი

**ეროვნება**

ინგლისელი, ფრანგი, რუსი, ქართველი, გერმანელი.
ფირმის ხელმძღვანელი ეროვნებით გერმანელია.

**დაწესებულების დასახელება**
**სამუშაო ადგილი და თანამდებობა**

| | |
|---|---|
| კომპანია | კომპანიის მფლობელი; |
| ფირმა | ფირმის ადვოკატი; |
| სამინისტრო | მინისტრის მოადგილე. |

**განათლება**

| | |
|---|---|
| უმაღლესი, საშუალო, არასრული | |
| საშუალო, არასრული უმაღლესი | - რა დაამთავრეთ?- მე უნივერსიტეტი დავამთავრე. |

## საქმიანი გამგზავრება საქართველოში (შესვლა/გასვლა)

**საპასპორტო კონტროლი**
მივლინება: მცირევადიანი,
რამდენიმე დღიანი, ერთთვიანი
ვადა
პასპორტი, პასპორტის წარდგენა
ვიზა, ვიზის გაგრძელება

**საბაჟო სამსახური (საბაჟო)**

| | |
|---|---|
| საბაჟო დეკლარაცია: შევსება, ხელმოწერა, წარდგინება | |
| ბაჟი: გადახდა, ამოღება, დაკისრება | |
| უბაჟოდ გატანა | რის გატანა შეიძლება უბაჟოდ? |
| ქონების გათავისუფლება საბაჟო გადასახადებისაგან | სად ხდება ქონების გათავისუფლება საბაჟო გადასახადებისაგან? |
| საბაჟო ტარიფი | |
| საბაჟო ინსპექტორი | |
| ბარგი: პირადი, უგამყოლო | ჩანთას აბარებთ, თუ თან მიგაქვთ სალონში? |
| ტვირთი (კოლოფი, ყუთი): აწონვა, რეგისტრირება, გატანა, გახსნა | |
| ნებართვა/აკრძალვა (წიგნების, სურათების, ხატების, ძვირფასეულობის) შემოტანაზე/ გატანაზე | თქვენ გაქვთ ნებართვა ამ სურათის გატანაზე? |
| საბარგო ურიკა | |
| ნივთები: ძვირფასი, პირადი | |
| ტვირთი, ტვირთის დანაკარგი | |
| საბაჟო კონტროლი | |
| წარდგენა საბაჟო კონტროლისთვის | |

სატვირთო საბაჟო დეკლარაცია

| | |
|---|---|
| სპეციფიკაცია | |
| შეფუთვა | |
| ტვირთის გახსნა | |
| ჩხრეკა, ჩხრეკის წარმოება | |
| ტვირთის გაფორმება | სად ფორმდება ტვირთი? |
| საწყობი | |
| ტვირთის დაზიანება | |

**პოლიცია**
პოლიციელი
დოკუმენტის წარდგენა

## სასტუმრო

| | |
|---|---|
| **სასტუმრო** | |
| გაჩერება ერთი კვირით/ერთი ღამით | სასტუმროს დაჯავშნა. |
| რეგისტრირება/დარეგისტრირება | |
| ბლანკის შევსება | |
| ცხოვრება | რომელ სასტუმროში ცხოვრობთ? |

**სასტუმროს ნომერი**
ერთადგილიანი, ორადგილიანი, ლუქსი;

**ადმინისტრატორი**
მორიგე
გაღვიძება (. . . სთ-ზე)

**ჩანაწერი, წერილი**
ჩანაწერის/წერილის დატოვება
ჩანაწერის/წერილის გადაცემა

| | |
|---|---|
| **(არ) მუშაობა** | |
| (არ) მუშაობს | ტელეფონი/ლიფტი/გათბობა არ მუშაობს. |

| | |
|---|---|
| **შეცვლა, გამოცვლა** | |
| შეცვლა | პირსახოცის შეცვლა; |
| გამოცვლა | ნათურის გამოცვლა. |

**ანგარიში**
ანგარიშის მოტანა/გასწორება
საერთაშორისო ლაპარაკის ანგარიში

**ქვითარი**
ქვითრის გამოწერა

## გართობა

**რესტორანი, სამორინე, ღამის კლუბი**
რესტორანი, ოფიციანტი, შეკვეთა
მენიუს შეკვეთა/მოტანა
კერძი: ეროვნული, საფირმო, ჩინური
რომელი საფირმო კერძის შემოთავაზება შეგიძლიათ?
კერძის შერჩევა
საუზმე, დესერტი, ანგარიში, გასამრჯელო
ანგარიშის მოტანა/გამოწერა

**თეატრი**
ბილეთი, თეატრის სალარო, თეატრალური სეზონი
სპექტაკლი, ბალეტი, ოპერა
ადგილი — პარტერი, ამფითეატრი, იარუსი...

**საყიდლები**
მარკეტი, სუპერმარკეტი, უნივერმაღი, სუვენირების, სამრეწველო საქონლის მაღაზია

**გამყიდველი**
ნახვა, ჩვენება — რა ღირს?

**სალარო**
გადახდა
გადახდა საკრედიტო ბარათით/ნაღდი ფულით
ხურდა, წვრილი ფული

**ჩეკი**
ჩეკის გამოწერა/განაღდება

## ტრანსპორტი

**საზოგადოებრივი ტრანსპორტი**
ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი, მეტრო

**მგზავრობა**
ერთი მგზავრის ტალონი

**გაჩერება**
ავტობუსის, ტროლეიბუსის, ტრამვაის გაჩერება
გაჩერების გამოცხადება

**გადაჯდომა**
გადაჯდომა

**გადასვლა**
მიწისქვეშა გადასასვლელი
მეტროს გადასასვლელი
გადასვლა შუქნიშანზე

**ბილეთი**
ავტობუსის, ტროლეიბუსის,
ტრამვაის ბილეთი

**ჟეტონი**
მეტროს ჟეტონი

**ტაქსი**
ტაქსის აყვანა
ტაქსის სადგომი
ტაქსის მძღოლი
**მგზავრობის საფასურის გადახდა**

## ბანკი/გადამცვლელი პუნქტები

**ბანკი**
სახელმწიფო, კომერციული, კერძო, აქციონერული, შემნახველი, საპაიო.

საბანკო/ბანკთაშორისი კრედიტი
საბანკო გარანტია
ბანკირი (ბანკის მეპატრონე)

**ანაბარი**
მეანაბრე
ანაბარი — მოკითხვამდე, სასწრაფო, წარმომდგენზე, დეპოზიტური.
ანაბრის სახეობა.
ანაბრის თანხა.
ანაბრის ვადა.
ანაბრის პირობები.

სავალუტო ანგარიში
ლარის სავალუტო კურსი — დოლარის სავალუტო კურსი ლართან მიმართებაში შეადგენს . . .
როგორია ამჟამად ლარის კურსი?

ანაბრის მიღება ნაღდი
ანგარიშსწორებით
ანაბრის გაფორმება
ანაბრის დახურვა

ანაბრის ანდერძით დატოვება/
გაფორმება

**გადაცვალა**
ვალუტის გადაცვალა
გადამცვლელი პუნქტი

**ვალუტის კურსი**
ოფიციალური
მოქმედი
კურსის დადგენა — როგორია ლარის კურსი ევროსთან მიმართებაში.
კურსის შეცვლა
საკურსო ბიულეტენი
ვალუტის შესყიდვა/გაყიდვა

**პირი**
ფიზიკური
იურიდიული

**ანგარიში**
საანგარიშსწორებო
გადარიცხვა ანგარიშზე — თანხა თქვენს პირად ანგარიშზე გადაირიცხება.
გადარიცხვა ანგარიშიდან
ანგარიშის განაღდება
ანგარიშის გახსნა — ანგარიშის გასახსნელად მცირე თანხაც საკმარისია.
ანგარიშის დახურვა
ჩეკის გამოწერა
საგზაო ჩეკი
საკრედიტო ბარათი — მე საკრედიტო ბარათი არა მაქვს.
საგარანტიო წერილი

**თანხა**
ნაღდი, უნაღდო
თანხის დაწერა ციფრებით
თანხის დაწერა სიტყვებით

**ოპერაცია** — საბანკო ოპერაციები.
შესავლის
გასავლის
გაცვლის
სავალუტო
საკრედიტო

**გადაყვანა, გადაზიდვა**
თანხის გადაგზავნა:
უცხოურ ბანკებში

დსთ-ს ბანკებში
არასაბანკო დაწესებულებებში
თანხის ანგარიშზე დასმა

**კონვერსია**

| | |
|---|---|
| თანხის კონვერსია: | ლარებში; ევროებში; სხვა ვალუტაში. |

## საქმიანი ინფორმაციის მოძიება

**ფირმა**

| | |
|---|---|
| ფირმა გთავაზობთ | ფირმა გთავაზობთ კაბელს დაბალ ფასებში. |
| ფირმა გიწვევთ | ფირმა იწვევს პროგრამების სპეციალისტებს. |
| ფირმა ეძებს | ფირმა ეძებს პარტნიორს ერთობლივი საწარმოს შესაქმნელად. |
| ფირმა დაგეხმარებათ | ფირმა დაგეხმარებათ ელექტროხელსაწყოების რეალიზაციაში. |
| ფირმა გააქირავებს | ფირმა გააქირავებს შენობას. |
| ფირმა იქირავებს | ფირმა იქირავებს შენობას საწყობისათვის. |

**მომსახურება**

| | |
|---|---|
| მომსახურების გაწევა | ფირმა ეწევა საშუამავლო მომსახურებას. |

**პარტნიორი**
**რეკლამა, განცხადება**

| | |
|---|---|
| განცხადების გამოქვეყნება | როგორია ამ რეკლამის გამოქვეყნების ვადა? |

**პუბლიკაციის ვადა**

როდის არის სტატიის მოტანის ბოლო ვადა?

**ფასი**

**შრიფტი**
მსხვილი, წვრილი

**ჩარჩო**
ტექსტი ჩაჯდეს ჩარჩოში/
დარჩეს ჩარჩოს გარეშე

| | |
|---|---|
| **ელექტრონული ფოსტა** | მითხარით გეთაყვა, თქვენი ელ-ფოსტის მისამართი. |
| **ფაქსი** | |
| **ტელექსი** | |
| ფაქსის, ტელექსის მიღება/ გაგზავნა | |
| **ტელეფონი** | |
| საუბრის ერთი წუთი | |
| **მოთხოვნა** | |
| მოთხოვნის გაგზავნა, პასუხი მოთხოვნაზე | |
| მოთხოვნით მიმართვა | |
| **თხოვნა** | |
| თხოვნით მიმართვა | მყიდველმა მოგვმართა თხოვნით, რომ გავუგზავნოთ ჩვენი ახალი პროდუქციის აღწერილობა. გთხოვთ გამოგვიგზავნოთ კატალოგები. |
| წინადადება საქონლის მოწოდებაზე | ჩვენ შევთავაზეთ წინადადება საქონლის მოწოდებაზე. |
| მყიდველი, ყიდვა | |
| გამყიდველი, გაყიდვა | |
| ტექნიკური მონაცემები, დახასიათება | |
| ინფორმირება | ამ მოთხოვნაში ფირმა გვაწვდის ინფორმაციას ჩარხის ძირითადი მახასიათებლების შესახებ. |
| ინფორმაცია | ჩვენ რეგულარულად ვაწვდით მომხმარებელს საჭირო ინფორმაციას. |
| გადახდის პირობები | როგორია გადახდის პირობები? |
| კატალოგი | ჩვენ გვაინტერესებს უკანასკნელი კატალოგები. |
| ანგარიშსწორების ფორმა | ჩვენ გვაინტერესებს ანგარიშსწორების ფორმა. |
| შეკითხვა, საკითხი, გარკვევა | მე მაინტერესებს ერთი საკითხის გარკვევა, რა დრომდეა ძალაში პრეისკურანტში მოცემული ფასები. |
| გადახდა (ღირებულების) | |
| გადახდის ფორმა | გადახდის რომელი ფორმა გაწყობთ? |
| აკრედიტივი | |
| ინკასო | ჩვენ ვართ თანახმა ინკასოზე, თუ თქვენი ბანკი იძლევა გადახდის გარანტიას. |
| საავანსო გადარიცხვა | |
| ნაღდი ანგარიში *ქეში* | ეს საქონელი იყიდება მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით. |

## საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრება

შემსწავლელს უნდა შეეძლოს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებში გარკვევა, ინფორმაციის მოპოვება საკუთრების სხვადასხვაგვარი ფორმის, სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მიმართულების შესახებ.

| | |
|---|---|
| **ეკონომიკა** | |
| საქართველოს ეკონომიკა | |
| საბაზრო ეკონომიკა | საბაზრო ეკონომიკა განიცდის აღმავლობას. |
| გეგმიური ეკონომიკა | |
| ეკონომიკის სტაბილიზაცია | შეიმჩნევა ეკონომიკის სტაბილიზაცია. |
| ეკონომიკური რეფორმა | |
| ეკონომიკური ზრდა | |
| ეკონომიკური ჩავარდნა | ეკონომიკური ჩავარდნის მიზეზი ჯერ არ არის შესწავლილი. |
| ინფლაცია, ჰიპერინფლაცია | |
| ეკონომიკური კავშირების რღვევა | |
| მომწოდებელი, მწარმოებელი, მომხმარებელი | მომხმარებელი დამოკიდებულია მწარმოებელზე. |
| წარმოების ჩავარდნა, წარმოების აღმავლობა | |
| (არა) რენტაბელური წარმოება | ეს არის რენტაბელური წარმოება. |
| ზარალი, მოგება | ჩვენ ვნახეთ დიდი ზარალი. |
| გადაუხდელობის კრიზისი | |
| გაკოტრება | ეს წარმოება გაკოტრდა. |
| **თანამშრომლობა** | |
| საქმიანი | |
| ორმხრივი | დამყარდა ორმხრივი თანამშრომლობა ბიბლიოთეკებს შორის. |
| მრავალმხრივი | |
| მჭიდრო | მჭიდრო თანამშრომლობა საქმეში აისახა. |
| სამეცნიერო-ტექნიკური | |
| სავაჭრო-ეკონომიკური | |
| კულტურული ურთიერთობა ქვეყნებს შორის | |
| ურთიერთთანამშრომლობა | ურთიერთთანამშრომლობა მნიშვნელოვნად ღრმავდება. |
| თანამშრომლობის დამყარება | დამყარდა თანამშრომლობა უნივერსიტეტებს შორის. |
| თანამშრომლობის გაღრმავება | |
| თანამშრომლობის ფორმები | |
| ერთობლივი საწარმო | |

| | |
|---|---|
| ერთობლივი საწარმოს შექმნა | ხვალ ჩვენ გვექნება მოლაპარაკება ერთობლივი წარმოების შექმნის თაობაზე. |
| საინვესტიციო საქმიანობის წარმართვა | |
| კონტაქტები: სამეცნიერო, კულტურული | სამეცნიერო კონტაქტები აუცილებელია ერის გონებრივი განვითარებისათვის. |
| მრავალმხრივი, საქმიანი | ჩვენ დაინტერესებული ვართ მრავალმხრივი კონტაქტების დამყარებით. |
| კონტაქტების დამყარება | |
| კონტაქტების აღდგენა | აღდგა კონტაქტები რუსეთის ფედერაციასთან. |
| კონტაქტების გაღრმავება | ჩვენ გვსურს კონტაქტების გაღრმავება ბევრ ქვეყანასთან. |
| კავშირები: ეკონომიკური, საერთაშორისო | დაირღვა ეკონომიკური კავშირები რუსეთთან. |
| საქმიანი, სავაჭრო, პირდაპირი | სავაჭრო კავშირების გაღრმავებას ხელს უშლის არაერთი ფაქტორი. |
| კავშირების დამყარება | დამყარდა მჭიდრო კავშირი პრეზიდენტებს შორის. |
| **ვალდებულებები** | |
| ურთიერთვალდებულება | |
| საკონტრაქტო ვალდებულება | |
| ვალდებულების აღება, შესრულება | ეს ფირმა ყოველთვის ასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. |
| ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა | |
| ვალდებულების შესრულება/ შეუსრულებლობა | ვალდებულებების შეუსრულებლობა განიხილება როგორც ხელშეკრულების დარღვევა. |
| **გაცვლა** | |
| აზრთა გაცვლა-გამოცვლა | აზრთა გაცვლა-გამოცვლა გადავიდა მძაფრ კამათში. |
| საქონლის გაცვლა | |
| გამოცდილების გაზიარება | აზრთა გაცვლა-გამოცვლას მოჰყვა გამოცდილების გაზიარება. |
| **ურთიერთობები** | |
| ქართულ-ლატვიური ორმხრივი ურთიერთობა | |

ურთიერთობის განმტკიცება
განმტკიცდა სავაჭრო ურთიერთობა ჩვენ ქვეყნებს შორის.

ურთიერთობის გაღრმავება
ურთიერთობის გაღრმავებას ხელს უშლის პოლიტიკური დაძაბულობა.

**სოფლის მეურნეობა**

სოფელი
სოფლის მეურნეობა საჭიროებს ინვესტიციებს.
ამ სოფელში არის ძროხების ფერმა.

მეურნეობა: ფერმერული/საოჯახო
წვრილი ფერმერული მეურნეობა გახდა მომგებიანი.

სასოფლო სამეურნეო წარმოება

სასოფლო სამეურნეო პროდუქცია
სასოფლო სამეურნეო პროდუქცია მნიშვნელოვნად გაიზარდა.

აგროსამრეწველო კომპლექსი

**ტრანსპორტი**

საჰაერო
საჰაერო მიმოსვლა რუსეთთან აღდგება წლის ბოლოსთვის.

რკინიგზის

წყლის: საზღვაო,

სამდინარო ტვირთების,

საქონლის ტრანსპორტირება
ჩვენში არ არსებობს მდინარის ტრანსპორტი.
ვინაა პასუხისმგებელი ტვირთების ტრანსპორტირებაზე?

მოწოდება/საქონლის მოწოდება

ტვირთების მოწოდება
თქვენ ვალდებული ხართ, მოგვაწოდოთ ეს ტვირთი თვის ბოლომდე.

მომწოდებელი

**მრეწველობა**

მძიმე/მსუბუქი მრეწველობა

ნავთობის/ქიმიური მრეწველობა
მეზობელი ქვეყნები ზრდიან ნავთობის წარმოებას.

მრეწველობის დარგი

სამხედრო სამრეწველო კომპლექსი
რუსეთში გაძლიერდა სამხედრო სამრეწველო კომპლექსი.

**წარმოება**

სამრეწველო წარმოება
სამრეწველო წარმოება საჭიროებს ახალ ტექნოლოგიებს.

ქიმიური, სერიული წარმოება

საქონლის, პროდუქტების წარმოება

წარმოების ზრდა, კლება

**საწარმო, ორგანიზაცია, ფირმა**

| | |
|---|---|
| საწარმო: კერძო/სახელმწიფო | რას აწარმოებს ეს ფირმა? |
| სააქციო, ქართულ-თურქული | ეს ქართულ-თურქული საწარმო უშვებს სარეცხ საშუალებებს. |
| მცირე, ერთობლივი მეწარმე ქარხანა, ფაბრიკა, კომბინატი, გაერთიანება სააქციო საზოგადოება, ასოციაცია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) | დღეს ეს მსხვილი გაერთიანება ზარალის მომტანია. დაფუძნდა კავკასიოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია. |

**ბაზარი**

| | |
|---|---|
| მსოფლიო, შიდა, გარე | |
| სავალუტო, სასაქონლო, საფონდო | მსოფლიო ბაზარი სავსეა საუკეთესო პროდუქციით. |
| ძვირფასი ქაღალდების ბაზარი | |
| გასაღების ბაზარი | ჩვენ გვაკლია გასაღების ბაზარი მეღვინეობის დარგში. |

**ვაჭრობა**

| | |
|---|---|
| საგარეო/საშინაო | როგორია ჩვენი საგარეო ვაჭრობის მდგომარეობა? |
| მომგებიანი | |
| სავაჭრო შეთანხმება | ჩვენ დავდეთ სავაჭრო ხელშეკრულება უკრაინასთან. |
| სავაჭრო კონტაქტები | |
| ნავთობით ვაჭრობა | ნავთობით ვაჭრობა არ უნდა გახდეს კორუფციის საგანი. |
| საქონლის ბრუნვის გაზრდა/ შემცირება | მნიშვნელოვნად გაიზარდა საქონლის ტვირთბრუნვა. |

**ფასი, ღირებულება**

| | |
|---|---|
| ფასი | რა ფასად გვთავაზობთ საქონელს? ჩვენი ფასი მოიცავს საქონლის ღირებულებას და დაზღვევას/ საქონლის ღირებულებას და გემის ბორტზე მიტანას. |
| თვითღირებულება | ამ საქონლის თვითღირებულება ძალიან მაღალია. |

**საკუთრება**

| | |
|---|---|
| საკუთრების ფორმები | პერესტროიკამ შეცვალა წარმოდგენა საკუთრების ფორმებზე. |
| სახელმწიფო საკუთრება | |

| | |
|---|---|
| კერძო საკუთრება | კერძო საკუთრების არასწორ გაგებას მოაქვს გარკვეული ზიანი. |
| ინტელექტუალური საკუთრება | ყველაზე ძვირი ინტელექტუალური საკუთრებაა. |
| მიწის საკუთრება | |
| მესაკუთრე | ადრე სოფელში კერძო მესაკუთრეებს ეძახდნენ *კულაკს*. |
| საკუთარი ფირმა | მან საკუთარი ფირმა შექმნა. |
| **პრივატიზაცია** | |
| | ჩვენში ბინები პრივატიზებულია. |
| **ფინანსები** | |
| ფინანსირება | |
| მშენებლობის ფინანსირება | დღეს მშენებლობის ფინანსირება ყველაზე მომგებიანია. |
| ასიგნირება, სუბსიდირება | |
| ფინანსისტი | მე გახლავართ ფირმის მთავარი ფინანსისტი. |
| **ფული (სახსრები)** | |
| ფული: ქაღალდის, პლასტიკური | ქაღალდის ფული შეცვალა პლასტიკურმა ბარათებმა. |
| ფულის შეტანა | შეიტანეთ ფული ბანკში. |
| ნაღდი ფული, უნაღდო ანგარიშსწორება | დაწესებულებას აკრძალული აქვს ნაღდი ფულით ანგარიშსწორება. |
| **ვალუტა** | |
| კონვერტირებადი | დოლარი კონვერტირებადი ვალუტაა. |
| არაკონვერტირებადი | ლარი არაკონვერტირებადია. |
| **შემოსავალი** | |
| სუფთა შემოსავალი, დაბალი შემოსავალი | ჩემი სუფთა შემოსავალი ძლივს მყოფნის შემდეგ ხელფასამდე. |
| წარმოების შემოსავალი | ამ წარმოების შემოსავალი მეტად დაბალია. |
| **მოგება** | |
| მოგება დიდი/მაქსიმალური/დაბალი | საწარმოს აქვს დიდი მოგება. |
| მოგების მიღება | სახელმწიფომ მიიღო დიდი მოგება; |
| მომგებიანი საწარმო | ეს ლუდის ქარხანა წარმოადგენს მომგებიანი საწარმოა. |
| **წაგება, ზარალი** | |
| ზარალი | ფორს-მაჟორულ სიტუაციასთან დაკავშირებით ჩვენმა საწარმომ განიცადა დიდი ზარალი. |
| ზარალიანი საწარმო | |

**გადასახადი**

| | |
|---|---|
| საშემოსავლო გადასახადი | საშემოსავლო ზარალი 12 პროცენტს შეადგენს. |
| დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) | |
| საგადასახდო ინსპექტორი | |
| საგადასახადო ინსპექცია | |

## პირველი საქმიანი კონტაქტები

შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ საკუთარი თავისა და კოლეგების წარმოდგენა გვარით, სახელით, თანამდებობით, იმ კომპანიის დასახელებით, რომელსაც ისინი წარმოადგენენ; კომპანიის მოკლე დახასიათება, იმ ქვეყნის გაცნობა სტუმრებისათვის, სადაც ისინი ცხოვრობენ და მუშაობენ; პარტნიორების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის გაგება; საქმიან შეხვედრაზე შეთანხმება; საქმიან სადილზე დაპატიჟება და მსგავსი მოწვევის მიღება.

**გვარი, სახელი**

| | |
|---|---|
| | მე გახლავართ ჯიმ ტეილორი; |
| ბატონი, ქალბატონი | ეს ბატონი რონალდ სტივენსონია. |
| სახელი | რა გქვიათ თქვენ? |
| იწერება, წარმოითქმის | |
| ხელმოწერა | |
| სავიზიტო ბარათი | ინებეთ ჩემი სავიზიტო ბარათი. |

**თანამდებობა**

| | |
|---|---|
| დირექტორი: გენერალური, კომერციული | ეს ჩვენი ფირმის გენერალური დირექტორი გახლავთ. |
| მენეჯერი (ფირმის, კომპანიის...) | |
| დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი | |
| წარმომადგენელი: ოფიციალური | ეს ჩვენი ფირმის ოფიციალური წარმომადგენელია. |
| სპეციალური | ჩვენ გვაქვს ამ ქალაქში სპეციალური წარმომადგენლობა. |
| ფირმის ინტერესების წარმომადგენელი | |
| | მე გახლავართ ფირმის ინტერესების წარმომადგენელი. |
| განყოფილების გამგე | ლადო არის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების გამგე. |
| მეწარმე | |
| ეკონომისტი | |
| მმართველი: ბანკის, ფირმის | ბანკის მმართველი ახალგაზრდა კაცია. |

| | |
|---|---|
| შუამავალი | საშუამავლო ფირმა იღებს შემოსავლის 10%-ს. |
| პრეზიდენტი: ასოციაციის, კორპორაციის | კავკასიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი არის ჩვენი პროფესორი. |
| მდივანი: გამგეობის, ასოციაციის | გამგეობის მდივანმა გახსნა კრება. |
| სპეციალისტი: მთავარი, უფროსი... | მთავარი სპეციალისტი სტატუსით უტოლდება მთავარ ეკონომისტს. |
| შტატიანი თანამშრომელი | |
| თანამშრომლები: ბანკის, ფირმის, კორპორაციის, კომპანიის ფილიალის | |
| სავაჭრო აგენტი | |
| მთავარი ბუღალტერი | მთავარმა ბუღალტერმა დააგვიანა ხელფასის უწყისის შედგენა. |
| პასუხისმგებელი | |
| ვიცე პრეზიდენტი | |
| **ფირმა, კომპანია** | |
| | ჩვენი კომპანია აწარმოებს ელექტრომოწყობილობების ექსპორტს. ჩვენ წარმოვადგენთ კერძო ფირმას. |
| სააგენტო | უძრავი ქონების სააგენტო. |
| ბანკი | ჩვენ ხელფასს ვიღებთ *ქართუს* პლასტიკური ბარათებით. |
| სარეკლამო ბიურო | მიმართეთ სარეკლამო ბიუროს. |
| სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრი | სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრი ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა. |
| ერთობლივი წარმოება | საქართველო-ამერიკის ერთობლივი წარმოება. |
| ორგანიზაცია | ჩვენ გვაქვს არასამთავრობო ორგანიზაცია. |
| ასოციაცია | |
| სახელმწიფო | |
| კერძო | ეს კერძო კომპანია წაგებაშია. |
| სპეციალიზაცია | ჩვენ გავიარეთ სპეციალიზაცია მარკეტინგის სფეროში. |
| **ქვეყანა** | |
| აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები | |
| დასავლეთ ევროპის ქვეყნები | |
| ჩამოსვლა... -დან | ჩვენ გვესტუმრა დელეგაცია დიდი ბრიტანეთიდან. |
| იმყოფება... -ში | ჩვენი დელეგაცია ვიზიტით იმყოფებოდა ლუქსემბურგში. |

**საქმიანი ვიზიტი**

| | |
|---|---|
| საქმიანი ვიზიტი: მოკლევადიანი /ხანგრძლივი | მე ვიმყოფებოდი მოკლევადიანი/ ხანგრძლივი ვიზიტით დანიაში. |
| მივლინება | მივლინების ანგარიში წარმოადგინეთ ჩამოსვლისთანავე. |
| ვიზიტის მიზანი | ვიზიტის მიზანია კონტაქტების აღდგენა. ერთობლივი საწარმოს შექმნა. |
| შესყიდვების შესაძლებლობების გარკვევა | ჩარახების, ნედლეულის, პროდუქტების. |

**ვიზიტის სამუშაო პროგრამა**

| | |
|---|---|
| ვიზიტის სამუშაო პროგრამის შემუშავება | ვიზიტის სამუშაო პროგრამა მზად იქნება ხვალისთვის. |
| შეხვედრა | შეხვედრა დანიშნულია ხვალ 12 საათზე. |
| გავლა | უნდა გავუაროთ ჩვენ სტუმრებს. |

## კომპანიის, ფირმის, წარმოების მონახულება

შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ წარმოიდგინონ საკუთარი თავი და თავიანთი კოლეგები დელეგაციის წევრებად, გადასცენ საჭირო ინფორმაცია იმ კომპანიის შესახებ, რომელსაც წარმოადგენენ, მოითხოვონ ანალოგიური ინფორმაცია სხვა კომპანიის შესახებ, გამოარკვიონ მათთვის საინტერესო ფაქტები კომერციული თუ სამრეწველო საქმიანობის, თანამშრომლობის, გარიგების... შესახებ.

**გვარი, სახელი**

**თანამდებობა**

**კომპანია**

**წარმოება**

| | |
|---|---|
| წარმოების გაფართოება | უნდა გაფართოვდეს ვიდეოტექნიკის წარმოება. |
| პროდუქციის წარმოება | ჩვენ ვაწარმოებთ მაცივრებს. |
| მწარმოებელი | პურის მწარმოებელია ფირმა *იფქლი.* |
| ძირითადი მიმწოდებელი | საქართველოში მაცივრების ძირითადი მომწოდებელია ფირმა *ბეკო* – მსოფლიო მარკა. |

**საწარმო საქმიანობა**

**პროდუქცია**
სამრეწველო
სასოფლო სამეურნეო
მზა პროდუქცია

| | |
|---|---|
| მაღალხარისხოვანი პროდუქცია | ჩვენში დაიწყო შემოსვლა მაღალხარისხოვანმა პროდუქციამ. |
| მოძველებული/ახალი პროდუქცია | |
| წარმოების, ფირმის, ქარხნის, პროდუქცია | ეს მეზობელი წარმოების პროდუქციაა. |
| პროდუქციის გამოშვება | ჩვენ დავიწყეთ ახალი პროდუქციის გამოშვება. |
| **ქარხანა** | |
| ქარხნის მონახულება | ვესტუმროთ მეტალურგიულ ქარხანას. |
| **ცეხი, განყოფილება** | კაფელი მზადდება ამ ცეხში? |
| **მოწყობილობა** | ეს მოწყობილობა მზადდება ჩინეთში. |
| **გაყიდვა** | |
| რეალიზაცია/გასაღება | ამ საქონლის რეალიზაცია უნდა მოხდეს უახლოეს ხანში. |
| **წარმოება** | |
| კვების პროდუქტები | |
| რძის ნაწარმი | რძე, ხაჭო, ყველი – ძალიან სასარგებლო პროდუქტებია. |
| ბურღული | ბურღული ძირითადად რუსეთიდან და უკრაინიდან შემოდის. |
| მაკარონი | მაკარონი იტალიური წარმოების პროდუქტია. |
| ძეხვეული | |
| პური | |
| ღვინო | ღვინო კი მათრობელა სჯობს... |
| **სახალხო მოხმარების საქონელი** | |
| ტანსაცმელი | |
| ფეხსაცმელი | |
| საყოფაცხოვრებო საქონელი | |
| ავეჯი | |
| **საქონელი** | მსუბუქი მრეწველობის, სამომხმარებლო საბავშვო, სპორტული, მაღალი/დაბალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა, ერთობლივი წარმოების, იმპორტული მსუბუქი-მრეწველობის საქონელი ჩვენში ძირითადად იმპორტულია. მაღალი ხარისხის სამრეწველო საქონელი არის ევროპული ბაზრის განმასხვავებელი ნიშანი. |
| საქონლის ხარისხი: უმაღლესი, მაღალი, დაბალი, უხარისხო | |

| | |
|---|---|
| დამაკმაყოფილებელი, არადამაკმაყოფილებელი | ეს ნაჭერი უმაღლესი ხარისხისაა. ეს ფეხსაცმელი სრულიად უხარისხოა. |
| **საქონელბრუნვა** | |
| წლიური, მიმდინარე, შიდა, საგარეო | წლევანდელი საქონელ ბრუნვა ჭარბობს შარშანდლისას. |
| კომერციული საქმიანობა | კომერციული საქმიანობა გაფართოვდა. |
| **ვაჭრობა** | |
| კრედიტით (ნისიათ) | ნისიათ ვაჭრობა აძნელებს საქონელ ბრუნვას. |
| კვების პროდუქტებით | კვების პროდუქტებით ვაჭრობა ძალზე მომგებიანია. |
| სოფლის მეურნეობის პროდუქტებით | |
| ნავთობით, ნედლეულით | ნავთობით, ნედლეულით ვაჭრობა დიდ მოგებას იძლევა. |
| ვაჭრობა სხვა ქვეყანასთან | ჩინეთთან ვაჭრობა ფართოვდება. |
| **სავაჭრო** | |
| კაპიტალი | სავაჭრო კაპიტალი იძლევა განვითარების საშუალებას. |
| დებულება, წესდება, სფერო | სავაჭრო სფეროში მუშაობას იღბალი უნდა. |
| შემოსავალი, კომპანია | შემოსავალი გასავალზე დიდი უნდა იყოს. |
| ფირმა, საწარმო | ეს სავაჭრო ფირმა მალე გაკოტრდება. |
| **დაკვეთა** | |
| დიდი, პატარა, სასწრაფო | ქარხანამ მიიღო დიდი დაკვეთა, მაგრამ სირთულე იმაში, რომ ეს სასწრაფოდ უნდა შესრულდეს. |
| თანხა | დაკვეთის თანხა ერთობ დიდია. |
| დაკვეთის მიცემა | |
| დაკვეთის შესრულება | ამ დაკვეთის შესრულებას ვერ შევძლებთ. |

## ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ/ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ

შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ კომპანიის/პროდუქციის პრეზენტაცია.

**გვარი, სახელი**

**ქვეყანა, კომპანიას თანამდებობა**

| | |
|---|---|
| **ფირმა** | |
| სტატუსი | |
| სახელმწიფო, კერძო, სავაჭრო | |
| იურიდიული | საბუთების გაფორმება შეიძლება იურიდიულ ფირმაში. |
| საშუამავლო | |
| სააქციო | |
| სადაზღვევო | *ალდაგი* სადაზღვევო ფირმაა. |
| ფირმის დაფუძნება | ფირმის დაფუძვნებისთვის საჭიროა საწესდებო კაპიტალი. |
| ფირმის, საწარმოს წესდება | ფირმის წესდება საჭიროა საბანკო ანგარიშის გახსნისთვის. |
| წესდება | ნორმატიულად დადასტურებული წესდება უნდა იყოს წარმოდგენილი სამ ეგზემპლიარად. |
| კაპიტალი | საწესდებო კაპიტალი უნდა იყოს არანაკლებ 3 000 $ - ისა. |
| სასტარტო | სასტარტო კაპიტალი საჭიროა წარმოების ასამოქმედებლად. |
| ფილიალები | ჩვენ ფირმას აქვს 80 ფილიალი, მათ შორის ნახევარი საზღვარგარეთ. |
| ქონა, დაფუძნება, გახსნა | ეს ფირმა დაფუძნდა შარშან. |
| ფილიალი, განყოფილება | ამ ბანკის ფილიალი არის ფოთშიც. |
| ფირმის წარმომადგენლობა | ჩვენი ფირმის წარმომადგენლობა თურქეთში გვაქვს. |
| **საქმიანობის სფერო:** | |
| კომერციული, საინვესტიციო | კომერციული საქმიანობა არაა აკრძალული. |
| საშუამავლო, საინფორმაციო, | |
| საფინანსო | საშუამავლო საქმიანობას ეწევა საადვოკატო კანტორა *მედიატორი.* |
| სამეცნიერო, ტექნიკური | |
| განათლების სისტემა | |
| რაიმეს წარმოება | ამ პროდუქტის საწარმოებლად საჭიროა ლიცენზია. |
| საწარმოს მოგება | |

**მომსახურება**

| | |
|---|---|
| საკრედიტო, იურიდიული | ამ ბანკის საკრედიტო მომსახურება მოიკოჭლებს. |
| სააუდიტო, ფინანსური | ხვალიდან ფირმაში მუშაობას იწყებს სააუდიტო მომსახურება. |
| საშუამავლო | ამ ფირმას შეუძლია საშუამავლო მომსახურების გაწევა. |
| კომერციული შეთავაზება | ფირმა გვთავაზობს სოფლის მეურნეობის პროდუქციას. |

**საქონელი (მომსახურება, პროდუქცია)**

| | |
|---|---|
| საქონლის გაყიდვა | ეს საქონელი (ფეხსაცმელი) კარგად იყიდება. |
| საქონლის ყიდვა | ჩვენ გვინდა შევისყიდოთ თქვენი ფირმის საქონელი. |
| საქონლის ნიმუშები | ამ ნიმუშის საქონელი დავუკვეთე. |
| საქონელი განკუთვნილი | ეს საქონელი საექსპორტოდაა გამზადებული. |
| საქონლის მიწოდება (დამკვეთისთვის) | დამკვეთს დროზე უნდა მივაწოდოთ ჩვენი საქონელი.. |
| საქონლის ექსპორტი | |
| საექსპორტოდ გაგზავნა | გორის ქარხნის კაკლის მურაბა საექსპორტოდ იგზავნებოდა ინგლისში. |
| წარმოება ექსპორტის მიზნით | დღეს ეს ქარხანა აღარაფერს აწარმოებს საექსპორტოდ. |

**მოდელი**

| | |
|---|---|
| ახალი | ეს მერსედესის ახალი მოდელია. |
| ძველი | ძველი მოდელები აქ აღარ ფასობს. |
| ბოლო | |
| სარეკლამო პროსპექტი | |
| კატალოგი | |
| საქონლის, მომსახურების კატალოგი | ამ წელს საქონლის კატალოგი ჯერ არ გამოსულა. |
| საგამოფენო | საგამოფენო კატალოგს მიიღებთ თქვენს პავილიონში. |
| პრეისკურანტი | ფასები მოცემულია პრეისკურანტში. |
| ნაკეთობა | ფაიფურის ეს ნაკეთობა მეტად მყიფეა. |
| ცალი | კვერცხი ცალობით იყიდება. |
| ბაზარი | კოლმეურნეობის ბაზარში სიძვირეა. |

## **მოლაპარაკება**

შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ მიიღონ მონაწილეობა მოლაპარაკებაში, რომელიც ეხება ერთობლივი საწარმოს შექმნას, საქონლის მიწოდებას, გარიგებას, განიხილონ კონტრაქტის დადების პირობების განხილვას...

**მოლაპარაკება**

| | |
|---|---|
| | მოლაპარაკება შედგა ერთი თვის წინ. |
| გამართვა | |
| დასრულება | გუშინ დასრულდა მოლაპარაკება *ოპელის* ფირმასთან. |
| მოლაპარაკებაში მონაწილეობა | ორივე ფირმა მონაწილეობდა მოლაპარაკებაში. |
| დასწრება | მე არ ვესწრებოდი ამ მოლაპარაკებებს. |

**ვალდებულება**

| | |
|---|---|
| ვალდებულება | პეტრემ აიღო ვალდებულება და უნდა შეასრულოს კიდეც იგი. |

**განხილვა**

| | |
|---|---|
| დღის წესრიგი | დღის წესრიგში წარმოდგენილია შემდეგი განსახილველი საკითხები. |
| საკითხის განხილვა | დღეს უნდა განვიხილოთ დასწრების საკითხი. |
| დოკუმენტაციის განხილვა | |
| ვალების განხილვა | გადაწყდა, რომ მოსავლის აღების ვადების განხილვა გადატანილ იქნეს ხვალისთვის. |
| კონტრაქტის პირობების განხილვა | კონტრაქტის პირობების განხილვას დაეთმობა მთელი დღე. |

**შექმნა**

**ერთობლივი საწარმოს შექმნა**

**სამეცნიერო-საწარმო გაერთიანება**

**მმართველობა/გამგეობა**

**იურიდიული პირი**

**მზა პროდუქცია**

| | |
|---|---|
| | მზა პროდუქცია დაფასოებულია და მზადაა მომხმარებლისთვის მისაწოდებლად. |

| | |
|---|---|
| **დამტკიცება** | |
| წლიური გეგმა | წლიური გეგმა მტკიცდება გამგეობის მიერ. |
| პერსპექტიული გეგმა | ჩვენ გვაქვს მზად მომავალი წლის პერსპექტიული გეგმა. |
| **გადაწყვეტილება** | |
| გადაწყვეტილების მიღება | რუსეთის დუმამ მიიღო გადაწყვეტილება ემბარგოს შესახებ. |
| **კრედიტი** | |
| კრედიტის აღება | კრედიტის ასაღებად საჭიროა უძრავი ქონების ჩადება. |
| **ღირებულება** | საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება საქონლის თვითღირებუ-ბას. |
| **ტექნოლოგია** | ღვინის ხარისხი ტექნოლოგიებზეა დამოკიდებული. |
| **წილი** | რა წილი აქვს *ლუკოილში* დავითს? |
| **ხარჯვა** | ხარჯვითი ნაწილი ჭარბობს ბიუჯეტს. |
| **გასაღების ბაზარი** | ბაზრის საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. |
| **სუბსიდირება** | ჩვენი პროექტის სუბსიდირება უკვე გადაწყვეტილია. |
| **კონტრაქტი** | დაიდო კონტრაქტი ორ უცხოურ ფირმასთან. |
| გრძელვადიანი | ეს კონტრაქტი გრძელვადიანია. |
| **საგარანტიო წერილი** | ბანკის საგარანტიო წერილი დაგეხმარებათ სესხის აღებაში. |
| საგარანტიო ვადა | |
| ვადის გასვლა | საქონლის მოწოდების ვადის გასვლასთან დაკავშირებით ჩვენ მოვახდინეთ კონტრაქტის ანალიზება. |
| **პასუხისმგებლობის დაკისრება** | თქვენ დაგეკისრათ პასუხისმგებლობა კონტრაქტის შესრულებაზე. |
| **საქმე** | |
| სარფიანი საქმე | მე ვიშოვე სარფიანი საქმე. |

| | |
|---|---|
| საქმიანი მიმოწერა | კონტრაქტის გაფორმებას წინ უძღოდა საქმიანი მიმოწერა. |
| საქმიანი კონტაქტები | გააღრმავეთ საქმიანი კონტაქტები. |

**პარტნიორი**

| | |
|---|---|
| საქმიანი | საქმიანი პარტნიორის მოძებნა ყოველთვის ჭირს. |
| უცხოელი | უცხოელი პარტნიორები ხვალ გვეწვევიან. |

**შეთავაზება, წინადადება**

| | |
|---|---|
| საქონლის შეთავაზება | მყიდველს შესთავაზეს მრავალგვარი საქონელი. |
| კომერციული შეთავაზება | |
| მომგებიანი წინადადება | ეს მომგებიანი წინადადებაა. მოსახლეობისათვის მომსახურების შეთავაზება შეუძლია ფირმა *პირიმზეს*. |

**პოტენციური**

კლიენტი, პარტნიორი, ინვესტორი

**გარანტია**

| | |
|---|---|
| ხარისხიანი მომსახურება | ეს ფირმა იძლევა ხარისხიანი მომსახურების გარანტიას. |
| საქონლის ხარისხი | საქონლის ხარისხის გარანტიას ვერ მოგცემს ვერც ერთი ფირმა. |
| წარმატება | კარგი საქონელი მისი გაყიდვის გარანტიაა. |

**მოლაპარაკება**

| | |
|---|---|
| შეხვედრაზე | მოლაპარაკება შეხვედრის შესახებ გადაიდო. |
| ვადებზე | მოლაპარაკება ჯარების გაყვანის შესახებ შეფერხდა. |
| პროტოკოლი | მოლაპარაკება გაფორმდა სათანადო პრიტოკოლით. |

**შესრულება**

| | |
|---|---|
| დაკვეთის | პარტნიორი ვალდებულია დროზე შეასრულოს დაკვეთა. |
| კონტრაქტის პირობები | კონტრაქტის პირობებით სრულდება. |

**შეთანხმება, მოგვარება**

| | |
|---|---|
| შეთანხმება საქონლის მოწოდებაზე | ხელი მოეწერა შეთანხმებას საქონლის მოწოდებაზე. |
| მოგვარება | ამ პრობლემის მოგვარებას დრო სჭირდება. |
| შეთანხმება ვადებზე | ვიზიტის ვადებზე შეთანხმება ჯერ არა გვაქვს. |

**დაკვეთა, შეკვეთა**
ტელეფონით — პიცის შეკვეთა შეიძლება ტელეფონით. ბილეთების დაკვეთა შეიძლება ავია სააგენტოს მეშვეობით.

**განაცხადი**
ფეხბურთის ბილეთებზე განაცხადი უნდა გაკეთდეს ერთი კვირით ადრე.

**წარმოდგენა**
ლიცენზიის — გთხოვთ წარმოადგინოთ ლიცენზია.

**ფასდაკლება, შეღავათი**
შეღავათი საკმაოდ სოლიდურია.
ფასდაკლება 50% იანია.
დაიწყო საშობაო ფასდაკლება.

## საქმიანი დოკუმენტაცია

შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ საშუალო სირთულის საქმიანი წერილის შედგენა და მასზე უფრო რთული დოკუმენტის წაკითხვა. მაგალითად, ერთობლივი საწარმოს, ასოციაციის, ფონდის შექმნის შესახებ.

**საქმიანი წერილები**
**თხოვნის ამსახველი წერილი**
**წერილი-შეტყობინება**
**მოწვევის ტექსტი**
**დამადასტურებელი წერილი**
**სარეკომენდაციო წერილი**
**მადლობის წერილი**
**მოთხოვნის ამსახველი წერილი**
მოთხოვნა
მოთხოვნის შესწავლა
მოთხოვნის განხილვა
მოთხოვნა რაიმეს შეძენაზე
საქონლით დაინტერესება
საქმიანი კავშირების დამყარება
მუდმივი მყიდველი
პოტენციური მყიდველი
მოთხოვნილება — მოთხოვნილება ხარისხიან საქონელზე.

**წერილი-შეკვეთა**
შეკვეთის შესრულება
საქონლის დასახელება
ფასი
შეკვეთის მოცულობა
შეკვეთის მოქმედების ვადა

| | |
|---|---|
| შეკვეთის გაუქმება/ანულირება | |
| დაზღვევა | ჩვენში არაერთი სადაზღვევო კომპანიაა. |
| სადაზღვევო პოლისი | |
| უსაფრთხოების უზრუნველყოფა | |

**საჩივრის წერილი**

ჩივილით მიმართვა
არბიტრაჟი
დავა
უთანხმოება/აზრთა სხვადასხვაობა

საჩივრის განხილვა
ზარალი/დანაკლისი
ზარალის ანაზღაურება
დაჯარიმება/ჯარიმის გადახდა

**შაბლონური ფრაზები, რომელიც გამოიყენება:**

| | |
|---|---|
| საქმიანი წერილის დასაწყისში | |
| | პატივცემულო... |
| | ბატონო/ქალბატონო... |
| | თქვენი წერილის პასუხად მოგახსენებთ... |
| | ჩვენი შეთანხმების თანახმად, გთხოვთ... |
| | მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ... |
| | სამწუხაროდ, უნდა შეგახსენოთ, რომ... |
| შემაკავშირებელ ელემენტებად | დამატებით შეგვიძლია გაცნობოთ, რომ... |
| | იმის გამო, რომ... |
| | ზემოთქმულიდან გამომდინარე... |
| | ამასთან დაკავშირებით... |
| | თქვენი ყურადღება გვინდა მივაპყროთ... |
| | საქმე ისაა, რომ... |
| | ჩვენი აზრით... |
| | უპირველეს ყოვლისა... |
| | გარდა ამისა... |
| წერილის დასასრულს | მადლობლები დაგრჩებით შეკვეთის დროულად შესრულებისთვის. |
| | გთხოვთ სასწრაფოდ გვაცნობოთ... |
| | ველით თქვენს თანხმობას |
| | პატივისცემით... |
| | ღრმა პატივისცემით... |
| | ველით თქვენს პასუხს. |

## 2.4 კულტურული ასპექტი

კულტურული ასპექტი შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად გაიყოს: სოციოკულტურული ქცევა და ძირითადი ქვეყანათმცოდნეობითი ცნობები. ცხადია, რომ ნამდვილი კომუნიკაცია არ გამოიხატება მხოლოდ მეტყველების პროცესის სტრუქტურირებითა და გრამატიკული სისტემის სწორი გამოყენებით. უცხოურ ენაზე ურთიერთობის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს ვერბალური და არავერბალური ქცევის მართლზომიერად, მოცემული კულტურის შესაბამისად გამოყენება. ბუნებრივია, რომ სოციალური ქცევის წესები არაა ისე მკაცრად განსაზღვრული, როგორც გრამატიკული, მაგრამ შემსწავლელი უნდა ფლობდეს არა მარტო ენობრივ და სამეტყველო საშუალებებს, არამედ უნდა იცოდეს ქართველი ხალხის სოციალური ქცევის ნორმები, რომ არ დაუშვას კულტურათმცოდნეობითი უზუსტობები. იმისათვის, რომ არაქართველმა მყარად იგრძნოს თავი საქართველოში ცხოვრებისას და დაჯერებული იყოს საკუთარ უნარ-ჩვევებში უნდა ფლობდეს გარკვეულ ცოდნას ქვეყანათმცოდნეობაში. ე.ი. უნდა იცოდეს საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა, მოსახლეობა, სახელმწიფო და პოლიტიკური მოწყობა, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი ტენდენციები და ა.შ. ამ მიზნებიდან გამომდინარე სოციოკულტურულ ქცევაში გაერთიანდა შემდეგი საკითხები:

– კონტაქტის ვერბალური საშუალებები
– კონტაქტის არავერბალური საშუალებები
– სოციალური პირობითობები და რიტუალები

ქვეყანათმცოდნეობითი ცნობები შემდეგ საკითხებს აერთიანებს:

– გეოგრაფიული ცნობები საქართველოს შესახებ
– საქართველოს კუთხეები და ქალაქები
– მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა
– სახელმწიფო სტრუქტურა
– პოლიტიკა
– კულტურა
– განათლება
– საკუთრების ფორმები
– რელიგია
– ტრადიციები
– ჯანმრთელობა
– დღესასწაულები
– მეტრული სისტემის შესაბამისობა

კულტურული ასპექტის აღწერილობაში ჩანს საკომუნიკაციო არეალის თანდათანობითი გაფართოება, როგორც ენობრივი, ასევე ინფორმაციული თვალსაზრისით.

## 2.4.1 სოციოკულტურული ქცევა

### A1 – ენის გასაღები

**კონტაქტის არავერბალური საშუალებები**

*სხეულის მოძრაობა:*
***ხელის ჩამორთმევა***
არაოფიციალური მისალმებისას ან დამშვიდობებისას მეგობრები, კარგი ნაცნობი ან თანამშრომელი კაცები ხელს ართმევენ ერთმანეთს. ქალებში, როგორც წესი, ხელის ჩამორთმევა მიღებული არ არის. ქალები უმეტესად კოცნით ხვდებიან ერთმანეთს.

ხელის ჩამორთმევას ან კოცნას, ჩვეულებრივ ახლავს ვერბალური კონტაქტი მისალმების ან დამშვიდობების ფორმულით.

*შეხება*
არაოფიციალურ სიტუაციაში, ხელის გაყრა, მკლავზე ხელის მოკიდება, მხარზე ხელის მოხვევა თანამოსაუბრესთან კეთილგანწყობილების გამოხატვაა. მეგობრული, ახლო ურთიერთობისას მიღებულია ხელ-მკლავ გამოდებული სიარული (როდესაც ქალი და კაცი ან ორი ქალი მოდის და არა კაცები).

*მოხვევა, კოცნა*
არაოფიციალურ სიტუაციაში მეგობრები, კარგი ნაცნობები, ნათესავები ერთმანეთს ეხვევიან და კოცნიან. ეს ჩვეულებრივ ხდება ხანგრძლივი განშორების შემდეგ შეხვედრისას. ყოველდღიური შეხვედრისას კოცნა მიღებული არ არის.

*ჟესტები*
არაოფიციალურ ვითარებაში ქართველები, როგორც წესი, უხვად იყენებენ ჟესტიკულაციას. მაგალითად, თავის გაქნევა–უარყოფის ნიშანია, თავის დაქნევა–თანხმობის გამოხატვაა, ხელების გაშლა – გაკვირვებას გამოხატავს, საჩვენებელი თითის საფეთქელთან მიტანა – უაზრობის, სისულელის ნიშანია, გაშლილი, წინ გაწვდილი ხელის მტევნის ზემოთ-ქვემოთ მოძრაობა დამშვიდობებას აღნიშნავს, მხრების აჩეჩვა – ეჭვის, არცოდნის გამოხატვაა, ყელთან საჩვენებელი თითის მიტანა და გასმა – მომბეზრდა, ყელში ამომივიდას ნიშნავს, ორი თითით ყელის გამოწევა – თხოვნის აღმნიშვნელია, აწეული ცერი თითი – კარგია...

*მიმიკა*
არაოფიციალურ ვითარებაშიც მიმიკა დიდ როლს თამაშობს არასამეტყველო ურთიერთობისას. მიმიკით საუბარი ასევე მიღებულია საქართველოში. მაგალითად, წარბების აწევა – გაკვირვების ნიშანია, წარბების შეჭმუხვნა – უკმაყოფილებას ნიშნავს, კბილების ღრჭიალი, ყბების თამაში – გაბრაზების ნიშანია, იგი ტკივილის გამომხატველიც არის.

*პოზები*

არაოფიციალურ ვითარებაში კი არაა მიღებული სავარძელში ნახევრად წამოწოლილ მდგომარეობაში ფეხების წინ გაწევა, უზრდელობად ითვლება ფეხების მაგიდაზე ან სავარძლის სახელურზე დადება. მეგობრების წრეში ყოფნისას დასაშვებია ხელების თავის უკან დაწყობა. მისაღებია ფეხის ფეხზე გადადება, ხელების გადაჯვარედინება, ხელის მტევანზე ნიკაპის ჩამოდება.

*ზრდილობის ნორმები*

როგორც არაოფიციალურ, ისე ოფიციალურ ვითარებაში ქართველებისათვის ტრადიციულად ზრდილობის ნორმები ერთნაირია: ქალის, მოხუცის, ბავშვის პატივისცემა – ადგილის დათმობა ტრანსპორტში, ტრანსპორტიდან გადმოსვლისას ხელის გაწოდება, მანქანის კარის გამოღება და ჩაჯდომის შემდეგ კარის მიკეტვა, კარებში წინ გატარება (უცხოეთის ბევრ ქვეყანაში მიღებულია, რომ მაგალითად, რესტორანში კაცი წინ შედის). კაცი ფეხზე დგება, როდესაც ოთახში ქალი შედის, კაცები ქუდს იხდიან შენობაში შესვლისას (ადრე, შეხვედრისასაც კაცები მისალმების ნიშნად ქუდს უხდიდნენ ერთმანეთს), კაცი ელოდება, ვიდრე პირველად ქალი არ გაუწვდის ხელს მისალმების ნიშნად.

## A2 –საფუძვლის დონე

### კონტაქტის ვერბალური საშუალებები

*წარდგინება ან თვითწარდგინება გაცნობისას*
შუა ხნის ხალხს, როგორც წესი, წარადგენენ ასე – იცნობდეთ, ბატონი პეტრე/ ბატონი პეტრე დიდებულიძე, ან თანამდებობა + ბატონი/ქალბატონი + სახელი, გვარი: რედაქტორი ქალბატონი ანა ჭაბაშვილი;

თვითონ პიროვნება თავის თავს წარადგენს ფორმულით: მე გახლავართ გიორგი ბაგრატიონი, სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსი. ამ წარდგინების საპასუხო ფორმულაში თანამდებობა აღარ ფიგურირებს – სასიამოვნოა თქვენი გაცნობა ბატონო გიორგი.

შესაძლებელია ასეთი ფორმულის გამოყენებაც: ბატონი + თანამდებობა/სტატუსი – ბატონი დირექტორი, ბატონი პროფესორი, ბატონი მინისტრი.

ახალგაზრდებს ხშირად მხოლოდ სახელით წარადგენენ: გაიცანით, ეს ჩვენი ნიკოა, ან სახელი + გვარი – ნიკო დადიანია ან გაიცანით ეს მარიამია, თამარის ქალიშვილი/ეს ანის ვაჟია, დიმიტრი. გამოიყენება ასევე კნინობითი სახელი – ნინიკო, ანიკო, ვანიკო, მიხაკო, დათუჩი.

*ტელეფონით კონტაქტი*
არაოფიციალურ ვითარებაში გამოიყენება ფორმულა – სახელი + ვარ/გაწუხებ + გვარი – კახა ვარ, ჩოლოყაშვილი, გიორგი ემხვარი გაწუხებთ.

ოფიციალურ ვითარებაში მეორდება ზემოთ წარმოდგენილი ფორმულა ოდნავი სახეცვლილებით – გამარჯობათ, თქვენ გაწუხებთ ბიბლიოთეკის დირექტორი ნოდარ ამირეჯიბი. საპასუხო რეპლიკა იქნება ამგვარი – დიახ, ბატონო დირექტორო ან გისმენთ, ბატონო ნოდარ.

*წერილი*
არაოფიციალური მიმართვისას გამოიყენება ფორმულა (ჩემო) ძვირფასო/(ჩემო) საყვარელო + სახელი – (ჩემო) ძვირფასო ნინო, (ჩემო) საყვარელო მაიკო, (ჩემო) უსაყვარლესო ბებო... წერილი შეიძლება დასრულდეს ასე – სიყვარულით, შენი ნათია, ახლო მომავალში შეხვედრის იმედით, გიორგი, გკოცნი, შენი მერაბი...

ოფიციალური წერილი შეიძლება დაიწყოს ამგვარად – (ღრმად)(პატივცემულო) ბატონო/ქალბატონო + სახელი – ბატონო გიორგი, წერილის დასასრული – პატივისცემით, + სახელი, გვარი – პატივისცემით, ნინო აბაშიძე.

## კონტაქტის არავერბალური საშუალებები

*სხეულის მოძრაობა:*
*ხელის ჩამორთმევა*

ოფიციალურ სიტუაციაში, ვთქვათ, პირველი შეხვედრისას, ხელს უწვდის ასაკით ან მდგომარეობით უფროსი ქალი კაცს, როგორც მისალმებისას, ასევე დამშვიდობებისას. ხელი არც ძალიან მაგრად და არც ზედმეტად მოდუნებულად არ უნდა ჩამოვართვათ. პოლიტიკოსებს შორის გავრცელებულია ორივე ხელის ჩამორთმევა, რაც ჩვენში მაინც და მაინც მიღებული არ არის.

*შეხება, ჟესტები, მიმიკა*

შეხება, მოხვევა, კოცნა, ჟესტები და მიმიკა ოფიციალურ სიტუაციაში მიღებული არ არის. თანამედროვე ოფიციალური შეხვედრები ხელის ჩამორთმევით შემოიფარგლება, გამოიყენება მინიმალური ჟესტიკულაცია, ოფიციალური სტილი ხასიათდება თავშეკავებულობითა და ნაკლები ემოციურობით.

*თვალების როლი*

ქართველები ადვილად საურთიერთო ხალხია. საუბრის დროს მიღებულია ერთმანეთისთვის თვალებში ყურება. თვალის არიდება – არაგულწრფელობისას, ტყუილის ნიშანია, თვალის მიშტერება – თავხედობის, გაუმართლებელი მოთხოვნის, ან არაგულწრფელობის დაფარვის ნიშანია.

რაკი ოფიციალურ ვითარებაში ჟესტ-მიმიკის როლი დაყვანილია მინიმუმამდე, ამიტომ თვალები დიდ როლს თამაშობს კონტაქტის შესანარჩუნებლად.

*ურთიერთობის დისტანცია*
*არაოფიციალურ ვითარებაში*

საქართველოში მეგობრების შეხვედრისას ურთიერთობის დისტანცია დაახლოებით მკლავში მოხრილი ხელის დაშორებაზეა. ე.ი. ის უფრო მოკლეა, ვიდრე აღმოსავლეთში, სადაც არა ხელის ჩამორთმევით, არამედ თავის დახრით ესალმებიან ერთმანეთს.

ოფიციალურ შეხვედრებზე ურთიერთობის დისტანცია ორჯერ-სამჯერ უფრო იზრდება.

## სოციალური პირობითობები და რიტუალები

### *სტუმრობის რიტუალები:*
### *არაოფიციალური სტუმრობის დრო*

მეგობრულ ვითარებაში სტუმრად უმეტესად სახლში შაბათს ან კვირას (შესაძლებელია კვირის ნებისმიერ დღესაც) დაბადების დღეზე, ქორწილში, ძეობაში ან ჭირის სუფრაზე – ქელეხში, ორმოცზე, წლისთავზე სადილად (14-15-16 საათიდან) ან ვახშმად (18-19 საათიდან) პატიჟებენ ჩვეულებრივ, რამდენიმე დღით ადრე. სუფრაზე დაგვიანება სასურველი არ არის, მაგრამ ხშირად ხდება ხოლმე. სუფრასთან გატარებული დრო შეესაბამება მოწვევის მიზეზს – ლხინის სუფრის დრო განუსაზღვრელია. მას ძირითადად თამადა განსაზღვრავს. ჭირის სუფრაზე დრო მეტ-ნაკლებად ლიმიტირებულია, დაახლოებით ორი საათი. დაპატიჟება ხდება უმეტესად ტელეფონით. წერილობით ზოგჯერ პატიჟებენ დიდ წვეულებებზე – ქორწილში, საიუბილეო დაბადების დღეზე. დიდი წვეულებები უმეტესად რესტორანში ეწყობა.

### *სტუმრად თავის დაჭერა*

მასპინძლობა საქართველოში ძალიან დელიკატურ დონეზე ხდება. სტუმარი ისევე კომფორტულად უნდა გრძნობდეს თავს, როგორც საკუთარ სახლში. აპერატივი ან ფურშეტი მიღებული არ არის. სტუმრების მიღება ხდება თავიდანვე სუფრასთან. სასმელი (სხვადასხვანაირი, ძირითად კი ღვინო) და ცივი კერძები სუფრაზე აწყვია. ცხელი კერძები შემოდის თანდათან სუფრის მიმდინარეობის კვალდაკვალ. ბოლოს ჩაი ან ყავა, ნამცხვრები, ტორტი, მურაბა შემოდის სუფრაზე. მასპინძლები სტუმრებს ხშირ-ხშირად სთავაზობენ ახლად შემოტანილი კერძის გადაღებას. სუფრაზე თამადა სარგებლობს განუსაზღვრელი უფლებებით, თუმცა ამის მიუხედავად, სუფრის მიმდინარეობა დემოკრატიის ნიმუშია. თამადის წარმოთქმულ სადღეგრძელოს სუფრის წევრები განავრცობენ და შესვამენ. სუფრაზე აწყვია ღვინის ჭიქები, რომლებიც ყოველი სადღეგრძელოს წინ ივსება. სადღეგრძელოს მნიშვნელობიდან გამომდინარე, თამადამ შეიძლება განსხვავებული სასმისი მოითხოვოს. საქართველოში ლუდით სადღეგრძელოს არ წარმოთქვამენ. სუფრის დასრულების შემდეგ სტუმრები ემშვიდობებიან მასპინძლებს და მადლობას უხდიან კეთილი მასპინძლობისათვის.

### *საჩუქრები*

სტუმრად მისვლისას დიასახლისისათვის მიაქვთ ყვავილების თაიგული, ან სუნამო, მამაკაცისათვის რაიმე სასმელი.

თუ განსაკუთრებული დღე აღინიშნება, მაგალითად, დაბადების დღე, იუბილე, ქორწილი, ბავშვის დაბადება, შესაფერისად არჩევენ საჩუქარს – დაბადების დღისა თუ საიუბილეო თარიღისათვის – ასაკისა და მდგომარეობიდან გამომდინარე, სუვენირებს, ხელოვნების ნიმუშს, წიგნს, კოსმეტიკას, პარფიუმერიას, ჰალსტუხს... ქორწილზე – თეთრეულს, ჭურჭელს, სხვადასხვა საოჯახო ნივთებს, ძალიან ახლობლები ხშირად ფულს ჩუქნიან. ახალშობილს კი მისთვის აუცილებელ სამომხმარებლო საგნებს, ტანსაცმელს ან რაიმე ძვირფას ნივთს უსახსოვრებენ ხოლმე.

*ჩაცმულობა*
არაოფიციალური სტუმრობისას ხალხი ყოველდღიურობისაგან განსხვავებული, გამორჩეული ტანსაცმლით მიდის. ახლობლებთან სტუმრობისას გრძელი საღამოს კაბა და სმოკინგი მიღებული არ არის.

*სასაუბრო თემები*
არაოფიციალურ გარემოში მეგობრები ძირითადად საუბრობენ ოჯახურ მდგომარეობაზე, ამინდზე, აშუქებენ კულტურულ ცხოვრებას, ჯანმრთელობას. დიდი გახალისება და სიცილ-ხარხარი მოჰყვება ხოლმე ანეკდოტების, მხიარული ისტორიების მოყოლას. სუფრაზე აუცილებლად მღერიან, უკრავენ, ცეკვავენ. ბოლო პერიოდში დიდი დრო ეთმობა პოლიტიკურ მოვლენებზე საუბარს.

*ქათინაურები*
ქართველებს უყვართ კომპლიმენტები. ქალები ერთმანეთს ხშირად უქებენ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, თმის ვარცხნილობას, გარეგნულ ფორმას. კომპლიმენტზე მეორე მხარე პასუხობს შეკითხვას – მართლა? მართლა მიხდება? მართლა მოგწონს? მადლობთ, კომპლიმენტისთვის.

## B1 – ზღვრული დონე

### სოციალური პირობითობები და რიტუალები

*ოფიციალური შეხვედრების რიტუალები:*
მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დიდი განსხვავება არ არის ოფიციალურ, საქმიან ვიზიტებს შორის. საქმიანი შეხვედრები შესაძლოა საუზმობისას, სადილზე ან ვახშმად (როგორც წესი ან რესტორანში, ან ფირმაში).

საქმიან შეხვედრაზე მოწვევა ხდება ან წერილობით ან ტელეფონით. დაგვიანება ძალიან არასასურველია.

საქმიანი შეხვედრისას თარიღი უკეთესია რაც ადრე იქნება შეთანხმებული. ასეთი შეხვედრებისას წინასწარ განსაზღვრულია სტუმრების რაოდენობა, მათი ადგილები მაგიდასთან, შეხვედრის დროის ხანგრძლივობა.

*ოფიციალურ შეხვედრაზე ქცევის ნორმები*
საქმიანი შეხვედრები საუზმეზე, სადილზე თუ ვახშამზე თითქმის ყველა ქვეყანაში ერთნაირ გარემოში მიმდინარეობს. შესაძლოა ფურშეტი, წარმოითქმის სადღეგრძელოები ოღონდ უფრო შეზღუდულ რაოდენობით, ვიდრე მეგობრული შეხვედრებისას. სადღეგრძელოების შინაარსიც უფრო კონკრეტული საქმის ირგვლივ ტრიალებს, მიღებულია ჭიქების ჭახუნიც. შეხვედრის კარგად დასრულების შემდეგ შესაძლოა ზეპირი ან წერილობითი მადლობის გადახდა.

*საჩუქრები, სუვენირები*
საქმიანი პარტნიორების ერთი მეორით დაინტერესების ხარისხისა და სტატუსიდან გამომდინარე ჩვეულებრივ ჩუქნიან ხოლმე ერთმანეთს ბლოკნოტებს, კალმისტრებს, ქვეყნისათვის დამახასიათებელ სიმბოლიკას – ღვინოს, ეროვნულ სუვენირებს, წიგნებს, ალბომებს.

*ჩაცმულობა*
ოფიციალური შეხვედერებისას ზოგჯერ მოსაწვევ ბარათზე არის მითითებული ტანსაცმლის სახეობა. რესტორანში ქალი შეიძლება მივიდეს გრძელი საღამოს კაბით, კაცი – სმოკინგით. საქმიან პარტნიორებთან შეხვედრისას კაცები ჩვეულებრივ იცვამენ კოსტიუმს, იკეთებენ ჰალსტუხს.

*სასაუბრო თემები*
საქმიანი საკითხების განხილვის შემდეგ, თუ დრო შეზღუდული არ არის, შესაძლოა მიმდინარე კულტურულ და პოლიტიკურ საკითხებზე იყოს მსჯელობა. ქართველები ძალიან აფასებენ მოსაუბრის ფართო ინტერესების სფეროს, მრავალმხრივ განათლებას, ამიტომ საინტერესო თემებია პოეზია, ხელოვნება, სპორტი, ეკონომიკა, ფილოსოფია, მუსიკა...

*ქათინაურები*
ოფიციალურ გარემოში კომპლიმენტს ძირითადად ეუბნებიან კარგ გამომსვლელს, მოწონებას იმსახურებს მუშაობის წარმატებული შედეგების გამოვლენა. ემოციები თავშეკავებულია, მაგრამ რეაქცია ცხადად და ნათლად ვლინდება.

## B2 – ზღვრული განვითარებული დონე

ცოდნის კომპლექსი, რომელიც აუცილებელია ქართული ენის შესწავლისას წარმოდგენილია სამ განაკვეთში:

I ეთნოგრაფიული
II ენობრივი
III პროფესიონალური

### ეთნოგრაფიული ინფორმაცია

ეს ინფორმაცია მოიცავს ძირითადად ქვეყანათმცოდნეობით ცნობებს, მაგრამ შემსწავლელი უნდა ფლობდეს წინა დონეებთან შედარებით უფრო დაწვრილებით ინფორმაციას, რათა სრულყოფილად შეძლოს პროფესიონალურ ურთიერთობაში თავისი მიზნების რეალიზაცია.

*საქართველო წარმოადგენს მრავალეროვან და მრავალენოვან სახელმწიფოს თავისი რთული ისტორიული წარსულითა და კულტურული მემკვიდრეობით.*

გარდა ეთნიკური განსხვავებულობისა (აზერბაიჯანელი, სომეხი, ბერძენი, რუსი, დაღესტნელი მოსახლეობა...) თვით ქართველებისთვის დამახასიათებელია მრავალგვარი კუთხური განსხვავება, რომელიც განპირობებულია გეოგრაფიული გარემოთი. სწორედ ამ კუთხურმა განსხვავებებმა გამოიწვია ენობრივი, დიალექტური, განსხვავებაც.

*XX საუკუნისა და XXI საუკუნის გარიჟრაჟის საქართველოს ისტორიის ძირითადი მოვლენები:*

– რუსეთის იმპერიის რღვევა და 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია
– საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება – 1918 წ.
– საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლა – 1921 წ.
– საბჭოთა რეპრესიების პერიოდი – 1937-1938 წწ.
– დიდი სამამულო ომი 1941-1945 წწ.
– პერესტროიკა 1985-1991 წწ.
– კიდევ ერთხელ დამოუკიდებლობის მოპოვება 1991 წ.
– შევარდნაძის მმართველობა 1992-2003 წწ.
– ვარდების რევოლუცია 2003 წ.

*საქართველოს გავლენიანი პირები*

საქართველოს გავლენიანი პირები არიან: პრეზიდენტი, მისი ადმინისტრაცია, მისი პარტია, პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტარები, მინისტრები, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, პროკურატურა.

გავლენიან პირებს მიეკუთვნებიან მასმედიის წარმომადგენლები, კულტურის მუშაკები, დიდი ბანკირები, მსხვილი კომპანიების მფლობელები.

## ენობრივი ინფორმაცია

ენობრივი ინფორმაცია მოიცავს იმ ლექსიკურ და სტილისტურ საშუალებებს, რომლებიც დაკავშირებულია ქართული კულტურის ეროვნულ სპეციფიკასთან.

*საზოგადო არსებითი სახელები*, რომლებიც გამოხატავენ ქართულ სინამდვილესა და ყოფას:

ხატი, ფერწერა, არქიტექტურა, კახური ქედი, ჩოხა, ჩურჩხელა, ღომი, შოთი, მაჭარი, მჭადი, საცავი და სხვა.

*კონოტატიური, ან სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელი ლექსიკური ერთეულები:*
თბილისი –ცენტრალური ხელისუფლება
ბერმუხა –ძლიერი, პატივსაცემი ადამიანი
ცალტვინა –უჭკუო ადამიანი
რქიანი – ხეპრე ადამიანი
ვაზი/ღვინო – საქართველო

*საკუთარი სახელები:*
ერეკლე, გიორგი, დავითი, ვაჟა, აკაკი, მიხეილი, ნინო, ნანა, მარიამი, ქეთევანი, თამარი...

*ოიკონიმები:*
ჯარიანთი, თვალდამწვარიანთი, გიჟვრაცუა, სეროჟა, კარაპეტა...

*დღეისთვის გავრცელებული სახელები:*
ლაშა, ჯაბა, ზვიადი, გიო, ანასტასია, ნატო, ქეთი, ნუცა...

*იმ გმირთა სახელები, რომლებმაც მიიღეს გადატანითი მნიშვნელობა*:
*თათქარიძე* – ზარმაცი, მსუნაგი. *ჭიჭიკია* – ხუმარა, ანეკდოტური პიროვნება; *მიხო* – კახელი გლეხი, დაჯილდოებული იუმორის გრძნობით...

*გეოგრაფიული სახელები*, რომლებსაც ფართო ასოციაციური ფონი გააჩნია: მარაბდა, კრწანისი, დმანისი, ალაზანი და ა.შ.

*ფრაზეოლოგიზმები*:
ქონება ქარს გაატანა; კედელს ცერცვი შეაყარე.

*აფორიზმები*:
ხამს მოყვარე მოყვრისათვის;
რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია.

*პროფესიული ინფორმაცია*:
ოფიციალურ მოლაპარაკებაზე ქართველები სერიოზულად იქცევიან, ან ბევრს ლაპარაკობენ ჟესტ-მიმიკის მეშვეობით; უყვართ იუმორის გამოყენება და თვითონაც რეაგირებენ სხვის იუმორზე, იღიმებიან, ხშირად ხმამაღლა ხარხარებენ.

ქართველებს ახასიათებთ ინდივიდუალიზმი, ყველას სურს იყოს პირველი, პრეზიდენტი, დირექტორი...

თუ ოფიციალურ წარმომადგენელს არა აქვს საკმაო რწმუნება, სპონტანური გადაწყვეტილების მისაღებად, ის აჭიანურებს მოლაპარაკებებს ზემდგომ ორგანოსთან შეთანხმებამდე.

სხვადასხვა საკითხზე მსჯელობისას ქართველებს უყვართ ავტორიტეტებზე აპელირება, არგუმენტად იყენებენ ანდაზებს, ფრთიან გამოთქმებს და თავგამოდებით ამტკიცებენ მის სისწორეს.

თანხმობის ან მოწონების ნიშნად მამაკაცები მხარზე უტყაპუნებენ ერთმანეთს ხელებს.

ოფიციალურ ვითარებაში ქართველები იცავენ ადმინისტრაციულ იერარქიას.

საქმიანი ურთიერთობის სფეროში ტრადიციულად ითვლება ეროვნული საჩუქრების მირთმევა, ქართულ სუფრაზე მიპატიჟება.

ოფიციალურ შეხვედრისას ჩვეულებრივ არ საუბრობენ ოჯახზე, პირად ცხოვრებაზე.

საქმიანი ურთიერთობისას პოზიტიური მნიშვნელობა აქვს პირად კონტაქტებს, პირად ნაცნობობას.

სერიოზული საკითხები ქართულ სუფრასთან ხშირად უფრო დადებითად წყდება.

## 2.4.2 ძირითადი ქვეყანათმცოდნეობითი ცნობები

### A2 – საფუძვლის დონე

ქვეყანათმცოდნეობითი კომპეტენციების მიზანია, რომ საქართველოს არაქართველი მოსახლეობა სრულად ჩართული იყოს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში, ხოლო აქ ჩამოსულმა უცხოელებმა თავისუფლად/კომფორტულად იგრძნონ თავი. ამისთვის, ადაპტაციის ამა თუ იმ ეტაპზე მათ უნდა ჰქონდეთ გარკვეული ცოდნა საქართველოს შესახებ.

**ზოგიერთი აუცილებელი ცნობა საქართველოს შესახებ**
საქართველო მდებარეობს კასპიისა და შავ ზღვას შორის, დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე. აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება აზერბაიჯანი, სამხრეთიდან კი თურქეთი და სომხეთი.

საქართველოს ძირითადი მდინარეებია – მტკვარი, ალაზანი, იორი, არაგვი (აღმ. საქართველო), რიონი, ენგური, ბზიფი, კოდორი, ცხენისწყალი (დას. საქართველო). მთები – მყინვარწვერი (აღმ. საქართველო), უშბა, თეთნულდი (დას. საქართველო)... ძირითადი ქალაქებია – თბილისი, გორი, თელავი, გურჯაანი (აღმ. საქართველო, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი (დას. საქართველო). ქართველების გარდა საქართველოში ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, აფხაზები, ოსები, ბერძნები...

**ქართველი მოსახლეობა ტოლერანტულია სხვა ერის წარმომადგენელთა მიმართ. აქ არ არის რასობრივი ჩაგვრა.**

### B1 – ზღვრული დონე

**ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ**
საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა მისი ბუნების მრავალფეროვნება. იგი მდებარეობს ევრაზიის ალპური დანაოჭების სარტყელში. მისი რელიეფი წარმოდგენილია მაღალი, საშუალო და დაბალი მთებით, ზეგნებითა და ვაკეებით. საქართველოს ჰავაც მრავალფეროვანია. დასავლეთ საქართველოში ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა, აღმოსავლეთში – მშრალი და ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული. სამხრეთ საქართველოს ჰავა კონტინენტურია.

აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეები (მტკვარი, თერგი, ალაზანი, იორი, არაგვი, ალგეთი, ლიახვი, ქსანი...) მიეკუთვნება კასპიის ზღვის აუზს. დასავლეთ საქართველოს მდინარეები (რიონი, ჭოროხი, ენგური, ცხენისწყალი, კოდორი, ბზიფი, ყვირილა...) მიეკუთვნება შავი ზღვის აუზს.

საქართველოს მნიშვნელოვანი ტბებია: ფარავანი, პალიასტომი, ტაბაწყური, ჯანდარი, ბაზალეთი, რიწა...

საქართველოს დღევანდელი ტერიტორია და მის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მიწები უძველესი დროიდან დასახლებული იყო მონათესავე ქართველური ტომებით, რომელთა ხანგრძლივი ურთიერთკავშირისა და შერწყმის შედეგად წარმოიშვა ქართველი ხალხი და როგორც ერთიანი სახელმწიფო ჩამოყალიბდა XI საუკუნის დასაწყისში. საბჭოთა პერიოდში საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ რუსეთის ავტონომიური ოლქი. დღეს-დღეობით ამ ორ უკანასკნელზე საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება. ისინი მხოლოდ ფორმალურად რჩებიან საქართველოს შემადგენლობაში.

საქართველოს ბუნების მსგავსად ეთნიკური შემადგენლობაც მრავალფეროვანია. საქართველოში ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, ებრაელები, უკრაინელები, ბერძნები, აფხაზები, ოსები...

საქართველო იყოფა კუთხეებად – ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, ფშავი, ხევსურეთი, გუდამაყარი, ხევი, თუშეთი.

ქართული სამწერლობო ენა ქართლ-კახურ დიალექტს ეფუძნება.

საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე აფხაზური (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 8).

## B2 – ზღვრული დონე

**პოლიტიკური წყობილება**

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. მისი სახელწოდებაა *საქართველო.*

ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო არის საქართველოს პარლამენტი, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 48).

საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობაში (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 69).

მთავრობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. მთავრობა პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 78).

მთავრობის თავჯდომარეა პრემიერ-მინისტრი.

**ეროვნულ უმცირესობებთან და უცხოელ მოქალაქეებთან დამოკიდებულება**

საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისთავად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ თავიანთი დედა ენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 38).

საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არამქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 47).

**კულტურა**

სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.

საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 34).

**განათლება**

ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 35).

**ჯანმრთელობა**

ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როდესაც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37).

**საკუთრების ფორმები**

საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 21).

ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 23).

**რელიგია**
სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

საქართველოს სახელმწიფო და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 9).

**დღესასწაულები**
საქართველოს სახელმწიფო უქმეები

| | |
|---|---|
| 1-2 იანვარი | ახალი წელი |
| 7 იანვარი | შობა |
| 19 იანვარი | ნათლისღება |
| 3 მარტი | დედის დღე |
| 8 მარტი | ქალთა საერთაშორისო დღე |
| 9 აპრილი | საქართველოს დამოუკიდებლობის დღე |
| 9 მაისი | ფაშიზმზე გამარჯვების დღე |
| 12 მაისი | მოციქულ ანდრია პირველწოდებულის დღე |
| 26 მაისი | საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე |
| 24 აგვისტო | კონსტიტუციის დღე |
| 28 აგვისტო | მარიამობა |
| 14 ოქტომბერი | სვეტიცხოვლობა |
| 23 ნოემბერი | გიორგობა |

**რელიგიური დღესასწაულები**
უდიდესი საეკლესიო დღესასწაულია ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ღმერთისა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

ათორმეტთაგან მოძრავნი: ბზობა, ამაღლება, სულთმოფენობა.

| | | | |
|---|---|---|---|
| ათორმეტთაგან უძრავნი: | 7 იანვარი | – | შობა |
| | 19 იანვარი | – | ნათლისღება |
| | 15 თებერვალი | – | მირქმა |
| | 7 აპრილი | – | ხარება |
| | 19 აგვისტო | – | ფერისცვალება |

| | | |
|---|---|---|
| 28 აგვისტო | – | მარიამობა |
| 21 სექტემბერი | – | ღვთისმშობლის შობა |
| 27 სექტემბერი | – | ჯვართამაღლება |
| 4 დეკემბერი | – | ტაძრად მიყვანა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა |

გარდა ამისა, არსებობს დიდი რელიგიური დღესასწაულები, მიცვალებულთა მოხსენიების დღეები, საეკლესიო სამახსოვრო დღეები, მარხვები, ხსნილი დღეები და ა.შ.

**მეტრული სისტემა**

საქართველოსა და სხვა ქვეყნების მეტრულ სისტემაში გარკვეული განსხვავებებია. მაგალითად,

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 დიუიმი | 2,54 სმ. | 1 ფუნტი | 0,4536 კგ. |
| 1 ფუნტი | 0,3048 მ. | 1 პინტა | 0,568 ლ. |
| 1 იარდი | 0,9144 მ. | 1 გალონი | 4,546 ლ. |
| 1 სახმელეთო მილი | 1,609 კმ. | 1 ბარელი | 163,65 ლ. |
| 1 საზღვაო მილი | 1,852 კმ. | | |

# 3 კომუნიკაციური კომპეტენციები მოზარდი შემსწავლელებისათვის

ეს თავი წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ქართული ენის ფლობის დონეების დადგენილ სტანდარტს არაქართველი მოსწავლეებისათვის.

| სამეტყველო ფუნქციები | | | |
|---|---|---|---|
| *რუბრიკა* | I კლასი | II კლასი | III კლასი |
| 1.1 სოციალური ურთიერთობები | | | |
| მისალმება | გამარჯობა! / გამარჯობა(თ)! დილა – მშვიდობისა! / გამარჯობა(თ)! | სალამი! / საღამო მშვიდობისა! | მოგესალმებით! |
| მოკითხვა | როგორ ხარ? / როგორ ხართ? – კარგად. | როგორ ბრძანდებით? | როგორ გიკითხოთ? |
| დამშვიდობება | ნახვამდის! | კარგად ბრძანდებოდეთ! | ღამე მშვიდობისა! |
| მადლობის გადახდა | გმადლობთ! | დიდი მადლობა! | მადლობელი ვარ! |
| მობოდიშება | ბოდიში! | დიდი ბოდიში! | უკაცრავად! მაპატიეთ! |
| თავაზიანი მიმართვა | თქვენ... (როგორ ხართ?) | როგორ ბრძანდებით? ბატონო / ქალბატონო | დედა როგორ ბრძანდება? |
| წარდგენა, გაცნობა | მე ვარ... / ეს არის... | გაიცანით, ეს არის... | იცნობდეთ, ეს ჩემი მეგობარია. |
| მილოცვა | გილოცავ დაბადების დღეს! / გილოცავ ახალ წელს! | გილოცავთ ახალ წელს! – ჩვენც გილოცავთ! | გილოცავთ ახალ სასწავლო წელს! |
| დათანხმება, უარი | დიახ / არა | კი, ჰო... | კარგი. |
| წახალისება | ყოჩაღ! / კარგია! | ძალიან კარგია! | ბრწყინვალეა! |
| ინტერაქცია სუფრასთან | მიირთვით! – დიდი მადლობა! / გმადლობთ! | ინებეთ! – გმადლობთ! | გემრიელად მიირთვით. |
| თხოვნა | შეიძლება წავიდე? შეიძლება მოვიდე? შეიძლება გავიდე? | თუ შეიძლება, გავალ? თუ შეიძლება, შემოვალ? | |
| დამშვიდება | | არა უშავს! | არაფერია! |
| გაფრთხილება | | | ფრთხილად იყავი! |
| ტელეფონით საუბარი | | | თუ შეიძლება, გიორგის სთხოვეთ. |
| *1.2 ინფორმაციის გაცვლა* | | | |
| პირადი მონაცემები: | რა გქვია შენ? – მე მქვია... რა გვარი | რა ჰქვია მას? – მას ჰქვია... რამდენი | საიდან ხარ(თ)? – მე თბილისიდან ვარ. |

| | | | |
|---|---|---|---|
| სახელი, გვარი, ასაკი, მისამართი | ხარ? – მე ვარ... რამდენი წლის ხარ? – მე ვარ 7 წლის... სად ცხოვრობ? – მე ვცხოვრობ... | წლის არის ...? – ის არის 8 წლის... სად ცხოვრობს ის? – ის ცხოვრობს ... | –ვინ ხარ(თ) თქვენ? – მე მოსწავლე ვარ. |
| ეროვნების და წარმომავლობის შესახებ | | მე ვცხოვრობ საქართველოში. | მე ვარ სომეხი/რუსი/ აზერბაიჯანელი/ ქართველი |
| ტელეფონის ნომერი | | | ჩემი ტელეფონის ნომერია... |
| დაბადების დღე | | | ჩემი დაბადების დღეა 15 ნოემბერს |
| ოჯახი | | ვინ გყავს შენ? – მე მყავს დედა, / მამა, / და, ძმა | რა ჰქვია დედაშენს? მამაშენს? შენს ძმას/ დას? |
| საქმიანობა | | მე ვარ მოსწავლე | ის არის სკოლის მოსწავლე |
| იდენტიფიცირება პიროვნების / საგნის | ვინ არის ის? – ის არის ბიჭი, / გოგონა რა არის ეს? – ეს არის კატა... | ის არის / არ არის მოსწავლე | |
| ჯანმრთელობის შესახებ | როგორ ხარ? – კარგად / ცუდად | როგორ ხარ(თ)? – არც ისე კარგად / არც ისე ცუდად | გაციებული ვარ. მახველებს. აცემინებს. |
| თარიღი | | დღეს არის 15 ნოემბერი (თვეების სახელები) | |
| დროის აღრიცხვა | | რა დღეა დღეს? – დღეს არის ორშაბათი... | რა დღეა და რა რიცხვია დღეს? რომელია გაზაფხულის თვეები? –გაზაფხულის თვეებია... (წელიწადის დროები და თვეები) |
| საქმიანობის, აქტივობის შესახებ | რას აკეთებ? – მე ვხატავ. რას აკეთებს გოგონა? – გოგონა ხატავს, წერს... | | |
| ამინდის შესახებ | როგორი ამინდია დღეს? – დღეს კარგი/ცუდი ამინდია... ცივა? – ცივა/ არ ცივა ცხელა? - ცხელა/არ ცხელა | წვიმს. თოვს. / არ წვიმს. არ თოვს. | დღეს მზიანი/ ღრუბლიანი ამინდია |
| სურვილის შესახებ | წყალი გინდა? – მინდა/ არ მინდა | მე მინდა ხატვა, / თამაში... | მე ძალიან მინდა... |
| თვითგამოხატვა | მე მომწონს / მე არ მომწონს | მე მიყვარს / მე არ მიყვარს | მე ძალიან მინდა/ მომწონს/მიყვარს... |
| საყიდლებზე | | | რა ღირს? |

| | | | |
|---|---|---|---|
| თავისუფალი დროის შესახებ | | | ვკითხულობ/ ვუკრავ პიანინოს/ ვათვალიერებ |
| | | | |
| *1.3 აღწერა, დახასიათება* | | | |
| ადამიანის გარეგნობა | როგორია ის? – ის მაღალია,/დაბალია, ლამაზია | მე მაქვს შავი თმა, ორი ხელი, ორი ფეხი... ის არის ქერა / თეთრი... | ის არის მსუქანი/ გამხდარი/მაღალი/და ბალი |
| ადამიანის ჩაცმულობა | | მე მაცვია შავი შარვალი, კაბა... | მას აცვია ქვედაკაბა/ზედატანი/ თეთრი პერანგი |
| ადამიანის ხასიათი | როგორია ის? – ის კეთილია,/ ჭკვიანია,/ კარგია, ცუდია, / სულელია... | ის არის მხიარული / მოწყენილი | ის უჭკუოა, ულამაზოა... |
| საგნის აღწერა | როგორია ის? ის არის დიდი,/პატარა,/მოკლე /გრძელი | მრგვალი, ფერადი... | ეს არის სამკუთხა, ოთხკუთხა... |
| ცხოველის აღწერა / რას შვება ცხოველი / ფრინველი? | ძაღლი, კატა... ლომი, მგელი... ცხოველია... ქათამი, ბატი... ბეღურა, ბულბული... ფრინველია... | ეს ძაღლი არის შავი, / თეთრი, / ჭრელი... | ძაღლი, კატა შინაური ცხოველია... ლომი, მგელი გარეული ცხოველია |
| *1.4 გემოვნების გამოხატვა* | | | ძალიან ლამაზია/მშვენიერია... |
| *1.5 შეფასება, დამოკიდებულება* | | | |
| მოწონება, არმოწონება | მოგწონს? – დიახ, მომწონს,/არა, არ მომწონს | ძალიან კარგია, / ლამაზია, / დიდია... | არც ისე კარგია, არც ისე ლამაზია... |
| დადებითი, უარყოფითი შეფასება | სწორია! არ არის სწორი! | | სწორი არ ხარ კარგად არ მოიქცა |
| საკუთარი პოზიციის გამოხატვა | როგორია? – კარგია/ცუდია... | ძალიან კარგია / ცუდია | მე არ მომწონს, მე არ მიყვარს... |
| გრძნობების, ემოციის გამოხატვა | | მიხარია! | ძალიან მიხარია! ძალიან ბედნიერი ვარ! |
| *1.6 შეგრძნებების გამოხატვა* | გცივა(თ)? –მცივა,/არ მცივა გცხელა(თ)? – მცხელა,/არ მცხელა | | არც ისე არცივა / არც ისე არ ცხელა; მეძინება / არ მეძინება |
| *1.7 საჭიროების, სურვილის გამოხატვა* | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| საჭიროება | მე მინდა/არ მინდა | მე ძალიან მინდა ... | მე მჭირდება. მე არ მჭირდება... |
| *1.8 ემოციის გამოხატვა* | | | |
| სიხარული | რა კარგია! | | რა ბედნიერებაა! |
| სინანული | რა ცუდია! | | რა საშინელებაა! |
| ბრაზი | | მე (ძალიან) გაბრაზებული ვარ! | ბრაზობ? –არ ვბრაზობ? |
| ეჭვი, ვარაუდი | | | შეიძლება, არ მოვიდეს. შეიძლება მოვიდეს. |
| გაკვირვება | | | მართლა? |
| შიში | | მე მეშინია / არ მეშინია ძაღლის... | |
| ინტერესი | | | საინტერესოა / არ არის საინტერესო |
| ინდიფერენტულობა | | | არა უშავს! არაფერია! |
| *1.9 დროში ორიენტირება* | | | |
| დროში განთავსება | დღეს, / ახლა | ერთხელ | ერთი წუთით! როდის დაიბადე? როდის მოხვალ? |
| ქრონოლოგია | | | ხუთი საათია. ხუთის ნახევარია. |
| სიხშირე | | ხანდახან, / ხშირად ვხატავ | ზოგჯერ, არასდროს, იშვიათად |
| ხანგრძლივობა | | | დიდი ხანია / არც ისე დიდი ხანია... |
| *1.10 სივრცეში ორიენტირება* | | | |
| ადგილმდებარეობა | სად არის ის?–ის არის ოთახში.სად არის წიგნი?–წიგნი არის მაგიდაზე | მაღაზია არის ახლოს / შორს... | სახლთან, სახლთან ახლოს, სახლიდან შორს |
| მიმართულება | | | სახლის პირდაპირ, სახლისკენ |
| *1.11 ლოგიკური კავშირის გამოხატვა* | | | |
| მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია | | | იმიტომ, რომ... |
| *1.12 ნებართვა, ვალდებულება, აკრძალვა* | თუ შეიძლება? – შეიძლება, / არ შეიძლება | მომეცი, თუ შეიძლება წიგნი! არ დახატო! არ დაწერო! | ეს არ უნდა გააკეთო, უნდა გააკეთო |
| *1.13 ინტერაქცია საკლასო ოთახში* | | | |
| მასწავლებლის მითითებები | ადექი(თ)! დაჯექი!/დასხედით! გადაშალე(თ) წიგნ(ებ)ი! გამოდი(თ) | სწრაფად! ხელი ასწიე(თ)! შეხედე(თ) დაფას! ყურადღებით მომისმინეთ! | ყურადღებით იყავით! დაიყავით ჯგუფებად! გააკეთეთ სწრაფად! ნუ ჩქარობთ! რას |

| | | | |
|---|---|---|---|
| | დაფასთან! წაშალე(თ) დაფა! სიჩუმე! ჩუმად! ითამაშე(თ)! შეხედე(თ)! მომისმინე(თ)! გავიმეოროთ ერთად! დახატე(თ)! ვინ არის დღეს?/ვინ არ არის დღეს? | მიპასუხე კითხვაზე! თქვი(თ) ქართულად! რა არის სურათზე? საშინაო დავალება... | იტყვი ამის შესახებ? შეგიძლია აღწერო? შეგიძლია დაახასიათო? |
| მიმართვები, შეკითხვები მასწავლებლისადმი | | გავიდე? შემოვიდე? | თუ შეიძლება, დამეხმარეთ! შეიძლება დავხატო? რა გვაქვს დავალება? |

| ლექსიკა | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| *რუბრიკა* | I კლასი | II კლასი | IIIკლასი |
| **2.1 ინდივიდი** | | | |
| სხეული | თავი, ტანი, თმა, სახე, თვალ(ებ)ი, ყურ(ებ)ი, ცხვირი, პირი, ხელ(ებ)ი, ფეხ(ებ)ი, | ტუჩ(ებ)ი, კბილ(ებ)ი, ენა, მუხლი. თით(ებ)ი, მკერდი, ზურგი, მუცელი... | კისერი, ყელი, მკერდი, მუცელი, მკლავი, მაჯა, ხელის მტევანი, ფრჩხილები, იდაყვი, ტერფი, წვივი |
| გარეგნობა | ლამაზი, უშნო, გრძელი, მოკლე, დიდი, პატარა, მაღალი, დაბალი, ახალგაზრდა, მოხუცი | მსუქანი, გამხდარი, სწორი / ხუჭუჭი თმა, თეთრი, ქერა, შავგვრემანი... | ძალიან ლამაზი, მშვენიერი, მრგვალი სახე/სახის, კეხიანი ცხვირი... |
| დახასიათება | კარგი, ცუდი, კეთილი, ბოროტი, ჭკვიანი, სულელი, ძლიერი, სუსტი | გონიერი, უჭკუო, მხიარული, მოწყენილი., თამამი, მორცხვი... | სერიოზული, ბეჯითი, ზარმაცი, შრომისმოყვარე, უქნარა |
| ტანსაცმლის აქსესუარები | კაბა, შარვალი, ფეხსაცმელი, წინდა/წინდები, ქვედაკაბა, ზედატანი, პერანგი, პალტო, ქუდი, ჩანთა | საწვიმარი, ქოლგა, ჟაკეტი, ჩექმები, ქამარი, ახალი პალტო, ლამაზი კაბა, ჩუსტები... | სათვალე, მზის სათვალე, ფერის..., სვიტრი, ქურთუკი, ჟილეტი, ჩანთა, ზურგჩანთა, ხელჩანთა, გულსაბნევი... |
| ჰიგიენა | სავარცხელი პირსახოცი, საპონი, ჯაგრისი | ხელის/სახის/პირის/ ფეხის დაბანა, კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა, ბავშვის პირსახოცი... | შამპუნი, აბაზანა, სააბაზანო ოთახი, ბანაობს |

| | | | |
|---|---|---|---|
| ჯანმრთელობა/ ავადმყოფობა | ექიმი, კარგად ვარ/ ცუდად ვარ/ ავად ვარ | ავადაა, სიცხე აქვს, გაციებულია, ახველებს, აცემინებს... ჯანმრთელი, ავადმყოფი... | წამალი, აფთიაქი, ბავშვის ექიმი, წამლის დალევა |
| შეფასება და ემოციური რეაქციები | კარგად, ცუდად | ძალიან კარგად, ძალიან ცუდად,.... | გახარებული, ნაწყენი, გაბრაზებული, დაღონებული |
| 2.2 ინდივიდის გარემოცვა | | | |
| ადამიანები | კაცი, ქალი, ბავშვ(ებ)ი, ხალხი, ამხანაგი, ბიჭი, გოგო(ნა), ცხოველი, ლეკვი, კნუტი. | მოხუცი ქალი / კაცი, ახალგაზრდა ბიჭი / გოგონა, | ხანშიშესული, მეზობელი, ნათესავი, ახლობელი |
| ოჯახი / ნათესავები | ოჯახი, დედა, მამა, შვილი, და, ძმა, ბებია, ბაბუა... | შვილიშვილი, მშობლები, ქალიშვილი, ვაჟიშვილი... | ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი |
| ცხოველთა სამყარო | ცხოველებია: ძაღლი, კატა, ცხვარი, ღორი, თხა, ცხენი, ძროხა; მელა, დათვი, მგელი, სპილო, ირემი, კურდღელი... თაგვი, ფრინველებია: ქათამი, მამალი, ბატი, იხვი, ჩიტი... | ლომი, ვეფხვი, მაიმუნი, ნიანგი, ბეჰემოთი... პეპელა,ფუტკარი, ბუზი... ციყვი... ლეკვი, კნუტი, გოჭი, თიკანი, კვიცი, ხბო, წიწილა... ძაღლი ყეფს, ცხენი ჭიხვინებს, კატა კნავის... | შინაური / გარეული ცხოველები... |
| ზღაპრის სამყარო | მეფე, დედოფალი, უფლისწული, სასახლე, ჯადოქარი... პრინცი, პრინცესა | ჯადოსნური ჯოხი, ჯადოქრობა, ღარიბი კაცი, მდიდარი კაცი... | ფერია, ჯადოსნური სარკე, მოჯადოებული სახლი, უქნარა, ზარმაცი, ღარიბი, ღატაკი, ჯუჯა, დევი |
| ბუნება | მზე, ცა, მთვარე, დედამიწა, ვარსკვლავ(ებ)ი, მდინარე, ქვა, ხე, ყვავილი, ფოთოლი, მზე ანათებს... | გუბე, ტბა, ზღვა, გორა, მთა, ტყე... | ოკეანე.. მწვერვალი. პლანეტა, სამყარო |
| ბუნების მოვლენები | სიცხე, სიცივე, წვიმა, თოვლი, ქარი | ყინვა, ნისლი, სეტყვა, თოვლის ფიფქი, კარგი ამინდი, ცუდი ამინდი... | მზის ჩასვლა / ამოსვლა, ხმელეთი, წყალი |
| გეოგრაფიული დასახელებები | საქართველო, ქალაქი, სოფელი | ქვეყანა, დედაქალაქი, ჯავახეთი, ქვემო ქართლი... | დაბა, რაიონი. |

| | | | |
|---|---|---|---|
| სახელმწიფოს ატრიბუტები | | სახელმწიფო, პრეზიდენტი, დროშა, ეროვნება: ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი, ბერძენი... | საქართველოს გერბი, საქართველოს ჰიმნი; |
| ქალაქი | ქალაქი, ქუჩა, მაღაზია, მანქანა, გზა, შენობა. | პარკი, ბაღი. გადასასვლელი, შუქნიშანი (წითელი, ყვითელი, მწვანე) | ტრანსპორტი |
| სოფელი | მინდორი, ყვავილი, ბალახი, ეზო | ბოსტანი, ღობე | მიწის ნაკვეთი, ვენახი, ბაღი, სახურავი, ბუხარი; მინდორი, ბილიკი, წყარო. |
| საცხოვრებელი ადგილი | სახლი, ოთახი, კედელი, ფანჯარა, კარი | ბინა, იატაკი, ჭერი, | საძინებელი ოთახი, სასტუმრო ოთახი, კაბინეტი, სასადილო ოთახი, სამზარეულო, სადილოზს... |
| ავეჯი, საყოფაცხოვრებო ნივთები. | მაგიდა, სკამი, სავარძელი, ტახტი, საწოლი, კარადა, თარო. ტელევიზორი, კომპიუტერი, სურათი. | ფეხსაცმელების / ტანსაცმელების კარადა, ტანსაცმელების საკიდი, ფარდა, ხალიჩა, კედლის საათი, სურათების ალბომი. | ჟურნალების მაგიდა, პიანინო, როიალი, უთო, საუთაო, ტელეფონის აპარატი, მუსიკალური ცენტრი, ვიდეო, მაგნიტოფონი, |
| აქსესუარები, ჭურჭელი | თეფში, ჭიქა, დანა, ჩანგალი, კოვზი, ფინჯანი, ლამბაქი. | ჭურჭელი, ჭურჭლის თარო, ჩაიდანი, ქვაბი, ტაფა... | თასი, ლანგარი, საპურე, სამარილე, ჭურჭლის კარადა, მაცივარი, გაზქურა, წყლის გამაცხელებელი |
| სკოლა, პერსონალი | სკოლა, კლასი, მოსწავლე. ზარი, გაკვეთილი, დასვენება. მასწავლებელი, წერა, კითხვა, ხატვა, მოსმენა. | სკოლის დირექტორი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, სასადილო, საცურაო აუზი; კლასელი. დიდი დასვენება, ექსკურსია | საკლასო ოთახი, კაბინეტი, დირექტორის კაბინეტი, სპორტდარბაზი, საცურაო აუზი |
| სასწავლო ნივთები | ჩანთა, წიგნი, რვეული, კალამი, ფანქარი, | საშლელი; დაფა, ცარცი; მერხი, ჟურნალი. | სახაზავი, წიგნის / რვეულის ფურცელი, დღიური, სახატავი რვეული, ფუნჯი, საღებავი, ფერადი ფანქრები. |
| სასწავლო საგნები | | ქართული, სახელმწიფო ენა, მშობლიური ენა, მათემატიკა, ხატვა, მუსიკა, სპორტი. | სუფთა წერა. ხატვის გაკვეთილი. შრომის გაკვეთილი. პირველი გაკვეთილი, ბოლო გაკვეთილი... |

| | | | |
|---|---|---|---|
| მომსახურების ობიექტები | მაღაზია, ბაზარი, გამყიდველი. | | პურის მაღაზია, სუპერმარკეტი, სალარო, ფული, ლარი, თეთრი... |
| სურსათი | ნაყინი, კანფეტი, ნამცხვარი, ტორტი | პური, კარაქი, ხორცი, ყველი; ხილი, ბოსტნეული, კიტრი, სტაფილო; ვაშლი, მსხალი, ატამი, ყურძენი. | პომიდორი, კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი, ბადრიჯანი; საზამთრო, ნესვი, ქლიავი, მანდარინი, ფორთოხალი ლიმონი |
| კვება, კვების პროდუქტები | რძე, | ჩაი, ყავა, კვერცხი, ახალი, გემრიელი. | რძის ნაწარმი, მაწონი, კარაქი, არაჟანი, ხაჭო. |
| ტრანსპორტი, პერსონალი | ავტობუსი, ტაქსი, ველოსიპედი. | მატარებელი, ტრამვაი, ტროლეიბუსი, მეტრო. მძღოლი, მემანქანე. | ჩემოდანი, რკინიგზა, თვითმფრინავი, სტიუარდესა, მატარებლის გამცილებელი, |
| კულტურული ობიექტები, პერსონალი | თეატრი, კინო, ცირკი, ზოოპარკი, სიმღერა, ცეკვა. | ოპერა, ბიბლიოთეკა, სტადიონი, მომღერალი, სპორტსმენი. | ბალერინა, მსახიობი, კინომსახიობი, ცირკის მსახიობი, კლოუნი, მასხარა, მომთვინიერებელი |
| ფოსტა, პერსონალი | | ფოსტა, წერილი, მარკა. | საფოსტო ყუთი, წერილის გაგზავნა... |
| დღესასწაულები, ზეიმები | დაბადების დღე, ახალი წელი, საჩუქარი, ნაძვის ხე, გილოცავ დაბადების დღეს!/ახალ წელს! | ტორტი, ნამცხვარი, გოზინაყი, ჩურჩხელა. გილოცავ შობას! | აღდგომა, წითელი კვერცხი, ქრისტე აღდგა! –ჭეშმარიტად აღდგა! |
| გასართობი, თავისუფალი დრო,სათამაშოები, თამაშები | სათამაშო, თოჯინა, მანქანა, დოლი, ბურთი, ფერადი ფანქრები, ნახატი. | ნაძვის ხის სათამაშო... ზოოპარკში. ცხოველები გალიაში. | დოლი, საყვირი, მოზაიკა, კონსტრუქტორი, სურათებიანი ანბანი, თოფი, |
| **2.3 აქტივობები** | | | |
| შინ | არის, დგება, წვება, ჭამს, სვამს, ხედავს, ლაპარაკობს, უსმენს, იბანს, იცვამს, თმას ივარცხნის, | მიდის. ათვალიერებს. სწავლობს, კითხულობს, | წერს, ხატავს, ტელევიზორს უყურებს, მუსიკას უსმენს, კომპიუტერზე თამაშობს, აფერადებს |
| სკოლაში | ხატავს, წერს, კითხულობს, ადექი! დაჯექი! ეკითხება, პასუხობს, ითვლის. | იმეორებს, ზეპირად ამბობს... | ამხანაგებთან თამაშობს, მასწავლებელს პასუხობს, გაკვეთილს იმეორებს, ძერწავს |
| სპორტი | თამაშობს, ცურავს, ვარჯიშობს... | მირბის, ხტება | ეჯიბრება, ჭიდაობს, ჭადრაკს თამაშობს, |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | იგებს, აგებს |
| დასვენება, გართობა | თამაშობს, ხატავს, აფერადებს, სეირნობს | ცეკვავს, მღერის, | ბაღში/პარკში სეირნობს, საქანელაზე ზის, ათვალიერებს, ზოოპარკში |
| მომსახურება | ყიდულობს | | ფულს იხდის |
| მგზავრობა, გადაადგილება | მიდის, მგზავრობს. | | ავტობუსით მგზავრობს |
| **2.4 ინდივიდის ორიენტირები** | | | |
| დრო | | საათი (4 საათია); დღეს, ახლა. | ხუთის ნახევარია... |
| სეზონები | | წელი, წელიწადის დროები; გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი. | გაზაფხულის თვეებია... ზაფხულის თვეებია... |
| კვირის დღეები | | კვირის დღეები: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა | |
| თვეები | | | თვეების სახელები... |
| დღე/ღამე | დილა, საღამო, დღე, ღამე | დილას, საღამოს... | შუადღეზე, |
| დროის განსაზღვრა | | ახლა, 3 საათია | შვიდის ნახევარია |
| სივრცე | | ახლოს, შორს | |
| ადგილმდებარეობა | | სკოლაში, სახლში, მაგიდაზე, თაროზე, აქ, იქ | სკოლისკენ... სკოლასთან, სკოლიდან |
| მახასიათებლები | | | |
| ფერი | თეთრი, შავი, წითელი, მწვანე, ლურჯი, ყვითელი. | ცისფერი, სტაფილოსფერი. | ოქროსფერი, ყავისფერი, ბაცი, მუქი ფერის |
| ზომა | დიდი, პატარა | | უზარმაზარი, |
| ფორმა | | მრგვალი, ოთხკუთხედი... | სამკუთხა, ოთხკუთხა |
| წონა | | | კილო |
| რაოდენობა | ბევრი, ცოტა | ერთი, ორი... | უამრავი, მრავალი |
| ტემპერატურა | | ცხელი, ცივი | თბილი. გრილი |
| შემადგენლობა | | | რკინის, ხის, პლასტმასის. |
| რიცხვები | 1–20 | 20–50ს | 100-მდე |

| გრამატიკა | | | |
|---|---|---|---|
| მეტყველების ნაწილები | I კლასი | II კლასი | III კლასი |
| არსებითი სახელი | სახელობითი ბრუნვა. მრავლობითი რიცხვი (-ებიანი მრავლობითი) | ნათესაობითი ბრუნვა | მიცემითი ბრუნვა, მოქმედებითი ბრუნვა |
| ზედსართავი სახელი | დადებითი ხარისხის ფორმა | უფროობითი ხარისხის ფორმა – ძალიან | |
| რიცხვითი სახელი | რაოდენობითი რიცხვითი სახელი 1–20 | რაოდენობითი რიცხვითი სახელები 1–50 | რაოდენობითი რიცხვითი სახელები 1-100 |
| ნაცვალსახელი | პირის ნაცვალსახელები (მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი) | პირის ნაცვალსახელები (მას...) ჩვენებითი ნაცვალსახელები ეს – ის | კუთვნილებითი ნაცვალსახელი (ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი) |
| ზმნა | ახლანდელი დროის ფორმა; არის ზმნის შეკვეცილი ფორმა. მომწონს... | ახლანდელი დრო, ბრძანებითი კილო; მიყვარს... | კავშირებითი კილო (უნდა/არ უნდა გააკეთო) |
| ზმნიზედა | დროის ზმნიზედა (ახლა) ადგილის ზმნიზედა (აქ,იქ) | დროის ზმნიზედა ერთხელ, ხშირად, ხანდახან... | ზოგჯერ, ხშირად, იშვიათად... |
| თანდებული | -ში, -ზე | -კენ | თან, დან |
| ნაწილაკი | არა, დიახ, არ | კი, ჰო... | კარგი |
| კავშირი | და | | იმიტომ, რომ... |
| შორისდებული | | | |
| **წინადადება** | | | |
| წინადადების ტიპები **შედგენილობის** მიხედვით | მარტივი წინადადება | მარტივი წინადადება | რთული წინადადება (იმიტომ, რომ) |
| წინადადების ტიპები **მოდალობის** მიხედვით | მტკიცებითი და კითხვითი წინადადებები | მტკიცებითი და კითხვითი წინადადებები | ძახილის წინადადება, ბრძანებითი წინადადება. |

## ფონეტიკა და ორთოეპია

ზეპირი მეტყველების დროს ყურადღება უნდა მიექცეს **ქართული სპეციფიკური თანხმოვნების** სწორად წარმოთქმას, მჟღერი, ყრუ მკვეთრი და ყრუ ფშვინვიერი თანხმოვნების ოპოზიციას (თ – ტ, დ – თ, პ – ფ, ქ – კ, ს – ზ, ყ, ჭ, წ, ჩ, ც, ძ, ჯ, ჰ...)

| სამეტყველო ფუნქციები | | | |
|---|---|---|---|
| *რუბრიკა* | IV კლასი | V კლასი | VI კლასი |
| 1.1 სოციალური ურთიერთობები | | | |
| მისალმება | | | |
| მოკითხვა | | ხომ კარგად ბრძანდებით? როგორ გიკითხოთ? | |
| დამშვიდობება | კარგად იყავი! მშვიდობით! | ხვალამდე! | მომავალ შეხვედრამდე! |
| მადლობის გადახდა | უღრმესი მადლობა! მადლიერი ვარ! | მადლობას გიხდით! | მადლობას გიხდით დახმარებისთვის! მადლობას გიხდით თანაგრძნობისთვის! |
| მობოდიშება | ძალიან ვწუხვარ! | სამწუხაროა! | მომიტევეთ! თუ შეიძლება მომიტევეთ! |
| თავაზიანი მიმართვა | მობრძანდით! დაბრძანდით! | ბრძანეთ! | |
| წარდგენა, გაცნობა | გაიცანით, ეს არის... | იცნობდეთ, ეს არის... | წარმოგიდგენთ, ჩვენს სტუმარს, იცნობდეთ, ეს არის... |
| მილოცვა | მომილოცავს ახალი წელი! | ქრისტე აღდგა! – ჭეშმარიტად აღდგა! | გილოცავთ! გისურვებთ ყოველივე კარგს!.. |
| დათანხმება, უარი | (დღეს კინოში წამოხვალ?) რა თქმა უნდა! არა მგონია! | კეთილი! | არავითარ შემთხვევაში! |
| წახალისება | საუკეთესოა! კარგად სწავლას გისურვებ! | საოცარია! | ფანტასტიკურია! |
| ინტერაქცია სუფრასთან | სალათი გადაიღეთ! | თუ შეიძლება, სალათი მომაწოდეთ! – ინებეთ! მიირთვით! | თუ შეიძლება წვნიანი დამისხით! –გემრიელად მიირთვით! |
| თხოვნა | ძალიან გთხოვთ! | გემუდარებით! | უმორჩილესად გთხოვთ! |
| დამშვიდება | ნუ დარდობ! ნუ ფიქრობ! არ იდარდო! | ნუ ნერვიულობ! | ამაზე არც იფიქრო! |
| გაფრთხილება | იცოდე, ეს საშიშია! | გაფრთხილებ, ეს საშიშია! | ფრთხილად იყავი, არაფერი შეგემთხვეს! |
| ტელეფონით საუბარი | თუ შეიძლება, ნინოს სთხოვეთ! | ეს ბერიძის ბინაა? – არა, სხვაგან მოხვდით. | ეს ბერიძის ბინაა? – არა, სხვაგან მოხვდით. ნომერი სწორად აკრიფეთ! |
| *1.2 ინფორმაციის გაცვლა* | | | |
| პირადი მონაცემები: | მე შენზე (მასზე) უფროსი, დიდი (პატარა) ვარ... | მე გახლავართ .... | მე გახლავართ ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი... |

| | | | |
|---|---|---|---|
| სახელი, გვარი, ასაკი, მისამართი | | | |
| ეროვნების და წარმომავლობის შესახებ | მე აქაური ვარ / არ ვარ | მე მოსკოვიდან ვარ. | მე წარმოშობით, ქართველი ვარ, მაგრამ ახლა მოსკოვში ვცხოვრობ. |
| ტელეფონის ნომერი | როგორაა შენი ტელეფონის ნომერი? / რა არის შენი ტელეფონის ნომერი? | მითხარი შენი ტელეფონის ნომერი. | თუ შეიძლება, თქვენს ტელეფონის ნომერს ჩავიწერ. / თუ შეიძლება, თქვენი ტელეფონის ნომერი მითხარით. |
| დაბადების დღე | ერთ კვირაში / თვეში / რამდენიმე დღეში ჩემი დაბადების დღეა | შენი დაბადების დღე როდისაა? | ჩვენ ერთ დღეს (/ ერთ თვეში / ერთ წელს( ვართ დაბადებული... |
| ოჯახი | უფროსი, შუათანა, უმცროსი | წარმოგვიდგინეთ თქვენი ოჯახი... | ჩემი ოჯახის წევრები არიან... |
| საქმიანობა | ის მუშაობს... ის დიასახლისია... | უმუშევარია.... | დროებით უმუშევარია... |
| იდენტიფიცირება პიროვნების / საგნის | | | ეს გახლავთ ჩვენი ახალი მოსწავლე. |
| ჯანმრთელობის შესახებ | თავი / კბილი / მუცელი მტკივა თავს კარგად ვერ ვგრძნობ უკეთესად ვარ | | შეუძლოდაა. (შეუძლოდ ვარ / ხარ) |
| თარიღი | ახლა არის 2005 წლის 17 აპრილი | | ეს მოხდა 1998 წელს. |
| დროის აღრიცხვა | წელიწადის რა დროა ახლა? | | |
| საქმიანობის, აქტივობის შესახებ | რას შვები? რას შვება გოგონა? – ის წერს, კითხულობს... | | |
| ამინდის შესახებ | დღეს ულრუბლო / უქარო ამინდია | საშინელი ამინდია. | გადაუღებლად წვიმს... |
| სურვილის შესახებ | წყალი ხომ არ გინდა? – არა, გმადლობთ, არ მინდა / დიახ. მინდა... | წყალი ხომ არ გნებავთ? | წყალს ხომ არ ინებებთ? |
| თვითგამოხატვა | მე ეს არც ისე ძალიან მომწონს... | ვერ ვიტან! | ვგიჟდები! |
| საყიდლებზე ყოფნისას | ძალიან იაფია / ძვირია... მე მინდა ვიყიდო... | მე მინდა პურის / ყველის... ყიდვა | პური და კვერცხი უნდა ვიყიდო. |
| თავისუფალი დროის შესახებ | ვსეირნობ, ცირკში მივდივარ, ცურვაზე დავდივარ... | კარგად ვერთობი. | მოსაწყენია! მომწყინდა. |
| *1.3 აღწერა, დახასიათება* | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ადამიანის გარეგნობა | რა ლამაზია! რა მშვენიერია! | ულამაზესია... | უმშვენიერესია! |
| ადამიანის ჩაცმულობა | რა ლამაზი კაბა გაცვია! რა კარგი შარვალი გაცვია! | კარგად / ცუდად აცვია | კარგი ჩასაცმელია... |
| ადამიანის ხასიათი | ის ბრაზიანია / ჭკვიანია, მშვიდია | ცუდი / კარგი ხასიათი აქვს... | საშინელი / ბრწყინვალე ხასიათი აქვს... |
| საგნის აღწერა | როგორია? დიდია, უზარმაზარია, ფართოა, მაღალია, დაბალია... | ეს მაგიდა ხისაა / რკინისაა... | პლასტმასისაა... |
| ცხოველის აღწერა / რას შვება ცხოველი / ფრინველი? | ძაღლი ყეფს, კატა კნავის, ლომი ღრიალებს... | ცხენი ჭიხვინებს... | დაფრინავს, დაცოცავს... |
| ***1.4 გემოვნების გამოხატვა*** | ძალიან კარგია / საინტერესოა / | მხიარულია | მოსაწყენია |
| ***1.5 შეფასება, დამოკიდებულება*** | | | |
| მოწონება, არმოწონება | მშვენიერია, საშინელია... | ულამაზესია | უმშვენიერესია |
| დადებითი, უარყოფითი შეფასება | სწორია? – სწორია, არ არის სწორი / არაა სწორი | | საშინლად მოიქცა... გმირულად მოიქცა... |
| საკუთარი პოზიციის გამოხატვა | მე მგონი / არა მგონია... | მე ვფიქრობ... | ჩემი აზრით... |
| გრძნობების, ემოციის გამოხატვა | კმაყოფილი ვარ / უკმაყოფილო ვარ | არც ისე კმაყოფილი ვარ / არც ისე უკმაყოფილო ვარ | კარგი იყო / არა უშავდა |
| ***1.6 შეგრძნებების გამოხატვა*** | თავის ტკივილი მაწუხებს ფეხსაცმელი მაწუხებს | ბედნიერი ვარ! | უბედნიერესი ვარ! |
| ***1.7 საჭიროების, სურვილის გამოხატვა*** | | | |
| საჭიროება | საჭიროა დავალების დაწერა / ბევრი კითხვა | აუცილებელია ეს გააკეთო! | აუცილებლად გააკეთე, / წამოდი... |
| ***1.8 ემოციის გამოხატვა*** | | | |
| სიხარული | ძალიან ბედნიერია! | გახარებული ვარ! / მიხარია! | უბედნიერესია... |
| სინანული | დასანანია, რომ გატყდა! | ცუდია, რომ ასე მოხდა... | საწყენია... |
| ბრაზი | – ნუ ბრაზობ! – არ ვბრაზობ. | გაბრაზებული ხარ? – არა, არა ვარ გაბრაზებული / ჰო გაბრაზებული ვარ... | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ეჭვი, ვარაუდი | მე მგონი, არ მოვა | არა მგონია, მოვიდეს | მე ვფიქრობ, არ გააკეთებს |
| გაკვირვება | მართლა? | ნამდვილად? | სერიოზულად ამბობ? |
| შიში | მშიშარაა / არაა მშიშარა | უშიშარია... | ძლიან მეშინია, ასე რომ მოხდეს... |
| ინტერესი | ძალიან მაინტერესებს, არ მაინტერესებს | მინდა გავიგო... | მინდა ვიცოდე... |
| ინდიფერენტულობა | როგორც შენ გინდა... | | |
| *1.9 დროში ორიენტირება* | | | |
| დროში განთავსება | ცოტა ხანში, ერთი წუთით | მაშინვე | იმ წუთას(ვე) |
| ქრონოლოგია | ხუთს აკლია ათი წუთი... | | |
| სიხშირე | მუდამ, სულ.. ყოველდღე კვირაში / დღეში / თვეში ერთხელ | თვეში ორჯერ / სამჯერ... | წელიწადში ერთხელ... |
| ხანგრძლივობა | ერთი წუთით... | რამდენიმე წუთით / საათით / დღით / წლით | რამდენიმე ხნით... |
| *1.10 სივრცეში ორიენტირება* | | | |
| ადგილმდებარეობა | სახლიდან სკოლამდე | სკოლასთან ახლოს – სკოლიდან შორს | სკოლის პირდაპირ / გვერდით / |
| მიმართულება | სახლის წინ / უკან | სკოლისკენ. | |
| *1.11 ლოგიკური კავშირის გამოხატვა* | | | |
| მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია | მას არ აქვს წიგნი, ***ამიტომ*** ვერ წაიკითხა ზღაპარი ის ჭკვიანია, ***მაგრამ*** ზარმაცი | ეს ადვილი არ არის, ***მაგრამ*** არც ძნელია | სკოლაში ვერ წავედი, ***რადგან*** დავალება არ მქონდა... |
| *1.12 ნებართვა, ვალდებულება, აკრძალვა* | ნუ აკეთებ! ნუ ყრი! ნუ ყვირი! | თუ შეიძლება, წავალ / წავიღებ / მომაწოდეთ... | არ შეიძლება ამის გაკეთება / დაყრა / გახსნა... |
| *1.13 ინტერაქცია საკლასო ოთახში* | | | |
| მასწავლებლის მითითებები | შეგიძლია შეასწორო? ვინ შეასწორებს? ვინ გაიმეორებს? ვინ იტყვის სწორად? ვინ იტყვის ლექსს? ვინ მოგვიყვება? ვინ დაახასიათებს? | აბა, ვინ მიპასუხებს... ვინ (არ) გააკეთა / შეასრულა დავალება? რა ვერ გაიგეთ? შეკითხვა ხომ არ გაქვთ? | გასაგებია? რა არის გაუგებარი? რა არის ძნელი? შეძლებთ დავალების შესრულებას? ძნელი ხომ არ არის? |
| მიმართვები, შეკითხვები მასწავლებლისადმი | მე კარგად ვერ გავიგე/დავწერე/ვერ დავწერე დავალება | კარგად ვერ გავიგე. მე მგონი, სწორად ვერ დავწერე... | ეს გაუგებარია... ვერ მოვასწარი წაკითხვა / დაწერა |

| ლექსიკა | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| *რუბრიკა* | IV კლასი | V კლასი | VI კლასი |
| 2.1 ინდივიდი | | | |
| სხეული | შინაგანი ორგანოები (გული, ადამიანი ფილტვებით სუნთქავს...) | შინაგანი ორგანოები (კუჭი, ღვიძლი... | შინაგანო ორგანოები თირკმელები... |
| გარეგნობა | ქერათმიანი, შავთმიანი, ხუჭუჭთმიანი... | წითური | სწორთმიანი, გრძელთმიანი, ხუჭუჭთმიანი |
| დახასიათება | სასაცილო, საშინელი, მშვენიერი, ბრწყინვალე თეთრკაბიანი, შავპალტოიანი | ულამაზესი, უმშვენიერესი... | ახოვანი, წარმოსადეგი |
| ტანსაცმლის აქსესუარები | საყურე, ბეჭედი, ღილი, ყელსაბამი, თავსაფარი | ღილი (ღილები), თმის სამაგრი... | ქამარი, გულსაბნევი... |
| ჰიგიენა | | | |
| ჯანმრთელობა/ ავადმყოფობა | გრიპით ავად, სურდო, გაციებული, ექიმი, ექთანი, აფთიაქში წამლის ყიდვა, ხველების წამალი, თავის ტკივილის წამალი... | სიცხიანი, გრიპიანი, ავადმყოფობს... | ტკივილგამაყუჩებელი წამალი |
| შეფასება და ემოციური რეაქციები | კმაყოფილი. გაჯავრებული, დაფიქრებული... | არც ისე კმაყოფილი ვარ... | უკმაყოფილო ვარ... |
| 2.2 ინდივიდის გარემოცვა | | | |
| ადამიანები | ბატონი / ქალბატონი | ბატონო გიორგი, ქალბატონო მარიამ | ბატონო გიორგი, ქალბატონო მარიამ |
| ოჯახი / ნათესავები | შვილთაშვილი, რძალი, სიძე, ბიცოლა... | ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი | ცოლი, ქმარი, რძალი, სიძე, ბიცოლა |
| ცხოველთა სამყარო | ძაღლი ყეფს, კატა კნავის... | ცხენი ჭიხვინებს... გარეული ცხოველები... | სპილო უდიდესი ცხოველია... |
| ზღაპრის სამყარო | წითელქუდა, ნაცარქექია, ცხოველთა ზღაპრები... | ჯადოსნური ზღპრები | ფილოსოფიური ზღაპრები... |
| ბუნება | მთა, ბარი, უცხოპლანეტელი, კოსმოსური ხომალდი | გორაკი, მაღლობი | მომაღლო ადგილი... |
| ბუნების მოვლენები | ქარიანი დღე, ღრუბლიანი დღე, წვიმიანი დღე, | მშვენიერი ამინდია | გადაუღებლად წვიმს.... კოკისპირულად |

| | | | |
|---|---|---|---|
| | მზიანი დღე | | წვიმს |
| გეოგრაფიული დასახელებები | სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა... | ამერიკა, ინგლისი., საფრანგეთი... | ევროპის ქვეყნები... |
| სახელმწიფოს ატრიბუტები | მთავრობა, ქალაქის მერი, გამგებელი | ქალაქის მერია, გამგეობა | პარლამენტის შენობა |
| ქალაქი | ქალაქის ცენტრი, პარლამენტის შენობა, გამგეობა, ეკლესია, ქალაქელი | კაფე, ბარი, რესტორანი.... | მრავალსართულიანი სახლი |
| სოფელი | ვენახი, ხეხილის ბაღი, ხილი, ბოსტნეული | ბოსელი, საღორე, საქათმე | ხეხილიანი ეზო... ყანა |
| საცხოვრებელი ადგილი | საკუთარი სახლი, ეზოიანი სახლი, მრავალსართულიანი სახლი | ბინა, ოთახი, საძინებელი, სამზარეულო.... | სასტუმრო ოთახი, სამზარეულო, საკუჭნაო, სამუშაო ოთახი, კაბინეტი |
| ავეჯი, საყოფაცხოვრებო ნივთები. | საწერი მაგიდა, კომპიუტერი, აუდიომაგნიტოფონი, ვიდეო; მტვერსასრუტი, | ფოტოაპარატი, ვიდეოკამერა | კომპიუტერი, მუსიკალური ცენტრი, სარეცხი მანქანა, კომბაინი |
| აქსესუარები, ჭურჭელი | წვნიანის თეფში, დესერტის თეფში, დიდი და პატარა კოვზი | ფინჯანი, ლამბაქი, დანა-ჩანგალი... ყავის ჭიქ(ებ)ი, ჩაის ჭიქ(ებ)ი, | სუფრა, გადასაფარებელი |
| სკოლა, პერსონალი | სამასწავლებლო, კლასელი, სკოლელი, სააქტო დარბაზი | თანაკლასელი, დირექტორის მოადგილე | ქართული ენის კაბინეტი.... |
| სასწავლო ნივთები | ფარგალი, ფლომასტერ(ებ)ი, | ფერადი ფურცლები | მარკერი... |
| სასწავლო საგნები | ბუნება, ისტორია, | გეოგრაფია, | ფიზიკა, ქიმია... |
| მომსახურების ობიექტები, პერსონალები | აფთიაქი, აფთიაქარი, გამყიდველი, მოლარე | ფოსტა, ბანკი | სასურსათო მაღაზია, ნაჭრების მაღაზია... |
| სურსათი | კვერცხი, შოკოლადი | ძეხვი, სოსისი | შებოლილი ძეხვი |
| კვება, კვების პროდუქტები | ჯემი, მურაბა, ხილის წვენი, ცივი ჩაი, კოკა-კოლა, | ფანტა, ბორჯომი, ღვინო, არაყი | მინერალური წყალი, კონიაკი, წითელი ღვინო, შავი, თეთრი ღვინო |
| ტრანსპორტი, პერსონალი | გემი, მეზღვაური, გემის კაპიტანი, ბარგი, ტვირთი | ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი | ავტობუსის მძღოლი, ტაქსის მძღოლი |
| კულტურული ობიექტები, პერსონალი | ნახატების გამოფენა, გამოფენა, მუსიკალური თეატრი, თოჯინების თეატრი | ოპერის თეატრი | სამხატვრო გალერეა, საგამოფენო დარბაზი |
| ფოსტა, პერსონალი | | ამანათის გაგზავნა | დაზღვეული წერილის გაგზავნა, მიღება |
| დღესასწაულები, | დასვენების დღე, | შობა, ახალი წელი, | დამოუკიდებლობის |

| | | | |
|---|---|---|---|
| ზეიმები | დედის დღე, სიყვარულის დღე, ბავშვთა დღე | აღდგომა, ნავროზობა | დღე, |
| გასართობი, თავისუფალი დრო, სათამაშოები, თამაშები | ბარბის თოჯინა, დისტანციური მანქანა, კომპიუტერული თამაშები | დაჭერობანა, დამალობანა | დახუჭობანა, წრეში ბურთი, ფეხბურთი, კალათბურთი... |
| **2.3 აქტივობები** | | | |
| შინ | სძინავს, იღვიძებს, ხუმრობს, იცინის, ტელევიზორს უყურებს, მეგობრებთან ერთობა | მეცადინეობს, კომპიუტერს თამაშობას.. | საუზმობს, სადილობა, ვახშმობს... ჭამს - მიირთმევს |
| სკოლაში | კითხულობს, ეთამაშება, | დარბის, ვარჯიშობს | პასუხობს, ხელს იწევს |
| სპორტი | ცურვაზე დადის, შეჯიბრებაზეა, წააგო, მოიგო | ვისკენ ხარ, ვის მხარეზე ხარ? | ჩემპიონი, ანგარიში, ფრე, სამით ორი, ერთით ერთი.. |
| დასვენება, გართობა | დაჭერობანას თამაშობენ, დახუჭობანას თამაშობენ, | ფეხბურთს თამაშობენ.... | მუსიკას უსმენს... კინოში, თეატრში მიდის.... |
| მომსახურება | თმას იჭრის, ისინჯავს; მიმტანი, გამყიდველი, დალაქი (პარიკმახერი) | ხელოსანი | ოფიციანტი, პოლიცია, მეხანძრე, სასწრაფოს ექიმი |
| მგზავრობა, გადაადგილება | ტაქსის დაჭერა, მატარებელს მიუსწრო / ვერ მიუსწრო, ავტობუსში ასვლა, ავტობუსიდან ჩამოსვლა | ავტობუსის, ტაქსის გაჩერება... | გამიჩერეთ, აქ ჩავდივარ! თქვენ ხომ არ ჩადიხართ? ჩაბრძანდებით? მძღოლს გადაუხადა ფული, რა ღირს მგზავრობა? |
| **2.4 ინდივიდის ორიენტირები** | | | |
| დრო | ხუთს აკლია ათი წუთი; ხვალ, გუშინ | გუშინწინ, გუშინწინისწინ | ზეგ, მაზეგ |
| სეზონები | | | |
| კვირის დღეები | | ორშაბათს, კვირას... | ამ კვირაში, ამ თვეში... |
| თვეები | | სექტემბერში, აგვისტოში... | |
| დღე/ღამე | შუადღე, შუაღამე, შუადღისას, შუაღამისას | დილას, საღამოს, შუადღეზე... | ძალაინ ადრე, განთიადზე |
| დროის განსაზღვრა | დილის ცხრა საათია, საღამოს შვიდი საათია, ღამის ორი საათია | ხუთ საათზე, ხუთის ათ წუთზე, ხუთის ნახევარზე... | ხუთისთვის სახლში ვიქნები |
| სივრცე | არც ისე შორს, არც ისე ახლოს | შორიახლოს... | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ადგილმდებარეობა | სკოლამდე | -კენ | |
| მახასიათებლები | რკინის, ხის | პლასტმასის | |
| ფერი | მუქი ყავისფერი, ღია ყავისფერი | ოქროსფერი, ვერცხლისფერი... | ღია ფერი, მუქი ფერი (ფერის) |
| ზომა | დიდი მაქვს, პატარა მაქვს | 36 ნომერი ფეხსაცმელი | 42 ზომა შარვალი |
| ფორმა | ოვალური, | | |
| წონა | გრამი, კილოგრამი | | |
| რაოდენობა | ნახევარი | | მესამედი, მეხუთედი |
| ტემპერატურა | ძალინ ცივი, ძალიან ცხელი | | |
| შემადგენლობა | | | |
| რიცხვები | 100-დან ზემოთ.... | 1000-მდე | 1000-ის ზემოთ... |

| გრამატიკა | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| მეტყველების ნაწილები | IV კლასი | V კლასი | VI კლასი |
| არსებითი სახელი | ვითარებითი ბრუნვა წარმომავლობის სახელთა წარმოება (ახალქალაქელი, ახალქალაქური) უქონლობის სახელები (უქარო...) -იან სუფიქსიანი სახელები | მოთხრობითი ბრუნვა სახელთა წარმოქმნა დანიშნულების სახელები (საკაბე, საავადმყოფო) ხელობის სახელები | ბრუნვათა სრული სისტემა სახელთა წარმოქმნის სრული სისტემა |
| ზედსართავი სახელი | უფროობითი ხარისხის ფორმა (ყველაზე...) | უფროობითი ხარისხის ფორმები (უდიდესი...) | ოდნაობითი ხარისხის ფორმები (მოდიდო...) |
| რიცხვითი სახელი | რაოდენობითი რიცხვითი სახელები (რთული, შედგენილი) | რიგობითი რიცხვითი სახელები | წილობითი რიცხვითი სახელები |
| ნაცვალსახელი | ჩვენებითი ნაცვალსახელები | უარყოფითი ნაცვალსახელები | კითხვითი, განსაზღვრებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები |
| ზმნა | ნუ ნაწილაკიანი ბრძანებითი | წარსული დრო | მომავალი დრო |
| ზმნიზედა | ერთხელ, მუდამ, სულ | ვითარების ზმნიზედები ზმნიზედები | ზომა-ოდენობისა და ჯერობის ზმნიზედები |
| თანდებული | -დან -მდე, წინ, უკან | შესახებ, მიმართ, | გამო, თანავე, მიერ, გარდა |
| ნაწილაკი | ნუ, ვერ | აბა, ნეტავ / ნეტა | მეთქი, თქო, -ო |
| კავშირი | მაგრამ | სადაც, რომელიც | რომ კავშირიანი წინადადებები |
| შორისდებული | წახალისების | მოწონება- | მწუხარების |

| | | | |
|---|---|---|---|
| | შორისდებულები | სიხარულის შორისდებულები | შორისდებულები |
| წინადადება | | | |
| წინადადების ტიპები **შედგენილობის** მიხედვით | რთული წინადადება (ამიტომ), მაგრამ კავშირიანი წინადადებები | ადგილის გარემოებითი, განსაზღვრებითი რთული წინადადებები | რომ კავშირიანი წინადადებები |
| წინადადების ტიპები **მოდალობის** მიხედვით | ნუ ნაწილაკიანი აკრძალვითი ბრძანებითი წინადადება „მე მგონი" კონსტრუქცია | ძახილის წინადადება | თხრობითი, კითხვითი, ძახილის, ბრძანებითი წინადადებები |
| | | | |
| **სამეტყველო ფუნქციები** | | | |
| *რუბრიკა* | **VII კლასი** | **VIII კლასი** | **IX კლასი** |
| **1.1 სოციალური ურთიერთობები** | | | |
| **მისალმება** | მოგესალმებით, | გაუმარჯოს | რა კარგია, რომ გნახეთ! |
| **მოკითხვა** | | ხომ კარგად ბრძანდებით? როგორ გიკითხოთ? | |
| **დამშვიდობება** | კარგად! | საღამომდე! მომავალ შეხვედრამდე! | მომავალ შეხვედრამდე! ხვალამდე! აბა, კარგად! |
| **მადლობის გადახდა** | დიდ მადლობას მოგახსენებთ! | უდიდეს (უღრმეს) მადლობას მოგახსენებთ! | თქვენი დიდად მადლიერი ვარ! მადლობელი ვარ! |
| **მობოდიშება** | თუ შეიძლება, მაპატიეთ! | გთხოვთ, მაპატიოთ!! თუ შეგიძლიათ, მაპატიეთ! | მე ძალიან ვწუხვარ ამის შესახებ! |
| **თავაზიანი მიმართვა** | თუ შეიძლება, მობრძანდით! გეპატიჟებით, მობრძანდით! | ჩაის (ყავას) ხომ არ მიირთმევთ? | მობრძანდით დაბრძანდით, მირთვით! რას ბრძანებთ! |
| **წარდგენა, გაცნობა** | გაიცანით, ეს არის... იცნობ(თ) გიორგის? | იცნობდეთ, ეს არის... | გავიცნოთ ერთმანეთი: მე ვარ... მე თქვენ გიცნობთ / არ გიცნობთ |
| **მილოცვა** | გილოცავთ დაბადების დღეს/ ახალ წელს! | გილოცავთ ამ დღესასწაულს! | გილოცავთ! გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს! გისურვებთ ყოველივე კარგს!.. დაესწარით მრავალს! |
| **დათანხმება, უარი** | როგორ მოვიქცე? | კარგი, აუცილებლად | მე მგონი ვერ |

| | | | |
|---|---|---|---|
| | დაგეხმარებით! თუ კარგად ვიქნები, აუცილებლად წამოვალ! მინდა დაგპატიჟოთ! | მოვალ! დიდი მადლობა დაპატიჟებისათვის! აუცილებლად მოვალ! ალბათ ვერ მოვალ! თუ შევძლებ მოვალ! | შევძლებ მოსვლას! მე ძალიან მინდა მოხვიდეთ! ვეცდები, მოვიდე! შევეცდები! შემოგვიერთდებით? დიდი სიამოვნებით შემოგიერთდებით! |
| **წახალისება, შექება** | ბრწყინვალეა! კარგია! | ეს მართლაც საოცრებაა! გადასარევია! სწორი ხარ! მართალს ამბობ! ძალიან საინტერესოა! | ფანტასტიკურია! კარგი იდეაა! მომწონს! შენ ძალიან ყოჩაღი ხარ! ყოჩაღ, გამახარე! |
| **ინტერაქცია სუფრასთან** | სალათი გადაიღეთ! ჩაი გნებავთ თუ ყავა? რას მიირთმევთ? თუ შეიძლება, მინერალური წყალი მომიტანეთ! კიდევ მიირთვით! არა, გმადლობთ, არ მინდა! | თუ შეიძლება, ცოტა სალათი გადმომიღეთ! – ინებეთ! მიირთვით! მომაწოდეთ1 თუ შეიძლება! ნამცხვარს კიდევ მიირთმევთ? დიდი მადლობა, მეტი არ მინდა! სალათი მოგეწონათ? – ძალიან! | თუ შეიძლება მინერალური წყალი დამისხით! –აი, ინებეთ! მიირთვით! –გმადლობთ, მართლაც ძალიან მშია! არა, არ მშია, დიდი მადლობა! მართლაც კარგი სუფრაა! კარგად მიირთვით! |
| **ინტერაქცია სავაჭრო ობიექტში** | საყიდლებზე მივდივარ! საყიდლებზე ხომ არ წამოხვალ? რა უნდა იყიდო? ნამცხვარი ახალია? ნამცხვარი რამდენი გნებავთ? რამდენი აგიწონოთ? რამდენი გადავიხადო? რა ღირს ერთი კილო? | ძეხვი რამდენი გნებავთ? რომელი ძეხვი გაქვთ? თუ შეიძლება რვაასი გრამი ამიწონეთ. თუ შეიძლება ეს ყავა მაჩვენეთ! რომელი ფერი მოგწონთ? კარგია, მაგრამ ძვირია! არა, ძალიან ძვირია / იაფია. | ვერ ვიშოვე. ისეთი არ არის, როგორიც მინდა. სხვაგან უფრო იაფად ვნახე და იქ ვიყიდი. იცით, მე ვეძებ.... გაქვთ? ლამაზი / კარგი სვიტრია, უნდა ვიყიდო... მიხდება? ძალიან გიხდება. |
| **ინტერაქცია მგზავრობისას** | ბილეთები აქ იყიდება? სად ვიყიდი ბილეთებს? რა ღირს ბილეთი? მგზავრობა ორმოცდაათი თეთრი ღირს. სად არის ავტობუსის გაჩერება? ტაქსის გაჩერება სად არის? შემდეგ გაჩერებაზე ჩახვალთ? რომელია შემდეგი გაჩერება? – უნივერსიტეტი. | ტაქსით წავიდეთ, დაგვაგვიანდება! სამსახურში რით დადიხარ? – ავტობუსით. ტაქსით მოხვედი თუ ავტობუსით? – ავტობუსით. ეს ავტობუსი სად მიდის? მეტროთი წავიდეთ, უფრო სწრაფია. სამგზავრო ბილეთები შეიძინეთ სალაროში! სად ვიყიდო ბილეთები? | მგზავრობა რა დამიჯდება? აეროპორტამდე რა ნომერი ავტობუსი მიდის? ტაქსი აეროპორტამდე რა ღირს? თვითმფრინავის ბილეთები სად შეიძლება ვიყიდო? რომელ საათზე ჩამოფრინდება ჰამბურგი–თბილისი? როდის / რომელ საათზე მიფრინავ? |

| | | | |
|---|---|---|---|
| მიმოწერა (მიმართვა / გამომშვიდობება) | სალამი ძვირფასო მარი! იმედი მაქვს, შენკენ ყველაფერი კარგადაა! როგორ ხარ? როგორ არიან შენები? ალბათ ერთმანეთს მალე ვნახავთ! მოგიკითხა დედამ და მამამ! საუკეთესო სურვილებით... | ძალიან გამიხარდა შენი წერილის მოსვლა. გისურვებ ყოველივე საუკეთესოს! სიყვარულით მარიამი! დიდი სიყვარულით მარიამი! თქვენი მარიამი! | პატივცემულო ზურაბ! ველოდები თქვენს წერილს! დიდი მადლობა წერილისთვის! ძალიან სასიამოვნო იყო თქვენი წერილის მიღება! დიდი მადლობა წერილისათვის! მაპატიეთ ამდენ ხანს რომ ვერ მოგწერეთ! |
| ტელეფონით საუბარი | ხვალ დაგირეკავთ! ხვალ დამირეკეთ! ალბათ დაგირეკავ, სახლში იქნები? ვინ გნებავთ? ცოტა ხანში დაგირეკავ! | შეიძლება თქვენგან დავრეკო? თუ შეიძლება, დამარეკინეთ! სხვაგან მოხვდით. თქვენ არასწორად აკრიფეთ ნომერი, შეამოწმეთ! | სახლში არ არის, ცოტა ხანში კიდევ დავრეკავ. სახლში არ არის, ცოტა ხნის შემდეგ დარეკეთ! გადაეცით, რომ გიამ დარეკა. გამარჯობა, ქეთი შენ ხარ? |
| *1.2 ინფორმაციის გაცვლა* | | | |
| პირადი მონაცემები: სახელი, გვარი, ასაკი, მისამართი, დაბადების თარიღი. | შენ ვინ ხარ? მე ამ სკოლის მოსწავლე ვარ! რომელ კლასში სწავლობ? მე მეათეკლასელი ვარ! სად ცხოვრობ? მე ქუთაისში ვცხოვრობ / ქუთაისელი ვარ. რომელ სკოლაში დადიხარ? შენი ტელეფონის ნომერი ჩამაწერინე. | რა გვარის ხარ? რომელ თვეში ხარ დაბადებული? რომელ წელს დაიბადე? მე გოგებაშვილის 10-ში ვცხოვრობ. რომელ კორპუსში/სახლში ცხოვრობ?, რომელ სართულზე ცხოვრობ? | მე გახლავართ ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი... ამ სკოლაში ათი წელია ვასწავლი, ვმუშაობ. |
| ეროვნების და წარმომავლობის შესახებ | საიდან ხარ? სადაური ხარ? მე ჯავახეთიდან / ქვემო ქართლიდან ვარ. | მე სომეხი / აზერბაიჯანელი / ქართველი / რუსი / ებრაელი / უკრაინელი... ვარ | რა ეროვნების ხარ? რომელი ქვეყნის მოქალაქე ხარ? მამაჩემი ეროვნებით რუსია, დედა - ქართველი |
| თავისუფალი დრო | რა გიყვარს? რა გეხერხება? რა არის შენი ჰობი? გაქვს ჰობი? მე მომწონს ცეკვა მე ვაგროვებ მარკებს რაზე უკრავ? თხილამურებით სრიალებ? ცურავ? ცეკვავ? | სად ისვენებ? სად მიდიხარ ხოლმე დასასვენებლად? ექსკურსიაზე მიდიხარ? ექსკურსიებზე დადიხართ? ქალაქგარეთ დასვენება გიყვარს? | ლაშქრობაზე დადიხართ ხოლმე? რა გაინტერესებს? ტექნიკა გაინტერესებს? – არა ტექნიკა არ მაინტერესებს. ხელოვნება მაინტერესებს. მე კომპიუტერზე თამაში მიყვარს. |
| პროფესია | ის მასწავლებელია ის მასწავლებლად | მამაჩემი არქიტექტორია, | ჩემი მეგობარი მოდელიორია, |

| | | | |
|---|---|---|---|
| | მუშაობს სად მუშაობს მამაშენი? რად მუშაობს მამაშენი? – ინჟინრად კერძო ფირმაში | მუსიკოსია., ფოტოგრაფია, მძღოლია, ადვოკატია... რა უნდა გამოხვიდე? – ექიმი, მასწავლებელი, მსახიობი, მოცეკვავე... | ექთანია, სტილისტია, მე მინდა გავხდე კოსმონავტი, იურისტი, ჟურნალისტი, ასტრონომი, გამომგონებელი, პროგრამისტი.... |
| ჯანმრთელობა | როგორ ხარ? თავს როგორ გრძნობ? დღეს თავს როგორ გრძნობ? გმადლობთ, კარგად. დღეს უკეთესად ვარ. დღეს არა მიშავს. | კარგად ვერ ვარ. თავს კარგად ვერ ვგრძნობ. ორი დღეა კბილი საშინლად მტკივა. თავის ტკივილი მაწუხებს. უკვე გამოვჯანმრთელდი. | გავცივდი და თავს საშინლად ვგრძნობ. თავბრუ მეხვევა. ბოლო დროს ავადმყოფობს. ალერგიული ხართ? რა გაწუხებთ/ არაფერი არ მაწუხებს. |
| ამინდი | დღეს ძალიან კარგი ამინდია. ქარიანი ამინდია. ძალიან ცხელა? – არც ისე, თბილა. როგორ ფიქრობ, იწვიმებს? წვიმს, მაგრამ მალე გადაიღებს. | საშინელი ამინდია. გათოვდება? ალბათ გათოვდება. გაწვიმდება? – არა მგონია. წვიმა ალბათ მალე გადაიღებს. ბათუმში ხშირად წვიმს. | საქართველოში ზომიერი ჰავაა. მშრალი კლიმატია. ნესტიანი კლიმატია. აქ ნესტი იცის. ზამთრობით დიდი ყინვებია. ცვალებადი ამინდია. |
| *1.3 აღწერა, დახასიათება:* | | | |
| ადამიანის გარეგნობა | მშვენიერი ქალბატონია. სიმპათიური მამაკაცია. მაღალია, წარმოსადეგია. დაბალია, ტანმორჩილია. ქერა და ხუჭუჭთმიანია. შავთმიანია | როგორ გამოიყურება? სათვალეებს ატარებს. გრძელ თმებს ატარებს. მსუქანია. ძალიან გამხდარია. სუსტია. | ვის ჰგავხარ/ მამაჩემს / დედაჩემს ვგავარ! ეს შენი ბავშვობის სურათია. ეს მისი ახალგაზრდობაა. მშვენივრად გამოიყურება კარგ ფორმაშია. |
| ადამიანის ჩაცმულობა | ძალიან ლამაზი კოსტუმი გაცვია. ახალი ფეხსაცმელებია? კარგია. კარგი ჯინსები გაცვია. კარგი ხელთათმანები / ქუდი / ყელსახვევი ვიყიდე ზამთრისთვის. რა ზომა ტანსაცმელს ფეხსაცმელს იცვამ? | ეს კოსტუმი კარგად გაქვს. ეს შარვალი დიდი გაქვს? ფეხსაცმელები პატარა მაქვს. ეს ფეხსაცმელები მიჭერს. ეს ფეხსაცმელი ფეხს მტკენს. მუქი ლურჯი გიხდება. ღია ფერის ტანსაცმელი მიხდება. | როგორი ფეხსაცმელები მოგწონს? სპორტული თუ კლასიკური? კარგი ქურთუკი გაცვია. მაგარია! ეს სვიტრი დედაჩემმა მომიქსოვა, მოგწონს? – ძალიან მაგარია... ახალი ქურთუკი ძალიან გიხდება. მაგარი ფერია. |
| ადამიანის ხასიათი | ის ამაყია. ის თავმდაბალია. ის ძალიან | ჩვენი მასწავლებელი ძალიან მკაცრია. არც ისე მკაცრი | ის ჯიუტია. დაუჯერებელი ბავშვია. კარგად |

| | | | |
|---|---|---|---|
| | მეგობრულია. ის სერიოზული ადამიანია. ძალიან ნიჭიერია. გონიერია. | არაა. სულ არაა მკაცრი. კარგი ხასიათის ადამიანია. | აღზრდილი ადამიანია. უზრდელია. ძალიან ზრდილობიანია. |
| **საგნის აღწერა** | ეს სუფთაა. ჭუჭყიანია. ოთახი დალაგებულია. ოთახი არეულია. როგორია შენი სახლი / ოთახი? რამხელაა შენი ოთახი? | რა სიგრძისაა შენი ოთახი? რა სიგანისაა ოთახი? რა სიმაღლისაა ჭერი? რამდენი კვადრატული მეტრია საკლასო ოთახი? ვიწროა, ფართოა. კვადრატული ოთახია. | მაგიდა მრგვალია. ოთხკუთხედის ფორმისაა. მართკუთხედის ფორმისაა. ოვალურია. დანა მჭრელია. გალესილია. ეს დანა ბლაგვია, არ ჭრის. |
| *1.4 შეფასება, დამოკიდებულება* | | | |
| **მოწონება, არმოწონება** | მშვენიერი იდეაა. ძალიან მომწონს. სულ არ მომწონს. ძალიან მომეწონა დაბადების დღე. არც ისე ძალიან მომეწონა. | მოგწონს თანამედროვე ესტრადა? მოგწონს კლასიკური მუსიკა? ჯაზი? ძალიან კარგია. მშვენიერია. ბრწყინვალეა. | მოსაწყენი იყო; მოსაბეზრებელია. ეს ბრწყინვალე იდეაა. მომწონს იდეა! წიგნის კითხვა გიყვარს? როგორი ფილმები მოგწონს? |
| **საკუთარი აზრის, შთაბეჭდილების, პოზიციის გამოხატვა** | სწორია! არასწორია! ჩემი აზრით, მე ვფიქრობ... მე მირჩევნია. ჯობია | შენ სწორი არ ხარ. არასწორად იქცევი! არასწორად მოიქცა! მე მჯერა შენი. არ მჯერა, რომ ეს მართალია! მე მინდა გითხრა, რომ... | ჩემი მოსაზრებით... მე ასე არ ვფიქრობ. არა მგონია ასე იყოს.. მე მაინც მგონია... როგორც ჩანს... რა თქმა უნდა... |
| *1.5 საჭიროება სურვილი გამოხატვა* | მე მინდა... მე მჭიდება... მე ვისურვებდი... როგორ ჯობია მოვიქცე? რა ვქნა? რა უნდა გავაკეთო? | მე ძალიან მინდა... კარგი იქნებოდა, რომ წავსულიყავი... მე გირჩევ... ჯობია, წახვიდე, უთხრა... | შენ ეს დაგჭირდება. მე გირჩევ, ასე მოიქცე. რას მირჩევ? რა უნდა ვქნა? – უნდა წახვიდე, გააკეთო... |
| *1.6 ემოციის გამოხატვა:* | | | |
| **სიხარული, კმაყოფილება** | მე ძლიან ბედნიერი ვარ. მე ძალიან კმაყოფილი ვარ. რა ბედნიერი ვარ! მე არ შემიძლია ამაზე არ ვიფიქრო. მართლა? არ მჯერა! | ის კმაყოფილია. ეს დიდი ყურადღებაა თქვენი მხრიდან. ეს საოცრება იყო! მე უბედნიერესი ვარ. | მე არც ისე კმაყოფილი ვარ. მე უკმაყოფილო ვარ. მე საშინლად უკმაყოფილო ვარ. მე გაოცებული ვარ მისი საქციელით. მე გაოგნებული ვარ. |
| **სინანული** | ძალიან სამწუხაროა; ვწუხვარ! ძალიან ვწუხვარ! ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვარ. | მე ძალიან ვწუხვარ ამის გამო! მე ვნანობ ამის შესახებ! რა საწყენია! | ძალიან მწყინს! საშინელებაა! რა სამწუხაროა! |
| **ბრაზი** | მე ძალიან გაბრაზებული ვარ! | ნუ ბრაზობ! ნუ ნერვიულობთ! რატომ | რა გაფიქრებთ? რა გაწუხებთ? რა |

| | | | |
|---|---|---|---|
| | საშინლად ვბრაზობ! | წუხხარ? | განერვიულებთ? |
| **ეჭვი, ვარაუდი** | ვეჭვობ, ასე არ არის. შეიძლება. შესაძლებელია. დარწმუნებული არა ვარ. | მე მგონი... მე მგონია, არ მოვა. შენ როგორ ფიქრობ? | არა მგონია, მოვიდეს. მას შეეძლო, ასე არ მოქცეულიყო. |
| **გაკვირვება** | მე გაკვირვებული ვარ. მე გაოცებული ვარ. რა სიურპრიზია! რა მოხდა? | მართლა ასე იყო? მიკვირს. არ მეგონა. | ხუმრობ? ნუთუ მართლა ასე მოიქცა? რას გულისხმობ? მართლა? ამას ვერ დავიჯერებ! |
| **შიში** | საშიშია. მე მეშინია ამ ამბის. მე მისი მეშინია. | ცეცხლის / წყლის / სისწრაფის მეშინია. არაფრის არ მეშინია. | შეგაშინეთ? არ მინდოდა, შემეშინებინეთ. ნუ გეშინიათ! |
| **ინტერესი** | მე მიყვარს კითხვა. მე მაინტერესებს დეტექტივები. მე ძალიან მეხერხება ხატვა. | მე მაინტერესებს ქიმია / ფიზიკა / ბიოლოგია... | მას ხატვის ნიჭი აქვს. ყველაფერში ნიჭიერია. |
| **ინდიფერენტულობა** | მე არ მაინტერესებს. სულ არ მაინტერესებს. | ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. | არანაირ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. |
| *1.7 დროში ორიენტირება* | | | |
| **დროში განთავსება** | დილას / დილით საღამოს / საღამოთი, შუადღისას, ღამით, შუაღამისას | დილაობით საღამოობით ორშაბათობით... შაბათობით... | თვეობით კვირაობით წლობით |
| **ქრონოლოგია** | მერე, შემდეგ, ჯერ.. შემდეგ... პირველად ..., მეორედ... | თავიდან ბოლომდე, შარშან, შარშანწინ, შარშანწინისწინ | წელს, გაისად, მერმისს, მომავალში |
| **სიხშირე** | ხშირად, იშვიათად, ყოველთვის, ზოგჯერ | ერთხელ ყოველდღე ყოველთვე / ყოველთვიურად ყოველ წელს / ყოველწლიურად | ყოველ ორ წელიწადში, ყოველ მეორე დღეს, ყოველ მეორე კვირას, თითქმის ყოველთვის |
| **ხანგრძლივობა** | რამდენ ხანს გრძელდება? სულ ოცი წუთი სჭირდება. ერთი საათს განმავლობაში. რამდენ ხანს დარჩები? მუდამ. მუდმივად, | მთელი დღის განმავლობაში. ორშაბათიდან. დიდი ხნით. აქამდე. მთელი დღით / ღამით. სანამ გავაკეთებ... | მთელი დღით. მთელი ღამით. მთელი თვით / წლით. დილიდან საღამომდე. ადრე დილიდან გვიან ღამემდე. |
| ***სიჩქარე*** | ჩქარა. სწრაფად. ნელა. | მთელი სისწრაფით. იჩქარე! ნუ ჩქარობ! | რა ნელი ხარ! სწრაფად გააკეთე! საოცრად სწრაფად. რა სიჩქარით / სისწრაფით? |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | სწრაფად, მაგრამ ფრთხილად. |
| *1.8 სივრცეში ორიენტირება* | | | |
| ადგილმდებარეობა | გვერდით. ახლოს. შუაში აქ / იქ მარჯვნივ / მარცხნივ შორს / ახლოს | აქვე / იქვე სად არის მეტრო? მეტროს პირდაპირ | მეტროს მოპირდაპირე მხარეს იცით სად არის მეტრო? ხომ ვერ მიმასწავლით მეტროს? შეგიძლიათ მითხრათ, სად არის...? |
| მიმართულება | როგორ მივიდე აეროპორტში? წადით პირდაპირ მოუხვიეთ მარჯვნივ / მარცხნივ რომელი გზით მივალ? ამ / იმ გზით... | ხომ ვერ მეტყვით, როგორ მივიდე? ეს აეროპორტის გზაა? მიწისქვეშა გადასასვლელი ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი | ახლოსაა, ფეხით სავალზეა როგორ მივიდე უახლოეს გაჩერებამდე? |
| *1.9* მიზეზი, შედეგი, პირობითობა, მიზანი, ოპოზიცია | ის მაშინ იქ არ იყო, ამიტომ არ იცის რა მოხდა. წიგნი არ მინდა, იმიტომ რომ მაქვს. ის ავადაა, ამიტომ ვერ მოვა. ის კარგად მოიქცა, ასე რომ, ჯილდოსაც მიიღებს. ფული რომ მქონდეს, ვიყიდიდი. თუ წავედი, აუცილებლად გიყიდი. ის საქართველოში დაიბადა, მაგრამ ბერძენია. | წვიმის გამო სამსახურში ვერ წავედი. აქ იმისთვის მოვიდა, რომ ეს საქმე გააკეთოს. ეკა ისე დაკავებული იყო, რომ კინოში ვერ წავიდა. მე რომ იქ ვყოფილიყავი, ასე არ მოხდებოდა. ცა მოწმენდილი იყო, მაგრამ ციოდა. ეს ჩემთვის ძალიან ადვილია, რადგან ამ ენაზე ვლაპარაკობ. | ფანჯარა გააღე, ახალი ჰაერი რომ შემოვიდეს. მე ვიცოდი, რომ ეს მართალი არ იქნებოდა. თუ არ მომეწონება, არ ვიყიდი. მე იმისთვის წავედი, რომ ჩემთვის რაიმე მეყიდა. ის იმდენად ფრთხილია, რომ შეცდომები არ მოსდის. რაც მანქანა ვიყიდე, მას შემდეგ სამსახურში მანქანით დავდივარ. |
| *1.10 ნებართვა, ვალდებულება, აკრძალვა* | თუ შეიძლება, მითხარით... თუ შეიძლება, მათხოვეთ წიგნი. შეხება / ახლოს მისვლა აკრძალულია! | შეჩერდით! გზა თავისუფალია.! ფრთხილად, კარები იკეტება! | ფრთხილად იყავი! ნუ დაანაგვიანებთ! წაიკითხეთ ინსტრუქცია! დაიცავით სიჩუმე! მოხსენებაა, დაიცავით სიჩუმე! მოწევა აკრძალულია! |
| *1.11 ინტერაქცია საკლასო ოთახში:* | | | |
| მასწავლებლის მითითებები | სავარჯიშო არის 25-ე გვერდზე. თუ შეიძლება, გადაშალეთ წიგნები. გადაშალეთ სახელმძღვანელო მე- | ახლა თქვენ გააგრძელეთ. გადადით შემდეგ სავარჯიშოზე. ვინ მოყვება გაკვეთილს? ანა, დაიწყებ? ანა, | აბა, დავიწყოთ! რა იცით ამის შესახებ? ვის შეუძლია დაამატოს? საკონტროლო წერისათვის |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 40 გვერდზე. თავიდან დაიწყე! კიდევ ერთხელ წაიკითხე! იმუშავეთ წყვილებად! | გააგრძელებ? გაუგებარია რომელიმე სიტყვა? ყველაფერი გასაგებია? რა არის გაუგებარი? | გეძლევათ ოცი წუთი. ნუ ჩქარობთ, დრო კიდევ გაქვთ. იჩქარეთ, დრო აღარ გაქვთ. |
| **მიმართვები, შეკითხვები მასწავლებლისადმი** | ვერ გავიგე, თუ შეიძლება გაიმეორეთ! თუ შეიძლება, კიდევ ამიხსენით! გთხოვთ, ხელმეორედ ამიხსნათ! წავიკითხავ. | გავაგრძელო? წავიკითხო? რომელ გვერდზეა სავარჯიშო? საიდან გავაგრძელო? შეგიძლიათ, დამეხმაროთ? როგორაა ქართულად...? რა ჰქვია ქართულად ....ს? | ეს საკითხი არ ვიცი. შეიძლება დავამატო? ვერ გიპასუხებთ. ცალკე ვიმუშაო თუ წყვილში? რომელი სავარჯიშო დავწერო? ხელახლა დავწერო სავარჯიშო? |

| ლექსიკა | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| *რუბრიკა* | VII კლასი | VIII კლასი | IX კლასი |
| 2.1 ინდივიდი | | | |
| **სხეული** | თავი, ტანი, მხრები, ხელები, ფეხები, მუცელი, მკერდი, ზურგი, სისხლი, თითები, ფრჩხილები, კეფა... | შინაგანი ორგანოები: გული, ფილტვები, ღვიძლი, თირკმელები... | შინაგანი ორგანოები ელენთა, ნაწლავები, ბრმა ნაწლავი., ნაღვლის ბუშტი, თორმეტგოჯა ნაწლავი.. |
| **გარეგნობა** | მაღალი, დაბალი, გამხდარი, ქერათმიანი, შავთმიანი, ხუჭუჭთმიანი... | წითური, შეუხედავი, კარგი შესახედავი | სუსტი, მხარბეჭიანი, წარმოსადეგი, ლამაზი...ცისფერთვალება, შავთვალება, მწვანეთვალება |
| **ხასიათი** | მხიარული, სერიოზული, სევდიანი, არასერიოზული | გულადი, მამაცი, უშიშარი, უხეში, თავაზიანი, ზრდილობიანი, უზრდელი... | კეთილი, პატიოსანი, სამართლიანი, უსამართლო, ამაყი, ამპარტავანი, აკურატული, სუფთა, ბინძური... |
| **ტანსაცმლის აქსესუარები** | საყურე, ბეჭედი, ღილი, ყელსაბამი, თავსაფარი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, პერანგი, კოსტიუმი, ჰალსტუხი, ცხვირსახოცი | სვიტრი, ქურთუკი, პალტო, მოკლე პალტო, ჟილეტი, ქოლგა, ჩანთა... | სპორტული ტანსაცმელი, ჯინსები, ჯინსის ქურთუკი, საშინაო ტანსაცმელი, საგარეო ტანსაცმელი, სეზონური ტანსაცმელი...ყოველ დღიური ტანსაცმელი... ჩაცმა, გახდა, დახურვა, |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ტარება... |
| ჰიგიენა | დაბანა, დავარცხნა, დასუფთავება, ვარჯიში, კბილების გამოხეხვა, შხაპის მიღება... | შამპუნი, საპონი, სავარცხელი, კრემი, ღრუბელი, | ბურთულიანი დეზოდორი, პირადი ჰიგიენა, პირადი ჰიგიენის დაცვა, ცივი შხაპის მიღება, საპარსი... |
| ჯანმრთელობა/ ავადმყოფობა | გრიპით ავად, სურდო, გაციებული, ექიმი, ექთანი, აფთიაქში წამლის ყიდვა, ხველების წამალი, თავის ტკივილის წამალი... | ექიმის გამოძახება, წოლა, წამლის მიღება, ნემსის გაკეთება | ანგინა, ხველება, სურდო, სიცხიანი, ხელის მოტეხა, საავადმყოფო, ექთანი, ექიმი, სასწრაფო დახმარება, აწუხებს თავის/კბილის/ მუცლის ტკივილი. |
| შეფასება და ემოციური რეაქციები | კარგად, შესანიშნავად ვგრძნობ თავს, შეუძლოდ ვარ... | გახარებული, შეწუხებული, გაოცებული, გაკვირვებული, გაოგნებული... | სირცხვილი, შიში, წყენა, სიხარული, ორიგინალობა, სირთულე, გაბრაზებული, ნაწყენი, გაჯავრებული, უკმაყოფილო, განცდა, აღელვება... |
| 2.2 ინდივიდის გარემოცვა | | | |
| აღქმა და ინტელექტუალური აქტივობები | შეხედვა, ნახვა, გაგონება, გახსენება, დავიწყება, დაფიქრება, მოფიქრება, დათვლა, შედგენა... | გაანალიზება, გამოანგარიშება, შეგრძნება, განცდა, აღელვება, დამშვიდება... | მოფიქრება, გადაფიქრება, წინააღმდეგობის გადალახვა... |
| ოჯახი / ნათესავები | ნათესავები, ახლობლები, მშობლები, ოჯახის წევრები, ქალიშვილი, ვაჟიშვილი, წინაპარი, შთამომავალი... | ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, სანათესაო, ახლო ნათესავი, შორეული ნათესავი, დისშვილი, ძმისშვილი, | ცოლი, ქმარი, რძალი, სიძე, ბიცოლა, ბიძაშვილი, მაზლი, მული, ქვისლი, მაზლიშვილი, მულიშვილი. |
| ადამიანის ცხოვრების ეტაპები | ბავშვი, ახალგაზრდა, მოხუცი, | ქალი, კაცი, მოხუცი, ახალგაზრდა... | ზრდასრული, მოზარდი, ჭაბუკი, ქალიშვილი, ადამიანი, ხალხი, ნაცნობი, მეგობარი, კლასელი, სკოლელი, მეზობელი, ამხანაგი. ბავშვობა, სიცოცხლე, სიკვდილი... |
| ტელეფონით სარგებლობა | დარეკვა, ყურმილი, ყურმილის აღება, | სატელეფონო წიგნი, ნომრის ჩაწერა, | დაკავება, ავტომოპასუხე, |

| | | | |
|---|---|---|---|
| | მოსმენა, პასუხი, ნომრის აკრეფა, დაძახება/თხოვნა. | დარეკვა, ხელმეორედ დარეკვა, ყურმილის დადება. | ტელეფონი არ პასუხობს, ზუმერი... |
| ბუნება და ბუნების მოვლენები | ხე, ტყე, მდინარე, წყარო, ქარი, მზე, წვიმა, თოვლი, ქარის ქროლა, ცხოველები, ფრინველები, მწერები. | ბუჩქი, ბალახი, უდაბნო, მთა, კლდე... შინაური ცხოველები, გარეული ცხოველები... | ზღვა, ოკეანე, ხმელეთი, სანაპირო, კუნძული, ნახევარკუნძული, კონტინენტი, ბუნება, სამყარო, ბუნების დაცვა, ხის დარგვა, მორწყვა. ბოტანიკოსი, ზოოლოგი, ბიოლოგი, ამინდის პროგნოზი... |
| გეოგრაფიული დასახელებები, ეროვნებები, რელიგიური მრწამსი | სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა ერევანი, ბაქო, თბილისი, ამიერკავკასია, კავკასიონი, | კასპიის ზღვა, შავი ზღვა... ჩრდილოეთი კავკასია | კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, ქართლი, ფშავი, ხევსურეთი... კახელი, იმერელი, ქართლელი, მეგრელი, გურული.... |
| სახელმწიფო და საზოგადოება | ქალაქი, დედაქალაქი, პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტი, კონსტიტუცია, ფული, ეკონომიკა, მრეწველობა... | ხელფასი,სტიპენდია, პენსია, დახმარება... დიასახლისი, სამსახური, ინჟინერი, არქიტექტორი, მძღოლი, მასწავლებელი... | ხელისუფლება, პოლიტიკური პარტია, სასამართლო, პროკურატურა, ჯარი, პოლიცია, სამინისტრო, ადმინისტრაცია, დეპარტამენტი... |
| ქალაქი და სოფელი, აქტივობები | გზატკეცილი, ქუჩა, ტროტუარი, პროსპექტი, ქალაქის ცენტრი, პარლამენტის შენობა, გამგეობა, ეკლესია, ქალაქელი, ტრანსპორტი, მოსავალი, ხეხილის ბაღი, ბოსტნეული, მოყვანა, დათესვა, დარგვა... | მაღალი სახლები, ფართო ქუჩა, საბავშვო ბაღი, ბაზარი, თეატრი, კინო, მოედანი, შენება... | მოქალაქე, შენობა, მოედანი, ქუჩა, პროსპექტი, სადგური, ვაჭრობა, განტვირთვა, დაჯარიმება.. |
| საცხოვრებელი ადგილი აქტივობები | ჩვენი სახლი, ეზოიანი სახლი, მრავალსართულიანი სახლი, ჩემი ოთახი, სამზარეულო, ტუალეტი, ლიფტი, კიბე, გარაჟი, ცხოვრება, დალაგება, დაგვა, დასუფთავება, | ბინა, ოთახი, საძინებელი, სამზარეულო.... საჭმლის მომზადება, დაჭრა, მოხარშვა, შეწვა, გამოცხობა, | სასტუმრო ოთახი, სამზარეულო, საკუჭნაო, სამუშაო ოთახი, კაბინეტი, აბაზანა, შესასვლელი, ლოჯია, მესამე სართულზე, დაძინება, სადილი, ვახშმობა, საუზმე, |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ჭურჭლის დარეცხვა. |
| **ავეჯი, საყოფაცხოვრებო ნივთები.** | მაგიდა, სკამი, საწოლი, დივანი, სავარძელი, კარი, ფანჯარა, საწერი მაგიდა, კომპიუტერი, აუდიომაგნიტოფონი, ვიდეო; მტვერსასრუტი, | წიგნების თაროები, ფერადი ტელევიზორი, დივიდი, ფოტოაპარატი, ვიდეოკამერა | ხალიჩა, გასათბობი საშუალება, სარკე, ხელსაბანი, კომპიუტერი, მუსიკალური ცენტრი, სარეცხი მანქანა, კომბაინი, გაზის ქურა, ელექტროქურა |
| **აქსესუარები, ჭურჭელი** | ყავის ჭიქა, ჩაის ჭიქა, მიქსერი, წვნიანის თეფში, დესერტის თეფში, დიდი და პატარა კოვზი | ყავის ფინჯანი, ლამბაქი, დანა-ჩანგალი... | ქვაბი, ტაფა, ჰაერღუმელი, წვენსაწური, თეთრეული, სუფრა, გადასაფარებელი, საწოლის გადასაფარებელი... |
| **სკოლა, პერსონალი, აქტივობები** | სამასწავლებლო, კლასელი, სკოლელი, სააქტო დარბაზი, დავალება, სავარჯიშო, დავალების დაწერა, ცხრილი... | უცხო ენის მასწავლებელი, ორგანიზატორი, მდივანი, კლასის ხელმძღვანელი, ლაბორანტი, დამლაგებელი, გადმოწერა, კითხვებზე პასუხის გაცემა, სავარჯიშოს შესრულება... | ქართული ენის კაბინეტი.... მშობლიური ენის კაბინეტი, გეოგრაფიის კაბინეტი... ანკეტის შევსება, სახელმძღვანელოს წაკითხვა, დღიურის შევსება, გამოკითხვა, საკონტროლო წერა, ტესტირება |
| **სასწავლო ნივთები** | კალამი, ფარგალი, ფლომასტერ(ებ)ი, | ფერადი ფურცლები | მარკერი... |
| **სასწავლო საგნები** | მათემატიკა, ალგებრა, გეომეტრია, გეოგრაფია, ბიოლოგია, უცხო ენა...ბუნება, ისტორია, | გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია... ესთეტიკა, ისტორია, საქართველოს ისტორია, | მსოფლიო ისტორია, ქართული ენა... |
| **მომსახურების ობიექტები, პერსონალები, აქტივობები** | სუპერმარკეტი, შესასვლელი, გამოსასვლელი, საკასო აპარატი, ხურდა, აფთიაქი, აფთიაქარი, გამყიდველი, მოლარე გაზომვა, არჩევა, ყიდვა, გადაჭრა, მოჭრა, შეხვევა, | ფოსტალიონი, ფოსტა, ბანკი, ბანკომატი, ფულის გამოტანა, ფულის შეტანა | ფულის გადარიცხვა, საფუნთუშე, სახაჭაპურე, სასურსათო მაღაზია, ნაჭრების მაღაზია... გამოცხობა, შეკვეთა, ფულის გადახდა... ფეხსაცმლის შეკეთება, |
| **სურსათი, კვება, კვების პროდუქტები, კვების ობიექტები,** | პროდუქტი, პური, ლავაში, ყველი, კარაქი, ჯემი, მურაბა, ხილის | ხორცი, შემწვარი, მოხარშული, ხილი, ძველი პროდუქტი, ახალი ხორცი, | კაფე, რესტორანი, ბარი, პიცერია, სასადილო, სახაჭაპურე, შეკვეთა, |

| | | | |
|---|---|---|---|
| **აქტივობები** | კოკა-კოლა სასმელი, ყავის მოხარშვა, ჩაის ადუღება, მომზადება | გაყინული ხორცი, გამოცხობა... | საფირმო კერძი, ბარმენი, მზარეული... სადღესასწაულო სუფრა, ცივი კერძები, ცხელი კერძები, მწვადი, ხინკალი, ხინკლის მოხვევა, გატარებული ხორცი, |
| **ტრანსპორტი, პერსონალი** | ტრანსპორტი, შუქნიშანი, მოძრაობის წესები, ავტობუსში ასვლა, ჩამოსვლა, გადახდა, გაჩერება, ადგილის დათმობა, ავტობუსის მძღოლი, ტაქსის მძღოლი | მეტრო, წრიული ტრანსპორტი, დაჯარიმება, მგზავრი, მგზავრებით დატვირთული, ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი, გზაჯვარედინი, პატრული. | მსუბუქი მანქანა, სატვირთო მანქანა, ბენზინგასამართი, სამარშრუტო ტაქსი, ავტობუსი, მეტროს ვაგონი, ავტოსამრეცხაო, |
| **კულტურული ობიექტები, პერსონალი** | თეატრი, დეკორაცია, რეჟისორი, მსახიობი, ანშლაგი, პრემიერა, პიესის ავტორი, შემსრულებლები, ტაში, პიესის დადგმა, | ოპერის თეატრი, ანტრაქტი, პარტერი, იარუსი, ლიბრეტო, ორკესტრი, პიანისტი, მომღერალი, ბალერინა, ბალერონი, ვიოლინო, დირიჟორი, | სამხატვრო გალერეა, საგამოფენო დარბაზი, პორტრეტი, პეიზაჟი, ნატურმორტი, ზეთის საღებავები, აკვარელი, გრაფიკა, გამოფენა, ქანდაკება... |
| **მასმედია** | გაზეთი, ჟურნალი, ტელევიზია, რადიო | პრესა, სტატია, ჟურნალისტი, | მოწინავე სტატია, სათაური, რეპორტაჟი, ქრონიკა, სენსაცია, დანაშაული, დაჯილდოება, კორესპონდენტი, რესპოდენტი, რეკლამა, სარეკლამო განცხადება... გაზეთები: „24 საათი“, „რეზონანსი“, „სიტყვა და საქმე“, „საქართველოს რესპუბლიკა“... |
| **გასართობი, თავისუფალი დრო, სათამაშოები, თამაშები** | კომპიუტერული თამაშები | დისკოთეკა, კაფეში წასვლა, ფეხბურთი, ჩოგბურთი, სპორტზე სიარული, მწვრთნელი, გოლი, ჩემპიონატი, ფეხბურთელი, | ლაშქრობა, ექსკურსია, მხიარულთა და საზრიანთა კლუბი, გამარჯვება, მოგება, წაგება, |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | კალათბურთელი.... | |
| დღესასწაულები, ზეიმები | დაბადების დღის აღნიშვნა, ქალთა დღე, მილოცვა, საჩუქარი, მირთმევა | ოჯახური ზეიმი, სტუმრები, სტუმრების დაპატიჟება, მიღება | თბილისობა, ეროვნული დღესასწაული, დამოუკიდებლობის დღე, რელიგიური დღესასწაული, დღესასწაულის აღნიშვნა.... |
| 2.3 ინდივიდის ორიენტირები | | | |
| დრო | ხუთს აკლია ათი წუთი; ხვალ, გუშინ | გუშინწინ, გუშინწინისწინ | ზეგ, მაზეგ |
| სეზონები | გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი. | ზამთარ-ზაფხულ | |
| კვირის დღეები | | ორშაბათს, კვირას... | ამ კვირაში, ამ თვეში... |
| თვეები | | სექტემბერში, აგვისტოში... | სექტემბრისთვის, ნოემბრისთვის |
| დღის მონაკვეთები, დღე/ღამე | დილა, საღამო, შუადღე, შუაღამე, დილას, საღამოს, ღამით, შუადღისას, შუაღამისას | დილას, საღამოს, შუადღეზე... | ძალიან ადრე, განთიადისას |
| დროის განსაზღვრა | დილის ცხრა საათია, საღამოს შვიდი საათია, ღამის ორი საათია | ხუთ საათზე, ხუთის ათ წუთზე, ხუთის ნახევარზე... | ხუთისთვის სახლში ვიქნები, ხუთამდე, ხუთიდან შვიდამდე... |
| სივრცე | ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი, დასავლეთი. | ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით, დასავლეთით. | ჩრდილოეთისკენ, სამხრეთისკენ, აღმოსავლეთისკენ, დასავლეთისკენ. |
| ადგილმდებარეობა | სკოლაში, სკოლასთან, სკოლამდე | ახლოს, შორს, შორიახლოს, მარცხნივ, მარჯვნივ... | მოშორებით. სიმაღლეზე, სიღრმეში... |
| მახასიათებლები | რკინის, ხის | პლასტმასის | |
| ფერი | მუქი ყავისფერი, ღია ყავისფერი | ოქროსფერი, ვერცხლისფერი... | ღია ფერი, მუქი ფერი (ფერის) მომწვანო, მოცისფრო, მოთეთრო, მოშავო.... |
| ზომა | დიდი მაქვს, პატარა მაქვს | 36 ნომერი ფეხსაცმელი | 42 ზომა შარვალი, ყველაზე პატარა ზომა, ყველაზე დიდი ზომა, |
| ფორმა | ოვალური, | სამკუთხედის ფორმის, | კვადრატული, მართკუთხა... |
| წონა | გრამი, კილოგრამი | ცენტნერი | ტონა |
| რაოდენობა | ნახევარი | | მესამედი, მეხუთედი |
| ტემპერატურა | ძალიან ცივი, | ცელსიუსით 30 | პლიუს-მინუს 5 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ძალიან ცხელი, თბილი, გრილი, ნელ-თბილი. | გრადუსი... | გრადუსი.... |
| **შემადგენლობა** | შალის, ბამბის, ქაღალდის, | პლასტმასის, ხის, რკინის, ბრინჯაოს, | ოქროს, ვერცხლის, პლატინის... |
| **რიცხვები** | 1000-დან ზემოთ.... | 10000-მდე | 10000-ის ზემოთ... 1.000 000 .... |

| გრამატიკა | |
|---|---|
| | |
| **მეტყველების ნაწილები** | **VII-X კლასები** |
| არსებითი სახელი | 1. მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი, წარმოება. 2. მოთხრობითი, მიცემითი ბრუნვები 3. მიცემითი ბრუნვის თანდებულები: -ვით, -თან, -ზე, -ში 4. ნათესაობითი ბრუნვის თანდებულები: -თვის, -გან, -კენ... 5. ვითარებითი ბრუნვის თანდებულები -მდე, -იდან -მდე. |
| ზედსართავი სახელი | ზედსართავის ხარისხის ფორმები: ოდნაობითი მო-ო, და უფროობითი უ-ეს. |
| რიცხვითი სახელი | რაოდენობითი რიცხვითი სახელები (რთული, შედგენილი) რიგობითი რიცხვითი სახელები, წილობითი რიცხვითი სახელები. |
| ნაცვალსახელი | პირის, კუთვნილებითი, ჩვენებითი, კითხვითი, ნაცვალსახელები |
| ზმნა | ზმნის უღლება პირისა და რიცხვის მიხედვით; ახლანდელი, წარსული, მომავალი დრო. |
| ზმნიზედა | დროის, ადგილის, ვითარების ზმნიზედები |
| თანდებული | მიცემითის, ნათესაობითის, მოქმედებითის და ვითარებითის თანდებულები. ცალკე მდგომი თანდებულები: მიმართ, შესახებ, მიერ... |
| ნაწილაკი | რ, ვერ, ნუ |
| კავშირი | ა, თუ, მაგრამ, რაც, ვინც |
| შორისდებული | სიხარულის, წყენის, შექების, წყენის გამომხატველი შორისდებულები |
| **წინადადება** | |
| წინადადების ტიპები **შედგენილობის** მიხედვით | 1. კითხვითი წინადადება 2. ძახილის წინადადება. 3. მარტივი გავრცობილი წინადადება 4. რთული თანწყობილი წინადადება 5. რთული ქვეწყობილი წინადადება. |

## პუნქტუაცია და ორთოგრაფია

| მეტყველების ნაწილები | VII-X კლასები |
|---|---|
| არსებითი სახელი | 1. სახელთა ბრუნვის ფორმების მართლწერა 2. თანდებულიან სახელთა მართლწერა.. 3. საკუთარ სახელთა მართლწერა |
| ზედსართავი სახელი | 1. ხარისხის ფორმათა მართლწერა. 2. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვაში შეთანხმება. |
| რიცხვითი სახელი | 1. რაოდენობითი რიცხვითი სახელების მართლწერა. (რთული, შედგენილი) 2. რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერა 3. |

| | |
|---|---|
| | წილობითი რიცხვითი სახელების მართლწერა. |
| ნაცვალსახელი | პირის, კუთვნილებითი, ჩვენებითი, კითხვითი, ნაცვალსახელების მართლწერა |
| ზმნა | 1. პირის ფორმათა მართლწერა. 2. მრავლობითი რიცხვის ფორმათა მართლწერა. |
| ზმნიზედა | დროის, ადგილის, ვითარების ზმნიზედების მართლწერა |
| თანდებული | მიცემითის, ნათესაობითის, მოქმედებითის და ვითარებითის თანდებულები. ცალკე მდგომი თანდებულები: მიმართ, შესახებ, მიერ... ამ საკითხებთან დაკავშირებული მართლწერა. |
| ნაწილაკი | არ, ვერ, ნუ |
| კავშირი | პუნქტუაციის საკითხები კავშირიან წინადადებაში. . |
| შორისდებული | პუნქტუაციის საკითხები შორისდებულებთან დაკავშირებით. |
| **წინადადება** | |
| წინადადების ტიპები **შედგენილობის** მიხედვით | პუნქტუაციის წესები რთულ წინადადებაში. |

# სოციოკულტურა და კულტურა

| VII-X |
|---|
| • დღესასწაულები და ზეიმები • ეროვნული დღესასწაულები • ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები (სუფრასთან, საზოგადოებაში მოქცევის წესები, უფროს-უმცროსობა...) • თანამედროვე ცხოვრება (მასობრივი კულტურა, საკომუნიკაციო საშუალებები, კულტურის, სავაჭრო ცენტრები...) • ახალგაზრდული ყოფა (დღის რეჟიმი, თავისუფალი დრო, გართობა, დასვენება, საზოგადოებრივი ურთიერთობები, გატაცებები, საყმაწვილო ჟურნალები, გადაცემები, საბავშვო ცენტრები...) • ამიერკავკასია (ზოგადი ცნობები) • გეოგრაფიული ცნობები საქართველოს შესახებ • ცნობები საქართველოს პოლიტიკური წყობის შესახებ • დედაქალაქი და მისი ღირშესანიშნაობები • ცნობები საქართველოს წარსულისა და კულტურის შესახებ • ცნობილი ადამიანები (მწერლები, ხელოვანები, სპორტსმენები, მეცნიერები, ისტორიული პირები...) • მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები • ლიტერატურა – ლექსები, ადაპტირებული მოთხრობები, იგავ-არაკები, ლეგენდები, ქართულად თარგმნილი მათი მშობლიური ენის ლიტერატურული ნიმუშები...) • ცნობები რეგიონის შესახებ • ცნობები ამიერკავკასიის ქვეყნების წარსულიდან და მათი ურთიერთობის შესახებ • საქართველოს მოქალაქის უფლება-მოვალეობანი |

| სამეტყველო ფუნქციები | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| *რუბრიკა* | *X კლასი* | *XI კლასი* | *XII კლასი* |
| 1.1 სოციალური ურთიერთობები | | | |
| მისალმება | გამარჯობა, დილა მშვიდობისა, საღამო მშვიდობისა | გაუმარჯოს | რა კარგია, რომ გნახეთ! |
| მოკითხვა | ახალი რა ხდება? როგორ ხართ? | ხომ კარგად ბრძანდებით? როგორ | თქვენკენ რა ხდება? ყველაფერი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | როგორ არიან თქვენები? როგორაა საქმეები? | გიკითხოთ? | კარგადაა? რას შვებით? როგორ ხართ? როგორ ბრძანდებით? როგორ გიკითხოთ? |
| დამშვიდობება | კარგად! კარგად იყავი! კარგად ბრძანდებოდეთ! გემშვიდობებით! | მომავალ შეხვედრამდე! ბედნიერად! | ნახვამდის! კარგად! კარგად ბრძანდებოდეთ! |
| მადლობის გადახდა | დიდ მადლობას მოგახსენებთ! მადლიერი ვარ! თქვენი დიდად მადლიერი ვარ! | მადლობას მოგახსენებთ! უდიდეს (უღრმეს) მადლობას მოგახსენებთ! | მადლობელი ვარ! თქვენი წყალობაა! გმადლობთ! |
| მობოდიშება | უკაცრავად! მაპატიეთ! | მაპატიეთ შეწუხებისათვის! თუ შეიძლება, მითხარით, სად არის ფოსტა? | ვწუხვარ, რომ ვერ გეხმარებით! უკაცრავად შეწუხებისათვის! |
| თავაზიანი მიმართვა | ბატონო დავით, მობრძანდით, დაბრძანდით! ქალბატონო მარიამ, შემობრძანდით! | ბრძანეთ, რა გნებავთ? რით შემიძლია დაგეხმაროთ? როგორ გეკადრებათ! რას ბრძანებთ! | დიდი სიამოვნებით დაგეხმარებით, ბრძანეთ, რა გნებავთ! რა შეწუხებაა! ახლავე მოგართმევთ! |
| წარდგენა, გაცნობა | მე მინდა გაგაცნოთ ჩემი მეგობარი! იცნობდეთ, ეს ჩემი მეგობარია, ვახტანგ ორბელი! | მე დიდი ხანია მინდოდა თქვენი გაცნობა! | ვიცნობდეთ ერთმანეთს: მე ვარ ზურაბ მაჩაბელი! თქვენ? – სასიამოვნოა! მე გახლავართ ამირან გელოვანი! |
| მილოცვა, კეთილი სურვილების გამოხატვა. | გილოცავთ! მრავალს დაესწარით! გისურვებთ დიდ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და დღეგრძელობას! | დაგლოცავთ! გადღეგრძელებთ! მრავალ ახალ წელს (დაბადების დღეს....) დაესწარით! | |
| ინფორმაციის დაზუსტება, ცუდად გაგებულის გარკვევა | ვერ გავიგე, გთხოვთ, გაიმეოროთ! სამწუხაროდ ვერ გავიგე, გამიმეორეთ, თუ შეიძლება! | ვერ გავიგე, იქნებ გაიმეოროთ! მაპატიეთ, ვერ გავიგე! | მე მგონი, სწორად ვერ გავიგე, იქნებ გამიმეოროთ! თუ შეიძლება, ხელმეორედ თქვით, ვერ გავიგე! |
| შეთავაზება, დაპატიჟება, დათანხმება, უარი | თუ შეიძლება თქვენი ტელეფონის ნომერი აქ დამიწერეთ! სიამოვნებით! გეპატიჟებით დაბადების დღეზე! | ძალიან გთხოვთ, მობრძანდეთ ჩვენთან! დიდი სიამოვნებით! დიდი სიამოვნებით გეახლებით! შევეცდები, მაგრამ ვერ გპირდებით! | მოდი დღეს სადმე წავიდეთ! კარგი იდეაა, წავიდეთ! სამწუხაროდ, ვერ შევძლებ, ხვალ წავიდეთ! ხვალ, № საათზე, ჩვენთან მობრძანდით ამ მისამართზე! |

| | | | |
|---|---|---|---|
| წახალისება, შექება | ყოჩაღ ასე უნდა მოქცეულიყავი! მე შენით ვამაყობ! კარგია, ყოჩაღ! | ძალიან კარგად გამოიყურები! კარგ ფორმაში ხარ! ძალიან ლამაზი რამ გაცვია! | ფანტასტიკურია! კარგი იდეაა! მომწონს! შენ ძალიან ყოჩაღი ხარ! ყოჩაღ, გამახარე! |
| ინტერაქცია სუფრასთან | გემრიელად მიირთვით! ყველაფერი ძალიან გემრიელია! | თუ შეიძლება, კიდევ მომაწოდეთ! | ძალიან გემრიელია! –შეგერგოთ! გემრიელად მიირთვით! |
| ინტერაქცია სავაჭრო ობიექტში | თუ შეიძლება, ეს ნაჭერი ამიწონეთ! თუ შეიძლება ეს კოსტუმი მომაწოდეთ! | ეს შარვალი მომწონს, ვიყიდი. ფული სად გადავიხადო? –სალაროში გადაიხადეთ. | რა ზომაა ეს კოსტიუმი? ფასი და ზომა იარლიყზე აწერია, თუ შეიძლება, ნახეთ! გადაიხადეთ 65 ლარი! |
| ინტერაქცია მგზავრობისას | თვითმფრინავით მიფრინავ თუ მატარებლით მიდიხარ? სახლში ტაქსით მივალთ. სამსახურში მეტროთი დავდივარ. ფოსტამდე ფეხით მოივალ ახლოსაა. | ეს სამარშრუტო ტაქსი სად მიდის? სამგზავრო ბილეთები უნდა შეიძინოთ სალაროში! | აეროპორტამდე რა ნომერი ავტობუსი მიდის? თვითმფრინავის ბილეთები სად უნდა ვიყიდო? რომელ საათზე მოფრინავს ჰამბურგი–თბილისი? აეროპორტში რომელ საათზე უნდა იყო? რეგისტრაცია რომელ საათზე მთავრდება? |
| მიმოწერა (მიმართვა / გამომშვიდობება) | ვიმედოვნებ, შენკენ ყველაფერი კარგადაა! იმედი მაქვს, ერთმანეთს მალე ვნახავთ! მოკითხვა გადმოგცა დედამ და მამამ! გემშვიდობები საუკეთესო სურვილებით... | ძალიან მიხარია შენი ამბები. გისურვებ ყოველივე კარგს! საუკეთესო სურვილებით, მარიამი! | ველოდებოდი თქვენს წერილს! დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ წერილისთვის! ძალიან სასიამოვნო იყო თქვენი წერილის წაკითხვა! ბოდიშს გიხდით პასუხის დაგვიანებისათვის |
| ტელეფონით საუბარი | ხვალ აუცილებლად დაგირეკავ! ხვალისთვის დამირეკეთ! ვინ გნებავთ? ცოტა ხანში ხელმეორედ დავრეკავ! | შეიძლება თქვენი ტელეფონით ვისარგებლო? ნომერი შეცდომით აკრიფეთ. თქვენ არასწორად აკრიფეთ ნომერი, შეამოწმეთ! | ახლა სახლში არ არის, მოგვიანებით დარეკეთ! გადაეცით, რომ გიამ დაურეკა. მე სამინისტროდან გირეკავთ. |
| ინტერაქცია კამათისას, დისკუსიისას | მე თქვენ არ გეთანხმებით. მე ასე არ ვფიქრობ. ვერ დაგეთანხმებით. | თქვენი აზრი ძალიან საინტერესოა, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით. ნათქვამს მინდა დავუმატო... მე მაინც მგონია, რომ... | თქვენი მოსაზრება საინტერესოა. თქვენი დამოკიდებულება საინტერესოა, მაგრამ ჩვენ ამის შესახებ სხვა აზრი გვაქვს. გეთანხმებით და |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | თქვენს ნათქვამს უნდა დავუმატო შემდეგი: |
| *1.2 ინფორმაციის გაცვლა* | | | |
| პირადი მონაცემები: სახელი, გვარი, ასაკი, მისამართი, დაბადების თარიღი. | თქვენ ვინ ბრძანდებით? მე გახლავართ... სად მოღვაწეობთ? მე სკოლაში ვმუშაობ. თქვენი ტელეფონის ნომერი, თუ შეიძლება. | რა გვარის ბრძანდებით? თქვენი დაბადების თარიღი? თქვენი საცხოვრებელი ადგილი? თქვენი ზუსტი მისამართი და საფოსტო ინდექსი: | მე გახლავართ... ამჟამად მე ვსწავლობ...ვმუშაობ... |
| ეროვნების და წარმომავლობის შესახებ | საიდან ბრძანდებით? სადაური ბრძანდებით? მე ჯავახეთიდან / ქვემო ქართლიდან გახლავართ. | მე სომეხი / აზერბაიჯანელი / ქართველი / რუსი / ებრაელი / უკრაინელი... გახლავართ, მაგრამ საქართველოში ვცხოვრობ / საქართველოს მოქალაქე ვარ. | რა ეროვნების ბრძანდებით? რომელი ქვეყნის მოქალაქე ბრძანდებით? მამაჩემი ეროვნებით სომეხია, დედა -რუსი ჩვენ საქართველოს მოქალაქეები ვართ. |
| თავისუფალი დრო | თუ შეიძლება, თქვენი ჰობის შესახებ გვითხარით? მე მომწონს ცეკვა მე ვაგროვებ მონეტებს, მაქვს დიდი კოლექცია | სად ისვენებთ ხოლმე? სად დადიხართ ხოლმე დასასვენებლად? ქალაქგარეთ დასვენება გიყვართ? | უკრავ? სრიალებ? რა გაინტერესებთ? მაინტერესებს ხელოვნება. |
| პროფესია | ის ხელოვანია ის დირექტორად მუშაობს. ის მთარგმნელია / თარჯიმანია. ის ბავშვთა ექიმია. | მე მინდა მასწავლებელი გავხდე, იმიტომ რომ ძალიან მიყვარს ბავშვები. | –სად მოღვაწეობთ? –მე ვმუშაობ ბიბლიოთეკაში. |
| ჯანმრთელობა | თავს როგორ გრძნობ? დღეს თავს როგორ გრძნობთ? გმადლობთ, კარგად. ახლა ცოტა უკეთესად ვარ. | თავს კარგად ვერ ვგრძნობ. შეიძლება წავიდე? თავი საშინლად მტკივა. | დღეს ექიმს უნდა გავესინჯო, თავს კარგად ვერ ვგრძნობ. თვალები მიბნელდება ალერგიული ვარ / ალერგია მაქვს მტვერზე. |
| ამინდი | დღეს კარგი, თბილი ამინდია. უქარო ამინდია. არც ისე ძალიან ცხელა, კარგი ამინდია. დიდი / ძლიერი ქარი ამოვარდა. | კოკისპირულად წვიმს. ყინავს, ალბათ გათოვდება. წვიმამ უკვე გადაიღო. მთაში ზვავია. | ამინდის პროგნოზი როგორია? წვიმაა გამოცხადებული. ცვალებადი მოღრუბლულობაა გამოცხადებული. |
| *1.3 აღწერა,* | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| *დახასიათება* | | | |
| ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა | ძალიან ლამაზია, სიმპათიურია. ტანადია. კარგი თმები აქვს. ქერათმიანია. | მსუქანია. ძალიან გამხდარია. სუსტია. ლამაზი თვალები აქვს. კარგი ღიმილი აქვს. გემოვნებიანი ადამიანია | ვის ჰგავს მშვენივრად გამოიყურება, კარგ ფორმაშია. არისტოკრატული გარეგნობა აქვს. კარგი გარეგნობისაა. |
| თხოვნის გამოხატვა | თუ შეიძლება... გთხოვთ... ძალიან გთხოვთ... გემუდარებით... გეხვეწებით... | უმორჩილესად გთხოვთ. თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება... | კეთილი ნება გამოიჩინეთ. იქნებ შეძლოთ... |
| ადამიანის ხასიათი | ამპარტავანია. მორიდებული ადამიანია. მეგობრულია. სერიოზული პიროვნებაა. ნიჭიერია. უნიჭიერესია. | მკაცრია. უმკაცრესი ადამიანია კარგი პიროვნებაა. | ჯიუტია. დაუჯერებელია. უზრდელია. ზრდილობიანია. სამართლიანია. უსამართლოა. უმადურია. |
| საგნის აღწერა | სუფთაა. ბინძურია.. დალაგებულია. დაულაგებელია. ოთახი არეულია. | დიდია, მოდიდოა, უდიდესია, უზარმაზარია, ვეებერთელაა... პატარაა, მომცროა, ერთი ციცქნაა... | მოხატულია, მოჩუქურთმებულია, მოპირკეთებულია, მოოქროვილია, მოვერცხლილია, მონიკელებულია... |
| *1.4 შეფასება, დამოკიდებულება* | | | |
| მოწონება, არმოწონება | ბრწყინვალე იდეაა. ძალიან მომეწონა. არც ისე ძალიან მომეწონა. მოსაწონია. არაა მოსაწონი. | ძალიან კარგია. მშვენიერია. ბრწყინვალეა, უმაღლესი დონისაა. საშუალო დონისაა. დაბალი დონისაა. | მოსაწყენი. მოსაბეზრებელი. გასართობია. სერიოზული ნაწარმოებია. შედევრია. |
| საკუთარი აზრის, შთაბეჭდილების, პოზიციის გამოხატვა | სამწუხაროდ ჩემი აზრით, მე ვფიქრობ... მე მირჩევნია. ჯობია | არასწორია. დაუჯერებელია! წარმოუდგენელია! ფანტასტიკურია | ჩემდა სამწუხაროდ, საზოგადოდ ჩემი მოსაზრებით... როგორც ჩანს... რა თქმა უნდა... რასაკვირველია.. |
| *1.5 საჭიროება სურვილი გამოხატვა* | მე მინდა... მე მჭირდება... მე ვისურვებდი... რა შეიძლება გავაკეთოთ? | კარგი იქნებოდა, სხვაგვარად გაგვეკეთებინა... მე გირჩევ... ჯობია, წახვიდე, უთხრა... | შენ ეს არ გამოგადგება. მე გირჩევ, ასე მოიქცე. ვერაფერს გირჩევ, შენ უნდა გადაწყვიტო! |
| *1.6 ემოციის გამოხატვა* | | | |
| სიხარული, კმაყოფილება | ბედნიერებაა. კმაყოფილი ვარ. შესანიშნავია! ბრწყინვალეა! | ის კმაყოფილია. ძალიან ყურადღებიანია. ეს საოცრება იყო! მე | საკმაოდ კმაყოფილი ვარ. საუკეთესო გამოსვლა იყო! დამაკმაყოფი- |

| | | | |
|---|---|---|---|
| | საუკეთესოა! საშინელებაა! | უბედნიერესი ვარ. მოხარული ვარ. | ლებელია! არადამაკმაყოფილებელია! |
| **სინანული** | სამწუხაროა. ვწუხვარ! ძალიან ვწუხვარ! ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვარ. | მე ძალიან ვწუხვარ ამის გამო! მე ვნანობ ამის შესახებ! ძალიან საწყენია! ამაზე ფიქრიც კი არ მინდა. ძნელი სათქმელია. | ჩვენდა სამწუხაროდ! ჩვენდა სავალალოდ! ძალიან მწყინს! ჩვენდა საუბედუროდ!! რა სამწუხაროა! გაფიქრებაც კი ძნელია... |
| **ბრაზი** | ძალიან სამწუხაროა! საშინელებაა! | ნუ ბრაზობ ! ნუ ნერვიულობთ! ამაზე ნუ ფიქრობთ! | არც იფიქროთ! როგორ გაბედეთ? ეს რა საკადრებელია?! |
| **ეჭვი, ვარაუდი** | ვეჭვობ, ას არ არის. შეიძლება. შესაძლებელია. დარწმუნებული არა ვარ. | მე მგონი... მე მგონია, არ მოვა. შენ როგორ ფიქრობ? | არა მგონია, მოვიდეს. მას შეეძლო, ასე არ მოქცეულიყო. |
| **გაკვირვება** | მე გაკვირვებული ვარ. მე გაოგნებული ვარ. რა სიურპრიზია! რა მოხდა? | მართლა ასე იყო? მიკვირს, გასაოცარია. არ მეგონა. | ხუმრობ? ნუთუ მართლა ასე მოიქცა? რას გულისხმობთ? რისი თქმა გსურთ? მართლა? ამის დაჯერება არ შემიძლია, დაუჯერებელია... |
| **შიში** | საშიშია. მე მეშინია ამ ამბის. მე მისი მეშინია. | ცეცხლის / წყლის / სისწრაფის მეშინია. არაფრის არ მეშინია. | შეგაშინეთ? არ მინდოდა, შემეშინებინეთ. ნუ გეშინიათ! ნუ შეგეშინდებათ! |
| **ინტერესი** | მე მიყვარს კითხვა. მე მაინტერესებს დეტექტივები. მე ძალიან მეხერხება ხატვა. | მე მაინტერესებს ქიმია / ფიზიკა / ბიოლოგია... | მას ხატვის ნიჭი აქვს. ყველაფერში ნიჭიერია. უნიჭიერესია. |
| **ინდიფერენტულობა** | მე არ მაინტერესებს. სულ არ მაინტერესებს. | ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. | არანაირ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. არა მგონია, ეს საინტერესო იყოს. ამაზე არ მიფიქრია. |
| *1.7 დროში ორიენტირება* | | | |
| **დროში განთავსება** | დილას / დილით საღამოს / საღამოთი, შუადღისას, ღამით, შუაღამისას | დილაობით საღამოობით ორშაბათობით... შაბათობით... არც ისე დიდხანს, ცოტა ხანს, ცოტა ხნით | თვეობით, კვირაობით, წლობით, წლიდან წლამდე, დროდადრო |
| **ქრონოლოგია** | მერე, შემდეგ, ჯერ.. პირველად... მეორედ... | თავიდან ბოლომდე, შარშან, შარშანწინ, | ჭელს, გაისად, მერმისს, მომავალში |

| | | | |
|---|---|---|---|
| სიხშირე | ხშირად, იშვიათად, ყოველთვის, ზოგჯერ არასდროს | ერთხელ, ყოველდღე, ყოველთვე / ყოველთვიურად ყოველ წელს / ყოველწლიურად ყოველკვირეულად ყოველდღიურად | ყოველ ორ წელიწადში, ყოველ მეორე დღეს, ყოველ მეორე კვირას, თითქმის ყოველთვის, ყოველთვის, სულ, განუწყვეტლივ |
| ხანგრძლივობა | რამდენ ხანს გრძელდება? სულ ოცი წუთი სჭირდება. ერთი საათის განმავლობაში. რამდენ ხანს დარჩები? მუდამ. მუდმივად, სამუდამოდ | მთელი დღის განმავლობაში. ორშაბათიდან. დიდი ხნით. აქამდე. მთელი დღით / ღამით. სანამ გავაკეთებ... | მთელი დღით. მთელი ღამით. მთელი თვით / წლით. დილიდან საღამომდე. ადრე დილიდან გვიან ღამემდე. |
| *სიჩქარე* | ჩქარა. სწრაფად. ნელა. უსწრაფესად | მთელი სისწრაფით. იჩქარე! ნუ ჩქარობ! | რა ნელი ხარ! სწრაფად გააკეთე! საოცრად სწრაფად. რა სიჩქარით / სისწრაფით? სწრაფად, მაგრამ ფრთხილად. |
| *1.8 სივრცეში ორიენტირება* | | | |
| ადგილმდებარეობა | გვერდით. ახლოს. შუაში აქ / იქ მარჯვნივ / მარცხნივ მიწაზე / ცაში შორს / ახლოს შორიახლოს | აქვე / იქვე. სად არის მეტრო? მეტროს პირდაპირ, მეტროს პარალელურად, მეტროს მოპირდაპირე მხარეს, მეტროს პირისპირ | იცით სად არის მეტრო? ხომ ვერ მიმასწავლით მეტროს? შეგიძლიათ მითხრათ, სად არის...? |
| მიმართულება | როგორ მივიდე აეროპორტში? წადით პირდაპირ მოუხვიეთ მარჯვნივ / მარცხნივ რომელი გზით მივალ? ამ / იმ გზით... | ხომ ვერ მეტყვით, როგორ მივიდე? ეს აეროპორტის გზაა? მიწისქვეშა გადასასვლელი. ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი | ახლოსაა, ფეხით სავალზეა როგორ მივიდე უახლოეს გაჩერებამდე? იმ მიმართულებით რა ტრანსპორტი დადის? |
| *1.9 ლოგიკური კავშირის გამოხატვა* | | | |
| რთული წინადადება: მიზეზი, შედეგი, პირობითობა, მიზანი, ოპოზიცია... | მე დავაგვიანე, რადგან დამეძინა. სახლში იმიტომ დარჩა, რომ თავს შეუძლოდ გრძნობდა. ის ავადაა, ამიტომ ვერ მოვა. მასთან წავიდა, რათა მის | საქმის გამო სამსახურში ვერ წავედი. აქ იმისთვის მოვიდა, რომ ეს საქმე გააკეთოს. კაცი, რომელიც დავინახე, ჩემი მეზობელი აღმოჩნდა. | კაცმა, რომელიც ჩემ წინ იდგა, ჩემი ხმა ვერ გაიგო. კაცი, რომელმაც გამარჯობა მითხრა, მალე წავიდა. კაცს, რომელიც ჩემ წინ იდგა, გამარჯობა |

| | | | |
|---|---|---|---|
| *1.9 ლოგიკური კავშირის გამოხატვა* | | | |
| | გვერდით ყოფილიყო. ფული რომ მქონდეს, აუცილებლად ვიყიდიდი. თუ წავედი, აუცილებლად ვიყიდი. ის მალე მოვა, მაგრამ მალევე უნდა წავიდეს. | კაცი, რომელსაც შევხვდი, ჩემი მეზობელი აღმოჩნდა. | ვერ ვუთხარი, რადგან ვერ ვიცანი. |
| *1.10 ირიბი ნათქვამი* | გიორგიმ თქვა, რომ ხვალ სკოლაში ვერ მოვა. | დედამ მთხოვა, რომ მაღაზიაში შევსულიყავი.. | რამდენჯერ გითხარი, ასე ნუ აკეთებ-მეთქი! დედას ვუთხარი, პური წამოიღე-თქო. გვითხრა, ასე არ უნდა მოიქცეთო. |
| *1.11 ნებართვა, ვალდებულება, აკრძალვა* | თუ შეიძლება, მითხარით... თუ შეიძლება, მათხოვეთ წიგნი. შეხება / ახლოს მისვლა აკრძალულია! | შეჩერდით! გზა თავისუფალია.! ფრთხილად, კარები იკეტება! | ფრთხილად იყავი! ნუ დაანაგვიანებთ! წაიკითხეთ ინსტრუქცია! დაიცავით სიჩუმე! მოხსენებაა, დაიცავით სიჩუმე! მოწევა აკრძალულია! |
| *1.12 ინტერაქცია საკლასო ოთახში* | | | |
| მასწავლებლის მითითებები | წაიკითხეთ ტექსტი დამოუკიდებლად და შეასრულეთ შემდეგი დავალება. ამოიწერეთ ტექსტიდან... წაიკითხეთ შემდეგი აბზაცი. რა იყო გაუგებარი ტექსტში? | მიაქციეთ ყურადღება სათაურს და პირველ წინადადებას. გამოყავით აბზაცში მთავარი აზრის გამომხატველი წინადადება. გადმოეცით ტექსტი თქვენი სიტყვებით. გადმოეცით ტექსტის შესახებ თქვენი დამოკიდებულება. | დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება. შეადგინეთ თხრობის / მსჯელობის გეგმა. |
| მიმართვები, შეკითხვები მასწავლებლისადმი | რვეული სახლში დამრჩა. მე დღეს მზად არა ვარ. თუ შეიძლება მეორე გაკვეთილზე გიპასუხებთ. ვერ გავიგე, თუ შეიძლება გაიმეორეთ! თუ შეიძლება, კიდევ ამიხსენით! გთხოვთ, ხელმეორედ ამიხსნათ! | შეიძლება გკითხოთ? რას ნიშნავს? ტექსტში გაუგებარია სიტყვები... გავაგრძელო? წავიკითხო? რომელ გვერდზეა სავარჯიშო? საიდან გავაგრძელო? შეგიძლიათ, დამეხმაროთ? როგორაა ქართულად...? რა | ვერ გავიგე რა და როგორ დავწერო. ჯერ გეგმა შევადგინოთ? გეგმა როგორ დავწერო? ეს საკითხი არ ვიცი. შეიძლება დავამატო? ვერ გიპასუხებთ. ცალკე ვიმუშაო თუ წყვილში? რომელი სავარჯიშო დავწერო? ხელახლა დავწერო |

| | | | |
|---|---|---|---|
| | წავიკითხავ. | ჰქვია ქართულად ....ს? | სავარჯიშო? |

# ლექსიკა

| *ინდივიდი* | **ნიმუშები X-XII კლასებისათვის** |
|---|---|
| გარეგნობა | მაღალი, დაბალი, გამხდარი, ქერათმიანი, შავთმიანი, ხუჭუჭთმიანი... წითური, შეუხედავი, კარგი შესახედავი სუსტი, მხარბეჭიანი, წარმოსადეგი, ლამაზი... ცისფერთვალება, შავთვალება, მწვანეთვალება სწორი ცხვირი, კლასიკური გარეგნობა. |
| ხასიათი | მხიარული, სერიოზული, სევდიანი, არასერიოზული გულადი, მამაცი, უშიშარი, უხეში, თავაზიანი, ზრდილობიანი, უზრდელი... კეთილი, პატიოსანი, სამართლიანი, უსამართლო, ამაყი, ამპარტავანი, აკურატული, სუფთა, ბინძური... |
| ჰიგიენა, აქტივობები | დაბანა, დავარცხნა, დასუფთავება, ვარჯიში, კბილების გამოხეხვა, შხაპის მიღება... შამპუნი, საპონი, სავარცხელი, კრემი, ღრუბელი, ბურთულიანი დეზოდორი, პირადი ჰიგიენა, პირადი ჰიგიენის დაცვა, ცივი შხაპის მიღება, საპარსი... მკვებავი კრემი, ხელის კრემი |
| ჯანმრთელობა, ავადმყოფობა, აქტივობები | გრიპით ავად, სურდო, გაციებული, ექიმი, ექთანი, აფთიაქში წამლის ყიდვა, ხველების წამალი, თავის ტკივილის წამალი... ექიმის გამოძახება, წოლა, წამლის მიღება, დალევა (წამლებს ვსვამ) ნემსის გაკეთება. ანგინა, ხველება, სურდო, სიცხიანი, ხელის მოტეხა, საავადმყოფო, ექთანი, ექიმი, სასწრაფო დახმარება, აწუხებს თავის/კბილის/მუცლის...ტკივილი რეგისტრატურა, მიღებაზე ჩაწერა... |
| შეფასება, ემოციური რეაქციები | კარგად, შესანიშნავად ვგრძნობ თავს, შეუძლოდ ვარ... გახარებული, შეწუხებული, გაოცებული, გაკვირვებული, გაოგნებული... სირცხვილი, შიში, წყენა, სიხარული, ორიგინალობა, სირთულე, გაბრაზებული, ნაწყენი, გაჯავრებული, უკმაყოფილო, განცდა, აღელვება... რთული ხასიათი, სირთულე, ისე რა, ნელ-ნელა, არც ისე კარგად, არა უშავს, განცდა, გადატანა ნერვიულობის, უბედურების... ჩაკეტილი პიროვნება, კომუნიკაბელური ადამიანი, გახსნილი, რთული, ცუდი, კარგი პიროვნება |

## აქტივობები

| | X | XI | XII |
|---|---|---|---|
| აღქმა და ინტელექტუალური აქტივობები | ნახვა, გაგება, გაგონება, გახსენება, დავიწყება, მოგონება, გაგება, მოფიქრება, დაფიქრება, | გაანალიზება, გაცნობიერება, შეგრძნება, აღელვება, დაწყნარება, დამშვიდება, გართობა, გულის გადაყოლება. | ჩაფიქრება, დაფიქრება, გაანალიზება, წინასწარ განჭვრეტა, ხედვა, სმენა, გაცნობიერება, გაზიარება |

| | | | |
|---|---|---|---|
| ტელეფონით სარგებლობა | დარეკვა, პასუხი, ყურმილის აღება, ყურმილის დაკიდება, გათიშვა, ნომრის აკრეფა, თხოვნა.... | ჟეტონის ჩაგდება, მონოს ჩასმა, ხელმეორედ დარეკვა, დაკავება, გაბმული ზუმერი, წყვეტილი ზუმერი, ავტომოპასუხე. | ინფორმაციის დატოვება, ავტომოპასუხის მოსმენა, ნომრის ამოცნობა, ტელეფონის დატენა, ელემენტი დაჯდა, გადაუხდელობის გამო გათიშვა... |

## ინდივიდის გარემოცვა

| | X | XI | XII |
|---|---|---|---|
| ადამიანები | ქალი, მამაკაცი, გოგონა, ბიჭი, მოხუცი, ახალგაზრდა, დაბადება, სიკვდილი, გაზრდა, აღზრდა | ადამიანი, ხალხი, მოზარდი, ზრდასრული, ნაცნობი, მეგობარი, ამხანაგი, კოლეგა, თანამშრომელი, თანაკლასელი | მოქალაქე, ნათესავი, ახლობელი, მეზობელი, თანაქალაქელი, თანამემამულე, ბავშვობა, ახალგაზრდობა, სიბერე, ღრმად მოხუცებულობა, გარდაცვალება, თანაგრძნობა... |
| ოჯახი, ნათესავები | მშობლები, სანათესაო, დედ-მამა, და-ძმა, ბებია, პაპა, დეიდა, მამიდა, ბიძა, ბიცოლა, მამიდაშვილი, ბიძაშვილი, ოჯახის წევრი... | ქმარი, ცოლი, მეუღლე, უცოლო, გაუთხოვარი, გასათხოვარი, რძალი, სიძე, პატარძალი, ნეფე-დედოფალი, ქორწილი, დანიშვნა, ნიშნობა, ძეობა, გარდაცვალება, დაკრძალვა... | |
| საზოგადოება და სახელმწიფო | ქალაქი, დედაქალაქი, პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტი, კონსტიტუცია, ფული, ეკონომიკა, მრეწველობა... | ხელფასი, სტიპენდია, პენსია, დახმარება... დიასახლისი, სამსახური, ინჟინერი, არქიტექტორი, მძღოლი, მასწავლებელი... | ხელისუფლება, პოლიტიკური პარტია, სასამართლო, პროკურატურა, ჯარი, პოლიცია, სამინისტრო, ადმინისტრაცია, დეპარტამენტი |
| განათლება | სამასწავლებლო, კლასელი, სკოლელი, სააქტო დარბაზი, დავალება, სავარჯიშო, დავალების დაწერა, | უცხო ენის მასწავლებელი, ორგანიზატორი, მდივანი, კლასის ხელმძღვანელი, ლაბორანტი, | პროფესიის არჩევა, საშუალო განათლება, პროფესიული განათლება, უმაღლესი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ცხრილი... | დამლაგებელი.. გადმოწერა, კითხვებზე პასუხის გაცემა, სავარჯიშოს შესრულება... ქართული ენის კაბინეტი.... მშობლიური ენის კაბინეტი, გეოგრაფიის კაბინეტი... ანკეტის შევსება, სახელმძღვანელოს წაკითხვა, დღიურის შევსება, გამოკითხვა, საკონტროლო წერა, ტესტირება | სასწავლებელი, ერთიანი ეროვნული გამოცდები, ატესტატი, არასრული განათლება, სრული საშუალო განათლება, დაწყებითი სკოლა, საბაზო სკოლა, საშუალო სკოლა, კოლეჯი, ლიცეუმი, გიმნაზია, ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, სტუდენტი, ლექტორი, ხელმძღვანელი. |
| კვების ობიქტები, პერსონალი, აქტივობები | კაფე, ბარი, რესტორანი, მენიუ, სადილი, სასმელი, პორცია, შემწვარი, მოშუშული, მწვადი, სოკო, სალათი, ხილის წვენი, ნაყინი, მიმტანი, ანგარიში... | კაფე-ბარი, პიცერია, ეროვნული სამზარეულო, ქართული კერძები... საფირმო კერძის შეკვეთა ბარმენი, მზარეული, | სადღესასწაულო სუფრა, ცივი კერძი, ცხელი კერძი, სადილი, ნიგვზიანი ბადრიჯანი, სოკო კეცზე, ხინკალი, მწვადი, ხაჭაპური, ლავაში, ტკბილეულობა, ქართული ღვინო, ლიმონათი, შამპანური, ქართული კონიაკი, მინერალური წყალი... |
| მგზავრობა, გადაადგილება | ტრანსპორტი, შუქნიშანი, მოძრაობის წესები, ავტობუსში ასვლა, ჩამოსვლა, გადახდა, გაჩერება, ადგილის დათმობა, ავტობუსის მძღოლი, ტაქსის მძღოლი, პირადი მძღოლი, გამცილებელი... | მეტრო, წრიული ტრანსპორტი, დაჯარიმება, მგზავრი, მგზავრებით დატვირთული, ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი, გზაჯვარედინი, პატრული. მსუბუქი მანქანა, სატვირთო მანქანა, ბენზინგასამართი, სამარშრუტო ტაქსი, ავტობუსი, მეტროს ვაგონი, სადგური, | ბავშვის ადგილი, ინვალიდის ადგილი, აეროფლოტის მომსახურება... საბაჟო კონტროლი, შეფუთვა ბარგის, ხელბარგი, სავიზო რეჟიმი, ვიზის გაგრძელება, სასტუმროში დაბინავება, სადილის შეკვეთა, დამუხრუჭება, ბარგის შენახვა... |
| კულტურული ობიექტები, პერსონალი, | მუზეუმი, ხელოვნების ექსპერტი, | კინოფესტივალი, ჟიური, პრიზი, გამარჯვებული, | თეატრი, საკონცერტო დარბაზი, ბილეთი, |

| | | | |
|---|---|---|---|
| აქტივობები | სამხატვრო გალერეა, ფერწერა, მონუმენტური ხელოვნება, პორტრეტი, გამოფენა-გაყიდვა, მხატვარი, მოქანდაკე... ხელოვანი, ესტრადის ვარსკვლავი, | ნაწყვეტი ფილმიდან, მთავარი როლის შემსრულებელი, ვარსკვლავი, გამოჩენილი მსახიობი, | დაჯავშნა, ახალი დადგმა, დებიუტი, პრემიერა, რეჟისორი, ოპერატორი, სცენარის ავტორი, მთავარი როლი, ეპიზოდური როლის შემსრულებელი, |
| ბანკი, პერსონალი, აქტივობები | ფულის (ვალუტის) გადაცვლა, დოლარის, ევროს კურსი ლართან მიმართებით... | საბანკო მომსახურება, ბანკომატი, კოდის აკრეფა, საკრედიტო ბარათი, ბანკის მმართველი, მოლარე... | სესხი, სესხის დაფარვა, საბანკო ანგარიში, გადარიცხვა, ანგარიშზე ჩარიცხვა,ანგარიშზე შეტანა, |
| მასმედია | პრესა, გაზეთი, ჟურნალი, ბიულეტენი, სარეკლამო ფურცელი, სარეკლამო განცხადება, სტატია, ინტერვიუ, რეპორტაჟი, ქრონიკა, დანაშაული, მკვლელობა, ორგანიზებული დანაშაული, ყვითელი პრესა, მკითხველთა წერილები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა... | ტელევიზია, რადიო, საზოგადოებრივი ტელევიზია, კომერციული არხები, ტელეპროგრამა, საინფორმაციო პროგრამა, სპეციალური გამოშვება, სტიქიური უბედურება, ეკოლოგიური კატასტროფა, სამეცნიერო-პოპულარული გადაცემა, კონცერტი, პრეზიდენტის გამოსვლა, ტელეხიდი, წამყვანი, ტელეჟურნალისტი, კორესპონდენტი... | ინტერნეტი, ელექტრონული ფოსტა, იმეილი, ონლაინი, ინტერნეტით სარგებლობა, წერილის მიღება-გაგზავნა, კომპიუტერის დავირუსება... |
| გართობა, თავისუფალი დრო, სპორტი, აქტივობები | დისკოთეკა, სპორტზე სიარული, ვარჯიში, გუნდი, მოგება-წაგება, სპორტსმენი, მსაჯი მწვრთნელი, ჩემპიონი | ლაშქრობა, ექსკურსია, მხიარულთა და საზრიანთა კლუბი, გამარჯვება, მოგება, წაგება | თავისუფალი დროის გატარება, დროის კარგად / ცუდად გატარება, ოლიმპიადა, ოლიმპიური სახეობები... |
| დრო | ხუთს აკლია ათი წუთი; ხვალ, გუშინ | გუშინწინ, გუშინწინისწინ | ზეგ, მაზეგ |
| სეზონები | გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, | ზამთარ-ზაფხულ | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ზამთარი. | | |
| კვირის დღეები | | ორშაბათს, კვირას... | ამ კვირაში, ამ თვეში... |
| თვეები | | სექტემბერში, აგვისტოში... | სექტემბრისთვის, ნოემბრისთვის |
| დღის მონაკვეთები, დღე/ღამე | დილა, საღამო, შუადღე, შუაღამე, დილას, საღამოს, ღამით, შუადღისას, შუაღამისას | დილას, საღამოს, შუადღეზე... | ძალიან ადრე, განთიადისას |
| დროის განსაზღვრა | დილის ცხრა საათია, საღამოს შვიდი საათია, ღამის ორი საათია | ხუთ საათზე, ხუთის ათ წუთზე, ხუთის ნახევარზე... | ხუთისთვის სახლში ვიქნები, ხუთამდე, ხუთიდან შვიდამდე... |
| სივრცე | ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი, დასავლეთი. | ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით, დასავლეთით. | ჩრდილოეთისკენ, სამხრეთისკენ, აღმოსავლეთისკენ, დასავლეთისკენ. |
| ადგილმდებარეობა | სკოლაში, სკოლასთან, სკოლამდე | ახლოს, შორს, შორიახლოს, მარცხნივ, მარჯვნივ... | მოშორებით, სიმაღლეზე, სიღრმეში... |
| მახასიათებლები | რკინის, ხის | პლასტმასის | |
| ფერი | მუქი ყავისფერი, ღია ყავისფერი | ოქროსფერი, ვერცხლისფერი... | ღია ფერი, მუქი ფერი (ფერის) მომწვანო, მოცისფრო, მოთეთრო, მოშავო.... |
| ზომა | დიდი მაქვს, პატარა მაქვს | 36 ნომერი ფეხსაცმელი | 42 ზომა შარვალი, ყველაზე პატარა ზომა, ყველაზე დიდი ზომა, |
| ფორმა | ოვალური, | სამკუთხედის ფორმის, | კვადრატული, მართკუთხა... |
| წონა | გრამი, კილოგრამი | ცენტნერი | ტონა |
| რაოდენობა | ნახევარი | | მესამედი, მეხუთედი |
| ტემპერატურა | ძალიან ცივი, ძალიან ცხელი, თბილი, გრილი, ნელ-თბილი. | ცელსიუსით 30 გრადუსი... | პლუს-მინუს 5 გრადუსი.... |
| შემადგენლობა | შალის, ბამბის, ქაღალდის, | პლასტმასის, ხის, რკინის, ბრინჯაოს, | ოქროს, ვერცხლის, პლატინის... |
| რიცხვები | 1000-დან ზემოთ.... | 10000-მდე | 10000-ის ზემოთ... 1.000 000 .... |

| გრამატიკა | |
|---|---|
| | |
| მეტყველების ნაწილები | X-XII |
| არსებითი | 1. მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი, წარმოება. 2. მოთხრობითი, მიცემითი ბრუნვები 3. მიცემითი ბრუნვის თანდებულები: -ვით, -თან, -ზე, |

| | |
|---|---|
| | -ში 4. ნათესაობითი ბრუნვის თანდებულები: -თვის, -გან, -კენ... 5. ვითარებითი ბრუნვის თანდებულები -მდე, -იდან -მდე. |
| ზედსართავი სახელი | ზედსართავის ხარისხის ფორმები: ოდნაობითი მო-ო, და უფროობითი უ-ეს. |
| რიცხვითი სახელი | რაოდენობითი რიცხვითი სახელები (რთული, შედგენილი) რიგობითი რიცხვითი სახელები, წილობითი რიცხვითი სახელები. |
| ნაცვალსახელი | პირის, კუთვნილებითი, ჩვენებითი, კითხვითი, მიმართებითი ნაცვალსახელები |
| ზმნა | ზმნის უღლება პირისა და რიცხვის მიხედვით: ახლანდელი, წარსული, მომავალი დრო. ბრძანებითი კილო, კავშირებითი კილო |
| ზმნიზედა | დროის, ადგილის, ვითარების, ზომა-ოდენობის, ჯერობის ზმნიზედები |
| თანდებული | მიცემითის, ნათესაობითის, მოქმედებითის და ვითარებითის თანდებულები. ცალკე მდგომი თანდებულები: მიმართ, შესახებ, მიერ... |
| ნაწილაკი | არ, ვერ, ნუ |
| კავშირი | და, თუ, მაგრამ, რაც, ვინც, რომ, რომელიც, რადგან, რათა... |
| შორისდებული | სიხარულის, წყენის, შექების გამომხატველი შორისდებულები |
| **წინადადება** | |
| წინადადების ტიპები შედგენილობის მიხედვით | 1. კითხვითი წინადადება 2. ძახილის წინადადება. 3. მარტივი გავრცობილი წინადადება 4. რთული თანწყობილი წინადადება 5. რთული ქვეწყობილი წინადადება. |

# პუნქტუაცია და ორთოგრაფია

| მეტყველების ნაწილები | X-XII |
|---|---|
| **არსებითი სახელი** | 1. სახელთა ბრუნვის ფორმების მართლწერა 2. თანდებულიან სახელთა მართლწერა... 3. საკუთარ სახელთა მართლწერა |
| **ზედსართავი სახელი** | 1. ხარისხის ფორმათა მართლწერა. 2. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვაში შეთანხმება. |
| **რიცხვითი სახელი** | 1. რაოდენობითი რიცხვითი სახელების მართლწერა. (რთული, შედგენილი) 2. რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერა 3. წილობითი რიცხვითი სახელების მართლწერა. |
| **ნაცვალსახელი** | პირის, კუთვნილებითი, ჩვენებითი, კითხვითი, ნაცვალსახელების მართლწერა |
| **ზმნა** | 1. I პირის ფორმათა მართლწერა. 2. მრავლობითი რიცხვის ფორმათა მართლწერა. |
| **ზმნიზედა** | დროის, ადგილის, ვითარების ზმნიზედების მართლწერა |
| **თანდებული** | მიცემითის, ნათესაობითის, მოქმედებითის და ვითარებითის თანდებულები. ცალკე მდგომი თანდებულები: მიმართ, შესახებ, მიერ... ამ საკითხებთან დაკავშირებული მართლწერა. |
| **ნაწილაკი** | არ, ვერ, ნუ |
| **კავშირი** | პუნქტუაციის საკითხები კავშირიან წინადადებაში. . |
| **შორისდებული** | პუნქტუაციის საკითხები შორისდებულებთან დაკავშირებით. |
| **წინადადება** | |
| **წინადადების ტიპების შედგენილობა** | პუნქტუაციის წესები რთულ წინადადებაში. |

# სოციოკულტურა და კულტურა

| X-XII |
|---|
| • დღესასწაულები და ზეიმები • ეროვნული დღესასწაულები • ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები (სუფრასთან, საზოგადოებაში მოქცევის წესები, უფროს-უმცროსობა...) • თანამედროვე ცხოვრება (მასობრივი კულტურა, საკომუნიკაციო საშუალებები, კულტურის, სავაჭრო ცენტრები...) • ახალგაზრდული ყოფა (დღის რეჟიმი, თავისუფალი დრო, გართობა, დასვენება, საზოგადოებრივი ურთიერთობები, გატაცებები, საყმაწვილო ჟურნალები, გადაცემები, საბავშვო ცენტრები...) • ამიერკავკასია (ზოგადი ცნობები) • გეოგრაფიული ცნობები საქართველოს შესახებ • ცნობები საქართველოს პოლიტიკური წყობის შესახებ • დედაქალაქი და მისი ღირშესანიშნაობები • ცნობები საქართველოს წარსულისა და კულტურის შესახებ • ცნობილი ადამიანები (მწერლები, ხელოვანები, სპორტსმენები, მეცნიერები, ისტორიული პირები...) • მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები • ლიტერატურა – ლექსები, ადაპტირებული მოთხრობები, იგავ-არაკები, ლეგენდები, ქართულად თარგმნილი მათი მშობლიური ენის ლიტერატურული ნიმუშები...) • ცნობები რეგიონის შესახებ • ცნობები ამიერკავკასიის ქვეყნების წარსულიდან და მათი ურთიერთობის შესახებ • საქართველოს მოქალაქის უფლება-მოვალეობანი |

# 4 ტექსტის ტიპები

ენის შემსწავლელს უნდა დავეხმაროთ ტექსტის პროდუცირებისა და ინტერპრეტირების უნარის ჩამოყალიბებაში. შემსწავლელს უნდა შეეძლოს ენის ფლობის მისეული დონიდან გამომდინარე გარკვეული ტექსტების პროდუცირება და წაკითხული თუ მოსმენილი ტექსტის ინტერპრეტირება და შესაბამისად სწორი, ადეკვატური გადაწყვეტილების მიღება შემდგომი ქმედების შესახებ. შემსწავლელი, რომელმაც გაიარა ენის ფლობის პირველი სამი დონე და გადავიდა ზღვრული განვითარებული დონის მასალის შესწავლაზე, უნდა ფლობდეს საკომპენსაციო ტაქტიკასაც. მაგალითად, წერილობითი და ზეპირი ტექსტების აღქმისას მას უნდა შეეძლოს:

– მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამოყოფა
– ფაქტობრივი ინფორმაციის გამოყოფა
– შესაბამისი ინფორმაციის იდენტიფიცირება
– გაგების მიზნით ისეთი საორიენტაციო მახასიათებლების გამოყენება, როგორიცაა სათაურების, ილუსტრაციების, ტოპოგრაფიული ნიშნების (მაგ. ტექსტში თავების გამყოფი ნიშანი, პარაგრაფებად დაყოფის ნიშანი), ზეპირ ტექსტში ამავე მიზნით დისკურსის ისეთი მარკერების გამოყენება, როგორიცაა ფრაზა, ემფაზა, სტრუქტურულ-რელევანტური პაუზები, ინტონაცია და სხვა პროსოდიული ელემენტები.

წერილობითი თუ ზეპირი ტექსტიდან ინფორმაციის ამოკრეფის ადეკვატურობა განისაზღვრება კომუნიკანტის ვერბალური თუ არავერბალური რეაქციით. ვერბალური რეაქცია მჟღავნდება ახალი ტექსტის შექმნაში, არავერბალური – მოქმედებაში, ჟესტიკულაციაში.. მხოლოდ რეცეფციისათვის განკუთვნილ ტექსტებს უნდა ჰქონდეს გამოკვეთილი სტრუქტურა და არ უნდა იყოს დამძიმებული ზედმეტი სპეციფიკური ერთეულებით.

ქვემოთ მოგვაქვს წაკითხვის,აუდირების,წერის ტექსტების ტიპები ყოველდღიური თუ პროფესიული ურთიერთობისათვის, რომლებსაც თანდათანობით უნდა დაეუფლოს შემსწავლელი.

## 4.1 წაკითხვა

აბრები (დაწესებულების, დეპარტამენტის, განყოფილების დასახელებები)
ამინდის პროგნოზი
ანგარიში (სასტუმროში, რესტორანში, სატელეფონო საუბრების)
ანკეტა (სასტუმროში, საკონსულოში, ქართული ენის შემსწავლელ კურსებზე მისაღებად)
აფიშა (კინოს, თეატრის, გამოფენის, კონცერტის)
ახსნა-განმარტებითი ბარათი (ყოფითი ხასიათის, სამსახურში, პოლიციაში)
ბილეთი (ოპერის, მუზეუმის, ცირკის)
ბილეთი (თვითმფრინავის, მატარებლის, ავტობუსის)
ბლანკი (ტელეგრამის)
ბროშურები (პროსპექტები, მეთოდური შენიშვნები); უმაღლესი სასწავლებლების, ენის ცენტრების (მიღების წესები, სწავლებისა და საგამოცდო პირობები)

განცხადება (შვებულების აღებაზე, ბინის ყიდვა/გაყიდვაზე, ვიზის მიღებაზე, სამსახურის ვაკანსიებზე პერიოდულ გამოცემებში, სატელევიზიო რეკლამებში)
განფასება
გზამკვლევი (მუზეუმში, ქალაქის, ტურისტული)
გზის მაჩვენებელი (აეროპორტში, რკინიგზის სადგურზე, მეტროში, ქუჩაში, საავადმყოფოში, მაღაზიაში)
დოკუმენტი (აეროპორტში ბარგის შენახვის, მანქანის დაქირავების ქვითარი, სახლის არენდის ხელშეკრულება)
ვალუტის გაცვლის წესები
ინსტრუქცია (წამლის მიღების, ტელეფონზე დარეკვის)
ინფორმაცია, ცნობა განმარტება (ლექსიკონიდან, ენციკლოპედიიდან, ცნობარიდან)
კომერციული წინადადებები (კატალოგები, სარეკლამო პროსპექტები, საქმიანი და ოფიციალური დოკუმენტები)
მენიუ
პროგრამა (ტელე-რადიო, თეატრალური)
ჟურნალ-გაზეთების სახელწოდებები, სტატიების სათაურები
რეკლამა ( პრესაში გამოქვეყნებული, ტელევიზიით გადაცემული – ტელე-რადიო პროგრამები, კინოფილმები, მაღაზიები, მომსახურება, საყოფაცხოვრებო საქონელი...)
რეცეპტი (წამლის, კულინარიული)
რუკა (გეოგრაფიული, ფიზიკური, პოლიტიკური, საგზაო, სამარშუტო)
საბაჟო დეკლარაცია
საგზაო ნიშნები
სავიზიტო ბარათი
საინფორმაციო წერილი (გაზეთში, ჟურნალში)
საკრედიტო ბარათი
სამომხმარებლო საქონლის პასპორტი (მოხმარების წესი, საგარანტიო ვადა)
სამუშაო დღეები და საათები (მაღაზიების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, საგამოფენო დარბაზების)
საფოსტო მისამართი (კონვერტზე, საფოსტო ბარათზე, უბის წიგნაკში)
სტატიები ეკონომიკაში
სქემა (ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტის)
ქალაქის გეგმა
ჩეკი
ცნობარი (სატელეფონო, სამედიცინო)
წარწერა (ქუჩის სახელწოდება, მეტროს, ავტობუსის გაჩერებაზე, საავადმყოფოში, პოლიკლინიკაში, ფოსტაში, მაღაზიაში, საქონლის დასახელება, ფასი)
წერილი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისალოცი ბარათი, ტელეგრამა (პირადი, ოფიციალური)

## 4.2 აუდირება

ამინდის პროგნოზი (რადიო-ტელევიზიით)
ანონსი (რადიო და ტელეგადაცემების)
განცხადებები (რკინიგზის და ავტოსადგურებზე, აეროპორტში, თვითმფრინავში, მუზეუმში, სტადიონზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტში)
ინფორმაცია (საგზაო, რადიო-ტელევიზიით გადაცემული)
კომერციული წინადადებები
რეკლამა (რადიო-ტელევიზიით)

სატელევიზიო და რადიო გადაცემები (იუმორისტული, ლიტერატურული, თეატრალური დადგმები, მხატვრული კითხვა, ჟურნალ-გაზეთების მიმოხილვა, კულინარიული)
სატელეფონო ინფორმაცია (ავტომოპასუხე) ამინდი, დრო.

## 4.3 წერა

წერით მეტყველებაში შემსწავლელი უნდა ფლობდეს შემდეგ უნარ-ჩვევებს:

**აპლიკაციის, ბლანკის შევსების უნარს**
განაცხადი ვიზის მისაღებად, საბაჟო დეკლარაცია
ანკეტა (სასტუმრო, კადრების განყოფილებისათვის)
საფოსტო გზავნილებისათვის შესავსები ფორმები
საბანკო დოკუმენტები

**სტანდარტული წერილების წერის უნარს**
ენის კურსებზე ჩარიცხვის წესებისა და სწავლის ღირებულების შესახებ ინფორმაციის მიღება
ბინის დაქირავების პირობების გაგება; სასტუმროს დაჯავშნა
სააგარაკო სახლის აშენების პირობების, მიწის ნაკვეთის მდებარეობის, ხედის, მიკროკლიმატის გაგება
საქმიანი წერილების წერა

**მიმოწერის უნარს**
მისალოცი ბარათის მიწერა
მოსაწვევი ბარათის მიწერა
პასუხის გაცემა მილოცვაზე, მიწვევაზე (მადლობა, თანხმობა, უარი)
ვრცელი წერილის მიწერა პირადი ცხოვრების, საზოგადოებრივი თუ ყოფითი მხარის, ეკონომიკური მდგომარეობის, პოლიტიკური მოვლენების შესახებ

**განცხადების წერის უნარს**
სამსახურში მიღების ან სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ
ბავშვის ბაღში / სკოლაში / კოლეჯში მიღების შესახებ

**წერით მეტყველებაში შემსწავლელმა უნდა იცოდეს:**
წერილში / განცხადებაში თარიღის დაწერა
მისამართის დაწერა კონვერტზე / საფოსტო ბარათზე
წერილის ფორმის დაცვა, დასაწყისის და დაბოლოების ფორმულირება, სტანდარტული ფრაზების გამოყენება.

# 5 სტრატეგიები

## 5.1 საკომპენსაციო საშუალებები

ენის ფლობის პირველი ოთხი დონის შემსწავლელების ენობრივ საშუალებათა შეზღუდულობა უნდა კომპენსირებულ იქნას შემსწავლელებში მდგრადი და მოქნილი სამეტყველო ჩვევების ჩამოყალიბებით. უცხოურ ენაზე თავისუფალი ურთიერთობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პიროვნების ისეთი ფსიქოლოგიური თვისებები, როგორიცაა კონტაქტურობა, გულღიაობა, ყურადღებიანობა, გულშემატკივრობა, უნარი საკუთარი თავის მოსაუბრის ადგილზე ჩანაცვლების, მისი განწყობილებისა და ხასიათის მიხვედრა, ენის მატარებელთა საზოგადოებაში მიღებული ქცევის ეროვნული ტრადიციებისა და ჩვეულებების ცოდნა. ყველა ამ თვისებას თუ არა, უმეტესობას მაინც ბევრი ადამიანი ფლობს და იყენებს მშობლიურ ენაზე ურთიერთობისას სპეციალური ხელშეწყობის გარეშე. მაგრამ არსებობს მთელი რიგი ენობრივი და სამეტყველო ჩვევები (მაგალითად, ენობრივი და ექსტრალინგვისტური მიხვედრილობა), რომლებიც უნდა ჩამოყალიბდეს ან გამყარდეს უცხოური ენის შესწავლის პროცესში. შემსწავლელებს უნდა განუვითაროთ საკუთარი ურთიერთობის ტაქტიკის მუდმივად გაუმჯობესებისა და სრულყოფის სურვილი.

სწავლების შედეგად შემსწავლელებს უნდა განვითარებული ჰქონდეთ ისეთი ზოგადი ჩვევები, რომლის საშუალებითაც თავისუფლად შეძლებენ კომუნიკაციაში შესვლას შესასწავლი ენის მატარებელ ქვეყანაში, თანაც ისეთ სიტუაციებში და პირობებში, რომლისთვისაც წინასწარ არ მომზადებულან.

როგორც ზეპირი ურთიერთობის აქტის მონაწილეები, შემსწავლელები მომზადებული უნდა იყვნენ მათ წინაშე წამოჭრილი კომუნიკაციური პრობლემების გადასაჭრელად კარგად შესწავლილი ენობრივი საშუალებებითა და ენის მატარებელთა სამეტყველო ქცევის ეროვნული თავისებურებებით. როგორც მსმენელებსა და მკითხველებს, შემსწავლელებს ზუსტად უნდა ესმოდეთ ყოველი ქართული წინადადებისა და მთელი ტექსტის ფორმალურ-გრამატიკული სტრუქტურა, როგორც სოციალურმა პიროვნებებმა, მათ არ უნდა დაარღვიონ ურთიერთობაში მიღებული ნორმები, წესები, ქართული სამეტყველო ქცევის თავისებურებები. წინამდებარე ნაშრომში აღწერილი ქართული ენის სამეტყველო საშუალებების დაჯერებული ფლობა უცხოენოვანი სამეტყველო ქცევის საკომპენსაციო ტაქტიკის გამომუშავების საშუალებას იძლევა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შეწყვეტილი კომუნიკაციის აღდგენა-განახლების ჩვევის ჩამოყალიბებას.

ტექსტის წაკითხვისას შემსწავლელს შეუძლია ნაცნობი ელემენტების საშუალებით (ძირი, სუფიქსი, პრეფიქსი, დაბოლოება) მიხვდეს ნაწარმოები სიტყვის მნიშვნელობას იმ შემთხვევაში თუ სიტყვა პროდუქციული მოდელითაა ნაწარმოები და მისი მნიშვნელობა შემსწავლელთათვის ნაცნობი ნაწილებიდან გამომდინარეობს; შემსწავლელებს შეუძლიათ სიტყვაში შემავალი უცნობი მორფემის ან წინადადებაში მოცემული უცნობი სიტყვის მნიშვნელობის კონტექსტისა და იმ ნაცნობი ელემენტების საშუალებით მიხვედრა, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ერთეულის მნიშვნელობას; ასევე შეუძლიათ

ინტერნაციონალური სიტყვებისა და გამოთქმების და ისეთი ერთეულების გაგება, რომლებიც აბსოლუტურად ექვივალენტურია ქართულსა და მათ მშობლიურ ენაში; თემის, სიტუაციის, კონტექსტის გათვალისწინებით ისინი შეძლებენ მათთვის ნაცნობი სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვის შესაბამისი მნიშვნელობის მიხვედრას; შემსწავლელები გაწაფული უნდა იყვნენ ლექსიკონის ხმარებაში, მათ უნდა შეეძლოთ უცნობი სიტყვისა თუ ფრაზეოლოგიური ერთეულის მონახვა ორენოვან ლექსიკონში, ლექსიკონის დეფინიციის გაგება; ზღვრული განვითარებული დონის შემსწავლელებმა უნდა შეძლონ განმარტებითი ლექსიკონის გამოყენებაც. ტექსტის სახელწოდების, ჟანრის, მისი დანიშნულებისა და გამოყენების სფეროს გათვალისწინებით შედარებით დაბალ დონეზე მყოფ შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ მისი შინაარსის განჭვრეტა.

ტექსტის მოსმენისას შემსწავლელმა უნდა განასხვავოს ქართული ენისა და მისი მშობლიური ენის ფონეტიკური ფორმები. შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ ტექსტიდან სპეციალური ინფორმაციის ამოკრეფა და თუ ის შეიცავს უცნობ ელემენტებს, საგნის ცოდნის, მშობლიურ ენაზე ამგვარი ტექსტის წაკითხვის გამოცდილებისა და სხვა უნარ-ჩვევების საფუძველზე მისი მნიშვნელობის პროგნოზირება. შემსწავლელებს ასევე თამამად უნდა შეეძლოთ სამეტყველო ქმედებების გამოყენება იმისათვის, რომ მოსაუბრეს სთხოვოს დახმარება (მაგ., ზუსტი სიტყვის მოძებნა, ფრაზის გამართვა, მის მიერ გამოთქმული აზრის უფრო მარტივად გამოთქმა, უფრო ნელ ტემპში საუბარი და ა.შ.).

როგორც საუბრის ინიციატორს, შემსწავლელს უნდა შეეძლოს სხვადასხვა გამოთქმის ხმარება თავის მეტყველებაში კორექტივების შესატანად (მაგ., სხვაგვარად რომ ვთქვა, უკაცრავად, არასწორად გამოვთქვი, თუ შეიძლება მითხარით, როგორ უნდა ვთქვა...), განმარტების მოშველიებით საგნის დახასიათება, როდესაც არ იცის თვითონ ამ საგნის სახელწოდება, მიმართვის ფორმების გამოყენება ყურადღების მისაქცევად, წერითი თუ ზეპირი მეტყველებისას შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ იმის გამოხატვა, რომ არ იცის როგორ დაწეროს ან გამოთქვას ესა თუ ის აზრი, წინადადება, სიტყვა (მაგ., მაპატიეთ, ხომ ვერ დამეხმარებით, მე არ ვიცი როგორ იწერება ეს სიტყვა, დეფისით თუ ერთად; ბოდიში, თუ შეიძლება შემახსენეთ, ასეთ სიტუაციაში რას ამბობენ ქართველები; მე არ ვიცი ამ ნივთს რა ჰქვია,თუ არც თქვენ გახსოვთ, უმჯობესია ლექსიკონში მოვნახოთ, ჩვენში ამას ეძახიან...).

შემსწავლელს უნდა შეეძლოს ოფიციალურ სიტუაციებში თარჯიმნის, თავისი ქვეყნის საელჩოს ან საკონსულოს წარმომადგენლის მოთხოვნა. თუ შემსწავლელმა არ იცის სამეტყველო ქცევის მიღებული ნორმები, შეუძლია მოიბოდიშოს და ითხოვოს დახმარება (მაგ., ბოდიში, არ ვიცი საქართველოში როგორ არის მიღებული, ჩემს სამშობლოში ასეთ შემთხვევებში ასე იქცევიან ხომ ვერ მეტყოდით, თქვენი ტრადიციის მიხედვით როგორ უნდა მოვიქცე ამ სიტუაციაში). შემსწავლელებს ძალიან გამოადგებათ ინდივიდუალური ტაქტიკის გამომუშავება. ინდივიდუალური ტაქტიკა ხელს შეუწყობს, რომ დაუგეგმავ სიტუაციებში თავიდან აიცილოს ფსიქოლოგიური სირთულეები – დაბნეულობა, უხერხულობა, დავიწყება, არცოდნის პრობლემა.

## 5.2 სწავლის სწავლება

ამ აღწერილობაზე ორიენტირებულმა სწავლებამ საშუალება უნდა მისცეს შემსწავლელს მიაღწიოს დასახულ მიზნებს და ამასთანავე ხელი შეუწყოს სწავლის მოტივაციის ზრდას. შემსწავლელს თავიდანვე უნდა განუვითაროთ ენაზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევა. ის ვინც ქართულ ენას უკვე ფლობს ზღვრულ განვითარებულ, ზღვრულ, ან თუნდაც საფუძველ დონეზე, ცხადია ამის საკმაო გამოცდილება ექნება და აუცილებლობის შემთხვევაში შეძლებს მის გამოყენებას. ვთქვათ მას დასჭირდა ქართული ენის ისეთი ასპექტების შესწავლა, რასაც მისი კონკრეტული სასწავლო კურსი არ ითვალისწინებს, ის ამ ამოცანას მარტივად გაართმევს თავს შეძენილი გამოცდილების ხარჯზე. შემსწავლელის მუდმივი წინსვლის უზრუნველყოფა ენის შესწავლის პროცესში შეუძლია იმ შეგნების სტიმულირებას, რომ მას შესწევს დამოუკიდებლად სწავლის უნარი.

ერთი შეხედვით დამოუკიდებლად სწავლის უნარი კომუნიკაციური მიზნების ფარგლებს მიღმაა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე. სინამდვილეში კი ძალიან მარტივია ამ უნარის კომუნიკაციურ მიზნებთან ინტეგრირება. სწავლების ფსიქოლოგიაში დადგენილია, რომ მოტივირებული სწავლება უფრო ეფექტურია და ხანგრძლივი ეფექტი აქვს, ვიდრე გაუცნობიერებელს. დიდ ეფექტურობას კი ცოდნის შეძენის მოტივაცია განაპირობებს, ე.ი. *რა უნდა გააკეთოს შემსწავლელმა, რატომ უნდა გააკეთოს, როგორ უნდა გამოიყენოს.* ამასთანავე სწავლის უნარის ქონა მეტად მნიშვნელოვანია შემსწავლელისათვის იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომელიც მას შეიძლება შეხვდეს ენაში გაწაფვის დროს. იმისათვის, რომ პიროვნება საკმაოდ მომზადებული იყოს არამშობლიურ ენაზე ურთიერთობისათვის, მას კარგად უნდა ესმოდეს ის ტექნოლოგია, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია ენის ფლობის ხარვეზების ლიკვიდირება. ასეთი ტექნოლოგია გათვალისწინებული უნდა იქნას ზოგადი მიზნების სპეციფიკაციაში, იმ შემთხვევაშიც კი თუ ხარვეზები საკმაოდ სერიოზულია და მისი ლიკვიდაციისათვის საჭიროა მასწავლებლის ჩარევა. საკუთარი სასწავლო შესაძლებლობების გაცნობიერება, საკუთარი ცოდნის ფარგლების გააზრება და მისი ეფექტური გამოყენება შემსწავლელს დიდ უპირატესობას მიანიჭებს.

ევროპის საბჭოს ნორმების მიხედვით შემსწავლელის დამოუკიდებლობის სტიმულირება ერთ-ერთ კომუნიკაციურ მიზანს წარმოადგენს. ეს კი ნიშნავს შემსწავლელთა დახმარებას შესაბამისი მოტივაციის, ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებაში. ვინაიდან გასაღები, საფუძველი, ზღვრული და ზღვრული განვითარებული დონეები არა მხოლოდ აღწერს კომუნიკაციური კომპეტენციის ფარგლებს ქართულ ენაში, არამედ ადგენს სასწავლო მიზნებს, რის გამოც სწავლის ჩვევა უნდა განვიხილოთ როგორც ამ მიზნების ცალკე ასპექტი, რომლის ჩამოყალიბებასაც ხელი უნდა შეუწყოს სასწავლო პროცესმა.

შემსწავლელებში დამოუკიდებლად სწავლის ჩვევის ჩამოყალიბება გულისხმობს, რომ შემსწავლელების მოთხოვნილებების სასწავლო მიზნებთან შესაბამისობის დასადგენად მათ კარგად უნდა ჰქონდეთ გააზრებული თავიანთი კომუნიკაციური მოთხოვნილებების არსი. მათ ასევე კარგად უნდა ესმოდეთ იმ სასწავლო მიზნების არსი, რომელსაც სთავაზობენ და შეეძლოთ იმის გაანალიზება თუ რამდენად ემთხვევა ისინი ერთანეთს. შემსწავლელებს შემდგომი შესწავლის მიზნით უნდა შეეძლოთ იმ კომუნიკაციური მოთხოვნილებების განსაზღვრა და აღწერა, რომლებსაც არ მოიცავს შეთავაზებული სასწავლო მიზნები

(მაგალითად, *მე მსურს, რომ შევძლო ნაშრომების წაკითხვა ეკოლოგიაში. მე მინდა, რომ ვისწავლო საქმიანი დოკუმენტაციის შედგენა, საქმიანი მიმოწერა*). შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ მათი ნაციონალობის, საქმიანი სფეროსა და ჰობისათვის სპეციფიკური ცნებების განსაზღვრა, შესწავლა და გამოყენება სიტუაციურ-თემატურად განპირობებული სიტყვათა ჯგუფების ფარგლებში.

დამოუკიდებლად სწავლისათვის შემსწავლელებს უნდა ესმოდეთ განსხვავება პროდუქციისა და რეცეფციის უნარებსა და იმ ჩვევებს შორის, რომლებიც შეეფარდება თითოეულს ამ ტიპთაგან. მათ უნდა ესმოდეთ გრამატიკის, ლექსიკის, ფონოლოგიის და სამეტყველო ქმედების ელემენტების როლი კომუნიკაციური ეფექტის მისაღწევად. შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ ლექსიკონების, გრამატიკული ცნობარების, უცხოელებისათვის განკუთვნილი ქართული ენის სახელმძღვანელოების დამოუკიდებლად გამოყენება. მათ უნდა შეეძლოთ თვითონ ამოირჩიონ მეთოდი ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად. შემსწავლელებმა უნდა იცოდნენ საკომპენსაციო ტაქტიკა, რაც მათ დაეხმარება თავი გაართვან უცნობი ელემენტების შემცველ ტექსტებს.

შემსწავლელებს, როგორც მსმენელებს ან მკითხველებს უნდა შეეძლოთ მათთვის უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების შემჩნევა, დამახსოვრება, ჩაწერა, მათი ფუნქციონალურ-აზრობრივი ღირებულებისა და სიტუაციური კონტექსტის ჩანიშვნა. მათ ასევე უნდა შეეძლოთ თვალ-ყური ადევნონ იმ ენასა და სტრატეგიებს, რომლებსაც ქართული ენის კარგი მცოდნე პიროვნებები იყენებენ. ამ გზით ისინი შეძლებენ თავიანთი რეცეპტიული და პროდუციული რეპერტუარის გაფართოებას. შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ დაუბრუნდნენ ახალ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც საუბრის დროს შეხვდნენ იმიტომ, რომ მომავალში, საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად შეძლონ მათი გამოყენება. შემსწავლელებს კომუნიკაციის ასაგებად საკუთარი აზრების ფორმულირებისას უნდა შეეძლოთ სხვადასხვა ენობრივი საშუალებების გამოყენება; უნდა ფლობდნენ შეცდომების თვითანალიზისა და თვითკორექციის უნარს. ამასთანავე მათ უნდა შეეძლოთ საჭიროების შემთხვევაში სასაუბრო სტრატეგიების შეცვლა. საკომპენსაციო სტრატეგიების ცოდნა კი დაეხმარება შეწყვეტილი საუბრის აღდგენასა და გაგრძელებაში თუ მას შეუძლია თავის მეტყველებაში იგივე სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენება, რაც მის თანამოსაუბრეს.

ძირითადად ზემოაღწერილი შესაძლებლობებისგან შედგება შემსწავლელთა დამოუკიდებლად მუშაობის უნარი. საგულისხმოა, რომ ამ შესაძლებლობებს შემსწავლელი უნდა ფლობდეს ენის შესწავლის ადრეულ საფეხურებზე და ყოველივე ამასთან ერთად უნდა აგრძელებდეს ქართულ ენაზე ურთიერთობის შესწავლას.

## 5.3 ურთიერთობის ტაქტიკა

კონკრეტული კომუნიკაციური ამოცანის გადასაჭრელად გამოიყენება ცალკეული სამეტყველო ქმედება, ან უფრო ხშირად ურთიერთდაკავშირებულ სამეტყველო ქმედებათა წყება. მაგალითად, თუ გვინდა ვიპოვოთ ქალაქში რაიმე ობიექტი, შეიძლება კითხვით მივმართოთ გამვლელს:

– გეთაყვა, თუ შეიძლება მიმასწავლეთ, სად არის სტადიონი?

ეს რეპლიკა შედგება შინაარსისა და მისი ვერბალიზაციის შემცველი შემდეგი სამეტყველო ქმედებებისაგან:

| | |
|---|---|
| გეთაყვა | ყურადღების მიქცევა |
| თუ შეიძლება მიმასწავლეთ | თხოვნა |
| სად არის სტადიონი? | შეკითხვა ადგილმდებარეობის შესახებ |

ინტენციების თანმიმდევრობას, რომლის საშუალებითაც აიგება კომუნიკაციური აქტის ნებისმიერი ფრაგმენტი, ეწოდება სამეტყველო ურთიერთობის ტაქტიკა.

ნათელია, რომ ერთი და იგივე მიზნის მიღწევა შესაძლებელია ინტენციების ვარირებით, ზოგიერთი მათგანის შეცვლით, ან ახლის დამატებით. რეალურ ურთიერთობაში შეკითხვა ქალაქში რაიმე ობიექტის მოსაძიებლად სხვადასხვაგვარად შეიძლება დაისვას:
– გეთაყვა, თუ შეიძლება მიმასწავლეთ, სად არის სტადიონი?
– მაპატიეთ, მგონი გზა ამებნა, ვერ მეტყვით სად არის სტადიონი?
– ახალგაზრდა, ხომ არ იცით, სად არის სტადიონი?

თითოეულ მაგალითში გამოყენებულია ერთი და იმავე ინტენციისა და პროპოზიციური შინაარსის განსხვავებული ვერბალიზაცია:

| | |
|---|---|
| გეთაყვა | ყურადღების მიქცევა |
| თუ შეიძლება მიმასწავლეთ | თხოვნა |
| სად არის სტადიონი? | შეკითხვა ადგილმდებარეობის შესახებ |
| მაპატიეთ, | ყურადღების მიქცევა |
| მგონი | ეჭვი |
| გზა ამებნა, | შეტყობინება |
| ვერ მეტყვით | თხოვნა ინფორმაციის მისაღებად |
| სად არის სტადიონი | შეკითხვა ადგილმდებარეობის შესახებ |
| ახალგაზრდა, | მიმართვა |
| ხომ არ იცით, | თხოვნა ინფორმაციის მისაღებად |
| სად არის სტადიონი? | შეკითხვა ადგილმდებარეობის შესახებ |

კომუნიკაციური ამოცანა, როგორც არასამეტყველო მიზანი, სამივე შემთხვევაში ერთი და იგივეა. თუმცა მისი მიღწევა, სიტყვათა სხვადასხვა წყებით შეიძლება, რომლებიც აქ ნაჩვენებია, როგორც განსხვავებული ინტენციები. რეალურ ცხოვრებაში კომუნიკაციური ამოცანის გადაჭრა ეს არის არა მარტო საჭირო რამის წარმოთქმა, არამედ ამ რამის ისეთი თანმიმდევრულობით წარმოდგენის უნარი, რომელიც სასურველ შედეგამდე მიგვიყვანს.

სამეტყველო ურთიერთობის ტაქტიკა მიუთითებს ინტენციებისა და სამეტყველო ქმედებების თავსებადობასა ან შესაძლო თანმიმდევრულობაზე, რომელიც გამოიყენება კომუნიკაციური ამოცანების გადაწყვეტისას და ემსახურება

პარტნიორის კომუნიკაციური მიზნის გაგებას ნორმალური ურთიერთობის დასამყარებლად. ამასთანავე:

გაშლილი დიალოგი შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი ინტენციების სახით, რომლებიც კომუნიკაციური ამოცანების გადაჭრის ტაქტიკას წარმოადგენს.

ყოველი კომუნიკაციური ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია რამდენიმე გზით.

მოსაუბრის მიერ კომუნიკაცია იგება არა სტიქიურად, არამედ ლოგიკურად, ალტერნატიული ფორმებით, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

რეპლიკაში სხვადასხვა სიტყვებისა ან გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენება სავალდებულო არაა, რომ მიუთითებდეს ინტენციათა განსხვავებულობაზე და პირუკუ: რეპლიკების იდენტურობა ენობრივი თვალსაზრისით სულაც არ გულისხმობს მათ კომუნიკაციურ იგივეობრიობას.

ერთ-ერთი პარტნიორის მიერ ტაქტიკის შერჩევაზე მოქმედებს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

ძირითადი კომუნიკაციური ამოცანა, რომელიც მან დააყენა მოცემულ მომენტში. სრულიად არ არის აუცილებელი, რომ კომუნიკაციური ამოცანები იყოს ზედმეტად პრაგმატული, ყოველთვის არ ხერხდება მათი ერთმნიშვნელოვნად ფორმულირება.

მოცემულ კულტურაში ურთიერთობის ტაქტიკის აგებისას მიღებული სტერეოტიპის არსებობა-არარსებობა.

ყოველი ცალკეული მონაწილის პიროვნული ორიენტაცია, რომელიც ყოველთვის ახდენს გავლენას ცენტრალური კომუნიკაციური ამოცანის, საშუალედო ამოცანებისა და მათი გადაჭრის გზების შერჩევაზე და ზოგჯერ განსაზღვრავს კიდეც მათ. ეს არის ადამიანის ინდივიდუალური სახის წარმოდგენა: სოციალური სტატუსი, კონკრეტული პარტნიორის მიმართ მისი დამოკიდებულება, მისი პიროვნული თვისებები, აქტუალური მდგომარეობა და ა.შ. (ყველაფერი ის, რაც განეკუთვნება სოციალური როლის გაფორმებას), ის გამოცდილება, რაც სხვა პარტნიორებთან, ან გარკვეულ სფეროსთან ურთიერთობისას ჩამოყალიბდა და საიდანაც ის იღებს მისაბაძ მაგალითებს.

ზოგადი სიტუაცია, სადაც მიმდინარეობს საკომუნიკაციო აქტი. საქმე ის გახლავთ, რომ სამეტყველო ქმედება არ არსებობს თავისთავად, ანუ იმ გარემოს გარეშე, რაც აკავშირებს პარტნიორებს კომუნიკაციისათვის; ამას გარდა მოქმედებს გარკვეული ობიექტური მოცემულობა, შესაბამისი ადგილის, დროის, საგნების სახით; ისეთი პირობების არსებობა-არარსებობა როგორიცაა ადრინდელი კონტაქტები, საუბრის საგნის მიმართება იმასთან, რასაც შეიძლება პარტნიორები საუბრის მომენტში ხედავენ, მესამე პირის არსებობა-არარსებობა და სხვა.
პარტნიორის ქცევა, ანუ ის, რამდენად შეესაბამება მისი რეაქცია მოსაუბრის მოლოდინს და რამდენად უნდა მას მონაწილეობის მიღება საერთო

კომუნიკაციური ამოცანის გადაჭრაში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, გააჩნია თუ არა პარტნიორს საკუთარი კომუნიკაციური ამოცანები.

როგორც წესი, ლოგიკური კავშირი პარტნიორების რეპლიკებს შორის საკმაოდ უნივერსალურია და არაა დამოკიდებული მშობლიურ ენასა და კულტურაზე.

მაგრამ პარტნიორს შეუძლია შეატყობინოს თავისი არაკომპეტენტურობის შესახებ შემდეგი ფრაზით: *წარმოდგენა არა მაქვს,* ან *მე აქაური არა ვარ.* თუ ამ პასუხს არ გავაიგივებთ რეპლიკასთან – *არ ვიცი,* ანუ არა ჩავდებთ მასში იმ შინაარსს, რაც წინა ორ რეპლიკას უტოლდება, კომუნიკაცია დარღვეული იქნება. ამ შემთხვევაში საუბრის ინიციატორისაგან საჭირო იქნება დამატებითი საკომპენსაციო ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღება, მაგალითად, კიდევ ერთხელ თხოვნა, რომ განუმარტოს, თუ სად არის სტადიონი.

რაც უფრო ხანგრძლივია დიალოგი, მით უფრო ძნელია ტაქტიკის გათვლა. მაგრამ ზღვრული დონის მკაცრად მოცემული ლოკალური საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრისას შესაძლებელია ტიპიური ტაქტიკების შეზღუდული რაოდენობის გამოყოფა და მათი დიალოგ-ნიმუშების სახით წარმოდგენა. ასეთი დიალოგ ნიმუშები გვაძლევს საშუალებას *კითხვა – პასუხი, სტიმული – რეაქცია* ტიპის წმინდა სასაუბრო ერთეულებიდან გადავიდეთ საკომუნიკაციო ტაქტიკაზე, თუმცა თავდაპირველად მათაც ექნებათ ფრაგმენტული ტაქტიკების სახე, რასაც საბოლოოდ მოყვება ზოგადი კომუნიკაციის გადაჭრა საკუთარი სრულყოფილი ტაქტიკის აგებით.

დიალოგური ტაქტიკის აგების საფუძველს წარმოადგენს ინტენციების შემდეგი თანამიმდევრობა:

კონტაქტში შესვლა
ინფორმაციის მოთხოვნა (წარმოდგენა)
რეაქცია მიღებულ ინფორმაციაზე (მისი წარმოდგენა)

ეს თანამიმდევრობა უნივერსალურია, თუკი მას განვიხილავთ როგორც ლოგიკურ სქემას. ის არაა დამოკიდებული შემსწავლელის არც კულტურაზე და არც მის ენაზე. ეს სქემა შეიძლება გაიშალოს მის შემადგენელ ნებისმიერ ნაწილში, მისი ელემენტები კი შესაძლოა გამოვავლინოთ ნებისმიერ ტაქტიკაში:

| | |
|---|---|
| კონტაქტში შესვლა | დილა მშვიდობისა სალამი |
| ინფორმაციის მოთხოვნა | როგორა ხარ, როგორ არის საქმე? |
| რეაქცია მიღებულ ინფორმაციაზე (ან მისი წარმოდგენა) | გმადლობთ, არა მიშავს |
| ინფორმაციის მოთხოვნა | შენ როგორ-და ხარ? |
| | რას შვრები, შენი საქმე როგორ-დაა? |
| რეაქცია მიღებულ ინფორმაციაზე (ან მისი წარმოდგენა) | გმადლობთ, მეც არა მიშავს |
| კონტაქტიდან გამოსვლა | კაი, მეჩქარება |
| კონტაქტიდან გამოსვლა | აბა, კარგად მენახე |
| | აბა, ბედნიერად |

ტაქტიკების, ანუ ინტენციების უფრო შესაძლებელი კავშირების წარმოდგენისას აუცილებელია პარტნიორის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი რეაქციის გათვლა, მაგალითად, თუ ადამიანმა თხოვნაზე – *დამეხმარეთ,* მიიღო პასუხი – *სამწუხაროდ ეს ჩემს შესაძლებლობებს აღემატება,* მან უნდა იცოდეს, რომ ეს უარია, ხოლო, თუ პასუხი არის – *რაშია საქმე?* – ეს ნიშნავს, რომ მან შეიძლება მიიღოს დახმარება და ამიტომ უნდა გააგრძელოს საუბარი.

და ბოლოს, შემსწავლელს უნდა შეეძლოს ვერბალური კომუნიკაციის არავერბალურით შეცვლა იმგვარად, რომ არავერბალური ქმედება პარტნიორისთვის გარკვეული მნიშვნელობის მქონე იყოს, ანუ ცვლიდეს გარკვეულ ინტენციათა ვერბალიზაციას. მაგალითად, თუ ადამიანმა არ იცის რაიმე ნივთის სახელწოდება, მას უნდა შეეძლოს მისი არავერბალურად დემონსტრირება. მაღაზიაში შეიძლება რაიმეზე მითითება – *თუ შეიძლება აი ეს მომეცით,* იმ ნივთის სახელის ძებნის ნაცვლად ლექსიკონში, რომელიც შეიძლება თანაც არ ჰქონდეს.

როგორც წესი, ჩვეულებრივ საუბარში გამოიყენება ურთიერთობათა მდგრადი სტერეოტიპები: ერთი მიზნით გაერთიანებული სამეტყველო ქმედებების თანმიმდევრული შესატყვისობები. ამ მოდელებს ახასიათებს ვარიანტულობა, რომელიც სხვადასხვა ასპექტში სხვადასხვაგვარად ვლინდება. მხოლოდ ორი-სამი რეპლიკისაგან შემდგარი მოკლე დიალოგური ერთობლიობა შეიძლება იყოს მკაცრად სტანდარტიზებული და ქმნიდეს ურთიერთობის მდგრად ფორმულებს. ეს ნათლად ვლინდება ეტიკეტის რეპლიკებში. აქ მოყვანილ დიალოგურ ერთობლიობათა დიდ ნაწილს (რომელთა ფლობას ითვალისწინებს წინამდებარე აღწერილობა), ახასიათებს ვარიანტულობის გარკვეული ხარისხი. მაგალითად დილის საუზმე კაფეში/სახაშეში:

| | | |
|---|---|---|
| გამყიდველი: | გისმენთ, | სურვილთან დაკავშირებული შეკითხვა, კონტაქტის დასაწყისი |
| მყიდველი: | თუ შეიძლება, ყავა და ნამცხვარი | სურვილის გამოხატვა |
| გამყიდველი: | ინებეთ | მოთხოვნის დაკმაყოფილება |
| მყიდველი: | რამდენი უნდა მოგართვათ? | შეკითხვა ფასის შესახებ |
| გამყიდველი: | სამი ლარი | პასუხი ფასის შესახებ |
| მყიდველი: | აწვდის ფულს | იხდის საფასურს |
| გამყიდველი: | გმადლობთ, | მითითება კონტაქტის დასასრულზე |
| გამყიდველი: | გისმენთ, | სურვილთან დაკავშირებული შეკითხვა, კონტაქტის დასაწყისი |
| მყიდველი: | ხაში, არაყი და პური | სურვილის გამოხატვა |
| გამყიდველი: | რამდენი ულუფა? | შეკითხვა ინფორმაციის დაზუსტების შესახებ |
| მყიდველი: | ორი ხაში და ას-ასი გრამი არაყი | შემდგომი დაზუსტება |
| გამყიდველი: | ათი ლარი | ინფორმაცია ფასის შესახებ |
| მყიდველი: | მიიღეთ ფული, | საფასურის გადახდა |
| გამყიდველი: | გმადლობთ, | მითითება კონტაქტის დასასრულზე |

დიალოგურ ერთობლიობათა დიდი ნაწილი აშკარად, ან იმპლიციტურად წარმოდგენილია ზღვრულ დონეზე. ყველა მათგანი ასოცირდება შემდეგ კომუნიკაციურ მოვლენებთან:

*საყიდლები*
მაღაზიაში
სალაროსთან,
სამგზავრო ბილეთის აღება სალაროში

*სასმელისა და საჭმლის შეკვეთა*
რესტორანში, კაფეში, ლუდხანაში, ბარში...

*შეკითხვები*
გარემოებათა შესაბამისად (როგორ მივიდეს ამა თუ იმ ადგილამდე; სად შეიძლება წაიხემსოს;
როდის იხსნება გამოფენა, კონფერენცია; საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობები...);
პიროვნების მიმართ (გვარი, სახელი, მისამართი და ა.შ.)

*შეხვედრები*
უცნობ პიროვნებასთან
ნაცნობებთან, მეგობრებთან

*გზის გარკვევა და მითითება*
დროის დაზუსტება
სტუმრად მოწვევა და მასზე რეაქცია
სასტუმროში მოწყობა
გარკვეულ ქმედებათა შეთავაზება და რეაქცია ამ შეთავაზებებზე
მსჯელობაში მონაწილეობა (თანხმობა/უარი, წინააღმდეგობა)

ყოველდღიური ურთიერთობა სავსეა გაუთვალისწინებელი მოვლენებით. რთული საკომუნიკაციო აქტი მიმდინარეობს იდეალური საკომუნიკაციო აქტის შემადგენელი ზოგიერთი ელემენტის უარყოფით. რუტინული აქტების დროს შეიძლება ბევრი რამ იქნეს გამოტოვებული, ან ჩანაცვლებული მდუმარებით, რეპლიკების მონაცვლეობა კი ლიმიტირდება ახალი სიტყვებით, ან წყობის შეცვლით. ასეთი ქმედების ყოველი ეტაპი შეიძლება შესრულდეს ისეთი ურთიერთობის პროცესში, რომელიც მოიცავს მეტყველების სხვადასხვა ელემენტებს. მათი შერჩევა კი ხდება ურთიერთობის მონაწილეთა მიერ (მეტყველება, ჟესტ-მიმიკა და ა.შ.). ყოველ წუთს შეიძლება წარმოიშვას სიძნელე, რომელიც გამოიწვევს დასაბუთების, გადააზრების საჭიროებას, რაც გადაიჭრება მოსაუბრეთა ხელთ არსებული საშუალებებით. როგორც სოციალურ არსებას, ადამიანს გააჩნია საკუთარი სოციალური კომუნიკაციური კომპეტენცია, თუმცა ზოგჯერ მას უჩნდება საჭიროება, რომ თვალი გაადევნოს საკომუნიკაციო პროცესს, რომელიც ენობრივი გამოხატულებითაა წარმოდგენილი.

ქვემოთ მოყვანილი სქემა შეიძლება საფუძვლად დაედოს საყოფაცხოვრებო მომსახურების ურთიერთობის პროცესს.

*მოძრაობა ურთიერთობის ადგილისაკენ*
გზის გაგნება სადგურისკენ, სასტუმროსა ან სხვა ობიექტისკენ
გზის გაგნება ოფისისკენ, საავადმყოფოსა, ან სხვა ობიექტისკენ

*კონტაქტის დამყარება*
ჟესტ-მიმიკით სურვილის მინიშნება, *საუბარი* ოფიციანტთან, ან სხვა პირთან
მომსახურე პერსონალის საწყისი რეპლიკა
მყიდველის საწყისი რეპლიკა

*საქონლის შერჩევა, მომსახურება*
საქონლის, მომსახურების სახის განსაზღვრა
ინფორმაციის გარკვევა
ინფორმაციის გაცემა
არჩევანის შესაძლებლობის გარკვევა
საქონლის ფასის, ხარისხის, ფერის, ზომის... გარკვევა და მსჯელობა მის დადებით და უარყოფით მხარეებზე
ინფორმაციის მოძიება
ინფორმაციის მიღება
რჩევისთვის მიმართვა
რჩევის მიღება
რჩევის შინაარსი
ამა თუ იმ საქონლისათვის უპირატესობის მინიჭება
ყიდვაზე დათანხმება

*პროდუქტის ფულზე გაცვლა/საყიდლების, მომსახურების საფასურის გადახდა*
ფასის მოწონება
თანხმობა დამატებით გადასახადზე
ფულის მიცემა, საქონლის მიღება
ურთიერთმადლიერების გამოხატვა (მყიდველის/გამყიდველის)

გასაგებია, რომ ეს პროცესები არაერთგვაროვანია: სასტუმროსა და რესტორანში ანგარიშსწორება ხდება ურთიერთობის პროცესის ბოლოს, ბანკომატთან – უსიტყვოდ, ინსტრუქციის შესრულებით და ა.შ.

# 6 ქართული ენის ფლობის დონეების ნიმუში

ქვემოთ მოცემული დესკრიპტორები დალაგებულია უნარ-ჩვევების მიხედვით A1-დან B2 დონემდე.

## 6.1 აუდირება

**A1.1**
მესმის ნაცნობი სიტყვები და მარტივი ფრაზები.

როდესაც ქართულ ენაზე საუბრობენ, შემიძლია იმ სიტყვების გარჩევა, რომლებიც სხვა ენებშიც არის (მაგ. *ინტერნაციონალური, აქტიური*).

შემიძლია მარტივი შეკითხვების გაგება, რომელსაც პირადად მე მისვამენ; მაგ., სახელს, ან მისამართს.

მესმის მარტივი, გარკვევით ნათქვამი, ხშირად გამოყენებადი გამოთქმები, მაგ. *დიახ, არა, გამარჯობა, ნახვამდის, ბოდიში, გმადლობთ.*

მარტივ, გარკვევით და ნელა ნათქვამ ტექსტებში მესმის ნაცნობი სიტყვები, ციფრები და სახელები.

როდესაც სხვა ადამიანს მაცნობენ, შემიძლია მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგება: სახელი, ასაკი, წარმომავლობა.

**A1.2**
მესმის ნელა, გარკვევით და შიგადაშიგ პაუზებით ნათქვამი ტექსტი.

მესმის, როცა ვინმე ნელა და მარტივი სიტყვებით თავის თავზე და ოჯახზე საუბრობს.

მიკროფონით წარმოთქმულ ტექსტში მესმის ციფრები, დრო და ფასები, მაგ. მაღაზიაში, სადგურზე ან აეროპორტში.

მაღაზიაში შემიძლია გავიგო, რა ღირს ნივთი, თუ გამყიდველი ცდილობს, რომ გარკვევით და ნელა მიპასუხოს, რათა გავიგო მისი ნათქვამი.

მესმის ზოგიერთი სიტყვა და გამოთქმა, როცა ვინმე ჩემზე, ოჯახზე, ან სამსახურზე ნელა და გარკვევით საუბრობს.

მესმის ინტერნაციონალური სიტყვები და გამოთქმები.

**A2.1**
როცა ვუსმენ ნელა და ძალიან გარკვევით ნათქვამ ტექსტს, შემიძლია სიტყვებისა და მოკლე წინადადებების დაჭერა და გაგება. (მაგ. გამყიდველისა და მყიდველის დიალოგი მაღაზიაში).

მესმის, როცა ავტომობილის, ან სხვა რაიმე ნივთის ფერსა და ზომაზე საუბრობენ.

შემიძლია ტექსტების გაგება, თუ იგი ჩემთვის ნაცნობ თემებს ეხება, (სამსახური, თავისუფალი დრო, ოჯახი)

როცა ვინმე საუბრობს, ვხვდები თუ როგორ გრძნობს ის თავს, კარგ გუნებაზეა, დაღლილია, თუ ავად არის.

ნელა და გარკვევით ნათქვამ ჩაწერილ (მაგ. მაგნიტოფონზე) ტექსტში მესმის ძირითადი შინაარსი, თუ იგი საყოფაცხოვრებო ნივთებს ეხება.

მოკლე და მარტივი შეტყობინებებიდან მესმის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

**A2.2**
როცა ვისმენ ჩაწერილ, ან ზეპირად ნათქვამ ტექსტს, შემიძლია გავიგო, რას ეხება იგი.

რადიოგადაცემებში თუ საუბრობენ ნელა და გარკვევით, ვიგებ ძირითად ინფორმაციას სპორტული ანგარიშის, ამინდის პროგნოზის შესახებ.

მოკლე, მარტივი შეტყობინებებიდან და ისტორიებიდან გამომაქვს დედააზრი, თუ ნელა და გარკვევით არის ნათქვამი და ჩემთვის ნაცნობ თემებს ეხება.

როცა გზას მასწავლიან, ვხვდები, როგორ უნდა მივიდე იქ, ფეხით, ავტობუსით, თუ მეტროთი.

როცა მაღაზიაში, ან მატარებელში მესმის საუბარი, ვხვდები, რას ეხება იგი.

მოკლე რადიოგადაცემებში მესმის ძირითადი ინფორმაცია იმ თემების შესახებ, რაც მაინტერესებს (სპორტი, მუსიკა).

**B1.1**
მესმის, როცა მესაუბრებიან ნელა და გარკვევით ყოველდღიურობაზე, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ვითხოვ, რომ გაიმეორონ გარკვეული სიტყვები და წინადადებები.

გრძელ დისკუსიაში, რომელიც ეხება ყოველდღიურ ცხოვრებას და ჩემთვის ნაცნობ თემებს, მესმის ძირითადი შინაარსი, თუ არ არის სწრაფად და არალიტერატურული ენით ნათქვამი.

თუ თემა ჩემთვის ნაცნობია, მესმის მარტივი პრეზენტაციებისა და მოხსენებების შინაარსი.

როცა ვისმენ მოკლე ისტორიებს, იმდენად მესმის იგი, რომ შემიძლია წინასწარ ვივარაუდო, რა მოხდება შემდეგ.

მესმის რადიოგადაცემების ძირითადი შინაარსი, თუ თემები ჩემთვის ნაცნობია.

მესმის მარტივი *ტექნიკური* ინსტრუქციები, მაგ. როგორ გამოიყენება ესა თუ ის ხელსაწყო.

**B1.2**

გარკვევით და ლიტერატურულ ენაზე წარმოთქმული რადიოგადაცემები და ჩანაწერები მესმის სრულყოფილად.

როცა ჩემთვის საინტერესო ლიტერატურულ და გარკვევით ნათქვამ მოხსენებებსა და რადიოგადაცემებს ვუსმენ, მესმის ძირითადი დედააზრი და ასევე მნიშვნელოვანი ნაწილები, მაგ., თემები – ბუნების დაცვა, კინოვარსკვლავები და ა.შ.

სატელევიზიო გადაცემებში, რომლებიც ჩემთვის საინტერესო თემებს ეხება (მაგ., ინტერვიუები, ახალი ამბები), მესმის ძირითადი ნაწილი, თუ შედარებით ნელა და გარკვევით არის ნათქვამი.

შემიძლია გავიგო სტანდარტული მეტყველების მთავარი არსი.

შემიძლია დეტალური მონაცემების გაგება (მაგ., როგორ უნდა მივიღო მონაწილეობა სპორტულ შეჯიბრში).

**B2.1**

თუ ძალიან დავძაბავ გონებას, შემიძლია გავიგო, ორი ქართულენოვანი პიროვნების საუბარი, მაგრამ მათ საუბარში ჩართვას უმეტესად ვერ ვახერხებ.

ტელევიზიით გადმოცემულ რეპორტაჟებში, პირდაპირ ჩვენებებსა და თოქ-შოუებში, რომლებიც ეხება აქტუალურ თემებს და ლიტერატურული ენით არის გადმოცემული, მესმის ძირითადად ყველაფერი, ასევე ვარკვევ მოსაუბრის ტონსა და განწყობას.

მესმის იმ საგნების დაწვრილებითი აღწერა, რომლებიც მაინტერესებს. (მაგ. სნოუბორდის მახასიათებლების, ახალი მობილური ტელეფონის ფუნქციების).

მესმის, როცა საუბრობენ დიდხანს და საყვედურის ტონით, თუ თემა ნაწილობრივ ნაცნობია ჩემთვის.

**B2.2**
როცა საუბრობენ ქართული ენის მატარებელი პირები, მესმის იმდენი, რომ შემიძლია ჩავერთო მათ საუბარში.

მესმის ფილმების ენა მაშინაც, როცა მასში გამოყენებულია სალაპარაკო და სპეციფიკური ენა.

შემიძლია, შინაარსობრივად და ენობრივად რთულ მოხსენებებში ძირითადი დედააზრის გაგება.

## 6.2 წაკითხვა

**A1.1**
შემიძლია წავიკითხო და გავიგო მოკლე და მარტივი მითითებები/პირობები, თუ მისი მსგავსი მანამდე შემხვედრია.

შემიძლია წავიკითხო მოსაწვევი ბარათი და გავიგო, რაზე, სად, როდის და რომელ საათზე მიწვევენ.

შემიძლია წავიკითხო პლაკატებსა და აბრებზე დაწერილი ინფორმაცია და გავიგო ძირითადი შინაარსი, (მაგ., ადგილი, დრო, ან ფასები).

**A1.2**
შემიძლია წავიკითხო და გავიგო ანკეტა, სადაც ითხოვენ მნიშვნელოვან ინფორმაციას ჩემს შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი).

შემიძლია მარტივ ტექსტში გავიგო მთავარი შინაარსი, განსაკუთრებით მაშინ, თუ დართული აქვს ილუსტრაციები.

ტექსტში ვიგებ ცალკეულ სიტყვებს, ასევე რთულ სიტყვებში ვცნობ ლექსიკურ ნაწილებს (მაგ., თავსართებს, ბოლოსართებს, დაბოლოებებს).

შემიძლია აბრებზე დაწერილი სიტყვებისა და გამოთქმების წაკითხვა და გაგება (მაგ., *სადგური, პარკი, მოწევა აკრძალულია, გასასვლელი*).

შემიძლია კომიკსებში მარტივი, მოკლე ტექსტების გაგება, რაშიც მეხმარება ილუსტრაციები.

შემიძლია ღონისძიებების პროგრამებსა და პლაკატებზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის პოვნა და გაგება (მაგ., რა ღირს, სად და როდის ტარდება).

შემიძლია მოკლე, მარტივი შეტყობინებების გაგება (მაგ., შეხვედრის დროის დანიშვნა).

**A2.1**
შემიძლია ახალგაზრდულ ჟურნალ-გაზეთებში, ინტერნეტში ძირითადი ინფორმაციის გაგება, რას წერენ თავიანთ თავზე და ვხვდები, ვის რა თვისება გააჩნია.

სიებსა და სარჩევებში შემიძლია მთავარი ინფორმაციის პოვნა, რომელიც მაინტერესებს.

შემიძლია ჟურნალ-გაზეთებში მარტივი სტატიების დედააზრის გაგება, თემებზე, რომელიც ნაწილობრივ ნაცნობია ჩემთვის.

**A2.2**
შემიძლია გავიგო მოკლე, მარტივი ტექსტის თუ შეტყობინების ძირითადი აზრი.

შემიძლია ცალკეული ფრაზებისა და ხშირად ხმარებული სიტყვების გაგება მაშინ, როცა ტექსტი ჩემთვის საინტერესო თემას ეხება.

შემიძლია ადვილად მისახვედრი ინფორმაციის მოძიება განრიგში, ცხრილში, მენიუში, რეკლამაში, განცხადებაში...

შემიძლია კერძო წერილის გაგება.

**B1.1**
ცნობილ პიროვნებებთან ჟურნალ-გაზეთების ინტერვიუებში ვკითხულობ და მესმის კითხვები და პასუხები, თუ თემები ნაწილობრივ ნაცნობია ჩემთვის.

შემიძლია გონების დიდი დაძაბვის გარეშე წავიკითხო და გავიგო მოგზაურობის დღიური, სადაც გადმოცემულია მოგზაურობის ამბები.

შემიძლია მოკლე ტექსტებში, სადაც მოცემულია მოკლე ინსტრუქციები, მთავარი ინფორმაციის გაგება.

შემიძლია მოკლე, მარტივ ტექსტებში (მაგ., ინტერნეტში სადისკუსიო ტექსტებში) ძირითადი შინაარსის გაგება, თუ თემები ჩემთვის ნაცნობია.

შემიძლია წავიკითხო და გავიგო (მაგ., აპარატების, ტელეფონის, ბანკომატის) ინსტრუქცია.

შემიძლია წავიკითხო და გავიგო უსაფრთხოების წესები, რომლებიც განთავსებულია საზოგადო ტრანსპორტსა და ელექტრო მოწყობილობებზე.

შემიძლია ჩემთვის საინტერესო მარტივი თემების შესახებ ტექსტების გაგება.

შემიძლია წავიკითხო და გავიგო ჟურნალ-გაზეთებში დაწერილი განცხადებების შინაარსი და ძირითადი ინფორმაცია, იმ შემთხვევაში, თუ არ მხვდება ბევრი აბრევიატურა.

**B1.2**
შემიძლია წავიკითხო და გავიგო პირადი წერილები, რომლებიც ეხება მოვლენებს, გრძნობებსა და სურვილებს.

შემიძლია წავიკითხო და გავიგო საკვების შეფუთვებზე/ყუთებზე დაწერილი ინფორმაცია, თუ როგორ მზადდება იგი.

შემიძლია წავიკითხო და გავიგო წამლების ინსტრუქცია.

შემიძლია წავიკითხო და გავიგო მოკლე ტექსტები ნაცნობ თემებზე, რომელშიც ასახულია სხვადასხვა მოსაზრებები (მაგ. კრიტიკული მოხსენებები, ფორუმი ინტერნეტში, ან წერილებში).

შემიძლია წავიკითხო და გავიგო აქტუალურ თემებზე დაწერილი სტატიები (მაგ., ცხოველები, მშენებლობა).

**B2.1**
შემიძლია წავიკითხო და დეტალურად გავიგო სხვადასხვა ტექსტი (მაგ. სტატია, სახელმძღვანელო, რომანი), საჭიროებისამებრ ვიყენებ ლექსიკონს.

შემიძლია წავიკითხო და გავიგო აქტუალურ თემებზე დაწერილი სტატიები და სხვა ტიპის ტექსტები და მივხვდე ავტორის პოზიციას.

შემიძლია ვიხელმძღვანელო ინსტრუქციებით (მაგ. კოსმეტიკის, თამაშის, ელექტრო ხელსაწყოს).

შემიძლია კომპლექსური და გრძელი ტექსტების სწრაფად გადაკითხვა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის პოვნა.

**B2.2**
შემიძლია წავიკითხო და გავიგო ინტერნეტში, გაზეთში განთავსებული ტექნიკური ტექსტები, რომლებიც არ არის ძალიან რთული (მაგ., კომპიუტერული თამაშების, სტერეო მოწყობილობების ყიდვის შესახებ).

შემიძლია სწრაფად წავიკითხო გაზეთსა და ჟურნალში განთავსებული ტექსტი და გავიგო მისი დედააზრი.

შემიძლია წავიკითხო და გავიგო გრძელი, კომპლექსური ინსტრუქციები ჩემთვის ნაცნობი სფეროების შესახებ.

## 6.3 დიალოგი

### A1.1

შემიძლია, მარტივი სიტყვებით მისალმება, ვამბობ: *დიახ, არა, ბოდიში, გთხოვ, გმადლობ.*

შემიძლია მივუთითო რამეზე და ვიკითხო, თუ რა არის ის?

შემიძლია, ვინმეს მივესალმო, გავაცნო თავი და დავემშვიდობო.

შემიძლია, ვთქვა, რა მქვია და ვკითხო სხვას, რა ჰქვია მას.

### A1.2

შემიძლია მივახვედრო მოსაუბრე, რომ საუბრისას გამიწიოს ანგარიში და შეეცადოს გამაგებინოს ნათქვამი.

შემიძლია შევუკვეთო საჭმელი და სასმელი (მაგ., კაფესა და დისკოთეკაზე).

შემიძლია საუბრისას გამოვიყენო მარტივი ციფრები.

შემიძლია ვთქვა, რომ ნათქვამი არ მესმის.

შემიძლია ვთქვა, რა ფერისაა მაგ., კაბა, ან სხვა ნივთი, ასევე ვიკითხო, რომელი საგანი რა ფერისაა მაგ., ველოსიპედი.

შემიძლია ვკითხო სხვას, თუ როგორ არის იგი და ვუპასუხო მე როგორ ვგრძნობ თავს.

შემიძლია დიდებსა და პატარებს მივესალმო და დავემშვიდობო.

შემიძლია მარტივ კითხვებზე გავცე პასუხი მარტივი სიტყვებით, გამოთქმებითა და წინადადებებით.

### A2.1

შემიძლია მივმართო სხვას ზრდილობიანად და ვკითხო რამე.

შემიძლია ვიკითხო და ვუპასუხო შეკითხვებზე თუ სად დევს ბურთი, წიგნი, ან სხვა საგანი;

შემიძლია შევთავაზო სხვას საჭმელი და სასმელი.

შემიძლია საყიდლებზე ყოფნისას ვთქვა, რას ვეძებ და ვიკითხო ფასი.

შემიძლია ვკითხო ვინმეს, სად ცხოვრობს იგი (სოფელი, ქალაქი), რომელი ქვეყნიდანაა.

შემიძლია ვიკითხო, რას აკეთებენ სამსახურში და თავისუფალ დროს და როცა მსგავს კითხვებს მისვამენ, შემიძლია გავცე პასუხი.

შემიძლია ვინმეს ვუსურვო ბედნიერება, მივულოცო ახალი წელი და დაბადების დღე.

როცა არ მესმის, რას მეუბნებიან, შემიძლია ვთქვა, *ვერ გავიგე*; შემიძლია ვიკითხო, *რა ჰქვია ამას ქართულ ენაზე?*

**A2.2**

შემიძლია მოკლე სატელეფონო საუბრის წარმართვა, მაგ. შეხვედრის ადგილის დანიშვნა.

შემიძლია მარტივი კითხვების დასმა რაიმე მოვლენის შესახებ და ასევე მის გარშემო პასუხის გაცემა, მაგ. რა სად და როდის ჩატარდა, ვინ ესწრებოდა და ვინ არა.

შემიძლია, მარტივი სიტყვებით გამოვხატო ჩემი გრძნობები, მაგ. *ეს ჩემთვის ნათელია, მეშინია, მშია.*

მარტივი სიტყვებით შემიძლია გავცე ინფორმაცია ყოველდღიური თემების შესახებ.

შემიძლია ვინმეს ვთხოვო დახმარება და შესაბამისად ვრეაგირებ, როცა მე მთხოვენ დახმარებას.

შემიძლია ვისაუბრო კვირის დღეებზე, ვთქვა რა რიცხვია, რომელი საათია და ამ ყველაფრის შესახებ დავსვა შეკითხვები.

შემიძლია ვთხოვო სხვას, რომ დამიმარცვლოს სიტყვა ამასთანავე შემიძლია თვითონ დავმარცვლო სიტყვები და სახელები.

შემიძლია ვინმეს რამეზე დავეთანხმო, შევეკამათო, ან უარი ვუთხრა.

შემიძლია ვთხოვო ვინმეს, გაიმეოროს ნათქვამი, ან ამიხსნას უკეთესად.

**B1.1**

შემიძლია, ვინმეს ჩამოვართვა მოკლე ინტერვიუ, თუ კითხვები წინასწარ მაქვს მომზადებული; შემიძლია, დიდხანს დაფიქრების გარეშე დავსვა დამატებითი შეკითხვები.

შემიძლია ვთხოვო ვინმეს, მათხოვოს (მაგ., ველოსიპედი, ფანქარი) და გავცე შესაბამისი პასუხი, როცა მთხოვენ, რომ მე რაიმე ვათხოვო. შემიძლია სხვას შევთავაზო ჩემი ნივთები.

მგზავრობისას შემიძლია ძირითადი სიტუაციების დაძლევა. ავტობუსის ან მეტროს სალაროში შემიძლია ვიკითხო მარტივი ინფორმაცია და ვიყიდო ბილეთი.

ნაცნობ ადამიანებთან შემიძლია მარტივი სატელეფონო საუბრების წარმართვა.

საუბრისას შემიძლია დავსვა შეკითხვა, ესმის თუ არა ჩემი მოსაუბრეს.

შემიძლია ჩემთვის ნაცნობი თემების შესახებ საუბარი (მაგ., კინო, სპორტი, მოდა, ტელევიზია), აზრის გამოთქმა და სხვისთვის შეკითხვის დასმა თუ რას ფიქრობს აღნიშნულ თემაზე.

შემიძლია ჩემს თანატოლებთან ვისაუბრო და შევადარო ერთმანეთს მუსიკალური ჯგუფები, ფილმები.

შემიძლია ნაცნობს რჩევა მივცე, მაგ., ტანსაცმლის ყიდვისას.

**B1.2**

შემიძლია მასწავლებელს ავუხსნა, მუშაობისას რა დონის სიძნელეები შემხვდა.

შემიძლია გამოვთქვა ჩემი მოსაზრებები და წინადადებები სამუშაო შეხვედრაზე, მაგ., პროექტზე მუშაობისას.

შემიძლია დისკუსიებში მოკლედ გამოვთქვა ჩემი აზრი.

შემიძლია ვთქვა, რომ არსებობს რაღაც პრობლემა და დავასაბუთო, რატომ.

შემიძლია ვიჩხუბო, მაგ., მაღაზიაში, თუ რამე გაფუჭებული, ან წუნი შემხვდა.

შემიძლია ახლობლებთან ვისაუბრო საერთო ინტერესების შესახებ.

შემიძლია თითქმის სპონტანურად დავუსვა მოსაუბრეს შეკითხვები რომელიმე მოვლენის, ან განცდის შესახებ, მაგ., არდადეგების, ზეიმის, ან უბედური შემთხვევის ირგვლივ.

**B2.1**

შემიძლია დავიწყო საუბარი, გამოვთქვა აზრი და სხვასაც დავუსვა შეკითხვები.

დისკუსიის დროს შემიძლია არგუმენტების, ახსნა-განმარტებებისა და კომენტარების საშუალებით საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა, დასაბუთება და დამტკიცება.

შემიძლია ყველასათვის საინტერესო თემებზე საუბარში აქტიური მონაწილეობა.

შემიძლია გამოთქმით, ბუნებრივად და დაუბრკოლებლად საუბარი.

შემიძლია გამოვხატო სხვადასხვა გრძნობა და ვთქვა, რომელი მოვლენა ან გამოცდილებაა ჩემთვის მნიშვნელოვანი.

**B2.2**
შემიძლია, ვისაუბრო შთაბეჭდილებებზე, იდეებსა და გრძნობებზე, მაგ., მუსიკა როგორ მოქმედებს ადამიანზე.

შემიძლია ჩემი მოსაზრებების ზუსტად და დარწმუნებით გამოხატვა; ასევე სხვის კომპლექსურ არგუმენტებზე რეაგირება.

შემიძლია დაუბრკოლებლად და ზუსტად ვისაუბრო სხვადასხვა თემებზე.

შემიძლია დაუბრკოლებლად წარვმართო ინტერვიუ კითხვების წინასწარ მომზადების გარეშე, ასევე, საინტერესო თემებზე დავსვა დამატებითი შეკითხვები.

## 6.4 მონოლოგი

**A1.1**
შემიძლია მოკლედ გავაცნო თავი (სახელი, ასაკი, ქვეყანა).

შემიძლია გამოვხატო მარტივი სიტყვებით, როგორ ვგრძნობ თავს.

შემიძლია საკუთარ თავზე მოკლე ინფორმაციის გაცემა (სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი).

შემიძლია აღვწერო, სად ვცხოვრობ.

შემიძლია საყიდლად ან შესაკვეთად ძალიან მარტივი დასახელების საჭმელისა და სასმელის დასახელება.

**A1.2**
შემიძლია მარტივი ენობრივი საშუალებებით მოვყვე ახლობელი ადამიანების ან ჩემი საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

შემიძლია მოკლე, მარტივი წინადადებებით ჩემი სამსახურის შესახებ საუბარი.

მარტივი ფრაზებით შემიძლია ავუხსნა ადამიანს, როგორ მივიდეს ამა თუ იმ ადგილას.

**A2.1**
შემიძლია მოკლედ წარმოვადგინო საკუთარი თავი, რა მქვია, საიდან ვარ და სად ვმუშაობ.

შემიძლია ვთქვა ძირითადი ინფორმაცია ჩემი ოჯახის შესახებ, მაგ. ვინ, რა ასაკის და პროფესიის არიან ჩემი ოჯახის წევრები.

შემიძლია ვთქვა რომელი სასმელი და საჭმელი მიყვარს.

შემიძლია ვთქვა რა არის ჩემი ჰობი და რა არ მომწონს (მაგ. მუსიკა, თეატრი, სპორტი, ფერები).

შემიძლია ვთქვა, რომელ გარემოში მირჩევნია ყოფნა და მოკლედ დავასაბუთო მიზეზი (სოფელში, ქალაქში, ზღვაზე).

შემიძლია წინასწარ მომზადებულ სიტყვაში წაკითხვის გარეშე წარმოვადგინო ჩემთვის ნაცნობი საგანი/ობიექტი (ქვეყანა, მუსიკალური ჯგუფი, გუნდი).

**A2.2**

შემიძლია მსმენელს მივაწოდო საფუძვლიანი ინფორმაცია ჩემი სამსახურის შესახებ.

შემიძლია მოკლედ გადმოვცე, რას ვაპირებ კვირის ბოლოს, ან არდადეგებზე.

შემიძლია მოვყვე თუ როგორ აღნიშნავენ ჩვენთან შობას და სხვა დღესასწაულებს.

შემიძლია მოკლედ და მარტივად გადმოვცე მოვლენის და საკუთარი განცდის შესახებ (მაგ., წვეულებაზე, ექსკურსიაზე, გაკვეთილზე).

შემიძლია, მოკლედ აღვწერო, სად ვცხოვრობ და როგორ შეიძლება ჩემთან მოსვლა (ტრანსპორტი, მგზავრობის ხანგრძლივობა, მანძილი).

შემიძლია ვინმეს რუკის გარეშე ავუხსნა, როგორ შეძლებს გარკვეულ ადგილამდე მისვლას.

შემიძლია მოკლე ისტორიის მოყოლა, და მოვლენების თანმიმდევრულად წარმოდგენა.

შემიძლია დაყოვნების გარეშე წარმოვთქვა ციფრები (წელიწადი, თარიღი).

**B1.1**

შემიძლია მოკლედ ვთქვა რა მომწონს წიგნში, ან სიმღერაში.

მარტივი სიტყვებით შემიძლია აღვწერო, როგორ გამოიყურება რომელიმე ცხოველი.

მარტივი სიტყვებით შემიძლია აღვწერო, სად და როგორ ვცხოვრობ (ადგილი/ გარემო, სახლი/ბინა, ოთახები).

შემიძლია რამდენიმე წინადადებით ვთქვა, რა განათლებას ვიღებ, ან მინდა მივიღო.

შემიძლია ოცნებების, იმედების, მიზნების აღწერა.

შემიძლია მოვყვე, რა ხდება ფილმში ან წიგნში და რას ვფიქრობ მასზე.

საყოფაცხოვრებო თემებზე შემიძლია მარტივი სიტყვებით ვისაუბრო და გამოვთქვა საკუთარი აზრი (მაგ., ფული, ნივთების მოხმარების, ქცევის წესები).

შემიძლია, სხვას ავუხსნა წესები (მაგ. მუზეუმში მოქცევის წესები).

**B1.2**

შემიძლია ვთქვა, მიმაჩნია თუ არა, რომ სწორად მოიქცნენ და დავასაბუთო საკუთარი აზრი.

შემიძლია ჩემი მოსაზრებების, ვარაუდებისა და გეგმების ახსნა და დასაბუთება.

შემიძლია ისეთი მოვლენის მნიშვნელოვანი ნიუანსების გადმოცემა, რომელიც მანამდე არ მომხდარა (მაგ. უბედური შემთხვევა).

შემიძლია სხვას მივაწოდო დეტალური მითითებები, თუ როგორ შეუძლია იმის გაკეთება, რაც მე თვითონ კარგად გამომდის (მაგ. საჭმლის მომზადება, შინაური ცხოველის მოვლა).

შემიძლია გასაგებად აღვწერო, როგორ შეიძლება ამა თუ იმ ელექტრო ხელსაწყოს გამოყენება (მაგ. ქსეროქსი, ფოტოაპარატი).

შემიძლია რამდენიმე წინადადებით გადმოვცე, რა დამოკიდებულება მაქვს ჩემს ახლობლებთან და დავასაბუთო ჩემი მოსაზრება.

შემიძლია მოკლედ და მარტივი სიტყვებით გავაკეთო შეტყობინება (მაგ. სტუმრებს წარვუდგინო პროგრამა).

**B2.1**

შემიძლია პრობლემის კრიტიკულად აღწერა და პრობლემური სიტუაციიდან გამოსავალის ცუდი და კარგი მხარეების დასახელება.

შემიძლია დაწვრილებით ვისაუბრო ქვეყნის, ან რეგიონის მსგავსებასა და განსხვავებაზე.

შემიძლია დიდხანს ვისაუბრო ჩემთვის ნაცნობ თემებზე (მაგ., მუსიკა და მუსიკალური ჯგუფები) და ნიუანსები აღვწერო დაწვრილებით და შევადარო ერთმანეთს.

შემიძლია დეტალურად გადმოვცე ჩემი გამოცდილება და აღვწერო საკუთარი გრძნობები.

შემიძლია თანმიმდევრობითა და დაწვრილებით მოვყვე ისტორია, ან განცდა.

**B2.2**
შემიძლია ჩემთვის საინტერესო თემების ნათლად და დეტალურად აღწერა.

შემიძლია სხვადასხვა რადიო და სატელევიზიო გადაცემების ზეპირად გაანალიზება.

შემიძლია გარკვევით და სისტემურად აღვწერო მომხდარი ამბავი მთავარი დეტალების წინ წამოწევით.

შემიძლია სხვადასხვა წერილობითი ტექსტების ინფორმაციის ზეპირად წარმოდგენა და კომენტარის გაკეთება.

## 6.5 წერა

**A1.1**
შემიძლია ლექსიკონის, სახელმძღვანელოს, სავარჯიშო რვეულის დახმარებით რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარი მარტივი წინადადების დაწერა.

შემიძლია მოკლე და მარტივი წინადადებებით დავწერო, ვინ ვარ და სად ვცხოვრობ.

შემიძლია ძალიან მარტივი სიტყვების ჩაწერა, მაგ., ადამიანები, ცხოველები, ნივთები, რომლებსაც სურათებზე ვხედავ.

შემიძლია მწირი პირადი მონაცემების დაწერა (მაგ., ასაკი, მისამართი, ჰობი).

**A1.2**
შემიძლია მარტივი სიტყვებით საყოფაცხოვრებო ნივთების აღწერა (მაგ., მანქანის ფერი, ზომა).

შემიძლია აღვწერო, როგორ არის მოწყობილი ჩემი ოთახი.

შემიძლია მარტივი ფორმით დავწერო ინფორმაცია საკუთარ თავზე (მაგ., სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი, წარმოშობა, ასაკი, ჰობი), ასევე შემიძლია სხვას ვკითხო იგივე.

შემიძლია მოკლე წინადადებებით დავწერო, რა მიყვარს ყველაზე მეტად და რას ვისურვებდი (მაგ., საჭმელი, ტანსაცმელი, ცხოველები).

შემიძლია მოკლე მარტივი ბარათების დაწერა.

შემიძლია ძალიან მარტივი, მოკლე წინადადებებითა და გამოთქმებით დავწერო იმ ადამიანებსა და საგნებზე, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხვდებით (სამსახური, ოჯახი, ჰობი, ხალხი, რომელთაც ვიცნობ, დღის რეჟიმი).

შემიძლია ნახაზის მეშვეობით ავხსნა სად ვცხოვრობ და როგორ შეიძლება იქ მისვლა.

შემიძლია მისალოცი და მადლობის შინაარსის ბარათის დაწერა.

შემიძლია პირადი მიზნებისათვის მოვლენებისა და ვადების შესახებ მარტივი ჩანაწერების გაკეთება.

შემიძლია მეგობრებისათვის მოკლე შეტყობინების მიწერა, რომელიც შეიცავს კითხვას, ან ინფორმაციას.

**A2.1**
შემიძლია მარტივი სიტყვებით დავწერო ჩემი საქმიანობის შესახებ (მაგ., სამსახური, სპორტი და თავისუფალი დრო).

შემიძლია ახლობლების სახელზე დავწერო მოსაწვევი.

შემიძლია მარტივი სიტყვებით მივწერო, რომ გადავიფიქრე შეხვედრა; შემიძლია მიწვევაზე წერილობით რეაგირება.

შემიძლია მოკლე და მარტივი სიტყვებით მეგობრებს შევატყობინო, რომ მაგვიანდება, რომ ავად ვარ, რომ არ შემიძლია მისვლა.

შემიძლია ჩემთვის დავწერო სამეცადინო გეგმა (კვირის დღეებით, რიცხვებით).

შემიძლია მარტივი წინადადებებით აღვწერო მოვლენა, ასევე როდის მოხდა იგი.

შემიძლია მოკლე, მარტივი წინადადებებით საგნებისა და ადგილების აღწერა, რომლებიც ჩემთვის ნაცნობია.

**A2.2**
შემიძლია E-mail-ით, SMS, ან მოკლე წერილით ნაცნობებსა და მეგობრებს საჭირო მარტივი, ინფორმაცია გავუცვალო (მაგ., სხვადასხვა მაღაზიაში რა ღირს რომელიმე დისკეტი, რომელი სპორტული კლუბი ჯობია).

შემიძლია მარტივი ისტორიის მოყოლა (მაგ., ლამაზი არდადეგების,ან მომავალი ცხოვრების შესახებ).

შემიძლია ნაცნობი თემების შესახებ მარტივი ტექსტების შედგენა და ასევე საკუთარი აზრის დაწერა.

შემიძლია მარტივი, გადაბმული წინადადებებით აღვწერო მოვლენა (მაგ., ჩატარებული ექსპერიმენტი, შეჯიბრება, თხილამურებით სრიალი, ველოსიპედების ქურდობა).

შემიძლია სურათებითა და მოკლე ტექსტებით დავწერო მოგზაურობის მიზანი.

შემიძლია მარტივი განცხადების დაწერა და ასევე ჩემთვის საინტერესო განცხადებაზე რეაგირება (ახალგაზრდულ გაზეთსა თუ ვებ-გვერდზე)

შემიძლია სასწავლო დღიურში მარტივად დავწერო, რა როდის გავაკეთე და რა მაქვს სასწავლი.

**B1.1**

შემიძლია პერსონალური წერილის დაწერა და მასში გრძნობების, გამოცდილებებისა და მოვლენების გადმოცემა.

შემიძლია საგნებისა და მოვლენების კარგი და ცუდი მხარეების აღწერა (მაგ., საცხოვრებელი სახლის); შემიძლია საკუთარი აზრის მარტივი სიტყვებით დასაბუთება.

შემიძლია გაზეთისათვის გავაკეთო განცხადება მნიშვნელოვანი მოვლენის ან პირადი განცდის შესახებ (მაგ., საინტერესო მოგზაურობის შესახებ ან საინფორმაციო ხასიათის).

შემიძლია გარკვევით აღვწერო საგნები, რომლებიც მაინტერესებს (მაგ., ვიდეო ან კომპიუტერული თამაში, აქტუალური მოდა ან რომელიმე სპორტის სახეობა) და ასევე მათი კარგი და ცუდი მხარეების წინ წამოწევა.

**B1.2**

მოსმენისას შემიძლია გავაკეთო ჩანაწერი, მაგ. როცა აინტერესებთ ინფორმაცია, ან აღწერენ პრობლემას.

შემიძლია ერთმანეთზე გადაბმული წინადადებებით დავწერო ყოველდღიური საგნებისა და მოვლენების შესახებ. (მაგ., ადგილებზე, პროფესიულ გამოცდილებასა და ადამიანებთან შეხვედრის შესახებ).

შემიძლია წერილის საშუალებით მოვიპოვო ინფორმაცია, რომელიც მჭირდება გარკვეული მიზნისათვის. შემიძლია ამ ინფორმაციის წერილობით შედგენა და სხვისთვის გადაცემა.

შემიძლია წერილობითი რეაგირების გაკეთება განცხადებაზე, რომელიც მაინტერესებს (მაგ., კურსები, არდადეგები).

შემიძლია ქრონოლოგიური პრინციპით დავწერო ჩემი ბიოგრაფია.

**B2.1**

შემიძლია ჩემთვის საინტერესო, აქტუალურ თემებზე ტექსტის დაწერა (მაგ. ბუნების დაცვა, ცხოველთა დაცვა, მსოფლიოს ახალი ამბები), და ასევე აღნიშვნა, განსაკუთრებით რომელია ჩემთვის მნიშვნელოვანი.

შემიძლია საკუთარი გამოცდილებების წერილობით გადმოცემა.

შემიძლია კარგად ჩამოყალიბებული, დეტალური ტექსტის დაწერა წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე.

შემიძლია თხზულების/შინაარსის დაწერა ფილმის, წიგნის, ან სპექტაკლის შესახებ.

**B2.2**

შემიძლია წერილის დაწერა, სადაც დეტალურად ავსახავ საკუთარ გამოცდილებებს, სხვადასხვა მოსაზრებებსა და გრძნობებს.

შემიძლია მრავალგვერდიანი მოთხრობის, ან ისტორიის ნათლად, ზუსტი წყობით დაწერა (მაგ. მოგზაურობის ისტორია, კრიმინალური, ან ფანტასტიკური ამბავი).

შემიძლია ბევრი საინტერესო თემების შესახებ დეტალური ტექსტების დაწერა, ინფორმაციას გადაცემა, სხვადასხვა პოზიციის ასახვა და ერთმანეთთან შედარება, საკუთარი აზრის გამოხატვა.

შემიძლია წერილობით გამოვხატო ჩემი პრობლემა.

შემიძლია წერილობით სისტემურად ავსახო პრობლემა, წინ წამოვწიო მნიშვნელოვანი საკითხები და გავმართო დისკუსია;

შემიძლია ტექსტებში დამოკიდებულებაზე, მიზეზებსა და შედეგებზე ვარაუდების გამოთქმა წერილობით;

# 7 ქართული ენის ფონეტიკისა და გრამატიკის კონსპექტური აღწერილობა

ენის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია საკომუნიკაციო ფუნქციაა. ბგერა ენის უმარტივესი სტრუქტურული ელემენტია. ფონეტიკა არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ადამიანის სამეტყველო ბგერებს, ენის ბგერით შემადგენლობას, ცვლილებებს და ამ ცვლილებათა კანონებს.

წინადადების სწორად აგება გრამატიკული ნორმების შესაბამისად ხდება. გრამატიკა ორი ნაწილისაგან შედგება – ეს არის მორფოლოგია და სინტაქსი. შესაბამისად, ამ თავში წარმოდგენილია ქართული ენის ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური აღწერილობა.

გრამატიკა წარმოიშვა უცხოური ენების შესწავლით მიზნით. ამ ტიპის გრამატიკას პრესკრიპტული ეწოდება. იგი ცნობილია ასევე ტრადიციული გრამატიკის სახელწოდებით. ტრადიციული გრამატიკა გვაძლევს მზამზარეულ წესებს ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის სხვადასხვა ფორმების წარმოებისა და ხმარების შესახებ. იგი დიდად მნიშვნელოვანია, რადგანაც იძლევა სწორად ლაპარაკისა და წერის სახელმძღვანელო წესებს. ტრადიციული გრამატიკა სრულად ვერ ასახავს იმ ენობრივ რეალობას, რომელიც ენის განვითარების შედეგად წარმოიშობა ხოლმე.

დესკრიპტიული (აღწერითი) გრამატიკა აღწერს ენაში რეალურად არსებულ ფორმებს და მათ ფუნქციონირებას. მისი მიზანია აგრეთვე ამ ფორმათა ხმარების მიზეზების ახსნა.

თანამედროვე ეტაპზე მეტად აქტუალურია ე.წ. კომუნიკაციური გრამატიკა. შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციური გრამატიკა არის *გრამატიკა პირიქით* ანუ, იგი არკვევს, თუ როგორი გრამატიკული სტრუქტურები იხმარება ამა თუ იმ ენობრივი მნიშვნელობის გადმოსაცემად. კომუნიკაციური გრამატიკა ახალი ტიპის გრამატიკაა. იგი პასუხობს შეკითხვას – *როგორ ვიხმაროთ ესა თუ ის გრამატიკული ფორმა კომუნიკაციის მიზნით.* ამდენად, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია გრამატიკული ფორმების ხმარებაზე, გამოყენებაზე და არა სხვადასხვა ფორმის აგების წესებზე.

გრამატიკაში დიდი ადგილი უკავია ისტორიულ კვლევას როგორც ერთი ენის, ისე სხვადასხვა ენის ფარგლებში. ამის შესატყვისად გვაქვს ისტორიული გრამატიკა და ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა. ისტორიული გრამატიკა იკვლევს სხვადასხვა ენობრივი ელემენტების განვითარებას დიაქრონიაში, ანუ წარმოშობიდან დღემდე. რაც შეეხება ისტორიულ-შედარებით გრამატიკას, იგი იკვლევს სხვადასხვა ენის მსგავსი სტრუქტურების თავისებურებებს ისტორიულ ჭრილში. შედარებითი გრამატიკა მონათესავე ელემენტებს იკვლევს. არამონათესავე ენების მიმართ მსგავს კვლევას შეპირისპირებითი გრამატიკა აწარმოებს.

ამგვარად, არსებობს გრამატიკის შემდეგი ძირითადი სახეები: პრესკრიპტიული (ტრადიციული),დესკრიპტიული (აღწერითი),ისტორიული,ისტორიულ-შედარებითი, შეპირისპირებითი და კომუნიკაციური.

გრამატიკა საშუალებაა და არა მიზანი (მითუმეტეს თვითმიზანი). ფუნქციური (პრაქტიკული და პრაგმატული) გრამატიკის უმთავრესი პრინციპია წინა პლანზე სამეტყველო ერთეულის ფუნქციური და არა ფორმალური მხარის წამოწევა. მისთვის მნიშვნელოვანია, რომ ენობრივი კანონები ფუნქციონალურად იყოს ათვისებული. ამგვარი მიდგომის შემთხვევაში ენის შემსწავლელის ყურადღება მიმართულია ფუნქციაზე, ხოლო ფორმას იგი ქვეცნობიერად ითვისებს. გარკვეული მუშაობის შემდეგ, მასალაზე დაკვირვება მას თავად აძლევს საშუალებას ესა თუ ის ფუნქცია კონკრეტულ ფორმას დაუკავშიროს. ფუნქციური გრამატიკისთვის არსებითია, რომ ენობრივი საშუალებები, გრამატიკული ფორმები შეირჩეს სამეტყველო მიზნის მიხედვით.

## 7.1 ფონეტიკა

სამეტყველო ბგერა წარმოითქმის, ასო კი იწერება. დაბეჭდილი ან დაწერილი ასო, ანუ გრაფიკული ნიშანი პირობითი სიმბოლოა ამა თუ იმ სამეტყველო ბგერისა. ერთ ბგერას ერთი შესაბამისი გრაფიკული ნიშანი აქვს, ანუ წარმოთქმა ეკვივალენტურია დაწერილობისა. ამ თვალსაზრისით ქართული ენის შემსწავლელს საქმე ძალიან გაადვილებული აქვს.

სამეტყველო ბგერათა რაოდენობა სხვადასხვა ენაში არ არის ერთნაირი, იგი სხვადასხვაგვარია.

თანამედროვე ქართულ ენაში 33 ბგერაა. მათგან 5 ხმოვანია, 28 თანხმოვანი. ქართულ ბგერით სისტემას ახასიათებს ხმოვანთა სიმარტივე და თანხმოვანთა მრავალფეროვნება.

ქართულში ყველა ხმოვანი ა, ე, ი, ო, უ მარტივია. ქართულ ენაში არ არის არც გრძელი და არც უმლაუტიანი ხმოვნები.

ქართული ანბანის სწავლებისას ყურადღება უნდა მიექცეს სპეციფიკურ (წ, ჭ, ყ, ძ, ღ...) ბგერებს, რომლებიც ქართულისთვის (resp. კავკასიური ენებისთვის) არის დამახასიათებელი, ასევე იმ ოპოზიციას, რასაც ქმნის პ – ფ (პაპა – ფაფა), თ – ტ (თარო – ტარო), ქ – კ (ქუდი – კუდი), გ – ღ (გერი – ღერი)

## 7.2 მორფოლოგია

მორფოლოგია სწავლობს ცალკეულ სიტყვას მისი აღნაგობის თვალსაზრისით. *მორფე* ბერძნულად ფორმას ნიშნავს, *ლოგოს* კი მოძღვრებას.

მორფოლოგიური კატეგორიების გამოხატვის საშუალებებია აფიქსები – პრეფიქსები და სუფიქსები.

აფიქსების გამოყენების პრინციპი აგლუტინაციურია – თითოეული მორფოლოგიური კატეგორია გამოიხატება დამოუკიდებელი აფიქსებით.

**ქართული მორფოლოგიის ზოგადი სქემა**

### 7.2.1 არსებითი სახელი

მორფოლოგიური სქემა

1. ფუძე – წყარო
2. ფუძე + ბრ. ნიშანი – წყარო-მ
3. ფუძე + მრ. ნიშანი + ბრ. ნიშანი – წყარო-ებ-ი
4. ფუძე + მრ. ნიშანი + ბრ. ნიშანი + თანდებული – წყარო-ებ-ის-თვის

**ფუძე**

ფუძე შეიძლება იყოს მარტივი, შედგენილი, აფიქს(ებ)ით ნაწარმოები.

მარტივი – კაც-ი
შედგენილი – ვაჟიშვილი
აფიქსით ნაწარმოები – ჩოხ-ოსანი, სა-ცოლ-ე

**ბრუნვა**

სახელი გვხვდება ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით თანდებულთან ერთად ან მის გარეშე (თანდებულის ძირითადი ფუნქციაა საგნის ადგილმდებარეობის ან მიმართულების აღნიშვნა).

**მხოლობითი რიცხვი**

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი
მაწარმოებლები: -ი, –, (მაგ., კაც-ი, დედა); დაირთავს -ვით თანდებულს (მაგ., ბავშვი-ვით იქცევა).

ფუნქციები:

- I სერიაში გარდამავალი ზმნის სუბიექტი
- II სერიაში გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი
- III სერიაში გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი
- ყველა სერიაში გარდაუვალი ზმნის სუბიექტი

მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი
მაწარმოებლები: -მ(ა), (მაგ., კაც-მა, დედა-მ)

ფუნქცია:

- II სერიაში გარდამავალი ზმნის სუბიექტი

მ ი ც ე მ ი თ ი
მაწარმოებელი: -ს, (მაგ., კაც-ს) დაირთავს თანდებულებს: -ვით, -თან, -ზე, -ში (მაგ., კლდე-ზე < კლდე-ს-ზე, კლდე-ში < კლდე-ს-ში, კლდეს-თან, კლდე-სა-ვით,)

ფუნქციები:

- I სერიაში პირდაპირი ობიექტი
- II სერიაში ირიბი ობიექტი
- III სერიაში გარდამავალი ზმნის სუბიექტი

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი
მაწარმოებლები: -ი(ს), -ს (მაგ., კაც-ის, მეტრო-ს (თანდებულები: -თვის, -გან, -კენ. მაგ., ქალ-ის-თვის, ქალ-ის-გან, ქალ-ის-კენ).

ძირითადი ფუნქცია:
- გამოხატავს კუთვნილებას (მაგ., ბავშვ-ის ბურთი)

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი
მაწარმოებლები: -ით, -თი, (მაგ., ჩანგლ-ით, მეტრო-თი დაერთვის თანდებულები: -ურთ, -გან (>-დან) (მაგ., სახლით-ურთ, სახლ-ი-დან < სახლ-ით-გან < სახლიდგან).

ძირითადი ფუნქცია: ინსტრუმენტის გამოხატვა.

ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი
მაწარმოებლები: -ა(დ), (მაგ., კაც-ად, თვე-დ), -მდე, -მდის თანდებულები, (მაგ. სკოლ-ა-მდე < სკოლ-ად-მდე, სახლ-ა-მდის < სახლ-ად-მდის).

ძირითადი ფუნქცია: გარდაქცევითობის გამოხატვა

წ ო დ ე ბ ი თ ი
მაწარმოებლები: -ო, -ვ, –, (მაგ., კაც-ო, მებაღე-ვ, ნანა)

ფუნქცია: გამოხატავს მიმართვას

### მრავლობითი რიცხვი

მრავლობითის მაწარმოებელია -ებ. იგი სუფიქსის სახით ერთვის ფუძეს და მას მოსდევს ბრუნვის მაწარმოებელი.

მრავლობითი რიცხვი სხვაგვარადაც იწარმოება. ეს წარმოება უფრო ძველია, მაგრამ თანამედროვე ენაშიც გამოიყენება: სუფიქსი -ნ-ი, სახელობითი (მაგ., კაც-ნი), -ნ-ო, წოდებითი (მაგ., შვილ-ნო). -თ(ა): მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი (მაგ., კაც-თა თქვეს, ბავშვ-თა უნდათ, შემსწავლელ-თა ჯგუფი).

| | *მხოლობითი რიცხვი* | *მრავლობითი რიცხვი* | |
|---|---|---|---|
| სახელობითი | კაც-**ი** | კაც-ებ-**ი** | კაც-**ნ-ი** |
| მოთხრობითი | კაც-**მა** | კაც-ებ-**მა** | კაც-**თა** |
| მიცემითი | კაც-**ს** | კაც-ებ-**ს** | კაც-**თა** |
| ნათესაობითი | კაც-**ის** | კაც-ებ-**ის** | კაც-**თა** |
| მოქმედებითი | კაც-**ით** | კაც-ებ-**ით** | — |
| ვითარებითი | კაც-**ად** | კაც-ებ-**ად** | — |
| წოდებითი | კაც-**ო** | კაც-ებ-**ო** | კაც-**ნ-ო** |

## 7.2.2 ზედსართავი სახელი

ზედსართავი როგორც სუბსტანტივი, ფუნქციონირებს ისევე, როგორც არსებითი სახელი, მაგ., კარგი. ცალკე მდგომი ზედსართავი სახელი იბრუნვის ისე, როგორც არსებითი. ქვემოთ მოგვაქვს ბრუნების მაგალითი თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი ზედსართავებისთვის.

| | | |
|---|---|---|
| სახელობითი | კარგ-**ი**/- – | უშნო |
| მოთხრობითი | კარგ-**მა** | უშნო-**მ** |
| მიცემითი | კარგ-**ს** – | უშნო-**ს** |
| ნათესაობითი | კარგ-**ის** | უშნო-**სი** |
| მოქმედებითი | კარგ-**ით** | უშნო-**თი** |
| ვითარებითი | კარგ-**ად** – | უშნო-**დ** |
| წოდებითი | კარგ-**ო**/**ვ** | უშნო-**ვ** |

### 7.2.3 ნაცვალსახელი

პირის ნაცვალსახელები

| | I მხ. რ. | II მხ. რ. | I მრ. რ. | II მრ. რ. |
|---|---|---|---|---|
| სახელობითი | მე | შენ | ჩვენ | თქვენ |
| მოთხრობითი | მე | შენ | ჩვენ | თქვენ |
| მიცემითი | მე | შენ | ჩვენ | თქვენ |
| ნათესაობითი | ჩემ | შენ | ჩვენ | თქვენ |
| მოქმედებითი | – | – | – | – |
| ვითარებითი | – | – | – | – |
| წოდებითი | – | შე | – | – |

| | III მხ. | III მხ. | III მხ. | III მრ. | III მრ | III მრ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სახელობითი | ეს | ეგ | ის | ესენი | ეგენი | ისინი |
| მოთხრობითი | ამან | მაგან | იმან | ამათ | მაგათ | იმათ |
| მიცემითი | ამას | მაგას | იმას | ამათ | მაგათ | იმათ |
| ნათესაობითი | ამის | მაგის | იმის | ამათ | მაგათ | იმათ |
| მოქმედებითი | ამით | მაგით | იმით | ამათ | მაგათ | იმათ |
| ვითარებითი | ამად | მაგად | იმად | ამათ | მაგათ | იმათ |

ჩვენებითი ნაცვალსახელები

| | | | |
|---|---|---|---|
| სახელობითი | ეს | ეგ | ის |
| მოთხრობითი | ამ | მაგ | იმ |
| მიცემითი | ამ | მაგ | იმ |
| ნათესაობითი | ამ | მაგ | იმ |
| მოქმედებითი | ამ | მაგ | იმ |
| ვითარებითი | ამ | მაგ | იმ |

კითხვითი ნაცვალსახელები

ვინ, რა, როგორი, რომელი, რანაირი, რამდენი, სადაური, როდინდელი

| | | |
|---|---|---|
| სახელობითი | ვინ | რა |
| მოთხრობითი | ვინ | რა |
| მიცემითი | ვის | რას |
| ნათესაობითი | ვის | რის |
| მოქმედებითი | (ვის-ით) | რით |
| ვითარებითი | (ვის-ად) | რად |

კუთვნილებითი ნაცვალსახელები

| | I მხ. რ. | II მხ. რ. | I მრ. რ. | II მრ. რ. |
|---|---|---|---|---|
| სახელობითი | ჩემი | შენი | ჩვენი | თქვენი |
| მოთხრობითი | ჩემმა | შენმა | ჩვენმა | თქვენმა |
| მიცემითი | ჩემს | შენს | ჩვენს | თქვენს |
| ნათესაობითი | ჩემი | შენი | ჩვენი | თქვენი |
| ვითარებითი | ჩემი | შენი | ჩვენი | თქვენი |
| მოქმედებითი | ჩემს | შენს | ჩვენს | თქვენს |
| წოდებითი | ჩემო | – | ჩვენო | თქვენო |

| | III მხ. | III მხ. | III მხ. | III მრ. |
|---|---|---|---|---|
| სახელობითი | ამისი | მაგისი | მისი | მათი |
| მოთხრობითი | ამისმა | მაგისმა | მისმა | მათ |
| მიცემითი | ამის | მაგის | მის | მათ |
| ნათესაობითი | ამისი | მაგისი | მისი | მათი |
| მოქმედებითი | ამისი | მაგისი | მისი | მათი |
| ვითარებითი | ამის | მაგის | მის | მათ |

მიმართებითი ნაცვალსახელები
ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, რამდენიც, როდინდელიც, სადაურიც, ვისიც, რისიც, რისაც.

კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები
ვისი, რის, რისა.

განსაზღვრებითი ნაცვალსახელები
თვითონ, თვით, თავად, თითოეული, ყოველი, ყველა, სხვა, მავანი.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები
ვინმე, რამე, რომელიმე, როგორიმე, რამდენიმე, ვიღაც, რაღაც, რომელიღაც.

უარყოფითი ნაცვალსახელები
არ, ვერ, ნუ, აღარ, ვეღარ, ნურა, ნუღარ.

ურთიერთობითი ნაცვალსახელები
ერთმანეთი, ერთურთი, ერთიმეორე, ურთიერთი.

## 7.2.4 რიცხვითი სახელი

რიცხვითი სახელი არსებობს სამი ტიპის – რაოდენობითი,რიგობითი,წილობითი.

ქართული თვლის სისტემა შერეული ტიპისაა. იგი ნაწილობრივ ათობითია, ნაწილობრივ –ოცობითი.

**რაოდენობითი რიცხვითი სახელი**
რიცხვითი სახელი საგნის რაოდენობას, რიგს ან ნაწილს აღნიშნავს. რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძე შეიძლება იყოს მარტივიც და რთულიც. მარტივფუძიანებია: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ოცი, ასი...

რთული ფუძეებია: თერთმეტი (<ათ-ერთ-მეტი), თორმეტი (<ათ-ორ-მეტი), ორმოცი (<ორ-მე-ოცი)...

ოცის შემდეგ ოცეულების ფარგლებში რიცხვითი სახელები შეერთებულია *და* კავშირით (მაგ., ოც-და-ერთი...).

**რიგობითი რიცხვითი სახელი**
რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობითისაგან მე- – -ე აფიქსის მეშვეობით: ოთხი > მე-ოთხ-ე, თერთმეტი > მე-თერთმეტ-ე. თუ საწარმოებელ ფუძედ აღებულია და კავშირიანი რთული რიცხვითი სახელი, მე- – -ე თავსართ-ბოლოსართი ერთვის კავშირის შემდეგ (მაგ., ოც-და-მე-ხუთ-ე, სამ-ოც-და-მე-ათ-ე).

**წილობითი რიცხვითი სახელი**
წილობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რიგობითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმისგან, რომელიც ფუძედაა გამოყენებული და ხელმეორედაა ნაბრუნები (მაგ., მეშვიდე – მეშვიდედ > მეშვიდედი).

| | *რაოდენობითი* | | *რიგობითი* | | *წილობითი* |
|---|---|---|---|---|---|
| სახელობითი | ხუთ-**ი** | კაც-**ი** | მეორე | კაც-**ი** | მესამედ-**ი** |
| მოთხრობითი | ხუთ-**მა** | კაც-**მას** | მეორე | კაც-**მა** | მესამედ-**მა** |
| მიცემითი | ხუთ | კაც-**ს** | მეორე | კაც-**ს** | მესამედ-**ს** |
| ნათესაობითი | ხუთ-**ი** | კაც-**ის** | მეორე | კაც-**ის** | მესამედ-**ის** |
| მოქმედებითი | ხუთ-**ი** | კაც-**ით** | მეორე | კაც-**ით** | მესამედ-**ით** |
| ვითარებითი | ხუთ | კაც-**ად** | მეორე | კაც-**ად** | მესამედ-**ად** |
| წოდებითი | ხუთ-**ო** | კაც-**ო** | მეორე | კაც-**ო** | მესამედ-**ო** |

## 7.2.5 ზმნა

ზმნას ერთდროულად რანდენიმე მორფოლოგიური კატეგორია მოეპოვება: პირი, რიცხვი, დრო, კილო, გვარი ქცევა, კონტაქტი.

*პირის გამოხატვა*
სუბიექტური (მოქმედი) პირის ნიშნები:

| მხოლობითი რიცხვი | მრავლობითი რიცხვი |
|---|---|
| I პირი **ვ** ................ | **ვ** ................ **თ** |
| II პირი **ხ** ................ | **ხ** ................ **თ** |
| III პირი ................ **ს, ა, ო** | ................ **ენ, ნენ, ან, ნ, ეს** |

მაგ., ვ-წერ, ვ-წერ-თ, ხ-არ, ხ-არ-თ
აკეთებ-ს, გააკეთ-ა, აქ-ო
აკეთებ-ენ, აკეთებდ-ნენ, გარბი-ან, გააკეთო-ნ, აქ-ეს.

ობიექტური (სამოქმედო) პირის ნიშნები:

| ***პირდაპირი მიმართება*** | ***ირიბი მიმართება*** |
|---|---|
| *მხოლობითი რიცხვი* | *მხოლობითი რიცხვი* |
| I პირი **მ** ................ | I პირი **მ** ................ |
| II პირი **გ** ................ | II პირი **გ** ................ |
| III პირი ................ | III პირი **ჰ, ს** ................ |
| *მრავლობითი რიცხვი* | *მრავლობითი რიცხვი* |
| I პირი **გვ** ................ | I პირი **გვ** ................ |
| II პირი **გ** ................ **(თ)** | II პირი **გ** ................ **(თ)** |
| III პირი ................ | III პირი **ჰ, ს** ................ **(თ)** |

მაგალითად:

| | |
|---|---|
| მ-აქებს; გვ-აქებს | მ-ახსოვს; გვ-ახსოვს |
| გ-იყვარს; გ-იყვარ-თ | გ-ახსოვს; გ-ახსოვ-თ |
| ხატავს; ხატავს | ჰ-ყავს; ს-ძინავს; ს-ძინავ-თ |
| | ახსოვს; ახსოვ-თ |

**კილო**
კილო სამი სახისაა: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი.
თხრობითი – ვცხრობ, ვცხოვრობდი, ვიცხოვრე, მიცხოვრია, ვიცხოვრებ
კავშირებითი – სწყუროდეს, ვაკეთო, სჯობდეს
ბრძანებითი – წადი, იარე, ნუ იხმაურებ, არ გააფუჭო, მომიტანეთ, გრცხვენოდეს.

**ასპექტი**
ასპექტი ორია: უსრული და სრული.

**უსრული აპექტი**
i) აწმყო: ვწერ, ვთამაშობ, ვჭრი (ახლა)
ii) მომავალი: ვწერ, ვთამაშობ, ვჭრი, ვწერო, ვითამაშო, ვჭრა (ხვალაც)
iii) წარსული: ვწერდი, ვთამაშობდი, ვჭრიდი, ვწერე, ვითამაშე, ვჭერი, მიწერია, მითამაშია, მიჭრია, მეწეროს, მეთამაშოს, მეჭრას.

**სრული ასპექტი**
i) მომავალი: დავწერ, ვითამაშებ, გავჭრი, დავწერო, ვითამაშო, გავჭრა
ii) წარსული: დავწერე, ვითამაშე, გავჭერი, დამიწერია, მითამაშია, გამიჭრია, დამეწეროს, მეთამაშოს, გამეჭრას.

არსებობს უასპექტო ზმნებიც: i) უზმნისწინო ზოგიერთი გარდაუვალი ზმნა (არის, ზის, უყვარს...) და ზოგიერთი ვნებითის ფორმა (წერია, ხატია...). ii) ზმნისწინიანი ფორმები (ადის, ამოდის, გამოდის, გადმოდის, ჩამოდის, მოდის, მიდის, ჩადის, შედის, გადის...), ძირითადად მოძრაობის გამომხატველი ზმნები.

**მწკრივები**
ზმნური ფორმები შეიძლება წარმოვადგინოთ სისტემის სახით, რომელსაც *სერიათა* და *მწკრივთა* სისტემა ეწოდება.
ქვემოთ მოგვაქვს სერიებისა და მწკრივების ჩამონათვალი ქართულში. მწკრივების გაგებისათვის თითოეულ მათგანს ახლავს შეკითხვა, რომელზეც იგი პასუხობს.

I სერია
i) აწმყოს წრე

| | |
|---|---|
| 1. აწმყო | რას ვშვრები? |
| 2. უწყვეტელი | რას ვშვრებოდი? |
| 3. აწმყოს კავშირებითი | |
| | რას ვშვრებოდე? |

ii) მყოფადის წრე

| | |
|---|---|
| 1. მყოფადი | რას ვიზამ? |
| 2. ხოლმეობითი | რას ვიზამდი? |
| 3. მყოფადის კავშირებითი | რას ვიზამდე? |

II სერია

| | |
|---|---|
| 1. წყვეტილი | რა ვქენი? |
| 2. II კავშირებითი | რა ვქნა? |

III სერია
1. I თურმეობითი რა მიქნია?
2. II თურმეობითი რა მექნა?
3. III კავშირებითი რა მექნა?

### გარდამავლობა
ქართული ზმნა შეიძლება იყოს *გარდამავალი* (ხატავს, ზრდის, აშენებს, იშენებს, უშენებს, აშენებინებს...) და *გარდაუვალი* (იხატება, ეხატება, შენდება, უშენდება, დგას, ზის, წევს...). გარდამავლობას გარეგნული ნიშნები აქვს: ნამყო (რა ქნა?) ობიექტი სახელობითში დაესმის, სუბიექტი – მოთხრობითში (დახატა, გაზარდა, ააშენა – მან ის. დაუხატა, გაუზარდა, აუშენა, დაახატვინა, გააზრდევინა, ააშენებინა – მან მას ის.

გარდაუვალ ზმნებს ან სულ არ გააჩნია ობიექტი, ან თუ აქვს, მხოლოდ მიცემით ბრუნვაში, სუბიექტი კი ყოველთვის სახელობითშია: დაიხატა, გაიზარდა, აშენდა – ის.

დაეხატა, გაეზარდა, აუშენდა – ის მას. მრავლობითის მესამე პირში ემატება სუფიქსი -ენ: დაიხატნ-ენ, გაიზარდნ-ენ, აშენდნ-ენ.

ერთპირიანი ზმნა ყველა გარდაუვალია, სამპირიანი ზმნა ყველა გარდამავალია, ორპირიანი ზმნა შეიძლება იყოს გარდამავალიც და გარდაუვალიც.

### გვარი
ქართულ ენაში სუბიექტის აქტიურობისა თუ პასიურობის ხარისხის გამოსახატავად გვარის სამი ფორმა არსებობს: *მოქმედებითი, ვნებითი* და *საშუალი.*

მოქმედებითი – ვაგორებ, ვაცურებ, ვაწუხებ... (სუბიექტი აქტიური პირია);
ვნებითი – გორდება, ცურდება, წუხდება (სუბიექტი თავად განიცდის მოქმედებას);
საშუალი – გორავს, ცურავს, წუხს (სუბიექტის აქტიურობის ხარისხი გარდამავალია)

### ქცევა
კუთვნილებით-დანიშნულებითი მიმართებების გამოსახატავად ქცევის სამი ფორმა არსებობს: *საარვისო (ნეიტრალური), სათავისო (სასუბიექტო)* და *სასხვისო (საობიექტო)*.

საარვისო – ვაშენებ, ვხატავ, ვზრდი
სათავისო – ვიშენებ, ვიხატავ, ვიზრდი
სასხვისო – ვუშენებ, ვუხატავ, ვუზრდი

### კონტაქტი
კონტაქტის კატეგორია გულისხმობს სუბიექტური პირის პირდაპირ ან ირიბ ჩართულობას მოქმედებაში. არსებობს *უშუალო* და *შუალობითი* კონტაქტის ფორმები.

უშუალო – ვხატავ, ვზრდი, ვაშენებ
შუალობითი – ვახატვინებ, ვაზრდევინებ, ვაშენებინებ

**ზმნისწინი**
ზმნისწინი წინ ერთვის ზმნას და მას 4 ფუნქცია გააჩნია:

1. უჩვენებს მიმართულებას (მიდის, მოდის...) 2.აწარმოებს მწკრივს (აკეთებს – გააკეთებს) 3.აწარმოებს სრული ასპექტის ფორმას (აკეთა – გააკეთა) 4.გამოიყენება ახალი ლექსიკური ერთეულის საწარმოებლად (წააგებს – მოიგებს).

აგებულების მიხედვით ზმნისწინი *მარტივია* (მი-, მო-, ა-, და-, ჩა-, შე-, გა-, წა-) ან *რთული* (ამო-, ჩამო-, შემო-, გამო-, მიმო-, გადა-, გადმო-).

## 7.2.6 სახელზმნა

სახელზმნა ზმნის უპირო ფორმაა. იგი სახელის ნიშნებსაც ატარებს და ზმნისასაც, მაგრამ მისი ადგილი უფრო ზმნათა სისტემაშია. სახელზმნა ორგვარია: საწყისი (ხატვა, წერა...), რომელიც წინადადებაში არსებითი სახელის ფუნქციით გვხდება და მიმღეობა (დახატული, დაწერილი...), რომელიც წინადადებაში ზედსართავი სახელის ფუნქციას ასრულებს.

*საწყისი.* ქართულ ენაში საწყისი ბრუნვიანია. ამიტომ მას შეუძლია იყოს წინადადების წევრი – სუბიექტი, ობიექტი (პირდაპირი, ირიბი), დამატება, გარემოება. მაგ.: მალე ხატვას *ვიწყებ*; აქამდე *ხატვისთვის* არ მეცალა; *ხატვამ* ძალიან გამიტაცა.

საწყისს აქვს კატეგორიები: მიმართულება, ასპექტი, კონტაქტი, იშვიათად გვარიც.

მიმართულება: გზავნა – ჩაგზავნა, გაგზავნა, გამოგზავნა...
ასპექტი: გზავნა (უსრ.), გაგზავნა, შეგზავნა, მიგზავნა, გადაგზავნა (სრული).
კონტაქტი: გზავნა (უშუალო), გზავნინება (შუალობითი).

*მიმღეობა* ზმნის უუღლებელი ფორმაა, რომელიც იბრუნვის და გამოიყენება როგორც ზედსართავი: ამშენებელი, ასაშენებელი, აუშენებელი. მიმღეობას აქვს ის კატეგორიები, რომლებიც საწყისს გააჩნია: მიმართულება, ასპექტი, კონტაქტი, გვარი. საწყისისაგან განსხვავებით მიმღეობას აქვს დროის გაგება.
მიმართულება – გზავნილი – ჩაგზავნილი, გაგზავნილი, გამოგზავნილი, გადაგზავნილი, გადმოგზავნილი, აგზავნილი.
ასპექტი – გზავნილი (უსრ.) – გაგზავნილი (სრული)
გვარი – გამგზავნელი (მოქმ.) – გაგზავნილი (ვნებითი)
კონტაქტი – გაგზავნილი (უშუალო) – გაგზავნინებული (შუალობითი)

## 7.2.7 ფორმაუცვლელი სიტყვები და ნაწილაკები

ფორმაუცვლელი სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე სიტყვებია: ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი და შორისდებული.

### ზმნიზედა

ზმნიზედა გამოხატავს მოქმედების ადგილს, დროს, მიზეზს, მიზანს და ა.შ. გამოიყოფა ზმნიზედათა შემდეგი ტიპები:

***ადგილის ზმნიზედა*** (სად?): წინ, უკან, თავში, შუაში, ბოლოში, ზევით, ქვევით, მაღლა, დაბლა, გარშემო, ირგვლივ, აქ, იქ, აღმა, დაღმა... (საიდან?) – აქედან, იქიდან, ზევიდან, მაღლიდან, გვერდიდან, შიგნიდან, შორიდან...

***დროის ზმნიზედა*** (როდის?): ახლა, დღეს, წუხელის, წეღან, ჯერ, შემდეგ, ერთხელ, ოდესღაც, ოდესმე, გვიან, ხანდახან, მუდამ...

***ვითარების ზმნიზედა*** (როგორ?): კარგად, მშვიდად, უეჭველად, ჩქარა, ნელა, ალმაცერად, ნაკუწ-ნაკუწ, გულაღმა, თავდაყირა, გარდი-გარდმო...

***ზომა-წონისა და ოდენობის ზმნიზედა*** (რა ზომით? რა ოდენობით? რამდენად? რამდენჯერ?): ამდენად, მაგდენად, ეგზომ, მეტად, ნაკლებ, ერთგზის, ერთჯერ, ორჯერ, ასჯერ, ცოტად, სრულიად, ყოვლად, მთლიანად...

***მიზეზის ზმნიზედა*** (რატომ?): ამიტომ, იმიტომ, მაგიტომ...

***მიზნის ზმნიზედა*** (რად? რისთვის?): ამისთვის, მაგისთვის, იმისთვის, ამად...

***კითხვითი ზმნიზედა***: სად? როდის? საიდან? საითკენ? რატომ? რად? რისთვის?

***მიმართებითი ზმნიზედა.*** კითხვითი ზმნიზედა ც ნაწილაკის დართვით კითხვის ტონს კარგავს და მიმართებითად იქცევა: სადაც, როდესაც, საიდანაც, საითკენაც, რადაც, რისთვისაც...

### თანდებული

თანდებული შედგენილობის მიხედვით შეიძლება იყოს მარტივი (-გან, -თვის...) ან რთული (გამო, მიმართ...).

ყველაზე გავრცელებული თანდებულებია:
მიცემითი ბრ + -ში, მაგ., ქალაქში
მიცემითი ბრ + -ზე, მაგ., მთაზე
მიცემითი ბრ + -თან, მაგ., სახლთან
მიცემითი ბრ + -ვით, მაგ., ცხენივით
მიცემითი ბრ + შუა, შორის, მაგ., ორ ზღვას შუა, ჩვენ შორის
ნათესაობითი ბრ + -თვის, მაგ., ადამიანისთვის
ნათესაობითი ბრ + -გან, მაგ., სიხარულისგან, ხისგან, ძმისგან
ნათესაობითი ბრ + -კენ, მაგ., სოფლისკენ

მოქმედებითი ბრ + -დან, მაგ., უნივერსიტეტიდან
ვითარებითი ბრ + -მდე, მაგ., სამსახურამდე, შუადღემდე

**კავშირი** აკავშირებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას. იგი მნიშვნელობას იძენს მხოლოდ სხვა სიტყვებთან ერთად ხმარებისას. კავშირი ფუნქციის მიხედვით შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს – მაერთებელი და მაქვემდებარებელი.

***მაერთებელი კავშირი*** შეიძლება იყოს:
i) *მაჯგუფებელი*: და, თუ (კატა და ძაღლი; სათამაშოები, სახატავი რვეულები თუ ფერადი ფანქრები სულ იატაკზე იყო გაბნეული);

ii) *მაცალკევებელი კავშირები:* თუ, ან, გინდ, თუნდ (ჩაის მიირთმევთ თუ ყავას?; დედას ან მამას ვეტყვი; გინდ ასე თქვი, გინდ ისე; თუნდა გაბრაზდეს მაინც წავალ);

iii) *მაპირისპირებელი კავშირები*: მაგრამ, ხოლო, კი, თორემ, არამედ, (თოვს, მაგრამ არ ცივა; ნინო პატარაა, ხოლო მისი ძმა უკვე ცოლ-შვილიანია; მე შენ გითხარი, შენ კი ქვეყანა შემიყარე; წამოდი, თორემ დედას დავუძახებ; ის სოფელში კი არ ყოფილა, არამედ პარიზში სეირნობდა);

iiii) *მაიგივებელი კავშირებია*: ანუ, ესე იგი (დენტალური ბგერები; ბილეთები ავიღეთ ე.ი. მივდივართ).

***მაქვემდებარებელი კავშირები*** შინაარსის მიხედვით შეიძლება იყოს: *ადგილის* (სადაც, საითაც...), *დროის* (როდესაც, ვიდრე...), *მიზეზის* (რადგანაც, იმიტომ, რომ), *მიზნის* (რათა...), *დათმობის* (თუმცა). მაქვემდებარებელი კავშირი აკავშირებს ორ წინადადებას, რომელთაგან ერთი მთავარია, მეორე კი – დამოკიდებული.

**ნაწილაკი** წინ უძღვის, ან მოსდევს სიტყვას. წინ უძღვის: არ, ვერ, ნუ... მოსდევს: მე, ვე, და, ცა, ოდე... ზოგი ნაწილაკი მარტო ზმნასთან იხმარება (არ, ვერ, ნუ), ზოგი რიცხვით სახელთან (ოდე), ზოგი ყველანაირ სიტყვასთან (ო). ზოგიერთი ნაწილაკი ცალკე იწერება (ხოლმე, თურმე, ნუ, არ, ვერ...)

ფუნქციების მიხედვით ნაწილაკები შეიძლება გამოიყოს შემდეგი სახის:

*კითხვითი*: განა, ნუთუ, ხომ (განა არ იცი? ნუთუ მართალია? ხომ გითხარი?)
*მიმართებითი*: ც (ცა). ამ ნაწილაკის ფუნქციაა კითხვითი სიტყვა მიმართებითად აქციოს: ვინც, რაც, რომელიც, სადაც...
*განუსაზღვრელობითი*: კითხვითი სიტყვა (ვინ? რა? რომელი? რამდენი? როგორ? სად? საიდან?) განუსაზღვრელად იქცევა, თუ მას დაერთო ნაწილაკი მე: ვინმე, რამე, რომელიმე, რამდენიმე, როგორმე, სადმე, საიდანმე...
*უკუთქმითი*: არ(ა), ვერ, ნუ.
*სიტყვა-სიტყვითი*: მეთქი, თქვა, თქო, ო.
*მიგებითი*: ჰო, კი, დიახ, არა, ვერა.

**შორისდებული** ადამიანის გრძნობის, განცდის, ნება-სურვილის გამომხატველი ბგერა, ბგერათა ჯგუფი ან სიტყვაა (ოჰ, უჰ, აჰ, ოი, უი, ვაი, ვაიმე...). იგი განკერძოებით დგას წინადადების თავში, შუაში ან ბოლოში. შორისდებულის ხმარებისას ხშირად ახლავს სათანადო ჟესტიკულაციაც. მაგ., ოჰ, რა ძვირფასი ნივთია. ბიჭოს! ეს რა ჭიდაობა გაუმართავთ!

## 7.3 ქართული ენის სინტაქსური აღწერილობა

სინტაქსი სწავლობს წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესებს (სინტაქსის – ბერძ. *შედგენა*)

*წინადადება* არის ამა თუ იმ ენის კანონების მიხედვით ერთმანეთთან შეხამებული სიტყვების ჯგუფი ან ცალკე სიტყვა, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს. აზრის დასრულებულობასთან ერთად წინადადების ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშნად პრედიკატულობაა მიჩნეული. ცხადია, ზმნა-შემასმენლის გარეშე ვერც დასრულებული აზრი ვერ გადმოიცემა და ვერც წინადადება შეიქმნება. წინადადებას გარკვეული ინტონაცია ახასიათებს, რომელიც წერისას სასვენი ნიშნებითაა გადმოცემული. წინადადების დამახასიათებელი ძირითადი ნიშნებიდან (აზრის დასრულებულობა, პრედიკატულობა, ინტონაცია) აზრის დასრულებულობა და პრედიკატულობა აუცილებელი კომპონენტებია კომუნიკაციის დასამყარებლად.

### 7.3.1 წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით

შინაარსის მიხედვით წინადადება შეიძლება იყოს თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა და კითხვით-ძახილისა. თითოეული მათგანი შინაარსის მიხედვით ან წართქმითია (დადებითი) ან უკუთქმითი (უარყოფითი).

***თხრობითი წინადადება***
თხრობით წინადადებაში გადმოცემულია რეალური ან ირეალური ფაქტი ან მოვლენა. მაგ., ჟუჟუნა წვიმა მოვიდა, დიდი მინდორი დანამა, წართქმითი წინადადებაა. მდინარე აღმა ვერ წავა – უკუთქმითია. თხრობითი წინადადების ბოლოს წერტილი იწერება.

ქართულ ენაში თხრობითი წინადადების ინტონაცია თავიდან ამაღლებულია, მაგრამ თანდათან დაბლდება და მთავრდება დაბალი ტონით. თუმცა კომუნიკაცია ინტონაციის წესების ცოდნის გარეშეც შეიძლება დამყარდეს. თხრობითი წინადადება ამის საშუალებას იძლევა. ყურადღება ძირითადად გადატანილი უნდა იყოს ზმნის გაფორმებაზე.

***კითხვითი წინადადება***
შეკითხვის შემცველ წინადადებას კითხვითი ჰქვია. მაგ., ვინ მოვიდა? კიდევ წვიმს? კითხვითი წინადადება ორგვარია: კითხვითსიტყვიანი და უკითხვითსიტყვო. კითხვით სიტყვებში მოიაზრება:

*კითხვითი ნაცვალსახელები* – ვინ? რა? რომელი? როგორი? რამდენი? სადაური? როდინდელი?
*კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები* – ვისი? რისი? რისა?
*კითხვითი ზმნიზედები* – სად? საიდან? საითკენ? როდის? როგორ? რატომ? რისთვის? რამდენად?..
*კითხვითი ნაწილაკები* – ხომ, განა, ნუთუ.

კითხვითსიტყვიან წინადადებაში მახვილი კითხვით სიტყვაზე უნდა დაისვას. ინტონაცია კი დაღმავალი უნდა იყოს. თუ კითხვით წინადადებაში კითხვითი სიტყვა არ არის, შეკითხვის მახვილი ზმნა-შემასმენლის ბოლო მარცვალზე დაისმის და ინტონაცია ოდნავ აღმავალია. მაგალითად, გინახავთ ფერი დაბინდულ ქლიავის? კითხვით წინადადებას, რომელშიც სიტყვა არ არის წარმოთქმის დროს თხრობითი წინადადებისაგან მხოლოდ ინტონაცია განასხვავებს. მაგალითად, გიორგი მოვიდა, თხრობითია, გიორგი მოვიდა? მახვილი ზმნა-შემასმენლის ბოლო მარცვალზეა და აღმავალი ინტონაციაა, შესაბამისად, წინადადება კითხვითია. კითხვითი წინადადების ბოლოს კითხვის ნიშანი იწერება.

### *ბრძანებითი წინადადება*

ბრძანებით წინადადებაში გამოხატულია მთქმელის ნება-სურვილი, რომ ზმნა-შემასმენელით გადმოცემული მოქმედება შესრულდეს ან არ შესრულდეს. ამდენად, ბრძანებითი წინადადებაც შეიძლება იყოს წართქმითი და უკუთქმითი. მაგალითად, წართქმითია – გასწი, გამიძეხი წინ. უკუთქმითია – ნუ გამიჯავრდები, არ წამეჩხუბო, ნურაფერს მეტყვი.

ბრძანებითი წინადადება ყოველთვის ბრძანებას არ გამოხატავს. მან შეიძლება გადმოსცეს თხოვნა (ღმერთო, მიშველე), რჩევა-დარიგება (ფრთხილად, ცეცხლს ნუ ეთამაშები.), მოწოდება (რთველი დაიწყო, აბა, შევესიოთ ვენახს!), დალოცვა (დაილოცოს საქართველო, იდიდე მარად, ჩემო სამშობლო), წყევლა (შე არაგასაზრდელო, შენა), გამხნევება (ნუ გეშინია, გულს ნუ გაიტეხ, ყველაფერი კარგად იქნება).

ბრძანებითი წინადადების ბოლოს ყოველთვის ძახილის ნიშანი არ იწერება, თუ ის თხრობითის მსგავსად წარმოითქმის, ბოლოში წერტილი იხმარება.

### *ძახილის წინადადება*

თუ წინადადებაში გადმოცემულ აზრს მთქმელის გრძნობადი დამოკიდებულება ახლავს, მას ძახილის წინადადება ეწოდება. ადამიანის გრძნობები სხვადასხვაგვარია:

აღფრთოვანების გამომხატველი (რა მშვენიერია, ზღაპრული სილამაზეა), გაოცების გამომხატველი (შეხედე, რა ხდება),
აღშფოთების გამომხატველი (უი, უი, ეს ხომ ყოვლად დაუშვებელია!), მწუხარების გამომხატველი (ოჰ, ეს რა უბედურება დატრიალებულა!), სიხარულის გამომხატველი (გილოცავ ამ დიდ წარმატებას, რა ბედნიერებაა!), ნატვრის გამომხატველი (ახ, ნეტავი შენთან ვიყო!), სინანულის გამომხატველი (გუშინ აღესრულა ჩვენი მგოსანი!)

ძახილის წინადადება შეიძლება შინაარსით წართქმითი იყოს, ფორმით კი უკუთქმითი. მაგალითად, ძლივს გაღიმებული არ ვიხილე მერი! ე.ი. ძლივს გაღიმებული ვიხილე მერი! ამ ორ წინადადებაში ინტონაციის ისეთ მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე, რომელიც არაქართველისთვის საკმაოდ რთულია და კომუნიკაციის დასამყარებლად მისი ცოდნა სავალდებულო ნამდვილად არ არის. ძახილის წინადადების ბოლოს აუცილებლად ძახილის ნიშანი იწერება.

*კითხვით-ძახილის წინადადება*
თუ წინადადება ერთსა და იმავე დროს კითხვასაც შეიცავს და გარკვეულ გრძნობასაც, ასეთი წინადადება კითხვით-ძახილისაა. მაგალითად, განა შეიძლებოდა ამ ამბის დაფარვა?! კითხვით-ძახილის წინადადება შეიძლება უპასუხო დარჩეს. ასეთი წინადადების ბოლოს კითხვის და ძახილის ნიშანი იწერება.

## 7.3.2 სინტაქსური ურთიერთობის სახეები

სინტაქსური ურთიერთობის ძირითადი სახეებია: ***შეთანხმება***, ***მართვა*** და ***მირთვა***.

*შეთანხმება*
სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის ისეთ სახეს, როცა დაქვემდებარებული სიტყვა იმ ფორმას იღებს, რომელიც აქვს მთავარ სიტყვას, ეწოდება შეთანხმება. მაგალითად, ძველი ბურთი
ორი ბურთი
ჩემი ბურთი

სამივე წყვილისათვის ბურთი მთავარი სიტყვაა, მასზეა დაქვემდებარებული ძველი (ზედსართავი სახელი), ორი (რიცხვითი სახელი), ჩემი (ნაცვალსახელი). მთავარი სიტყვის ბრუნებისას იმავე ბრუნვის ფორმას იღებს დამოკიდებულიც. მაგალითად, ძველმა ბურთმა, ორმა ბურთმა, ჩემმა ბურთმა... თუ მთავარ სიტყვას -ებ-იან მრავლობითში ჩავსვამთ, მასზე დაქვემდებარებული სიტყვა მხოლობით რიცხვში დარჩება. მაგალითად, ძველი ბურთები, ჩემი ბურთები – ძველმა ბურთებმა, ჩემმა ბურთებმა... შეთანხმებისთვის აუცილებელია, რომ წყვილის წევრებს ჰქონდეთ ერთი და იგივე კატეგორია ბრუნვის და რიცხვის ან მხოლოდ რიცხვის. სახელმა სახელი შეიძლება შეითანხმოს ბრუნვაშიც და რიცხვშიც, მაგრამ სახელს შეუძლია შეითანხმოს ზმნა მხოლოდ რიცხვში.

*მართვა*
მართვა ეწოდება სინტაქსური ურთიერთობის ისეთ სახეს, რომლის დროსაც მთავარი სიტყვა მოითხოვს დაქვემდებარებულისგან იმ ფორმას, რომელიც მას არა აქვს მოცემულ შემთხვევაში ან არა აქვს საერთოდ. მაგალითად, კონსტრუქტორით თამაშობს
თამაშობს კონსტრუქტორით
ითამაშებს კონსტრუქტორით
ითამაშოს კონსტრუქტორით
უთამაშია კონსტრუქტორით

აქ ზმნა მოითხოვს სახელისაგან იმას, რაც თვითონ საერთოდ არა აქვს ე.ი. ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში. ზოგიერთ შემთხვევაში მმართავმა სიტყვამ მართული სიტყვისაგან შეიძლება მოითხოვოს ის ფორმა, რომელიც მას არა აქვს მოცემულ შემთხვევაში. მაგალითად,

ხის ტოტ-**ი**
ხის ტოტ-**მა**
ხის ტოტ-**ს**
ხის ტოტ-**ის**
ხის ტოტ-**ით**
ხის ტოტ-**ად**
ხის ტოტ-**ო**

ამ შემთხვევაში მთავარი სიტყვის ყველა ბრუნვასთან მასზე დაქვემდებარებული მსაზღვრელი (ხის) მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა შეწყობილი. ეს ნიშნავს, რომ აქ მართვაა ბრუნვაში და არა შეთანხმება.

შეთანხმება და მართვა ზმნისა და სახელის სინტაქსური ურთიერთობისას უაღრესად საინტერესო ორმხრივ დამოკიდებულებას განაპირობებს: ქართულ ენაში ზმნა პოლივალენტურია; შესაბამისად, მასთან შეწყობილი სახელები გარკვეულ სინტაქსურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ზმნასთან: სახელი მართავს ზმნას პირში (**მე ვ**-არ; **შენ ხ**-არ, **ის** არი-**ს**) და ითანხმებს რიცხვში (შდრ.: კაც-ი მოდი-**ს** - კაც-**ებ**-ი მოდი-**ან**); თავის მხრივ, ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში (იმისდა მიხედვით, დრო-კილოთა რომელ სერიაშია ზმნური ფორმა და როგორია მასთან შეწყობილი სახელი – სუბიექტური პირი, ირიბობიექტური პირი თუ პირდაპირობიექტური პირი):

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| I სერია | უშენებს | კაც-**ი** | სახლ-**ს** | მეგობარ-**ს** |
| II სერია | აუშენა | კაც-**მა** | სახლ-**ი** | მეგობარ-**ს** |
| III სერია | აუშენებია | კაც-**ს** სახლ-**ი** (მეგობრ-ისთვის) | | |

***მირთვა***
მირთვა ეწოდება სიტყვათა შეკავშირების ისეთ სახეს, როდესაც მთავარი სიტყვა მასზე დაქვემდებარებულს მხოლოდ აზრობრივად იკავშირებს. ამგვარი შეკავშირება მაშინაა შესაძლებელი, თუ დაქვემდებარებული სიტყვა ფორმაუცვლელია, ე.ი. მას არანაირი ცვლილების უნარი არ გააჩნია. მირთვის დროს სინტაქსურ წყვილში მთავარი სიტყვა ძირითადად ზმნაა (მაგ., აქ დავიბადე), მაგრამ შეიძლება შეგვხვდეს სხვაც. მაგალითად,
ზმნიზედა (ძალიან ნელა, ისე უეცრად...)
ზედსართავი სახელი (ოდნავ განიერი, ასე მშვენიერი...)
საწყისი (ასე წერა, ამგვარად საუბარი...)
მიმღეობა (იქ მისატანი, ნაკლებად სერიოზული...)

## 7.3.3 წინადადების სახეები აგებულების მიხედვით

აგებულების მიხედვით წინადადება შეიძლება იყოს სამი სახის: *მარტივი*, *შერწყმული* და *რთული*.

*მარტივი წინადადება*
მარტივია წინადადება, რომელიც გადმოიცემა ერთი (მაგალითად, თოვს, გაავდრდა, დაღამდა) ან რამდენიმე სიტყვით, რომლებსაც ერთმანეთთან მართვა აკავშირებს, თუმცა მათ შორის შეიძლება იყოს მირთვაც. მაგალითად, უცებ ჩამობნელდა –ესაა ორ წევრიანი მარტივი წინადადება, რომელიც მირთვითაა დაკავშირებული. დავითმა ამაყად მიუგო ნიკოს – ამ მარტივი წინადადების ოთხი წევრიდან ერთი წყვილი *ამაყად მიუგო* მირთვით უკავშირდება ერთმანეთს, ხოლო დანარჩენ ორ წყვილში *დავითმა მიუგო, მიუგო ნიკოს* მართვა გვაქვს.
მარტივ წინადადებაში არ შეიძლება იყოს ერთზე მეტი ზმნა-შემასმენელი.

*შერწყმული წინადადება*
შერწყმულია წინადადება, თუ მასში წარმოდგენილია ერთი და იმავე ფუნქციის ორი ან მეტი წევრი. ეს ერთგვარი წევრები ერთსა და იმავე წევრს მიემართებიან ხოლმე. მაგალითად, *ანო, ვანო* და *კატო* დამეგობრდნენ. აღნიშნული სამი წევრი მიემართება სიტყვას დამეგობრდნენ.

*რთული წინადადება*
რთულია წინადადება, თუ იგი შედგება ორი ან მეტი მარტივი ან შერწყმული წინადადებისაგან, მაგ., *შემოდგომა მოვიდა წითელ-ყვითელ ფერებით, მოსავლით აივსო საქართველოს ველები.* ამ რთულ წინადადებაში გაერთიანებულია ერთი შერწყმული და ერთი მარტივი წინადადება.

რთული წინადადება შეიძლება იყოს თანწყობილი და ქვეწყობილი:

თანწყობა არის ისეთი მარტივი ან შერწყმული წინადადების რთულ წინადადებად შეკავშირება, რომლებიც სინტაქსურად თანასწორნი არიან ერთმანეთის მიმართ. მაგალითად, *ბაზალეთისა ტბის ძირას ოქროს აკვანი არისო და მის გარშემო წყლის ქვეშ უცხო წალკოტი ყვავისო.*

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ერთი მთავარია, დანარჩენი კი მასზე დაქვემდებარებული. მაგალითად, *ის ქუჩები, რომლითაც უნდა გაეტარებინათ მგოსანი თეატრამდის, დილიდანვე გაჭედილი იყო ხალხით.*

## *Reference Level Description for the Georgian Language*

Now Reference Level Descriptions for European Languages has grown with the Reference Level Description for the Georgian Language. I would like to express my gratitude and respect to the Council of Europe for giving me possibility to evaluate and publish this work. Interest is being shown in the preparation of RLD for national and regional languages of the multilingual Europe. I hope that RLD for the Georgian Language, like other descriptions, will contribute to the implementation of the Council of Europe Language policy to incrpease European mobility and mutual understanding by giving better access to the diversity of European Languages across European continent.

Georgia is situated in Southern Caucasus. The neighbours from North are the republics of Russian Federation, from East –Azerbaijan and from South –Turkey and Armenia. Apart from Georgia, the Georgian Language is more or less spoken on the territory of Turkey, Iran and Azerbaijan, as well. Besides, Georgian is spoken in Europe and America by the Georgian diasporas, which have quite increased during last twenty years.

Georgian Language belongs to the group of Kartvelian Languages and this group belongs to the family of Ibero-Caucasian Languages. Georgian is the oldest written and literary language in this family.

Georgian alphabet is one of the oldest in the World. There are several theories about its origin, but according to the most popular opinion it arose in the 3rd century B.C.

There are 33 letters and the same number of sounds in the modern Georgian alphabet. The difference from other alphabets is that every sound has its own graphic symbol and we write as we pronounce and vice versa.

Reference Level Description for the Georgian Language is aimed at those concerned with the teaching and learning of Georgian: curriculum planners, course designers, teachers, test constructors, learners, publishers and authors of textbooks for Georgian as a second or foreign language.

It deals with the language required by foreign businessmen, tourists on a temporary visit to Georgia, Georgian families living abroad. It will also be useful for the minorities living in Georgia.

Georgia is a multinational country. Georgian as a state language is a second language for non-Georgians living on the territory of Georgia, but there are some villages in Georgia where mostly minorities live and they hear Georgian very frequently. They don't have Georgian environment. It means that teaching of Georgian there is conducted as a foreign language. This work will be a good support for them, as well.

RLD for the Georgian language consists of foreword, 7 parts and 22 chapters.
In the foreword, general description of the Georgian language, first written sources and alphabet is given.

Part 1 –The general description of the work. There is given the necessity of creating RLD for the Georgian language, the idea of communicative language teaching and the components of communicative competence –linguistic, sociolinguistic, discursive, sociocultural, social, strategic is explained. The theoretical description of reference levels is given.

Part 2 –Communicative competences for adult learners are the most interesting and useful for everybody because it includes not only the list of the material, but it is illustrated by many examples and phrases for the possible circumstances in which learners may find themselves. We started from A1 and worked up to B2 and showed the progress from level to level. This chapter consists of four parts: Speech acts, General notions, Thematic vocabulary and Cultural aspects. Each part is classified according to the functions, e.g. Speech acts contain: Imparting and seeking information, expressing and finding out attitudes, socializing, deciding on and managing the course of action, assuring and repairing communication and structuring discourse.

General notions include: existence, space, time, quantity, qualities of things and peoples and logical relationships.

Thematic vocabulary includes: identification of a person, place of residence, environment, everyday life, professional context, leisure and recreation activities, travel and transportation, weather, education, shopping, food and drink, health and career plans.

Cultural aspect covers sociocultural behavior; customs and traditions, art, dances, religious beliefs; current issues; economic issues, political issues, employment…

Part 3 includes communicative competences for schoolchildren established by the Ministry of Education and Science of Georgia.

Part 4 –The types of text. There are given the types of texts and genres for listening and reading, the skills of writing. This part will contribute the learner to create the sense of text producing and interpreting, so that he could produce the texts of different types according to his level of language competence and to make correct, adequate decisions on further behaviors. The emphasis is made on the point that a learner could use compensative tactics while understanding written and oral texts.

Part 5 –The strategies. There is emphasized that we should develop in a learner self-learning and strategic skills. There are described the possibilities from which these skills consist. It is discussed that speaking and compensative strategies help the learner to continue the interrupted conversation, if he can use the same words and expressions as his interlocutor; attention is paid to non-verbal communication as well.

Part 6 –There are given the samples of descriptors, which show the progress from level A1 to level B2 according to listening, reading, spoken interaction, spoken production and writing skills.

Part 7 –There is given the Georgian sound system, explained the idea of communicative grammar, that the grammar is the means and not the aim, there are analyzed functional and systematic grammar principles and are given the morphologic and syntactic description of the Georgian language.

Marika Odzeli
*Professor, national representative of*
*Language Policy to the Council of Europe*